

ავთანდილ  
ქურსული

...და რთვ  
გახსოვდეს

თბილისი  
2004

ნიგნი ეხება მედიცინის დარგის მუშაკებს, რომელთა ტრაგიკული ბედი კიდევ ერთი დადასტურებაა კომუნისტური წყობის კატომოძულობრივი ხასიათისა. მასში თავმოყრილია რეპრესირებულთა ბიოგრაფიული ცნობები, რომელთა მოპოვებას ავტორმა სამწლიანი თავაულებელი შრომა მოანდომა და გამოიკვლია უამრავი საარქივო (მათ შორის - საოჯახო) მასალა.

ავტორმა ვალდებულად ჩათვალა თავი ღირსეული პატივი მიეგო კოლეგების ხსოვნისათვის.

ბევრ საფიქრალს აღძრავს ეს წიგნი, ბევრს მიაბრუნებს წარსულისკენ სინანულით, ბევრს კი მომავლისკენ გაახედებს სიფრთხილით.

შესაძლებელია ზოგიერთ მკითხველს აღუძრას სურვილი კომუნისტური პოლიტიკური რეპრესიების ნაკლებად შესწავლილი საკითხების გამოკვლევისა, რადგან ბურუსით მოცული წარსული არც თუ საიმედო საფუძველია ნათელი მომავლის მშენებლობისა.

წიგნში წარმოდგენილი რეპრესირებული მედიკოსების სია, რასაკვირველია, არასრულია. ავტორი იმედოვნებს, რომ იგი დაზუსტდება წიგნის მეორე ნაწილის გამოცემისდროს.

© ავთანდილ ქურხული  
მხატვარი ვახტანგ რურუა  
გამომცემლობა "რეგთაიმი"

ISBN 99928-0-871-3



# შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიქტატურა, დიქტატორი, დიქტატორული რეჟიმი - დღესაც ისევე აქტუალურია როგორც რამდენიმე ათეული ან ასეული წლის წინ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს საკითხი კიდევ დიდხანს შეაწუხებს როგორც ნაკლებად განვითარებული, ისე მოწინავე ქვეყნების მოსახლეობას. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ დღეს არსებული დიქტატორული რეჟიმები (კუბაში, ჩრდილოეთ კორეაში, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში და სხვ.) და ზოგიერთ დემოკრატიულ, განვითარებულ ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების შედეგები, რომლებშიც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ფაშისტურად განწყობილი პარტიების ლიდერებს - პოტენციურ დიქტატორებს (საფრანგეთი, ავსტრია).

წარმოდგენილი მასალით გვსურს ვაჩვენოთ საზოგადოებას (განსაკუთრებით, ახალგაზრდებს) თუ რა შეიძლება მოჰყვეს ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის დიქტატურას, რომელ იდეოლოგიასაც არ უნდა იყოს იგი ამოფარებული (კომუნისტურ, ფაშისტურ, რელიგიურ და სხვ.), ვაჩვენოთ, რომ დიქტატორული რეჟიმის დროს საზოგადოების არცერთი წევრი არ არის და არც იქნება დაცული ძალადობისგან, რომ დიქტატორის პირად ამბიციებს შეიძლება შეეწიროს მილიონობით ადამიანი, რომ დიქტატორის მფარველობით სარ-

გებლობენ საზოგადოების ყველაზე უღირსი ადამიანები, რომელთა თვითნებობასა და ავადმყოფური, საღისტური მიდრეკილებების გამოვლინებას არ აქვს საზღვარი.

ამ მიზნის მისაღწევად ვეცადეთ დაგვედგინა 1921 - 1953 წლებში ხელისუფლების მიერ საქართველოში პოლიტიკური ბრალდებით რეპრესირებული მედიცინის მუშაკთა სია და დოკუმენტური მასალის საფუძველზე გვეჩვენებინა რეპრესიების მექანიზმი, მისი სახეები, მასშტაბები, რეჟიმისა და მისი ცალკეული წარმომადგენლების სისასტიკე, დაუნდობლობა, ცინიზმი, ცალკეულ კონკრეტულ პიროვნებათა, ადამიანთა ჯგუფებისა და, საერთოდ, მთელი საზოგადოების დაუცველობა ძალადობისაგან.

რეპრესირებულ მედიკოსთა სია შევადგინეთ საარქივო მასალების შესწავლით. გამოვიკვლიეთ საზოგადოება "მემორიალის" არქივში დაცული რეპრესირებულების ან მათი ახლობლების მიერ შეესებული კითხვარები, გამოვიყენეთ ჩვენი თხოვნით ახლო ნათესავების მიერ დაწერილი მოგონებები მათ შესახებ. შევისწავლეთ საქართველოს საისტორიო არქივში, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საარქივო ფონდების განყოფილებაში და შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრში დაცული მასალები და ზოგიერთი ცნობა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურიდან.

ბოლშევიკური რეპრესიებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში უმრავლეს შემთხვევაში განხილულია 1930-1950-ანი წლების რეპრესიები. ეს მოვლენა უპირატესად ახსნილია სოციალისტური კანონმდებლობის უხეში დარღვევით და ცალკეული ხელმძღვანელი პიროვნებების, პირველ რიგში კი სტალინის პირადული თვისებებით, მის მიერ ძველი ლენინური გვარდიის მოსპობით.

ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ ძალადობა, ტერორი, რეპრესიები და სხვა ძალისმიერი მეთოდები არ იყო მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის ცალკეული ხელმძღვანელის ავადმყოფური ფანტაზიის, საღისტური მიდრეკილებების ნაყოფი. ამაზე ნათლად მეტყველებს ე.წ. სოციალისტური კანონმდებლობა და საჭიროების შემთხვევაში ამ კანონმდებლობის სრული უგულვებელყოფა. იმის დასადგენად, თუ როდის დაიწყეს ბოლშევიკებმა ძალადობის გამოყენება ძალაუფლების შესანარჩუნებლად და შემდგომ კი სახელმწიფოს სამართავად, ვცადეთ წარმოგვედგინა ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების პირველი დღიდან გამოცემული დეკრეტები, ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა იურიდიული დოკუმენტები.

1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა ძალის გამოყენებით დაამხეს კერენსკის დროებითი მთავრობა. იმავე საღამოს (10 საათ-

სა და 40 წუთზე) პეტროგრაფში გაიხსნა რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მეორე ყრილობა, რომელმაც მოსახლეობას შეატყობინა, რომ დროებითი მთავრობა დამხობილია და მთელი ძალაუფლება გადავიდა მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელში. 26 ოქტომბერს ყრილობამ მიიღო დეკრეტები მშვიდობისა [1] და მიწის [2] შესახებ. იმავე ყრილობამ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე აირჩია მთავრობა, ე.წ. სახალხო კომისართა საბჭო (თავმჯდომარე ვ. ულიანოვ-ლენინი) და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი - საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ყოფილი იმპერიის ფარგლებში მისი შენარჩუნების, განმტკიცების და გავრცელების, ძველი წყობის მართვის ორგანოების ლიკვიდაციის და ახლების ჩამოყალიბების საკითხი. ყოველივე ეს ხდებოდა ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული დეკრეტებით, დადგენილებებით ან სხვა საიდუმლო, ან სრულიად საიდუმლო ნორმატიული აქტებითა თუ ბრძანებებით.

წარმოდგენილ მასალაში შევეცდებით შევეხოთ იმ დეკრეტებს, დადგენილებებს, ცირკულარებს და სხვა აქტებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ბოლშევიკური ხელისუფლების ბრძოლას პოლიტიკურ ოპონენტებთან და "იურიდიული" საფუძველი შეუქმნეს პოლიტიკური რეპრესიების განხორციელებას. ამ საკანონმდებლო აქტებში კარგად ჩანს თუ რა გზა და მეთოდები აირჩიეს ბოლშევიკებმა მიზნების მისაღწევად.

გადატრიალებიდან მესამე დღეს, 1917 წლის 28 ოქტომბერს, გამოქვეყნდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომლითაც ახალი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ გამომცემლობებს დაუწესდა უმკაცრესი ცენზურა. იმავე დეკრეტში ახსნილი იყო ასეთი გადაწყვეტილების მოტივიც: "ყველამ იცის, რომ ბურჟუაზიული პრესა არის ბურჟუაზიის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი. განსაკუთრებით კრიტიკულ დროს. ახლა, როცა ახალი ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ეს ეს არის მყარდება, შეუძლებელი იყო ეს იარაღი დაგვეტოვებინა მტრის ხელში. იგი ასეთ დროს არანაკლებ საშიშია, ვიდრე ტყვიამფრქვევები და ბომბები" [3] დეკრეტი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში კარგად ჩანს ბოლშევიკური ლოგიკა და დაპირებები ნათელი მომავლის შესახებ:

"გადატრიალების (სწორედ ეს ტერმინია ნახმარი-ავტ.) მძიმე და გადაწყვეტ საათსა და მის მომდევნო დღეებში (საუბარია ორ დღე-

ზე-ავტ.) დროებითი რევოლუციური კომიტეტი იძულებული გახდა განეხორციელებინა რიგი ღონისძიებებისა კონტრრევოლუციური ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ..." და იქვე: "...როგორც კი ახალი წყობა განმტკიცდება, მოიხსნება ყოველგვარი ადმინისტრაციული შეზღუდვები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ და დამყარდება სრული თავისუფლება".

მოკლე ხანში (სამ თვეში) ბეჭდვით სიტყვას მიეძღვნა კიდევ ორი დოკუმენტი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის დადგენილება (18.12.1917წ.) [4] და სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 28 იანვრის დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ [5], რომლებშიც განსაზღვრული იყო ამ სფეროში დანაშაულის სახე და სასჯელი ასეთი დანაშაულის ჩადენისთვის (ჯარიმა, გამოცემის შეჩერება, სტამბისა და გამომცემლობის ქონების კონფისკაცია, გასახლება, თავისუფლების აღკვეთა და სხვ.).

მალე ბოლშევიკების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიხურა ოპოზიციურად განწყობილი ყველა გამომცემლობა, მაგრამ ცენზურა ამის შემდეგაც არ შესუსტებულა. მოწმედობდა ყველა სახელისუფლო გაზეთი და პერიოდული გამოცემა, მხატვრული, სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურა, საერთოდ, ყველა სახის ნაბეჭდი პროდუქცია. ასე გრძელდებოდა საბჭოთა იმპერიის დასასრულამდე.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული სხვა ადრეული დეკრეტებისა თუ დადგენილებებიდან, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ რეპრესიებში, უნდა გამოვყოთ დეკრეტები სასამართლოს შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 24 ნოემბერს მიღებული №1 დეკრეტით [6] გაუქმდა მანამდე არსებული სასამართლოები, ადვოკატურა, საპროკურორო ზედამხედველობა და სასამართლოს გამომძიებელთა ინსტიტუტი. მათ მაგივრად შეიქმნა ადგილობრივი (სახალხო) სასამართლოები, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ტრიბუნალები და სხვ. მომდევნო №2 [7] და №3 [8] დეკრეტებით განისაზღვრა ამ ორგანიზაციათა დებულებები. დადგინდა, რომ სახალხო სასამართლოებს შეეძლოთ განეხილათ ის სამოქალაქო საქმეები, რომელთა ღირებულება არ აღემატებოდა 3000 მანეთს და სისხლის სამართლის ისეთი საქმეები, რომელთა განსახილველი დანაშაული ითვალისწინებდა მხოლოდ ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას (შემდგომ სასამართლოების უფლებები გაფართოვდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ შემდგომ!) დანარჩენი სისხლის სამართლის საქმეები, განსაკუთრებით კი, კონტრრევოლუციური ხასიათისა, უნდა გა-

ნეხილა რევოლუციურ ტრიბუნალებს. ცაკ-ის 1919 წლის 12 აპრილის დეკრეტით [9] რევოლუციურ ტრიბუნალებს დაევალა კონტრ-რევოლუციური ან ოქტომბრის რევოლუციის სხვა მონაპოვართა წინააღმდეგ მიმართული ქმედებების განხილვა, ვინაიდან იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი და გამოცემული დეკრეტები და სხვა საკანონმდებლო აქტები ხშირად არასაკმარისი იყო სამართლის წარმოებისთვის, ტრიბუნალებს მიენიჭათ "შეუზღუდავი უფლება რეპრესიის ზომის განსაზღვრისათვის", ხოლო განაჩენის გამოტანის დროს შეეძლოთ ეხელმძღვანელათ "მხოლოდ საქმის ვითარებითა და რევოლუციური სინდისის კარნახით".

გარდა კონტრრევოლუციური დანაშაულისა, რევოლუციური ტრიბუნალები იხილავდნენ სისხლის სამართლის საქმეებს ხელისუფლების დისკრედიტაციის შესახებ, აგრეთვე საქმეებს თანამდებობრივი დანაშაულის, შპიონაჟის, სპეკულაციის, ხულიგნობის შესახებ და სხვ.

უკვე 1917 წელს რევოლუციურმა ტრიბუნალებმა მიიღეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია [10], რომლითაც ტრიბუნალებს ენიჭებოდათ უფლება ე.წ. "მანკიერი ელემენტების" დედაქალაქიდან ან რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან გასახლების შესახებ. 1919 წლის 20 ივნისიდან კი იგივე უფლებები რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმმა მიანიჭა ჩეკასაც. დეკრეტი ნებას რთავდა საგანგებო კომისიას რევოლუციური წესრიგის დასაცავად შრომითი დისციპლინის დამრღვევები და ე.წ. პარაზიტული ელემენტები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვერ ხერხდებოდა მათ წინააღმდეგ სასამართლოში საქმის აღძვრისთვის საკმარის მასალების მოპოვება მოეთავსებინა იძულებითი შრომის ბანაკებში ხუთი (სულ ხუთი!) წლით.

შემდგომ ადმინისტრაციულ გასახლებას მიეძღვნა რუსეთის ცაკ-ის 1922 წლის 10 აგვისტოს [11] და 16 ოქტომბრის დეკრეტები [12], რომლებითაც გასახლების ვადა განისაზღვრა 3 წლით. 16 ოქტომბრის დეკრეტით მნიშვნელოვნად გაფართოვდა დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელიც ითვალისწინებდა დამნაშავეთა გასახლებას და იძულებითი შრომის ბანაკებში მოთავსებას. რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1923 წლის 3 იანვრის ინსტრუქცია [13] კი აზუსტებდა და განმარტავდა ცაკ-ის დადგენილებებს გასახლებულთა შესახებ. ამ ინსტრუქციით:

ადმინისტრაციული გასახლება გამოიყენებოდა იმ პირთა მიმართ, რომელთა ცხოვრება ადგილზე, მათი ქმედებები, წარსული და დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირი წარმოადგენდა საშიშროებას რევოლუ

ციური წესრიგისათვის.

ადმინისტრაციული გასახლება სამი სახის იყო:

- ა) გასახლება მოცემული ადგილიდან რსფს რესპუბლიკის გარკვეულ პუნქტებში ცხოვრების უფლების აკრძალვით;
- ბ) გასახლება მოცემული ადგილიდან რსფს რესპუბლიკის გარკვეულ რაიონში;
- გ) გასახლება რსფს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ანუ საზღვარგარეთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სსრკ ცაკ-ის 1924 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება [14] "სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების შესახებ", რომლის 22-ე მუხლი იუწყებოდა, რომ პროკურატურის წინადადებით საცხოვრებელი ადგილიდან გაძევება სასამართლოების მიერ შეიძლება მიესაჯოს პირებს, რომლებიც მოცემულ ადგილზე ცნობილი იქნებიან სოციალურად სახიფათოდ, მიუხედავად იმისა, აღძრული იქნება თუ არა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე. მთავარი ისაა, რომ პროკურატურის მოთხოვნით მათი გასახლება შეიძლება იმ შემთხვევებშიც კი, როცა ისინი გამართლებული იქნებიან სასამართლოს მიერ.

მითითებული დადგენილება ძალაში იყო 1946 წლის 12 ივნისამდე (იხ. დანართი №5) ვიდრე საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასამართლოს პიროვნება შეიძლება დაესაჯა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩაიდენდა რაიმე დანაშაულს!!! (ვერაფერს იტყვი - ბრძნული, დროული და, რაც მნიშვნელოვანია, სოციალისტური ჰუმანიზმით გაჯერებული დადგენილებაა-აეც).

შეიძლება გვევარაუდა, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შექმნილი იურიდიული ქაოსი (მართვადი ქაოსი) შეიძლება ნაწილობრივ მაინც მოწესრიგებულიყო სისხლის სამართლის კოდექსით.

რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის პირველი [15] კოდექსი, რომლის შედგენაშიც აქტიურად მონაწილეობდა ლენინი, რუსეთის ცაკ-ის მიერ მიღებული იყო 1922 წლის 1 ივლისს. კოდექსის კერძო ნაწილის პირველ თავში კონტრრევოლუციური დანაშაული განსაზღვრული იყო, როგორც მოქმედება, მიმართული მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლების დასამხობად. უკვე 1923 წლის 10 ივლისს აღნიშნული განსაზღვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა [16], რის შემდეგაც იგი გვაუწყებდა, რომ "კონტრრევოლუციურ მოქმედებად ჩაითვლება ყოველი ისეთი მოქმედება, რაც მიმართულია მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლების დასამხობად, შესა-

სუსტებლად, ან ძირის გამოსათხრელად..."

აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელისუფლებას მისცა საშუალება მილიონობით ადამიანი ექცია კონტრრევოლუციონერად და სათანადოდ გასწორებოდა მათ.

როგორც უკვე ითქვა, 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ლენინმა. მისი "ღვაწლი" ამ საქმეში კარგად ჩანს იუსტიციის სახალხო კომისრის, კურსკისადმი მიწერილ წერილში. სრული შთაბეჭდილები-სათვის მოგვყავს "ღამატება" და ორი წერილი სრულად რუსულ ენაზე:

## ДОПОЛНЕНИЯ К ПРОЕКТУ ВВОДНОГО ЗАКОНА К УГОЛОВНОМУ КОДЕКСУ РСФСР И ПИСЬМА Д. И. КУРСКОМУ"

1

Проект

ВВОДНЫЙ ЗАКОН К УГОЛОВНОМУ КОДЕКСУ

... 5. Впредь до установления условий, гарантирующих Советскую власть от контрреволюционных посягательств на нее, революционным трибуналам предоставляется право применения как высшей меры наказания — расстрела по преступлениям, предусмотренным статьями 58, 59, 60, 61, 62, 63 + 6 4 .....  
(Уголовного кодекса).

X) Добавить и статьи 64 и 65 и 66 и 67 и 68 и 69.

X X) Добавить право замены расстрела высылкой за границу, по решению Президиума ВЦИКа (на срок или бессрочно).

X X X) Добавить: расстрел за неразрешенное возвращение из-за границы.

т. Курский!

По-моему, надо расширить применение расстрела (с заменой высылкой за границу). См. с. 1 внизу ко всем видам деятельности меньшевиков, с.-р. и т. п.; найти формулировку, ставящую эти деяния в связь с международной буржуазией и ее борьбой с нами (подкупом печати и агентов, подготовкой войны и т. п.).

Прошу спешно вернуть с Вашим отзывом,  
15/V.

Написано 15 мая 1922 г.

Впервые напечатано не полностью  
в 1937г. в журнале «Большевик» №2

17. V. 1922.

т. Курский! В дополнение к нашей беседе посылаю Вам набросок дополнительного параграфа Уголовного кодекса. Набросок черновой, который, конечно, нуждается во всяческой отделке и переделке. Основная мысль, надеюсь, ясна, несмотря на все недостатки черняка: открыто выставить принципиальное и политически правдивое (а не только юридически-узкое) положение, мотивирующее суть и оправдание террора, его необходимость, его пределы.

Суд должен не устранить террор; обещать это было бы самообманом или обманом, а обосновать и узаконить его принципиально, ясно, без фальши и без прикрас. Формулировать надо как можно шире, ибо только революционное правосознание и революционная совесть поставят условия применения на деле, более или менее широкого.

С коммунистическим приветом  
Ленин

### Вариант 1:

Пропаганда, или агитация, или участие в организации, или содействие организациям, действующие (пропаганда и агитация) в направлении помощи той части международной буржуазии, которая не признает равноправия приходящей на смену капитализма коммунистической системы собственности и стремится к насильственному ее свержению, путем ли интервенции, и или блокады, или шпионажа, или финансирования прессы и т. под. средствами, карается высшей мерой наказания, с заменой, в случае смягчающих вину обстоятельств, лишением свободы или высылкой за границу.

### Вариант 2:

а) Пропаганда или агитация, объективно содействующие той части международной буржуазии, которая и т. д. до конца.

б) Такому же наказанию подвергаются виновные в участии в организациях или в содействии организациям или лицам, ведущим деятельность, имеющую вышеуказанный характер (деятельность коих имеет вышеуказанный характер).

### Вариант 2б

содействующие или способные содействовать

Впервые напечатано 1924 г. в книге  
«V Всероссийский съезд деятелей советской юстиции.  
10 - 15 марта 1924 года. Тезисы. Стенографический отчет.  
Резолюции», Москва, Юриздат



ამრიგად, ლენინი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიმართ გამოთქმულ "დამატებაში" კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა არა მარტო პროექტით გათვალისწინებული მუხლებით (58, 59, 60, 61, 62, 63, 64), არამედ მის მიერ დამატებული (65, 66, 67, 68 და 69) მუხლებითაც.

რსფსრ სისხლის სამართლის 1922 წლის კოდექსი რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ დაამტკიცა პირველ ივნისს და იმავე წელს შევიდა ძალაში.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი რედაქცია დამტკიცდა 1926 წელს და მოქმედებდა სტალინის გარდაცვალების შემდგომაც, თუმცა მასში პერიოდულად შექქონდათ ცვლილებები.

საქართველოში სისხლის სამართლის პირველი კოდექსი მიღებული იყო საქართველოს ცაკ-ის 1928 წლის 26 მარტის დადგენილებით და ამოქმედდა 1928 წლის პირველი მაისიდან. კოდექსის კერძო ნაწილი იწყებოდა სახელმწიფოებრივი დანაშაულის განსაზღვრით (სრულად კოდექსის ეს ნაწილი მოცემულია დანართში №1, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს ყურადღებით გაეცნოს მას და თავად გამოიტანოს სათანადო დასკვნები. კერძოდ, რამდენად ხშირად შეეფერებოდა ეჭვმიტანილისათვის წაყენებული ბრალდება განჩენში აღნიშნულ მუხლებს).

დღიდან ბოლშევიკური გადატრიალებისა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დაევალა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (НКВД). მისი მთავარი დანიშნულება, როგორც ეს განსაზღვრა საბჭოების მეორე ყრილობამ, იყო ადგილებზე საბჭოების აპარატების ჩამოყალიბება, მათთვის დებულებების და ინსტრუქციების შედგენა, საბჭოების ყრილობების ჩატარება, სხვადასხვა საბჭოებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების მოგვარება, მათი საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შედგენა, მილიციისა და შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობა, სამოქალაქო აქტების ჩაწერის უზრუნველყოფა, კომუნალური მეურნეობის მართვა და სხვ.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს არ ევალებოდა სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა - ბრძოლა კონტრრევოლუციასთან, შპიონაჟთან, დივერსიებთან და სხვ. ასეთი დანიშნულების ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ცალკე. 1917 წლის 7 (20) დეკემბერს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება და შექმნა სრულიად რუსეთის

საგანგებო კომისია Всероссийская чрезвычайная комиссия-ВЧК, ადგილზე ЧК (ტერმინის საყოველთაოდ გავრცელების გათვალისწინებით ჩვენც შემდგომში ქართულადაც გამოვიყენებთ ჩეკას - საგანგებო კომისიის აღსანიშნავად და ჩეკისტს, ჩეკისტებს - კომისიის თანამშრომლების სახელად ავტ.), ჩეკამ ამ სახელწოდებით იარსება არასრული ხუთი წელი, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საბჭოთა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის ყველა შემდგომ სახელშეცვლილ ორგანიზაციას ისევ ჩეკას და ჩეკისტებს უწოდებდნენ (ხშირად ასეა დღესაც).

დადგენილება საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ლენინის წინადადებით. ლენინის მიერვე იყო ჩამოყალიბებული ჩეკას ამოცანები, მასვე ეკუთვნოდა ამ კომისიის შექმნის იდეაც და მისი სახელწოდებაც.

ჩეკა ლენინის პირმშოა.

სხლომაზე განისაზღვრა ჩეკას მიზნებიც.

კომისია, როგორც დამოუკიდებელი კოლექტიური ორგანო, უშუალოდ დაექვემდებარა სახალხო კომისართა საბჭოს, ანუ ლენინს. ჩეკას პირველ თავმჯდომარედ დაინიშნა ძერჟინსკი. აღსანიშნავია, რომ დადგენილება მისი შექმნის შესახებ არ გამოქვეყნებულა არც პრესაში და არც სპეციალურ კრებულებში.

სახკომსაბჭოს დადგენილების მიხედვით თავდაპირველად ჩეკას ძირითადი დანიშნულება იყო წინასწარი გამოძიების ჩატარება და შემდგომ საქმის გადაცემა რევოლუციური ტრიბუნალისთვის, რომელსაც უნდა გამოეტანა განაჩენი - განესაზღვრა სასჯელის ზომა. ე.ი. "საქმე" უნდა გადაეცათ იმ რევოლუციური ტრიბუნალებისთვის, რომელთაც ჰქონდათ რეპრესიის ზომის განსაზღვრის შეუზღუდავი უფლება და განაჩენის გამოტანის დროს ხელმძღვანელობდნენ რევოლუციური სინდისის კარნახით. ასეთ "დაჩაგრულ" მდგომარეობაში ჩეკა დიდხანს არ ყოფილა. ძალიან მალე, სულ რაღაც ორ თვეში, 1918 წლის 21 თებერვალს, კომისიის უფლებები გაფართოვდა. მას უკვე თვითონ შეეძლო გამოძიების ჩატარებაც, განაჩენის გამოტანაც და მისი აღსრულებაც: "საგანგებო კომისია არ არის საგამოძიებო ორგანო, არც სასამართლო, არც ტრიბუნალი. ეს მებრძოლი ორგანოა, რომელიც მოქმედებს სამოქალაქო ომის შინაგან ფრონტზე და ბრძოლაში იყენებს როგორც საგამოძიებო კომისიების, ისე სასამართლოების, ტრიბუნალებისა და სამხედრო ძალების მეთოდებს. იგი მტერს კი არ ასამართლებს, არამედ სპობს...

...მაგრამ ძალიან ხშირად ამ ზომას (სიკვდილით დასჯას-ავტ.)

მივმართავდით იმ შემთხვევებშიც, როცა უშუალოდ საშიშროება ჯერ არ იყო. მისი (დანაშაულის-ავტ.) თავიდან აცილების მიზნით გვიწევდა გზიდან ჩამოგვეშორებინა კონტრრევოლუციური საქმიანობის თავკაცები". იხსენებს მ. ლაცისი - ჩეკას ერთ-ერთი გავლენიანი და პირისისხლიანი წევრი, საიდუმლო განყოფილების უფროსი.

კონტრრევოლუციონერი!

ვის თვლიდნენ ბოლშევიკები კონტრრევოლუციონერებად და როგორ, რა მეთოდებით აპირებდნენ მათთან ბრძოლას?

კონტრრევოლუციონერად გამოცხადდა ბოლშევიკების ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მათ შორის, გუშინდელი მოკავშირეებიც. კონტრრევოლუციონერად მონათლა მოსახლეობის ბოლშევიკებისათვის არასასურველი ფენები, პოტენციურად შესაძლო მოწინააღმდეგეები. მათი რწმენით, კონტრრევოლუციონერები იყვნენ ყველგან: რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, იყვნენ თვით ბოლშევიკური პარტიის რიგებშიც.

კონტრრევოლუციონერებთან სამი წლის აქტიური ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკებმა აღმოაჩინეს, რომ: "უკვე აღარ არიან ერთეული კონტრრევოლუციური პიროვნებები და რომ კონტრრევოლუციურია მთელი კლასები".

"...პროლეტარიატის დიქტატურის დროს, პირველ რიგში, კონტრრევოლუციურია მთელი მსხვილი ბურჟუაზია", მაგრამ ისინი არიან აგრეთვე წვრილ ბურჟუაზიაშიც, საიდანაც ყალიბდება აქტიურად მოქმედი კონტრრევოლუციური ძალები. ასეთებად ბოლშევიკებს მიაჩნდათ "...იუნკრები, ძველი დროის ოფიცრები, მასწავლებლები, სტუდენტობა და მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა ..." (შემდეგ ეს სია "დაიხვეწა" და მნიშვნელოვნად გაფართოვდა-ავტ.). [17]

კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოქმედების სისწრაფეს, სიმტკიცეს და ჩასატარებელი ოპერაციების მასობრიობას, საგამოძიებო პროცედურის გამარტივებას:

"ჩვენ არ ვებრძვიტ ცალკეულ პიროვნებებს. ჩვენ ვსპობთ ბურჟუაზიას, როგორც კლასს. გამოძიების დროს ნუ ეძებთ იმის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომ ბრალდებული ს.ქმით ან სიტყვით მოქმედებდა საბჭოების წინააღმდეგ. პირველი კითხვა, რომელიც თქვენ მას უნდა დაუსვათ, - რომელ კლასს მიეკუთვნება იგი, როგორი წარმოშობისაა და რა განათლება ან პროფესია აქვს. ამ კითხვებმა უნდა გადაწყვიტონ ბრალდებულის ბედი. ამაშია წითელი ტერორის არსი და აზრი".

რას წარმოადგენდა წითელი ტერორი, რომლის არსიც და აზრიც ასე სხარტად და ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული მ. ლაცისს. როდის დაიწყო იგი და ვინ იყო მისი ოფიციალური განმახორციელებელი. 1918 წლის 5 სექტემბერს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება "წითელი ტერორის შესახებ", რომელშიც ტერორი მიჩნეული იყო საბჭოთა რესპუბლიკის შინაგანი მტრებისგან დასაცავ აუცილებელ საშუალებად. დადგენილება მიღებული იყო 1918 წლის 30 აგვისტოს, ლენინზე თავდასხმის შემდეგ, ზოგიერთი მაშინდელი ბოლშევიკის მტკიცებით, "თეთრი ტერორის" საპასუხოდ (იხ. დანართი №2).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების მოწინააღმდეგეთა მიერ განხორციელებული "თეთრი ტერორი" თავისი სისასტიკით და ზოგჯერ მასშტაბებით არ ჩამოუვარდებოდა ბოლშევიკურ "წითელ ტერორს", მათ შორის იყო პრინციპული სხვაობა. "წითელი ტერორი" ბოლშევიკებმა გამოაცხადეს სახელმწიფოს მართვის პოლიტიკად. სიტყვა "ტერორი" ლათინურია და ნიშნავს დაშინებას ან პოლიტიკური მოწინააღმდეგის ფიზიკურად მოსპობას და ამით გადარჩენილთა დაშინებას. ოქტომბრის გადატრიალებამდე ბოლშევიკებს მიმართავდნენ ტერორისტულ აქტებს ამა თუ იმ გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწის მიმართ, რაც იმჟამად მათ უშუალო მიზანს წარმოადგენდა და ნაკლებად ითვალისწინებდა ხალხის ცნობიერების მართვას შიშის საშუალებით. 1918 წლის 5 სექტემბრის შემდეგ კი იგი გახდა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველი, რომელსაც ბოლშევიკები სხვადასხვა სახით და ინტენსივობით მიმართავდნენ მათი რეჟიმის საბოლოო დანგრევამდე.

სახელმწიფო ტერორის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს მძევალთა ინსტიტუტი, რომელსაც ბოლშევიკები წარმატებით იყენებდნენ მთელი თავისი არსებობის მანძილზე და რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა დანიშნულება და გაქანება ჰქონდა. თუ გადატრი ალებიდან პირველ ხანებში მძევლების აყვანით გარეთ დარჩენილ მათ პატრონებს და ახლობლებს აიძულებდნენ შეესრულებინათ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობა, იმავე პერიოდში ბოლშევიკები არ თაკილობდნენ აგრეთვე მძევალთა გამოყენებას მატერი-ალური ფასეულობის დაგროვებისათვის. ამ საკითხზე უფრო ნათლად. ვიდრე ძერჟინსკი ძნელად თუ შეძლებდა ვინმე ეთქვა რამე: "...ვინ არის მძევალი? - კითხულობს რევოლუციის ფხიზელი დარაჯი. ეს არის დატყვევებული წევრი იმ საზოგადოების ან ორგანიზაციისა, რომელიც გვებრძვის ჩვენ, თან ისეთი პირია, რომელსაც თა-

ვის საზოგადოებაში აქვს რაიმე წონა, რომლის გამოც ჩვენმა მოწინააღმდეგემ შეიძლება არ გაწიროს ჩვენი ტყვედ ჩავარდნილი მეგობარი. სოფლის მასწავლებელს, მეტყვევს, მეწისქვილეს, წვრილ მედუქნეს და თანაც ებრაელს მოწინააღმდეგე არ გამოექომაგება და არაფერს მოგვცემს". [18]

კიდევ უფრო ბარბაროსული იყო თეთრგვარდიელ ოფიცერთა ცოლ-შვილის მძევლად აყვანა. ტროცკის წინადადებით ბრძოლებში ბოლშევიკები ინტენსიურად იყენებდნენ იმ თეთრგვარდიელ ოფიცრებს, რომელთა ცოლ-შვილი მძევლად ჰყავდათ აყვანილი. ამდენად, ოფიცრებმა ძალიან კარგად იცოდნენ ბრძოლის წაგების შემთხვევაში რა ელოდებოდა მათ ოჯახებს.

სხვადასხვა ფორმა და სახე ჰქონდა მძევლების ინსტიტუტს საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე. ზოგჯერ მკაცრი და დაუნდობელი, ზოგჯერ ცინიზმითა და სარკაზმით სავსე. ეს თუ არა, სხვაგვარად რითი შეიძლება აიხსნას საბჭოთა და პარტიული უმაღლესი თანამდებობის პირთა ახლო ნათესაეების პატიმრობაში ყოფნა. ამის სანიმუშო მაგალითია "საკავშირო მამასახლისის" კალინინისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოლოტოვის ცოლების პატიმრობაში ყოფნა იმ დროს, როცა ქმრები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ კრემლში.

1918 წლიდან ჩეკა წარმატებით იყენებდა მინიჭებულ უფლებებს დაპატიმრების, განაჩენის გამოტანის და აღსრულების შესახებ. მისი მსხვერპლის რაოდენობის დადგენა არსებობის ოთხნახევარი წლის მანძილზე შეუძლებელია, ვინაიდან ძალიან ხშირად დახვერტის შესახებ ოქმები არც კი ფორმდებოდა, ზოგჯერ იმის გამო, რომ "რევოლუციის ფხიზელმა დარაჯმა" არ იცოდა წერა-კითხვა, თუმცა არც წერა-კითხვის მცოდნენი იტვირთავდნენ თავს ასეთი ბიუროკრატიული ჩანაწერებით. ამიტომ ჩვენ თავს ვიკავებთ სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოქვეყნებული ციფრების დასახელებისგან, რადგან მათ შორის სხვაობა ზოგჯერ ძალიან დიდია. იგივე მოსაზრებით ჩვენ შემდგომშიც თავს შევიკავებთ რეპრესირებულთა რაოდენობის დასახელებისგან. ამ მხრივ, არასანდოდ მოჩანს ოფიციალური მონაცემებიც.

1922 წლის 6 თებერვალს რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით [19] გაუქმდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია და სანაცვლოდ რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (Государственное политическое управление - ГПУ), რომლის თავმჯდო-

მარედაც დაინიშნა ძერჟინსკი. უცვლელი დარჩა აგრეთვე ჩეკას ძველი აპარატიც. სამმართველოს ევალეობდა ღია კონტრრევოლუციური გამოსვლების ჩახშობა, ბრძოლა ბანდიტიზმთან, ჯაშუშებთან, კონტრაბანდასთან, საზღვრებისა და რკინიგზის დაცვა. 1923 წლის 23 ნოემბერს იგი შინაგან საქმეთა კომისარიატიდან გადაიტანეს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაქვემდებარებაში ახალი სახელწოდებით—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (Объединенное государственное политическое управление - ОГПУ), მას სათავეში კვლავ ედგა ძერჟინსკი, რომელიც იმავე დროს ხელმძღვანელობდა რსფსრ შსს კომისარიატსაც. 1926 წელს უეცარი გარდაცვალების შემდეგ ძერჟინსკი შეცვალა მისმა მოადგილემ მენჟინსკიმ. გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს მიენიჭა საკავშირო კომისარიატის უფლებები, რის გამოც მას ყველა რესპუბლიკაში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, ხოლო ჯარში ჰქონდა განსაკუთრებული განყოფილებები. სამმართველოს ჰყავდა თავისი კოლეგია, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ იყო არასასამართლო ორგანო, შეეძლო გამოეტანა პიროვნების შრომა-გასწორების ბანაკში გაგზავნის დადგენილება ან მიესაჯა სხვადასხვა სასჯელი უმაღლეს ზომამდეც კი.

შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელმწიფო უშიშროების ორგანიზაციაში მოხდა 1934 წლის 10 ივლისს საკავშირო რესპუბლიკური შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნასთან [20] დაკავშირებით. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სახელმწიფო უშიშროების ფუნქციები გადაეცა ახლად შექმნილ საკავშირო შსს კომისარიატს და მასთან შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველო (ГУГБ). სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა იაგოდა (1934 წლის ივლისი - 1936 წლის სექტემბერი). შემდგომ იგი შეცვალა ეჟოვმა (1936წ. სექტემბერი - 1938წ. ნოემბერი), ხოლო 1938 წლის ნოემბრიდან შსს კომისარიატს სათავეში ჩაუდგა ბერია.

საქართველოს რევკომის დადგენილებით (თავჯდომარე მ. ორახე ლაშვილი) ჩეკა საქართველოში ჩამოყალიბდა გასაბჭოების პირველივე დღეს - 1921 წლის 25 თებერვალს 14 საათსა და 28 წუთზე [21]. მალე საქართველოში ერთი თვით ჩამოვიდა ძერჟინსკი, რომელმაც მოიარა რესპუბლიკის დიდი ქალაქები და მთელი რიგი რაიონები, სადაც ახალბედა ჩეკისტებს უზიარებდა თავის მდიდარ ჩეკისტურ გამოცდილებას. ჩეკას პირველი თავმჯდომარე იყო გ. ელი-საბელაშვილი. იგი დაინიშნა 25 თებერვალს, მაგრამ, ფაქტობრივად,

ამ თანამდებობაზე არ უმუშავია. 8 მარტს გაათავისუფლეს და გადაიყვანეს სამეურნეო სამუშაოზე, ხოლო თავმჯდომარედ დანიშნეს კ. ცინცაძე, რომელმაც პოსტზე 1922 წლის 3 ნოემბრამდე დაჰყო და შემდგომ იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (დახვრიტეს 1937წ. 20 ოქტომბერს). ამის შემდეგ ჩეკას თავმჯდომარედ 1926წ. 28 ნოემბრამდე მუშაობდა ე. კვანტალიანი (დახვრიტეს 1937წ. 4 ოქტომბერს). 1926 წლის ნოემბერში საქართველოს ჩეკა გადაკეთდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ. რუსეთისგან განსხვავებით, ეს შეცვლა მოხდა 4 წლის დაგვიანებით. შესაძლოა იმიტომ, რომ ქართულ ჩეკას თავისი მოვალეობა მოხდელი არ ჰქონდა - ჯერ არ იყო დახვრეტილი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სისხლში არ იყო ჩაზმობილი 1924 წლის აჯანყება, ჯერ სადგურ ყვირილასთან არ იყო ტყვეამფრქვევებით დაცხრილული მატარებლის ვაგონებში ჩაკეტილი 95 კაცი. 1926 წლის ბოლოდან 1931წ. დეკემბრამდე ეს პოსტი დაიკავა ბერიამ. მისი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პირველ მდივნად არჩევის შემდეგ ППВ-ს 1933წ. 14 თებერვლამდე ხელმძღვანელობდა ტ. ლორთქიფანიძე (დახვრიტეს 1937წ. 14 სექტემბერს). ლორთქიფანიძე 1934წ. ნოემბერს შეცვალა დ. კილაძემ (დახვრიტეს 1937წ. 4 ოქტომბერს). უკვე 1934 წლიდან ჩამოყალიბებულ საქართველოს შინსახკომს 1938წ. ნოემბრამდე ხელმძღვანელობდა ს. გოგლიძე (დახვრიტეს 1953წ. დეკემბერში) [22], [23].

ჩეკას შესახებ საკითხის დასასრულებლად ჩვენ ცოტა გაუუსწართით მოვლენებს. მანამდე, 1917 წელს, ომით გაპარტახებულ რუსეთში დაიწყო მასობრივი შიმშილი, ოქტომბრის გადატრიალებამ კი საბოლოოდ მოშალა მოსახლეობის პროდუქტებით დაკმაყოფილების არსებული სისტემა, შეაფერხა ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება. პირველადი მოთხოვნების პროდუქტებით მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ლენინმა და საბჭოთა ხელისუფლებამ მიმართეს პროდუქტების იძულებით განაწილებას (продразверстка) - სოფლად ყველა გლეხი ვალდებული იყო ჩაებარებინა ე.წ. ჭარბი ხორბალი, რომელიც მთავრობას უნდა გაენაწილებინა მოშიმშილე რაიონების მოსახლეობაზე. გლეხების წინააღმდეგობის გაწვევის გამო შეიქმნა სასურსათო ბრიგადები, რომლებიც მათ იძულებით ართმევდნენ პროდუქტს და უნაწილებდნენ მხოლოდ თავიანთ მომხრეებს, დიდ ქალაქებში კი მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს.

შექმნილმა მდგომარეობამ და შიმშილმა რუსეთის სხვადასხვა

მხარეებში გამოიწვია გლეხთა დიდი უკმაყოფილება. ზოგიერთ მას-  
რაში გლეხები ერთიანდებოდნენ და ისე უწევდნენ წინააღმდეგობას  
სასურსათო ბრიგადებს. დაუმორჩილებლობამ ყველაზე სერიოზული  
სახე მიიღო ტამბოვის ოლქში, სადაც გლეხები ტყეში გაიხიზნენ.  
ბოლშევიკებმა ამჯერადაც მიმართეს თავიანთ ნაცად ზერხს - სა-  
კუთარი ხალხი მტრად გამოაცხადეს და მათ წინააღმდეგ ჯარი გა-  
მოიყენეს. ეს კარგად ჩანს ტუხანჩევსკის ბრძანებიდან ტყეში გახიზ-  
ნული გლეხების მომწამეღელი აირებით განადგურების შესახებ (იხ.  
დანართი №3).

რუსეთის საეკლესიო სინოდმა პატრიარქ ტიხონის ხელმძღვანე-  
ლობით გამოთქვა სურვილი დახმარებოდა მოშიმშილეებს და ამ წი-  
ნადალებით მიმართა ხელისუფლებას. საბჭოთა მთავრობამ უარი გა-  
ნაცხადა დახმარებაზე, დააპატიმრა პატრიარქი ტიხონი და ძალის  
გამოყენებით გადაწყვიტა საეკლესიო სიმდიდრის ხელში ჩაგდება.  
ლენინის მიზანი უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე საეკლესიო სიმდიდ-  
რის ძარცვა იყო. ამით მას სურდა ჩამოეშორებინა ეკლესია, რო-  
გორც იდეოლოგიური მოწინააღმდეგე, რასაც მიაღწია კიდევ და საბ-  
ჭოთა იდეოლოგია გახდა მონოპოლისტი, თუმც საბოლოო გამარჯ-  
ვებას ამ დარგში კომუნისტებმა ვერასოდეს მიაღწიეს. 1922 წლის  
19 მარტს ლენინმა წერილობით მიმართა [24] პოლიტბიუროს წევ-  
რებს, რომელშიც თითოეულ მათგანს სთხოვდა გამოეთქვა მოსაზრე-  
ბა აღნიშნული საკითხის შესახებ. ამ წერილის ერთადერთ ეგზემპ-  
ლიარზე ყველას უნდა დაეფიქსირებინა თავისი შეხედულება. წერი-  
ლის განხილვის შემდეგ დაიწყო ეკლესია-მონასტრების მასობრივი  
ძარცვა, საეკლესიო პირთა დევნა - დაპატიმრება და სიკვდილით  
დასჯა. ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ დოკუ-  
მენტიდან თუნდაც მცირე ამონარიდების გაცნობა:

ლენინი წერილის დასაწყისში ასე მიმართავდა პოლიტბიუროს  
წევრებს: "... ჩვენ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა ამოვიღოთ სა-  
ეკლესიო საგანძური ყველაზე გაბედულად და სწრაფად, რითაც შევ-  
ძლებთ უზრუნველვყოთ რამდენიმე ასეული მილიონი ოქროს მანეთის  
ფონდის შექმნა. ამ ფონდის გარეშე არავითარი სახელმწიფო მუშა-  
ობა ზოგადად, არავითარი სამეურნეო მშენებლობა კონკრეტულად,  
და განსაკუთრებით გენუაში ჩვენი პოზოციების დაცვა სრულიად  
წარმოუდგენელია..." და არც ერთი სიტყვა მოშიმშილეების გადასარ-  
ჩენად. მისი რეკომენდაციები სულ სხვა ხასიათისაა: "... ამ საკითხ-  
თან დაკავშირებით რეაქციული სასულიერო პირებისა და რეაქციუ-  
ლი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა რაც მეტი რაოდენობის დახერე-



ტას შევძლებთ, მით უკეთესი. ამ პუბლიკას სწორედ ახლა უნდა ვასწავლოთ ჭკუა ისე, რომ მათ რამდენიმე ათეული წლით ვერც კი იფიქრონ რაიმე წინააღმდეგობის გაწევაზე".

ნამარცვი სიმდიდრე - ოქრო, ხატები და სხვა ძვირფასეულობა ჩაღის ფასად იყიდებოდა საზღვარგარეთ, მაგრამ სანაცვლოდ მოშიმ შილეთა დასახმარებლად არ იძენდნენ სურსათს, უფრო მეტიც, სხვა რაიონებში მოწეული ხორბლის ნაწილი საზღვარგარეთ იყიდებოდა.

1922 წელს ლენინი იძულებული გახდა შემოეღო ახალი ეკონო მიკური პოლიტიკა - ნეპი, რომელმაც გლეხობას და წვრილ მეწარ მეებს წარმოების გაზრდისა და ვაჭრობის გაფართოების საშუალება მისცა, რადგან იგი შეიცავდა კერძო წარმოების ელემენტებს. სწო რედ ამიტომ, მიუხედავად ნეპის გარკვეული წარმატებებისა, საბჭო თა ხელისუფლებისთვის იგი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. მის ნაცვლად გადაწყდა გლეხთა მსხვილი გაერთიანებების შექმნა, რათა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესი სახელმწი ფოს წარემართა. თავდაპირველად გლეხობა მასობრივად უწევდა წი ნააღმდეგობას კოლმეურნეობების შექმნას. საპასუხოდ 1929 წელს სტალინის უშუალო მითითებით გადაწყდა კულაკების, როგორც კლასის სრული ლიკვიდაცია. "საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა კანონები მიწის იჯარისა და შრომის დაქირავების შესახებ, წაართვა კულაკობას მიწაც და დაქირავებული მუშაკებიც, მოხსნა განკულაკების აკრძალვა. მან ნება დართო გლეხებს მოეხდინათ კულაკთა პირუტყვის, მანქანებისა და სხვა ინვენტარის კონფისკაცია კოლმეურნეობათა სასარგებლოდ." [25].

იმ ოჯახების უფროსებს, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ კოლექტივიზაციას, აპატიმრებდნენ და სამეულები ასამართლებდნენ. განკულაკებულ შეძლებულ ოჯახებს ქვეყნის შორეულ კუთხეებში ასახლებდნენ. ამას "კულაკურ გადასახლებას" ან "შრომით გადასახლებას" უწოდებდნენ. გადასახლება და ქონების კონფისკაცია საშუალო, ღარიბ და ღატაკ გლეხსაც - ე.წ. "კულაკების დამქაშებსაც" (ПОДКУЛАЧНИКИ) ეხებოდა. გადასახლებული გლეხების რაოდენობა ბევრად აჭარბებდა გადასახლებაში მყოფთა რიცხვს. ამის მთავარი მიზეზი იყო მათი მაღალი სიკვდილიანობა ტრანსპორტირების დროს, გადასახლების პირველ წლებში უმძიმესი საცხოვრებელი პირობები, მასობრივი გაქცევები გადასახლების ადგილიდან.

საკოლმეურნეო ქონების საკითხის მოსაგვარებლად, 1932 წლის 7 აგვისტოს გამოვიდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ერთობლივი დადგენილება "სახელ-

მწიფო უწყებების, კოლმეურნეობებისა და კოოპერატივების ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი ქონების დაცვის შესახებ". [26]. აღნიშნული დადგენილებით ეკონომიკური დანაშაული გაუთანაბრდა პოლიტიკურს და განიხილებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით. სასჯელი განსაზღვრული იყო 10 წლიდან დახვერტამდე.

სოფლის პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად, ანუ შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ინსტიტუტის აღსადგენად 1932 წლის 27 დეკემბერს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მ. კალინინის, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. მოლოტოვის და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ა. ენუქიძის მიერ ხელმოწერილი იყო დადგენილება №57/1917 "საბჭოთა კავშირში ერთიანი საპასპორტო სისტემისა და აუცილებელი ჩაწერის შემოღების შესახებ". [27] საბჭოთა (ზოგიერთი პოეტისთვის საამაყო) პასპორტი უნდა ჰქონოდა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს, გარდა... გლეხისა. პასპორტის გარეშე კი მათ არ შეეძლოთ გადაადგილება "სამშობლოს" - სსრ კავშირის ტერიტორიაზე კი, ხოლო საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შეცვლა ხელმძღვანელთა უნებართვოდ. გადაადგილებისათვის მათ ადგილობრივი ხელმძღვანელებისგან ეძლეოდათ ცნობა-ნებართვა, რომელშიც აღნიშნული იყო ცნობის მოქმედების ანუ "თავისუფალ", "სრულუფლებიან" საბჭოთა მოქალაქედ ყოფნის ვადა, ჩვეულებრივ, რამდენიმე დღიდან ერთ თვემდე. ფაქტობრივად ამ დადგენილებამ გლეხების დიდი ნაწილი აქცია სოციალიზმის მშენებელ ყმებად, რომლებიც სამუშაოდ ერთ ადგილზე იყვნენ მიმაგრებული.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სხვადასხვა კატეგორიის პატიმრები. 1929 წლიდან დაიწყო მათი ინტენსიური გამოყენება საწარმოების, რკინიგზისა და წყლის მაგისტრალების მშენებლობებზე. მუშაობა უხდებოდათ ტექნიკის გარეშე, აუტანელ სამუშაო პირობებში, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. შემდგომში ეს მონური შრომა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა - მათ იყენებდნენ უკვე მალაროებშიც, ტყის საჭრელად და სხვა მძიმე სამუშაოებზე.

1934 წლიდან საბჭოთა ხელისუფლება სტალინის ხელმძღვანელობით ახალი ფართომასშტაბიანი რეპრესიებისთვის ემზადებოდა. საჭირო იყო სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სადამსჯელო ორგანოებში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება. ამ მხრივ აღსანიშნავია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-

ტის 1934 წლის 8 ივნისის დადგენილება [28], ხალხის მტრების ოჯახების სრულწლოვანი წევრები ისჯებოდნენ თავისუფლების აღკვეთით 10 წლამდე ქონების კონფისკაციით ან 5 წლის ვადით გადასახლებით.

მასობრივი რეპრესიებისთვის მზადება გაგრძელდა 1934 წლის 10 ივლისის სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით [29], რომლის ძალითაც შეიქმნა საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (სახალხო კომისარი გახდა იავოლა), რომელსაც ევალებოდა რევოლუციური წესრიგის დაცვა. მასში გაერთიანდა ОГПУ სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს სახელწოდებით, როგორც კოლექტიური ორგანო (Главное управление государственной безопасности - ГУГБ), სასახლევრო და შინაგანი დაცვის მთავარი სამმართველო და შრომა-გასწორებისა და შრომითი დასახლებების მთავარი სამმართველო. ამრიგად გაერთიანდა პოლიტიკური და პოლიციური ორგანოები. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეიქმნა განსაკუთრებული სათათბირო, რომელსაც ქმონდა საკმარისად დიდი უფლებები.

1934 წელი აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადგენილებით. 1 დეკემბერს, კიროვის მკვლელობის დღეს, სტალინის უშუალო მითითებით, გამოვიდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება [30] "საკავშირო რესპუბლიკების მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (იხ. დანართი №4) იგი ეხებოდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტების გამოძიებას და განხილვას (შემდგომში კანონის მოქმედება გავრცელდა სხვა სახის დანაშაულებებზეც).

როგორც დადგენილებაში იყო აღნიშნული:

1. ამ საქმეების გამოძიება დასრულდეს არა უგვიანეს 10 დღისა.
2. საბრალდებო დასკვნა მიეცეს ბრალდებულს სასამართლოში საქმის განხილვამდე ერთი დღით ადრე.
3. საქმეები მოსმენილ იქნას მხარეთა მონაწილეობის გარეშე.
4. განაჩენის საკასაციო გასაჩივრება და შეწყალებაზე თხოვნის შეტანა არ იქნეს დაშვებული.
5. უმაღლესი სასჯელი აღსრულდეს განაჩენის გამოტანიდან დაუყოვნებლივ".

ფართო რეპრესიების ჩატარების საკანონმდებლო ბაზას თეორიულად მხარს უმაგრებდა სტალინის მოსაზრება, რომ რაც მეტი იქნება წარმატებები, მტერი მით უფრო გააფთრებული შეეცდება მიღ-

წევების ჩაშლას და ძეგლის აღდგენას, რაც საჭიროს ხდის მასთან დაუნდობელი ბრძოლის კიდევ უფრო გამწვავებას.

შეიარაღებული საკანონმდებლო და თეორიული ბაზით, 1937 წლის 2 ივლისს (იხ. დანართი №6) საკავშირო კპ(ბ) პოლიტბიუროს დადგენილების გადაწყვეტილების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ახალმა კომისარმა ეჟოვმა (მან იაგოდა შეცვალა ამ პოსტზე 1936 წელს) 1937 წლის 30 ივლისს გამოსცა ბრძანება რითაც დაიწყო "დიდი რეპრესიები". ბრძანებით განსაზღვრული იყო დასაპატიმრებელ პიროვნებათა ჯგუფები, სასჯელის სახე, ე.წ. "ლიმიტები" რესპუბლიკების მიხედვით და სხვ. რეპრესირებულები ამ ბრძანებით იყოფოდნენ კატეგორიებად. პირველ კატეგორიაში მოხვედრილები განწირული იყვნენ დასახვრეტად. სიები ღებობდა რესპუბლიკებში, იგზავნებოდა მოსკოვში და იქიდან ბრუნდებოდა ბრძანების სახით. თავიდან ღონისძიება გათვალისწინებული იყო მხოლოდ ოთხ თვეზე. ბრძანების აღსრულება უნდა დაწყებულიყო 1937 წლის 5 აგვისტოს, ზოგიერთ რესპუბლიკაში 15 აგვისტოს (იხ. დანართი №7, მცირეოდენი შემოკლებით). ღიმიტის შესრულების შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელები წერილობით მიმართავდნენ სტალინსა და ეჟოვს ახალი ღიმიტის გამოსაყოფად. ადგილებზე, კერძოდ, საქართველოშიც, მიღებული ციფრი ნაწილდებოდა რაიონებზე მხოლოდ სარეპრესიოდ განსაზღვრული კონტინგენტის რაოდენობის ჩვენებით. კონკრეტულ პირთა სია უნდა შეედგინა ადგილობრივ ხელმძღვანელობას.

იმავე წლის 15 აგვისტოს გამოვიდა ეჟოვის ბრძანება №000486 ე.წ. "სამშობლოს მოღალატეთა" ცოლების შესახებ [31], რომელშიც განსაზღვრული იყო ოპერაციის მომზადება, ჩხრეკისა და დაპატიმრების ფორმები და სასჯელის აღსრულების წესი. განსაზღვრული იყო აგრეთვე ბავშვების სხვადასხვა სპეციალურ დაწესებულებებში განთავსება და სხვ. (იხ. დანართი №8)

რეპრესირებულთა კონტინგენტი იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ საჭირო გახდა საგამოძიებო პროცესის მაქსიმალურად გამარტივება. ოფიციალური სასამართლოების გარდა, პატიმრებისთვის განაჩენი გამოჰქონდათ არასასამართლო ორგანოებსაც. ეჟოვისავე ბრძანებით, ამ საქმისათვის ყველა რესპუბლიკაში, ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში შეიქმნა სპეციალური "სამეულები" (სამეულები არსებობდა მანამდეც, ძერჟინსკის დროს, სამილიციო სამეულები და სხვ.). სამეული შედგებოდა შინსახკომის, პროკურატურისა და პარტიული ორგანოების წარმომადგენელთაგან. საქართველოში პირ-

ველმა სამეულმა მუშაობა დაიწყო უკვე 1937 წლის 10 აგვისტოს.

გარდა სამეულებისა, "განაჩენი" გამოქონდა ე.წ. "ღვოიკას" შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და გენერალური პროკურორის შემადგენლობით (ეყოვი, ვიშნსკი), რომელიც საქმეებს განიხილავდა მათთვის რესპუბლიკებიდან გადაცემული სიებით.

გამოძიების დაჩქარებისთვის შინსახკომის ყველა ორგანიზაციაში ფართოდ გამოიყენებოდა ე.წ. "ფიზიკური ზემოქმედების" მეთოდები, რითაც ბრალდებულებს აიძულებდნენ ელიარებინათ დანაშაული, რაც ითვლებოდა დანაშაულის ჩადენის საკმარის მტკიცებულებად. ფიზიკურ ზემოქმედებას მიმართავდნენ 1937 წლამდეც, მაგრამ 1937 წლის გაზაფხულიდან მან მიიღო მასობრივი ხასიათი, რის შესახებაც მოსკოვიდან უშუალოდ სტალინის მიერ იყო დაშვებული ნებართვა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი შემორჩენილი არ არის, მის არსებობას ადასტურებენ შინსახკომის მაღალი ჩინის თანამშრომლები. უფრო მეტიც, იგი დაადასტურა თვით სტალინმა 1939 წლის 10 იანვარს.

გავეცნოთ შინსახკომის ზოგიერთი თანამშრომლის ჩვენებას ამ საკითხზე: საქართველოს უშიშროების მეექვსე განყოფილების თანამშრომლის სიროტენკოს გადმოცემით "1937 წლის გაზაფხულამდე პატიმრების მიმართ ფიზიკურ ზემოქმედებას არ იყენებდნენ. 1937 წლის გაზაფხულზე განყოფილების უფროსები და ზემოთ გამოძახებული იყვნენ ოპერატიულ თათბირზე გოგლიძის კაბინეტში, სადაც იმყოფებოდა ბერია, რომელმაც თავის გამოსვლაში აღნიშნა ცენტრში მსხვილი შეთქმულებების გახსნის თაობაზე, რომ გამოძიება საქართველოში მიდის თვითდინებით, აპარატი არ ცდილობს გახსნას კონტრრევოლუციური ფილიალები, რომ ხალხის მტრებს უნდა მოვექცეთ მტრულად და არ უნდა მოგვერიდოს ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება, ხოლო ის თანამშრომლები, რომლებიც გამოიჩინენ სირბილეს ამ საქმეში, ხელმძღვანელობა განიხილავს როგორც ბრძოლის სურვილის არმქონეს. შემდგომ გოგლიძემ თქვა, რომ რეპრესიების წარმოება უნდა მოხდეს განყოფილებების უფროსების ნებართვით. იმავე ღამეს პირველად ყველა განყოფილებაში დაიწყო ბრალდებულებზე ფიზიკური ზემოქმედება. თავიდან ნებართვას იღებდნენ განყოფილებების უფროსებისგან, ხოლო შემდგომ თვითთული გამოძიებელი მოქმედებდა თავისი შეხედულებით (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №17705-60, გვ. 19-20).

მასობრივად ფიზიკური ზემოქმედების შემოღების თარიღს ადასტურებს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ შინსახკომის განსაკუთრებუ-

ლი განყოფილების (შემდგომ მესამე განყოფილების) ოპერაწმუნებუ-  
ლი კირვანოპულო (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე  
№15969-60 გვ. 365). იგივე დაადასტურეს 1957 წლის ივნისის პლუ-  
ნუმზე მოლოტოვმა და კაგანოვიჩმა და აღნიშნეს, რომ დადგენილე-  
ბის ტექსტი დაწერილი იყო პირადად სტალინის მიერ და მასზე ხე-  
ლი ჰქონდა მოწერილი პოლიტბიუროს ყველა წევრს (შემდგომში,  
როცა დაინტერესდნენ ამ დადგენილებით, იგი ვერ აღმოაჩინეს საბ-  
ჭოთა კავშირის ვერც ერთ არქივში).

გამომძიებლებს შორის გაჩაღდა თავისებური შეჯიბრი, ვინ მეტ  
საქმეს გამოიძიებდა მოკლე დროში, ფიზიკური ზემოქმედებისა თუ  
სხვა რამ საშუალებით. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო საქმე-  
ების ფალსიფიცირება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ პატიმრებს  
მიაწერდნენ ისეთ ჩვენებებს, რაც მათ არ უღიარებიათ. მოგვიანე-  
ბით, 1950-ან წლებში, ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მსჯავრდე-  
ბულთა რეაბილიტაციის მიზნით საგამოძიებო საქმეების ხელახლა  
შესწავლისას. მათში მრავლად იყო ჩაკრული სხვა ბრალდებულთა  
დაუმოწმებელი და ხელმოუწერიელი ჩვენებები ამა თუ იმ პიროვნე-  
ბის ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ. არაერთ საქმეში აღმოჩნდა,  
რომ ამა თუ იმ ბრალდებულს მეორეზე საერთოდ არა აქვს ნათქვა-  
მი არაფერი, თუმცა მეორეს ეს ცრუ ჩვენებები წაუყენეს, როგორც  
ძირითადი ბრალდება. ბრალდებულებს ხშირად ფიზიკური ზემოქმე-  
დების საშუალებით სძალავდნენ გამოძიებისთვის სასურველ ინფორ-  
მაციას. გამომძიებლები იმდენად იყვნენ დარწმუნებულები თავიანთ  
დაუსჯელობაში, რომ ბრალდებულის ნაცვლადაც კი წერდნენ გან-  
ცხადებებს. სამაგალითოდ გამოდგება ამიერკავკასიის სამხედრო ოლ-  
ქის გამომძიებლის ასლანოვის ე.წ. "წარმატებული" გამოძიების სა-  
მი საქმე, რომლებშიც სამ პატიმარს მის სახელზე დაწერილი აქვს  
მოხსენებითი ბარათები, სადაც დასახელებული ჰყავთ 16 სხვადას-  
ხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში გაერთიანებული სამხედროები.  
განცხადებაში ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდ-  
გენილი სია სრული არ არის და მას შეაესებს სხვა თანამოაზრეთა  
გახსენებისთანავე. 1954 წლის 20 აპრილს საქმის ხელახლა გამო-  
ძიების დროს ჩატარდა კალიგრაფიული ექსპერტიზა, რომელმაც და-  
ადგინა, რომ სამივე განცხადება დაწერილია ასლანოვის მიერ (ექს-  
პერტიზის აქტი №76, 23.04.1954წ). გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ  
რა ვითარებაში დაწერა ასლანოვმა განცხადებები პატიმართა ნაცვ-  
ლად, მან უპასუხა: "რა ვითარებაში არ მახსოვს, მაგრამ განცხადე-  
ბები დაწერე მე". ჩვენების სხვა ნაწილში ასლანოვი აღნიშნავს,

რომ წარმოდგენა არ ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსზე, ისევე როგორც მის კოლეგებს იმავე განყოფილებიდან, და რომ სასჯელის კვალიფიკაცია ზღბოდა ტრაფარეტულად" (სუსის არქივი. სა-არქივო-საგამოძიებო საქმე №1675-57 ტ.1 გვ. 127, 146-147, 153, 157).

როგორც საარქივო მასალიდან ირკვევა, ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებიდან ყველაზე გავრცელებული იყო ცემა. სცემდნენ ამისთვის გამოყოფილი თანამშრომლები, თვით ოპერარწმუნებულები, გამომძიებლები, მოხალისეები შინსახკომის თანამშრომლებიდან, რომელთაც არ ევალბოდათ ამ საქმეში მონაწილეობა. სოხუმში კი წარმატებით იყენებდნენ მილიციისა და საზღვაო პორტის თანამშრომლებს (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №1677-57 გვ. 326). ცემა მოხერხებული იყო იმიტომ, რომ არ სჭირდებოდა ამისთვის სათანადო რთული ინვენტარი. სცემდნენ ხელით, ფეხით, დასველებული თოკით, სკამის ფეხით, ტანსაცმლის საკიდით, მანქანის საბურავის რეზინის ზონრით, სველი ზეწრით, რამდენჯერმე გამოყენებული იყო ხარის კუდი. სცემდნენ ყოველგვარ მდგომარეობაში: ფეხზე მდგომთ, წაქცეულებს, სკამის ზურგზე გადაწოლილებს წყლის გრაფინის ხუფს ურტყავდნენ მუცლის პრესზე და სხვა. სცემდნენ გონების დაკარგვამდე და თვით სიკედილამდეც კი.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ყოფილი მიწათმოქმედების კომისრის მათიკაშვილის ცემა ბერიას მიერ. როგორც გოგლიძე აღიარებს თავის 1953 წლის I სექტემბრის ჩვენებაში - "მახსოვს ქობულოვის კაბინეტში გამოძახებული იყო ყოფილი სახალხო კომისარი მათიკაშვილი. დაკითხვაზე ვიმყოფებოდით მე, ქობულოვი და ბერია. იგი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მავნებლობის შესახებ ძალდატანების გარეშე აძლედა აღიარებით ჩვენებას. დაკითხვის დროს ბერია მოულოდნელად წამოხტა ადგილიდან, მიიჭრა პატიმართან და დაუწყო სახეში ცემა. როდესაც ბერია მოშორდა, მისი ცემა ყოველგვარი მიზეზის გარეშე დაიწყო ქობულოვმა" (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №17704-60, გვ. 191-195).

საინტერესოა, რამ გამოიწვია ამ ყოვლისშემძლე ადამიანის ასეთი განრისხება. იმან ზომ არა, რომ დაინახა მდგომარეობის აბსურდულობა, ან იმან, რომ ამ აბსურდულობას ხედავდა პატიმარიც და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მის თვალებში არ ჩანდა შიში, რომ პატიმრის, ყოფილი სახალხო კომისრის, "საქმისთვის" მნიშვნელოვანი "აღიარებები" მიღწეული არ იყო ჩეკას სახელოვანი თანამშრომ-

ლების დაუღალავი შრომის შედეგად, რომ ყოფილი სახალხო კომისარი უკვე ხედავდა თავის მომავალს და ღინჯი, აუღელვებელი ხმით, თვალელებში ჩამდგარი შიშის გარეშე აღიარებდა დანაშაულს, რომელიც არ ჩაუღენია. ამით იგი თითქოს დასცინოდა კიდეც სახელმწიფოს უშიშროების ფხიზელ დარაჯებს, ან იმან, რომ...

იმავე საარქივო მასალებში აღწერილია შემთხვევები, როდესაც პატიმარი კვდებოდა ცემის დროს, ხოლო მიცვალებულის საქმეს, როგორც ცოცხალისას, განიხილავდნენ სამეულის სხდომაზე, სადაც უსჯიდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას - დახვერტას. ყველაზე ამაზრზენი იყო დასახვერტად წაყვანილი სიკვდილმისჯილი პატიმრის ცემა მანქანაში, სხვა ასევე სიკვდილმისჯილების თვალწინ. ამ საკითხის გასარკვევად მოწმე ლლონტმა კითხვაზე - ცნობილია თუ არა მისთვის შემთხვევები პატიმრების ცემის შესახებ დახვერტის წინ - უპასუხა: "ღიახ, ასეთი შემთხვევა იყო ბევრი" (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №14457-60 გვ. 183)

განუსაზღვრელი იყო გამოძიებელთა "გამომგონებლობა" ფიზიკური მეთოდების გამოყენების შერჩევის დროს.

ზოგიერთი გამოძიებელი აიძულებდა ცალ ფეხზე მდგარ პატიმარს ხელები აეწია და ისე ჩაებუქნა, ან ხანგრძლივად მდგარიყო ხელებზე, თავზე. ხშირად პატიმარს ამ დროს ეცვა ბეწვის ქურთუკი და ქურქი (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №1676-57, გვ. 15).

ერთ-ერთი პატიმრის ჩვენებით იგი დააყენეს კედელთან, ხელები ზურგს უკან შეუკრეს და საეკლესიო ლიტურატურით სავსე დაახლოებით 30 კგ ჩემოდანი დაკიდეს. თავზე კი დაადგეს სავარძელი, რომელიც არ უნდა ჩამოვარდნილიყო. მას გვერდით დაუყენეს დარაჯი, რომელიც წაქცევის შემთხვევაში პატიმარს უმოწყალოდ სცემდა და ისევ ფეხზე აყენებდა. სამი დღის განმავლობაში პატიმრისთვის არ მიუციათ საკვები და წყალიც კი (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №21114-61).

ერთ-ერთი გამოძიებელის საყვარელი მეთოდი იყო ანთებული პაპიროსით სხეულზე სხვადასხვა ფიგურების ამოწვა. ეს ხდებოდა ასე: პატიმარს კედელთან ახლოს აყენებდა თავზე, ერთი ფეხი გამოძიებელს ეჭირა, მეორე ხელით სხეულზე ანთებული პაპიროსით გამოჰყავდა სხვადასხვა ფიგურა და თან აფურთხებდა თვალელებში (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე № 1677-57, გვ. 74).

იყო შემთხვევები, როდესაც პატიმარს ძალით აღებინებდნენ პირს და შიგ აფურთხებდნენ.



ყოფილი პატიმრის ბილიხოძის ჩვენებით, როდესაც გამოძიებულმა ხელმოსაწერად დაულო წინასწარ გამზადებული ვითომ მისი ჩვენება, ბილიხოძემ კი უარი განაცხადა, გაბრაზებულმა გამოძიებულმა მიიყვანა იგი კარებთან, შეაყოფინა თითები კარის ჭუჭრუტანაში და ნელ-ნელა დაიწყო მისი დახურვა. კარგად ისმოდა თუ როგორ იმსხვრეოდა თითების ძვლები. ბრალდებულმა დაკარგა გონება. როდესაც გონს მოვიდა, თავზე კვლავ გამოძიებელი ედგა წყლით სავსე ჭიქით. გამწარებულმა წაუკითხავად მოაწერა ხელი ოთხ ფურცელს (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №17489-60, გვ. 136).

ყოფილი პატიმრის ბუდაგოვის 1956 წლის 21 იანვარს მიცემული ჩვენებით, ერთ-ერთ პატიმარს დაკითხვის დროს ილლიის ფოსოში თმებზე წაუკიდეს ცეცხლი და სიმძიმეები დაკიდეს სათესლე პარკზე (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №14457-60, გვ. 244).

უმძიმესი იყო პატიმართა პირობები ციხის საკნებში. სოხუმის ციხის კომენდანტის და იმავდროულად შინაგანი ციხის უფროსის საქმის ხელმეორედ განხილვის დროს 1956 წელს მიცემული ჩვენებების თანახმად, ციხეში საკნები ყოველთვის გადავსებული იყო. 5-10-მეტრიან საკანში ათავსებდნენ 20-მდე პატიმარს. მათ ეკრძალებოდათ სეირნობა, საკნები არ ნიავედებოდა, კარები ზაფხულშიც კი აჭედლილი იყო თბილი საბნებით, რათა საკნებში არ შესულიყო სუფთა ჰაერი. იმავე ციხეში არსებობდა კარცერი, რომლის სიგრძე და სიგანე იყო 1,5x1,5 მ, სიმაღლე 150-160სმ. ამდენად პატიმარს არ შეეძლო გამართულად დგომა ან წოლა. კარცერი მდებარეობდა სარდაფში ყოველგვარი განათების გარეშე. ჭერში გაყვანილი იყო რკინის მილი 5სმ. დიამეტრით, რომლიდანაც ღამით პატიმარს ასხამდნენ ცივ წყალს (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №21114-61, გვ. 234). ციხეში არსებობდა ე.წ. "წყლის კარცერი". ეს იყო 2x2მ უფანჯრო ოთახი ცემენტის იატაკითა და კედლებით, რომელშიც არ იდგა არანაირი ავეჯი, სკამიც კი. საკანი ადრე გამოიყენებოდა წვიმის წყლის რეზერვუარად. საჭიროების შემთხვევაში იატაკზე 15-20სმ სიმაღლეზე ასხამდნენ წყალს. პატიმარს ათავსებდნენ სრულიად შიშველს, არ უშვებდნენ გარეთ, ასე რომ იგი იძულებული იყო თავისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა იქვე და დაეძინა თავის მიერ გაბინძურებულ წყალში. ამის გამო კანზე უჩნდებოდა წყლულები და სხვადასხვა სახის გამონაყარი. კარცერში პატიმრის ყოფნის დრო არ იყო განსაზღვრული. იყო შემთხვევები,

ოდესაც პატიმარი კარცერში ამ პირობებში ერთი თვე ისე ჰყავდათ. რომ წყალი არ გამოუცვლიათ, საკვებს და სასმელ წყალს აძლევდნენ დღეში ერთხელ.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში არსებობდა 12 ერთადგილიანი საკანი, რომელშიც პატიმრები პირობითი ნომრებით იმყოფებოდნენ. მათი გვარისა და სახელის დასაფარავად გამოყოფილი იყო სპეციალური დაცვა (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №7263-59, გვ. 105).

პროკურატურის 1956 წლის 17 აპრილის მონაცემებით, მხოლოდ სოხუმის ციხეში 2188 პატიმრიდან წელიწადზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში არ იყო რეგისტრირებული 377 (სუსის არქივი. საარქივო-საგამოძიებო საქმე №1676-57 ტ. 4 გვ. 1).

მიმოხილვითი ცნობით დადგენა იმისა, თუ რა ბედი ეწია შემდგომში ამ ადამიანებს, ვერ ხერხდება. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური ფაქტები ხდებოდა სხვა ციხეებშიც, რის გამოც დაპატიმრებულთა ზუსტ რაოდენობაზე საუბარი შეუძლებელია. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო საარქივო-საგამოძიებო და თანამშრომელთა მაკომპრომეტირებელი მასალების პერიოდული განადგურება. მოგვყავს 1948 წლის 24 იანვრით დათარიღებული ერთ-ერთი აქტი ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალიდან, რომლის თანახმადაც, განადგურდა 36 საარქივო-საგამოძიებო საქმე და 235 საქმე მაკომპრომეტირებელი მასალებით (სუსის არქივი. საქმე №1, ტ. 3, 1953 წ. გვ. 1-10)

სიკვდილმისჯილ პატიმართა განაჩენის სისრულეში მოყვანა ხდებოდა როგორც შინაგან ციხეში, ისე ქალაქგარეთ ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. საკნებიდან, როგორც წესი, ღამით გამოჰყავდათ 60-70 კაცი, ათავსებდნენ სპეციალურად გამზადებულ მანქანებში და ისე მიჰყავდათ დასახვრეტად. წინასწარ გამზადებული იყო ღრმა ორმოები, რომლებშიც დახვრეტილებს აყრიდნენ მიწის თხელ ფენას, ზოგჯერ კი კირსა და წყალს, და ასე, სანამ ორმო არ გაივსებოდა გვამებით. უფრო დაწვრილებით მასობრივი დახვრეტის დეტალებს იხსენებს ბერიას მძღოლი, 95 წლის კოლია მელიქიშვილი: "მას შემდეგ, რაც მოროზოვის მეთაურობით განსაკუთრებული სამეული განაჩენს გამოუტანდა ამა თუ იმ ადამიანს, ის შაშურკინის ხელში ხვდებოდა. სასიკვდილოდ განწირული ადამიანები თბილისის მახლობლად მდებარე სოლანლულის ტერიტორიაზე მიჰყავდათ, სადაც მათ შაშურკინი ხვრეტდა... მორიგეობის დროს პირადად მე რამდენჯერმე წამიყვანია შაშურკინი თავისი სახლიდან სახსაქკომში.

იგი ლოთი იყო, სულ გაბრუებული დადიოდა. დახვრეტის პროცედურის შესრულების წინ მას საგანგებოდ ასმევდნენ არაყს. აგრეთვე, ჩვევად ჰქონდა კარაქიანი პურის ჭამა." [32]

დახვრეტის შემდეგ, როგორც იგონებს ექიმი აბაკუმოვი, იგი აფორმებდა აქტებს, სადაც სიკვდილის მიზეზად დასახელებული იყო სხვადასხვა დაავადება.

დახვრეტის გარდა, პატიმართა სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა მომწამლავი აირით, ამისათვის სპეციალურად მოწყობილ მანქანებში (душегубки). ამ იდეის ავტორი და კონსტრუქტორი იყო ბერგი, მოსკოვის ოლქის შინსახკომის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი. როგორც მოგვიანებით თვით ბერგმა აღიარა, სიკვდილმისჯილებს აშიშვლებდნენ, კრავდნენ, უხშობდნენ პირს და ყრიდნენ მანქანებში. [33]. (ძნელი სათქმელია, ფაშისტებმა გაიზიარეს კომუნისტების ეს გამოცდილება, თუ თვითონ შეიმუშავეს მსგავსი მეთოდი!)...

1938 წლის ბოლოს ნოემბერ-დეკემბერში მასობრივი რეპრესიები შეჩერდა, თუმცა სულ არ შეწყვეტილა. შემდგომ წლებში რეპრესიების განვითარებასა და სარეპრესიო კონტინგენტზე ღიდი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა, რომელშიც საბჭოთა კავშირი ჩაერთო 1941 წლიდან. იმავე წლის 22 ივნისს გამოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და საბჭოთა კავშირის პროკურორის №221 ერთობლივი დირექტივა, რომლითაც შეწყდა ციხეებსა და კოლონიებიდან სასჯელმოხდილი პატიმრების გათავისუფლება. [34] ციხეებისა და კოლონიების დაცვა გადაყვანილ იქნა სამხედრო მდგომარეობაზე, შეწყდა პატიმართა და სპეცდასახლებაში მყოფთა ყოველგვარი მიმოწერა გარე სამყაროსთან. პატიმრები, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი, მაგრამ დატოვებული იყვნენ ციხეებსა და კოლონიებში 1942 წლის 29 აპრილის №185 დირექტივით [35] გათავისუფლდნენ, მაგრამ რჩებოდნენ შინსახკომის კოლონიებში, როგორც თავისუფლად დაქირავებულები, რომლებიც ომის ბოლომდე მიმაგრებული იყვნენ შშენებლობებზე. ციხეებიდან არ თავისუფლდებოდნენ პატიმრები, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სამშობლოს ღალატის, ტერორის, შპიონაჟის, დივერსიების ბრალდებით, ასევე ტროცკისტები, მემარჯვენეები და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მასობრივი რეპრესიების ის სახეები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა ტყვეებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ. საბჭოთა ჯარის მიერ გერმანელთა ბანაკებიდან დახსნილი ტყვეები გადიოდნენ მკაცრ შემოწმებას და იქ-

ვე წყდებოდა მათი ბედი - სამშობლოს ღალატსა ან სხვა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილთა საქმე გადაეცემოდა სამხედრო ტრიბუნალებს და შეეფარდებოდათ სხვადასხვა სასჯელი, უფრო ხშირად უმაღლესი, ხოლო დანარჩენებს, აბრუნებდნენ სამხედრო ნაწილებში. ბევრმა მათგანმა ომის დამთავრებამდე თავი გამოიჩინა ბრძოლებში და დაჯილდოვებულიც კი იყო.

ომის დამთავრების შემდეგ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1945 წლის 18 აგვისტოს №9871- დადგენილებით [36], თავდაცვის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლეოდა, წითელი არმიის მიერ გერმანული ტყვეობიდან გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურეები გაეგზავნა ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიისა და ხე-ტყის დამამზადებელ სამუშაოებზე შორეული ჩრდილოეთის სხვადასხვა რაიონში 6 წლით.

ყოფილი ტყვედნამყოფებიდან მხოლოდ მცირე კონტინგენტი დაუბრუნდა თავის ოჯახებს, თუმცა კი მათ ეს თავისუფლება დიდხანს არ შერჩენიათ. უკვე 1948-51 წლებში დაიწყო მასობრივი რეპრესიები და სამშობლოს ღალატის ბრალდებით ისინი გადაასახლეს ჩრდილოეთში.

ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში სადამსჯელო ორგანოების მიერ დაშვებულ უკანონობაზე წარმოდგენას გვიქმნის საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 ივნისის №898-490 დადგენილება, ყოფილი სამხედრო ტყვეებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი კანონიერების უხეში დარღვევების შედეგების გამოსწორების შესახებ [37]. აი, ეს აღიარებაც:

"საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სსრკ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ დიდი სამამულო ომის დროს და ომის შემდგომ, დაშვებული იყო საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევები ტყვედ ჩავარდნილთა ან მტრის მიერ ალყაშემორტყმული საბჭოთა არმიის და ფლოტის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ.

გარკვეული პიროვნებების მხილებასთან ერთად, რომლებსაც მართლაც ჰქონდათ ჩადენილი დანაშაული, შემოწმების დროს მრავალ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ გამოძიების არაკანონიერი, პროვოკაციული მეთოდების გამოყენებით რეპრესირებული იყო იმ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი რაოდენობა, რომლებმაც პატიოსნად შეასრულეს სამხედრო მოვალეობა და ტყვედყოფნის დროს არ ჩაუდენიათ დანაშაული.

ტყვედჩავარდნილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს

ომის განმავლობაში არაკანონიერად ჰქონდათ ჩამორთმეული ფულადი ან სხვა სახის შეღავათები, მიუხედავად სამხედროების ტყვედ ჩავარდნის მიზეზისა.

კანონიერების სერიოზული დარღვევა იყო სასამართლოს გარეშე რიგით ჯარისკაცებამდე დაქვეითება იმ ოფიცრებისა, რომლებიც ტყვედ ყოფნის დროს იგზავნებოდნენ საიერიშო ბატალიონებში.

სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც მოახერხეს ტყვეობიდან გმირულად გაქცევა ან ტყვედ ყოფნის დროს გამოამჟღავნეს მამაცობისა და სიმტკიცის მაგალითები, არაფრით არ იყვნენ წახალისებულნი.

1945 წლიდან ყველა გათავისუფლებულ და რეპატრირებულ სამხედრო მოსამსახურეებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათზე არ იყო არანაირი მაკომპრომეტირებელი მონაცემები, აერთიანებდნენ ბატალიონებში და დასჯის მიზნით მუდმივ სამუშაოზე აგზავნიდნენ ქვეყნის შორეულ რაიონებში არსებულ ნახშირისა და სატყეო მრეწველობის საწარმოებში.

ომისშემდგომ პერიოდში სახელმწიფო უშიშროების ორგანოები უსაფუძვლოდ განაგრძობდნენ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების პასუხისგებაში მიცემას, მით უმეტეს, რომ უმეტესობა უკანონოდ იყო რეპრესირებული. ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ნათესავების მიმართ ფართო გავრცელება ჰქონდა სხვადასხვა არაკანონიერმა შეზღუდვამ შრომითი მოწყობის, საზოგადოებრივი საქმიანობის, სასწავლებელში შესვლის, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის და სხვა სფეროებში".

საქართველოში უკანასკნელი მასობრივი გასახლება მოხდა 1951 წლის ბოლოს. ეს საკითხი დღესაც ბურუსით არის მოცული. ასევე გაუგებარი იყო ბევრი რამ ბერიასთვისაც, რაზედაც მეტყველებს მისი წერილი კომუნისტური პარტიის ცკ-ს პრეზიდიუმისადმი. ამ წერილიდან ირკვევა, რომ 1951 წლის 16 ნოემბერს საკავშირო კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარდგინებით და უშუალოდ სტალინის მითითებით მიიღო დადგენილება "საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ". 1951 წლის 29 ნოემბერს იმავე საკითხზე საკავშირო მინისტრთა საბჭომ მიიღო №4893-2113 ცც დადგენილება, რომელიც ნებას რთავდა სსრკ უშიშროების სამინისტროს განეხორციელებინა ეს აქტი. შემდგომ წერილში ბერია აღნიშნავს, რომ ამ ხალხის გასახლება მოხდა ნაჩქარევად შედგენილი, შეუმოწმებელი სიებით. სულ გასახლებული იყო 11200 მოქალაქე. მიუხედავად იმისა, რომ

საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულმა სათათბირომ დააეცა საქართველოს უშიშროების სამინისტროს (მინისტრი რუხაძე) გადაემოწმებინა 808 ოჯახის საქმე, ყაზახეთში გასახლებული იყო ყველა, დამატებითი შემოწმების გარეშე.

იმავე წერილში ბერია მოითხოვდა ყველა გასახლებულის უკან დაბრუნებას. წერილი დათარიღებულია 1953 წლის 8 აპრილით.

საპასუხოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება გადასახლებულთა გათავისუფლების და მათთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ.

ამ საკითხის შემდგომი შესწავლა შეწყდა ბერიას დაპატიმრების შემდეგ, რის გამო აღნიშნული საკითხის ისტორია კვლავაც გაურკვეველია [38], [39].

ბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. 1937-1938 წლებში დიდი რეპრესიების დროს და შემდგომშიც (დღემდეც კი) საზოგადოების ერთ ნაწილს მტკიცედ სწამდა, რომ სტალინმა არ იცოდა სიმართლე რეპრესიების შესახებ, თორემ ბელადი ასეთ უკანონობას არ დაუშვებდა. ამ კითხვაზე სრულიად ნათელ პასუხს იძლევა თვითონ სტალინი. 1938 წლის 17 ნოემბერს სახალხო კომისარიატის საბჭოსა და კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ დადგენილებაში "დაპატიმრებების, საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების წარმოების შესახებ" (იხ. დანართი №9), რომელსაც ხელს აწერენ სტალინი და მოლოტოვი 1937-38 წლების რეპრესიები შეფასებულია, როგორც ხალხის მტრების განადგურება და საბჭოთა კავშირის გაწმენდა მრავალრიცხოვანი ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიული და მავნებლური კადრებისგან. ქვეყნის გაწმენდამ ითამაშა დადებითი როლი და განაპირობა შემდგომი წარმატებები სოციალისტურ მშენებლობაში. ვინმეს რომ ილუზია არ შექმნოდა წმენდის პროცესის დამთავრების შესახებ, ბელადი აფრთხილებდა მოსახლეობას, რომ ამის შემდეგ კვლავ გაგრძელდებოდა ბრძოლა საბჭოთა კავშირის ყველა მტრის წინააღმდეგ. იქვე აღნიშნულია, რომ 1937-38 წლებში გამოძიების დაჩქარებულმა წარმოებამ (იგულისხმება 1934 წლის 1 დეკემბრის კანონი, მიღებული თვით სტალინის ინიციატივით) განაპირობა სერიოზული შეცდომები. გარდა ამისა, კანონის დარღვევას ხელი შეუწყო შინსახკომში მოკალათებულმა ქვეყნის მტრებმა.

შემდეგ დადგენილებაში დაწერილებით არის ჩამოთვლილი ნაკლოვანებები შინსახკომისა და პროკურატურის მუშაობაში. ირკვევა, რომ ბელადი ყველაფრის საქმის კურსში იყო. ამის შემდეგ დად-

გენილებაში მუშაობის გასაუმჯობესებლად ჩამოთვლილია პრაქტიკული რეკომენდაციები.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია "პატიმართა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების გამოყენების შესახებ" 1939 წლის 10 იანვრის ცირკულარი, ხელმოწერილი თვით სტალინის მიერ. ცირკულარში აღნიშნულია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენება დაშვებული იყო 1937 წელს. ცირკულარი ნებას რთავს საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს შემდგომშიც გამოიყენონ ეს მეთოდი (იხ. დანართი №10).

სტალინმა არა მარტო იცოდა არსებული რეპრესიების შესახებ, არამედ თვითონაც უშუალოდ მონაწილეობდა მასში. ამაზე მეტყველებს ე.წ. "სტალინური სიები" - რომელშიც ჩამოთვლილია ძირითადად 1937-1938 წლებში პირადად სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების სანქციით დასჯილი პირები. რუსეთის პრეზიდენტის არქივში შემონახულია 383 სია 44500 ბრალდებულზე - სულ 11 ტომი [40].

სიების შედგენა ხდებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი-ატში როგორც ცენტრიდან, ისე რეგიონებიდან მოწოდებული მასა-ლის საფუძველზე. პოლიტბიუროს წევრების რეზოლუციის შემდეგ სიები წინასწარ განსაზღვრული სასჯელით (1 და 11 კატეგორია), განსახილველად გადაეცემოდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას. ამდენად მის სხდომებზე საქმეების განხილვა ატარებდა ფორმალურ ხასიათს - სრულდებოდა პოლიტბიუროდან მიღებული დირექტივები. კოლეგიის გადატვირთვის გამო ზოგჯერ საქმეების განხილვა ხდებოდა ადგილზე, რესპუბლიკებში, სამეულების მიერ.

წარმოდგენილ სიაში შესულია მხოლოდ საქართველოში მაცხოვრებლები (იხ. დანართი №11).



წიგნზე მუშაობის დროს ყოველთვის ვგრძნობდი დაინტერესებული საზოგადოების დახმარებას, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, გამხსნევენას. ამ თანადგომისთვის მაძლობას ვუხდი საზოგადოება “მემორიალის” საპატიო თავმჯდომარეს, აკადემიკოს მინდია სალუქვაძეს, საზოგადოების ამჟამინდელ ხელმძღვანელს ბ-ნ ზურაბ რცხილაძეს, აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილს, თავმჯდომარის მოადგილეებს ბატონებს გურამ სოსელიას და ილამაზ მიწიშვილს, ქალბატონებს: იდა სისაურს, ლალი ყურულაშვილს, ნელი დათუნაშვილს.

დიდი დახმარება გამიწია საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს უახლესი ისტორიის თანამშრომელმა ქ-მა თინათინ ფანცულაიამ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს უშიშროების სამინისტროს საარქივო ფონდების განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელის გ. ზურაბიშვილის თანადგომა. ფასდაუდებელია ის ყოველდღიური დახმარება, რომელსაც მიწევდა პოლკოვნიკი იგორ მირონოვი, რისთვისაც მას ვუხდი უღრმეს მაძლობას.

მაძლობას ვუხდი აგრეთვე თამარ ქურხულს გაწეული მნიშვნელოვანი დახმარებისთვის.



დაბ. 1882წ. 2 მარტს ქუთაისში. იზრდებოდა მრავალშვილიან ოჯახში (ჰყავდა ორი და და სამი ძმა). 1903წ. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრება ვერ შეძლო - 1907 წელს დააპატიმრეს როგორც პოლიტიკურად არასაიმედო და გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ოცდაერთი თვის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ ოდესის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლება არ მისცეს.



უარი უთხრეს აგრეთვე ხარკოვისა და კიევის უნივერსიტეტებშიც. 1909წ. ჩაირიცხა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1911 წელს და დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა ოზურგეთის მაზრაში სკოლების ექიმად. 1913წ. გაემგზავრა ფინეთში, ცნობილ სანატორიუმ "ხალილში" სამუშაოდ, სადაც დაეუფლა ტუბერკულოზიან ავადმყოფთა გამოკვლევისა და მკურნალობის უახლეს მეთოდებს, მაგრამ ამ პროფილით მუშაობა არ დასცალდა - 1914წ. პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო გაწვეული იყო მოქმედ არმიაში ერთ-ერთი საარტილერიო ბრიგადის უფროს ექიმად (შემონახულია სამხედრო ექიმ ი. აბაკელიას სამხედრო დღიურები). 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში აირჩიეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო-ადმინისტრაციული საბჭოს წევრად, 32-ე საარმიო კორპუსის კომისრად და მეთერთმეტე არმიის კომისრის რწმუნებულად, 1917 წლის ბოლოს გაათავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან და დაბრუნდა საქართველოში 1918 წლის დასაწყისში. წამოსვლის წინ არმიის სანიტარული საბჭოს წევრებმა მიმართეს გამოსამშვიდობებელი ადრესით: "ძვირფასო იოსებ კონსტანტინეს ძე, ნახევარი წლის წინ XI არმიის ექიმთა ყრილობამ მოგიწვიათ არმიის სანიტარული სამსახურის მშენებლობისა და ახალი სამხედრო სამედიცინო ნორმების შესაქმნელად. თქვენი მოღვაწეობა თვალსაჩინო იყო არა მხოლოდ მეთერთმეტე არმიის, არამედ მთელი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისათვის... თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გიხდით გულწრფელ მადლობას და ამასთან გთხოვთ, ნუ გაგვიჯავრდებით იმისათვის, რომ როცა დაიწყო ახალი მშენებლობა თქვენს მშობლიურ საქართველოში, როცა თქვენ მთელი გულით ისწრაფოდით სამშობლოში, ჩვენ.

ჩვენი საქმის სიყვარულით გამოწვეული ბუნებრივი ეგოიზმის გამო, ხელი ვერ შეგიწყვეთ და არ მოგეცით საშუალება დაბრუნებულობით სამშობლოში და თქვენი ენერგიით, ძალით და ცოდნით გამოსდგომოდით მას საჭირო დროს. გთხოვთ გვაპატიოთ თქვენ და თქვენთვის აგრევიგად ძვირფასმა საქართველომ. 1917 წლის 24 დეკემბერი" (დაცულია ი. აბაკელიას პირად არქივში).

საქართველოში დაბრუნებული აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1918 წლის 26 მაისს, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. მაგრამ უკვე 1919 წლიდან დაუბრუნდა პროფესიულ საქმიანობას. 1919წ. აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დიაგნოსტიკური კლინიკის ორდინატორად (კლინიკის ხელმძღვანელი ა. ალადაშვილი). 1922წ. დანიშნეს ტუბერკულოზური ამბულატორიის გამგედ, 1923წ. ჩააბარა სადოქტორანტო გამოცდები, 1924 წლის 15 ივნისს კი დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1925წ. ერთი წლით გაგზავნეს გერმანიაში სამეცნიერო მივლინებით. მუშაობდა ბერლინში, ცნობილი ფთიზიატრის პროფ. უნფერისტიხის კლინიკაში და რ. კოხის მოწაფის, პროფ. ლ. რაბინოვიჩის ლაბორატორიაში. იქვე შეასრულა სამეცნიერო შრომა, რომელიც დაიბეჭდა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

გერმანიაში გამგზავრებამდე თბილისის საქალაქო აღმასკომმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა თბილისის ტუბამბულატორია გადაკეთებულიყო ტუბდისპანსერად. ეს იყო საქართველოში პირველი ტუბდისპანსერი. 1927 წელს თბილისში (ამჟამად მედიკიშვილის ქ. №10) საძირკველი ჩაეყარა თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ტუბინსტიტუტის (პირველი ტუბდისპანსერით) მშენებლობას, რომელიც დამთავრდა 1930 წელს (დირექტორი ი. აბაკელია). 1926 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კლინიკის პრევატ-დოცენტად აირჩიეს, ერთი წლის შემდეგ კი - დოცენტად. 1928წ-დან დაევალა ტუბერკულოზის კურსის წაკითხვა. კითხულობდა 1938 წლამდე. 1936წ. აირჩიეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ტუბერკულოზის ახლად დაარსებული კათედრის გამგედ. 1935 წლის 3 ნოემბერს საქართველოს სახკომსაბჭოს № 1528 დადგენილებით თბილისის ტუბინსტიტუტი გარდაიქმნა საქართველოს ჯანსახკომის ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად და დაევალა როგორც სამეცნიერო მუშაობა, ასევე ტუბსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ხელმძღვანელობა მთელ რესპუბლიკაში, მასვე ევალებოდა კადრების მო-

ზადებაც. ღირექტორად კვლავ დაინიშნა ი. აბაკელია. ყოველივეს ინსტიტუტმა მოკლე დროში წარმატებით გაართვა თავი.

1936 წლის 19 ივნისს საქართველოს სსრ ჯანსახკომის № 129 ბრძანებით ტუბინსტიტუტი გადაიტანეს აბასთუმანში. ინსტიტუტის ღირექტორად დარჩა ი. აბაკელია. მასვე დაევალა კურორტის მთავარი ექიმობაც. როგორც ბრძანებაში იყო აღნიშნული: "ი. აბაკელიას მიეცა წინადადება გაემგზავროს აბასთუმანში და შეუდგეს ინსტიტუტის ორგანიზებას და როგორც მთავარმა ექიმმა ითავოს კურორტზე წარმოებული ყველა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს სანატორიულ-სამკურნალო საქმის სწორად წარმართვას". თბილისში დარჩა ინსტიტუტთან არსებული პირველი ტუბდისპანსერი, რომელსაც ეწოდა პირველი საჩვენებელი ტუბდისპანსერი. ღირექტორად კვლავ დაინიშნა ი. აბაკელია. 1937 წელს იგი გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან, ხოლო 1938 წლის 29 ივნისს ჯანსახკომის № 148 ბრძანებით გაათავისუფლეს ტუბინსტიტუტის ღირექტორობიდანაც. ტექსტი ბრძანებისა იყო ლაკონური და ნათელი: "აბასთუმნის ტუბინსტიტუტის ღირექტორი პროფესორი ი. აბაკელია ა/წ 29/VI-დან მოხსნილ იქნას თანამდებობიდან".

დიდი, ძალიან დიდი იყო პროფესორ ი. აბაკელიას ღვაწლი ჩვენი საზოგადოების წინაშე: საქართველოში პირველი ტუბდისპანსერის დამაარსებელი, ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევების ავტორი, შესანიშნავი ორგანიზატორი, მრავალი ღირსეული სპეციალისტის აღმზრდელი, ქართული მეცნიერული ფთიზიატრიის ფუძემდებელი.

მაგრამ იმ დროს ყველა ასე როდი ფიქრობდა. სრულად მოგვყავს 1937 წელს სამედიცინო ინსტიტუტში შედგენილი ი. აბაკელიას ე.წ. პოლიტიკური დახასიათების ტექსტი: "ქართველი, 1882 წელს დაბადებული, 1911წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, მედ. მეცნ. დოქტორი 1924წ-დან, პროფესორი 1924წ-დან, აქვს 12 სამეცნიერო ნაშრომი, აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 11 წლის სტაჟი. იყო საზღვარგარეთ: 1925წ. ბერლინში და 1928წ. რომში. 1903 წლიდან 1919 წლამდე იყო ესერთა პარტიის წევრი.

სამეცნიერო შრომებში ტუბერკულოზის გავრცელებასთან დაკავშირებით ავითარებს რასობრივ თეორიას, რის გამოც ჯერ არ გამოსულა თვითკრიტიკით. აქვს სამი შეთავსება. ქალაქის ცენტრში ჩამოაყალიბა ტუბინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოსახლეობაზე, რაზეც მიუთითა კიდევ საქართველოს

კპ(ბ) ცკ-მა. როგორც სპეციალისტი კარგია. პოლიტიკურად საეჭვო. დირექტორი - მედ. მეცნ. დოქტორი ი. ეზიაშვილი, პარტკომის მდივანი - გ. ნამიჭეიშვილი" (უიკსა, ფონდი 2139. ან. 1, საქ. 65, გვ. 8).

დააპატიმრეს 1938 წელს. წაყენებული ბრალდების მიხედვით "იყო რა ესერების ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მონაწილე, ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, იღებდა აქტიურ მონაწილეობას ტერაქტების მომზადებაში სკპ(ბ)-ის საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ" (ანუ იყო ტერორისტი და ჯაშუში. ავტ.). იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ღარიბოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938წ. 10 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15802, ოქმი № 121, 10.10.38, ფ. 107). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში მისი გამოტანიდან მეორე დღესვე - 11 ოქტომბერს.

ბატონ იოსებს დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - ელენე ასათიანი (ცნობილი მეცნიერის ვლადიმერ ასათიანის და) და ქალიშვილი ციალა (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პემატოლოგი).

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## აზზიანიძე ვალერიან იოსების ძე - ექიმი



დაბ. 1884წ. ქუთაისში, მენშევიკური პარტიის წევრი (ქ. ვლადიმირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე 1917-18 წწ.), დააპატიმრეს თბილისში, 1938წ. 1 აპრილს. დააპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, ბავშვთა ცენტრალური პოლიკლინიკის დირექტორად.

სამედიცინო უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში - 1914 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მსახურობდა ექიმად მეფის არმიაში, სხვადასხ-

ვა დროს მუშაობდა ქუთაისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ (1925-31წწ.), ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის უფროსად.

დააპატიმრეს თბილისში. ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი ტროცკისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციისა, რომლის დაკლებით აქტიურად ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას და იყო ბაქტერიოლოგიური დივერსიის მომზადების საქმის კურსში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 21 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 159-სსგ, ოქმი № 117, 21.06.38, ფ. 140.) განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 22.06.1938 წ.

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - ალექსანდრა კერესელიძე (ექიმი), ვაჟი - გიორგი (შემდგომ იურისტი) და დედა - მარიამ იამანიძე. ბატონი ვალერიანის დაპატიმრების შემდეგ ოჯახს ხუთოთახიანი ბინიდან ჩამოართვეს ოთხი. დაუტოვეს ოთახი სამზარეულოსა და სანკვანძის გარეშე.

მცირე ფრაგმენტი ბატონი გიორგის მოგონებიდან: "მასსოვს, მამას დაპატიმრების შემდეგ ორი თვე არ იქნებოდა გასული, ჩვენი კარების წინ, კიბეებზე, ვიღაცას ცარციტ გაეკეთებინა წარწერა: "გაუ-მარჯოს ამხანაგ ტროცკის". მოგეხსენებათ, რა უნდა მოჰყოლოდა ამას იმ ავადსახსენებელ დროს. იმ "ვიღაცას", ეტყობა, არც ის ერთი ოთახი ემეტებოდა ჩვენთვის. საბედნიეროდ, ამ პროვოკაციას რეპრესია არ მოჰყოლია.

მამას ბედით დაინტერესებულებს ასე გვპასუხობდნენ: "გადასახლებულია 10 წლით, მიმოწერის უფლების გარეშე" და მხოლოდ ახლა - 64 წლის შემდეგ გავიგე, რომ მამას შინსახკომის სამეულის დადგენილებით მიუსაჯეს დახვრეტა და განაჩენი მოიყვანეს სისრულეში მეორე დღესვე".

რეაბილიტირებული იყო ბატონი ვალერიანი 1955 წელს.

## აზაქოვა ნინა გიორგის ასული - ექთანი

დაბ. 1915წ. თბილისში. დააპატიმრეს თბილისში, 1949 წლის 5 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს.

ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№ 1206-65), ავაქოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა. ი.

## აპერკიევა ოლღა ალექსანდრეს ასული - ექიმი

დაბ. 1880წ. ქ. კურგანში, უპარტიო, მარტოხელა. დაპატიმრების დროს მუშაობდა სოხუმში პოლიკლინიკის ექიმად.

ბრალად ედებოდა, რომ ამერიკიდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ მჭიდრო კავშირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ წევრებთან, საკუთარ დებთან - ვერასა და ნადეჟდასთან (გარდაიცვალა 1925წ. გადასახლებაში), მიხეილ ლვოვსა (დის ქმარი) და არკადი ალტოვსკისთან. 1921წ. თვითონაც იყო დაპატიმრებული ჩქს მიერ ძებნილი ჩერნიშევსკაიას დაფარვისათვის. 1929 წლიდან თავისი სურვილით იმყოფებოდა გადასახლებაში მიხეილ ლვოვთან ერთად. მათ, როგორც ლ. ტოლსტოის მიმდევრებს, ბევრი რამ ჰქონდათ საერთო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის შსს კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს საგამომიებო საქმე № 29133, ოქმი № 49, 19.11.37, ფ. 25). განაჩენი აღსრულდა 1937 წლის 19 დეკემბერს.

## აპსაროვი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე - ექიმი

დაბ. 1893წ. აზერბაიჯანში, სოფ. ინგარში, შემახის რაიონი. კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი (გარიცხეს 1937წ.), დაპატიმრებამდე იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის უფროსი.

ბრალად ედებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარულ სისტემაში კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული, ჯაშუშური ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ხელმძღვანელობა და ამავე სისტემაში კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მაკენებლური საქმიანობა. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საქულის 1937 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-ბ, 58-7, 58-9, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საქმე № 12428, ოქმი № 74, 26.12.37, ფ. 38). განაჩენი აღსრულდა 27.12.1937წ.

## ამალლოგალი ნინა ვალერიანის ასული - ექთანი

დაბ. 1916წ. ქუთაისში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, დაამთავრა თბილისის რკინიგზის მეათე სკოლა და სწავლა განაგრძო სამედიცინო სასწავლებელში. რომელიც დაამთავრა 1936წ. გათხოვდა და შეეძინა სამი შვილი - გურამ, მზია და ცირა თედიაშვილები. მეუღლე - სიმონ თედიაშვილი (ინჟინერ-მშენებელი) 1941 წ. გაიწვიეს ჯარში და ქერჩის მიდამოებში ჩავარდა ტყვედ. დაბრუნდა საქართველოში 1946 წელს.

1951წ. 26 დეკემბერს ბატონი სიმონი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის № 4893-2113 დადგენილებით, როგორც ტყვედ ნამყოფი, გაასახლეს მეუღლესა და ბავშვებთან ერთად ყიზილყუმის რაიონის სოფ. მახტალაში. ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს საბჭოთა მეურნეობის (წითელი ოქტომბერი) დასახლებაში. ქ-ნი ნინო მუშაობდა პროფესიით - მედპუნქტის გამგედ, მეუღლე - მშენებლობაზე. 1953 წელს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, გაათავისუფლეს და ოჯახთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.



დაბ. 1898წ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ყულიშკარში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ალბულაღის (თეთრიწყაროს) რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ. დააპატიმრეს 1937 წლის 10 ნოემბერს.

ანთელავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძველად დაედო ანონიმური წერილი, რომლის ავტორი შინსახკომის საიდუმლო პოლიტიკურ განყოფილებას ატყობინებდა, რომ ანთელავა პროფ. გ. ელიავასა და ნიორაძის დავალებით ალბულაღში აპირებდა სასმელი წყლის მოწამელას და რაიონში შავი ჭირის გავრცელებას, რომ გამოთქვამდა ანტისაბჭოთა პროვოკაციულ აზრებს. გარდა აღნიშნული ანონიმური წერილისა, "საქმეს" ბიძგი მისცეს ვინმე კვაჭაძისა და დოლიძის განცხადებებმა, რომელთაგან ერთი იდენტური იყო ანონიმური წერილისა, ხოლო მეორეში აღნიშნული იყო. რომ ანთელავა "ანაგვიანებს" რაიონის ჯანდაცვის განყოფილებას მტრული ელემენტებით და მავნებლურად გაარემონტა პოლიკლინიკა.

ამ "დოკუმენტებით" მოპოვებული ინფორმაცია შინსახკომის მეოთხე განყოფილებამ (ხელს აწერს ქობულოვი) 5 ოქტომბერს შეატყობინა ალბულაღის შსსკ რაიონული განყოფილების უფროსს აგასაროვს და მისცა წინადადება აგენტურული დამუშავებით შეემოწმებინა ფაქტები. აგასაროვმა იმავე დღეს (!) შემოწმების გარეშე ქობულოვის სახელზე შეადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ადასტურებდა ანთელავას კონტრრევოლუციურ საქმიანობას და მიუთითებდა მის ახლობლურ ურთიერთობაზე რაიკომის პირველ მდივანთან. აღნიშნულის საფუძველზე უკვე 10 ნოემბერს გაიცა განკარგულება ანთელავას დაპატიმრების შესახებ. საქმეს იძიებდა აგასაროვი. გამოძიების დროს ანთელავა მხოლოდ ორჯერ იყო დაკითხული. არც ერთხელ არ აღიარა დანაშაული. მოწმეებად დაკითხული იყო ორი ქალი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი ანთელავამ დაითხოვა სამსახურიდან მათთან თანაცხოვრებაზე მიღებული უარის შემდეგ. რაც შეეხება ანთელავას კონტრრევოლუციურ საქმიანობას, მოწმეების ჩვენებაში არაფერი იყო ნათქვამი (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქმე № 1293, გვ. 27-33).

ხანმოკლე გამოძიების შემდეგ ა. ანთელავას ბრალად წაუყენეს, რომ:

1. იყო წვერი პროფ. ელიავასა და ნიორაძის ჯგუფისა, რომელსაც უნდა მოეწამლა წყალი და მოსახლეობაში გაეცრცელებინა შავი ჭირი.
2. ცდილობდა დაახლოებოდა რაიკომის პირველ მდივანს და მისი



დახმარებით გამძვრალიყო პარტიაში.

3. იყო რა განწყობილი ფაშისტურად, გამოთქვამდა კონტრრევოლუციურ აზრებს სოციალიზმის მშენებლობისა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ; კერძოდ, უცნაურ სიტყვებით მოიხსენიებდა ბერიასა და გოგლიძეს.
4. სარგებლობდა რა სამსახურებრივი მდგომარეობით, თანამშრომელ ქალებს აიძულებდა თანაცხოვრებაზე, უარის მიღების შემთხვევაში ხსნიდა სამსახურიდან.
5. ჯანმრთელობის განყოფილებასა და საავადმყოფოში შემოიკრიბა კლასობრივად უცხო და მტრული ელემენტები და დევნიდა პატიოსან და ერთგულ თანამშრომლებს“.

ამ ბრალდებების საფუძველზე საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეწა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 18107, ოქმი № 68-2, 16.12.37, ფ. 79.) განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 1938 წლის 3 იანვარს.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გავეცნოთ, თუ რას ეყრდნობოდა წაყენებული ბრალდებები და როგორ ხდებოდა მათი დასაბუთება. ამაში “დაგვეხმარება” თვით გამომძიებელი აგასაროვი, რომელიც 1955 წლის 1 დეკემბერს დაკითხული იყო საქართველოს სსრ სპეცსაქმეთა პროკურორის თანაშემწის, პირველი კლასის იურისტის შუშანიას მიერ.

ამონარიდები დაკითხვის ოქმიდან:

აგასაროვი ა. დაბადებული 1897წ. თბილისში, კპ-ის წევრი 1926 წლიდან, განათლება - დაწყებითი, მეორე მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა ტყვეობაში გერმანელებთან, რის გამოც მიცემული იყო პასუხისგებაში, მაგრამ გათავისუფლებული იყო სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს მიერ. დაკითხვის დროს მუშაობდა ა/კ რკინიგზის სამმართველოს მუშათა მომარაგების განყოფილების სასადილოს ბუფეტში მებუფეტედ.

“კითხვა: გამოძიებით შეამოწმეთ თუ არა მაკომპრომეტირებული მასალები ანთელავაზე?

პასუხი: ეს მასალები ძიებით არ შემომოწმებია. მე საკმარისად ჩავთვალე კვაჭაძის განცხადება. ის განცხადება მე ჩავთვალე ოფიციალურ დოკუმენტად.

კითხვა: რატომ არ დაკითხეთ კვაჭაძე?

პასუხი: მე კვაჭაძეს არ ვიცნობდი. როცა დავიწყე მუშაობა განყოფილების უფროსად, განცხადება უკვე იქ იყო.

კითხვა: მიუთითეთ ზუსტად, რატომ არ გამოიძიეთ ანთელავაზე თქვენ ხელთ არსებული მასალები, თუნდაც განცხადებები?

პასუხი: მე უნდა დამეკითხა ისინი, მაგრამ მოხდა ისე, რომ არ დავკითხე.

კითხვა: თქვენ ბრალი დასდეთ ანთელავას, რომ მას ელიავას დავალებით უნდა მოეწამლა წყალი და აღბულალის რაიონში გაევერცელებინა შავი ჭირი. ამ ბრალდების დასასაბუთებლად საქმეში არ არის არავითარი მასალა. საიდან აიღეთ ეს ბრალდება?

პასუხი: მე დავეყრდენი შეტყობინებას შსს კომისარიატის მეოთხე განყოფილებიდან.

(მეოთხე განყოფილებიდან შეტყობინება ეყრდნობოდა ანონიმურ წერილს და ორ განცხადებას, რომელთა ავტორების - კვაჭაძისა და დოლიძის ვინაობის დადგენა საქმეში არსებული მასალებით არ ხერხდება. ავტ.).

კითხვა: თქვენ საბრალდებო დასკვნაში მიუთითეთ, რომ ანთელავა იყო ფაშისტურად განწყობილი და გამოთქვამდა კონტრრევოლუციურ აზრებს სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ. რა მასალას ეფუძნება ეს ბრალდება?

პასუხი: ეს მე დავწერე ანონიმური წერილის საფუძველზე.

კითხვა: თქვენ სრულიად უსაფუძვლოდ დაადანაშაულეთ ანთელავა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში, მაშინ, როდესაც ამის შესახებ არ გქონდათ თუნდაც ერთი ჩვენება. და თქვენ კიდევ დაიწყებთ მტკიცებას, რომ საბრალდებო დასკვნა შეესაბამება სინამდვილეს და შედგენილია საქმეში არსებული მასალების საფუძველზე?

პასუხი: მე მაშინ ვთვლიდი, რომ საბრალდებო დასკვნა შეესაბამებოდა საქმეში არსებულ მასალებს, ამჟამად კი პასუხისაგან თავს ვიკავებ, ანუ პასუხის გაცემა არ შემიძლია" (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქმე 1293, გვ. 17-22).

დაბოლოს, ფრაგმენტი ა. ანთელავას მიერ საპყრობილიდან მოწოდებული უკანასკნელი წერილიდან:

"ჩემო სონია. რა დღეში ჩაგაგდეთ, მაგრამ მე არ ვარ დამნაშავე... თუ არ ყოფილხარ ავასაროვთან, ნახე. მან დამპირდა საქმის დამთავრების შემდეგ, საქმე კი დამთავრდა. რა გითხრას, შემატყობინე. საერთოდ მომწერე, რა ისმის ჩემზე... ნუთუ საშველი არ იქნება და მართალი კაცი უნდა დავიღუპო. არ დამიძალო არაფერი რაც გითხრას ავასაროვმა. საქმისთვის სჯობია, ვიცოდე სიმართლე..."

წერილი დაწერილი იყო 1937 წლის 21 დეკემბერს და გამოგზავნილი 24 დეკემბერს. (16 დეკემბერს კი უკვე გამოტანილი იყო სასიკვდილო განაჩენი. ავტ.).

ეს ის შემთხვევაა, პატივცემულო მკითხველო, როცა კაცი ბჭობდა და ღმერთი აღარ იცინოდა!

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## ანჩაბაძე ვერა ანდრიას ასული - ექიმი

დაბ. 1896წ. ქუთაისში. საშუალო განათლება მიიღო იქვე - 1914 წელს დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი და სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც სწავლობდა ქალთა სამედიცინო კურსებზე. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში, გაგრაში მშობლებთან (ანდრო შენგელაია და თეოდინა კახიანი). იქვე შექმნა საკუთარი ოჯახი - იქორწინა ვიანორ ანჩაბაძესთან (შემდგომში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სახალხო კომისარი). 1927 წელს, უკვე ორი შვილის დედამ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1930 წელს. იმავე წელს დაბრუნდა სოხუმში. მუშაობდა ქალაქის საავადმყოფოში ქირურგად და კითხულობდა ლექციებს სამედიცინო სასწავლებელში. დააპატიმრეს 1937 წლის 20 დეკემბერს (ათი დღით ადრე დააპატიმრეს მისი მეუღლე), რამდენიმე თვე იმყოფებოდა დრანდის იზოლატორში. შემდეგ გადაიყვანეს თბილისში.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 7 ივლისის დადგენილებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, შრომაგასწორების ბანაკში მოხდით.

სასჯელს იხდიდა ყაზახეთში, სადაც მუშაობდა ექიმად. გაათავისუფლეს 1944 წელს. დაბრუნდა სოხუმში და პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა რკინიგზის პოლიკლინიკაში.

გარდაიცვალა 58 წლის ასაკში. რეაბილიტირებული იყო 1955 წელს.





დაბ. 1888წ. სოხუმში. იზრდებოდა ქართულ-აფხაზურ ოჯახში. მამა - თავადი ტარასი ანჩაბაძე იყო სამხედრო, დედა - მარიამ (მამო) დადიანი - საზოგადო მოღვაწე. 1908წ. დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. დაამთავრა 1914წ. მალე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, გაიწვიეს მოქმედ არმიაში, სადაც დაყო 1918 წლამდე. მსახურობდა პოლკის უფროს ექიმად. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო გულაუთაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვ. ანჩაბაძე დანიშნეს სოხუმის საკურორტო სამმართველოს უფროსად და იმავდროულად გულრიფშის ტუბსანატორიუმის მთავარ ექიმად. შემდეგ - რსფსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ რწმუნებულად აფხაზეთის კურორტებზე. 1925-28 წლებში, კურორტების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გადაცემის შემდეგ, იყო აფხაზეთის მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსი. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ვ. ანჩაბაძის მუშაობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისიის თანამდებობაზე, რომელიც ეკავა ორჯერ - 1928-30 წწ. და 1932-37 წწ. ამ დროში აფხაზეთში აშენდა ახალი საავადმყოფოები, გაიხსნა ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი და ვენდისპანსერები, ჩამოყალიბდა რენტგენოლოგიური სამსახური. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ინფექციური დაავადებების შესამცირებლად. მისი ინიციატივით სოხუმში, გულაუთასა და ოჩამჩირეში გაიხსნა სამედიცინო სასწავლებლები. ადგილობრივი ახალგაზრდები სასწავლებლად იგზავნებოდნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში და რუსეთის ქალაქების მედინსტიტუტებში. მუდმივად აქცევდა ყურადღებას წითელი ჯვრის მუშაობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი სოხუმის მედიკურ-ბიოლოგიური სადგურის დაარსებაში.

დააპატიმრეს სოხუმში, 1937 წლის 10 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი აფხაზეთის მემარჯვენე ტროცკისტული, ჯამუშურ-მაკენებლური, დივერსიულ-ტერორისტული ორგანიზაციისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ნ. ლაკობა. იყო რა გადაბირებული პირადად ნ. ლაკობას მიერ, ეწეო-

და მავნებლურ საქმიანობას აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 16 იანვრის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 29266, ოქმი № 82, 16.01.38, ფ. 97). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 18.01.38 წ.

რეაბილიტირებული იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1955 წლის 6 დეკემბერს.

## **არევაზოვი არისტრახი ყარაილის ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1898წ. აბაშის რაიონის სოფ. მარანში. უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოფ. მარანში. დაპატიმრეს 1938 წლის 14 ივლისს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1939 წლის 26 მარტის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (საარქივო საქმე № 13769-59).

## **აროზელიძე გიორგი ბაბრიელის ძე - ფერშალი**

დაბ. 1879წ. ოზურგეთის მაზრაში, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრი. დაპატიმრების დროს მუშაობდა სოხუმის (დრანდის) ციხეში ფერშლად.

ბრალად ედებოდა, რომ “იყო რა კონტრრევოლუციურად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, 1932 წელს შევიდა სოხუმის კონტრრევოლუციურ-მენშევიკურ ორგანიზაციაში, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საზღვარგარეთული ბიუროს მიერ და მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას სახალხო მეურნეობაში მავნებლობისა და შეიარაღებული აჯანყების გზით. კონტრრევოლუციური მენშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელის დავალებით სამედიცინო პერსონალთან ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას” (მომხსენებელი აბაზოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 2 თებერვლის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 20310, ოქმი № 90, 16-02.38, ფ. 36).

## აროშიძე რევაზ აბაშონის ძე - ფერმალე

დაბ. 1922წ. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვიანში, დაწყებითი განათლება მიიღო იქვე, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის საფერ-შლო სასწავლებელში. დააპატიმრეს 1939 წლის ზაფხულში.

ბრალად ედებოდა, რომ რ. ხიდაშელთან ერთად შექმნა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელშიც გააერთიანეს ა. მეგულიშვილი, ა. ბერიაშვილი, გ. მჭედლიშვილი. ორგანიზაციაში მუშაობა შესთავაზეს აგრეთვე გიორგი ლომაძეს, მაგრამ მან უარი განაცხადა თანამშრომლობაზე.

ჯგუფის წევრები ადგენდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის პროკლამაციებს და გზავნიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1939 წლის 29 ნოემბერს დამნაშავედ ცნო რ. აროშიძე, რ. ხიდაშელი და გ. ლომაძე.

რევაზ აროშიძე და როსტომ ხიდაშელი დამნაშავედ ცნეს 58-ე მუხლით (58-10 პირველი ნაწილი, 58-11) გათვალისწინებული დანაშაულისათვის და მიუსაჯეს 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გ. ლომაძეს 58-12 მუხლით, დანაშაულის განუცხადებლობისთვის, მიუსაჯეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა (საგამოძიებო სარქივო საქმე № 29817).

სასჯელს აროშიძე იხდიდა აბაკანში, სადაც მუშაობდა ბანაკის საავადმყოფოში ფერმლად. სასჯელის მოხდის შემდეგ იქვე დატოვეს ე.წ. თავისუფალ დასახლებაში. აბაკანშივე დაქორწინდა და იქვე შეეძინა ქალ-ვაჟი. დაბრუნდა საქართველოში 1957 წელს ოჯახთან ერთად. საქართველოში შეეძინა მესამე შვილი.

პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ბათუმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ფერმლად.

გარდაიცვალა 1998 წელს უკრაინაში.

## არსენიძე - გიუნაშვილი ნინა ვიქტორის ასული - ექთანი

დაბ. 1918წ. ქუთაისში. დააპატიმრებამდე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფ. მანავში. დააპატიმრეს 1949 წლის 25 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს,

ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (N. 1206-65), არსენიძე-გიუნაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე N 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## არუთინოვი ლეონ სერგოს ძე - ექიმი

დაბ. 1885წ. თბილისში, უპარტიო, ცოლ-შვილიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, 26 კომისრის სახ. რაიონის სამკურნალო სექტორის ინსპექტორად. დააპატიმრეს თბილისში 1937 წლის 12 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამედიცინის 1938 წლის 8 მარტის დადგენილებით (ბრალდების იურიდიული კვალიფიკაციის გარეშე) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერეთა (სუსის არქივი, საქმე № 25907, ოქმი № 98, 08.03.38.).

ბრალად ედებოდა მავნებლურ ორგანიზაციაში მონაწილეობა, რომელშიც 1933 წელს ჩაითრია ჩხარის რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა; რომ იგი თავად ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებაში,



ჰქონდა ოთხი შეთავსება, ინახავდა შტატგარეშე სპეციალისტებს და უხდოდა მათ ფულს; რომ ფლანგავდა ბიუჯეტით გამოყოფილ თანხებს. რაც იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას; რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყურულოვთან, ბ. მდივანთან, შოთაძესთან.

დაპატიმრების შემდეგ დაკითხა ორჯერ - 18 ოქტომბერსა და 28 დეკემბერს. მეორე დაკითხვაზე აღიარა, რომ 1933-36 წწ. ჩხარის ჯანმრთელობის განყოფილებაში ტარდებოდა მავნებლური მუშაობა, რის შესახებაც მან განაცხადა რაიკომში, მაგრამ ამ განცხადებას შედეგი არ მოჰყოლია და იგი იძულებული გახდა განეგრძო მუშაობა იმავე სტილში, ანუ მავნებლურად.

საქმეს თან ერთვის ექიმ ა. შენგელიას მოხსენებითი ბარათი ჩხარის რაიკომის მდივნის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია საავადმყოფოში არსებული უარყოფითი და დადებითი მხარეები. საგამოძიებო საქმეში ძიების მიერ წაყენებული ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები არ არის (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქ. 1845, გვ. 6).

იზრდებოდა თბილისში, საკმაოდ შეძლებულ და მრავალშვილიან ოჯახში. ჰყავდა შვიდი ძმა და ერთი და. ყველა ბავშვმა მიიღო სათანადო განათლება. ლეონმა თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1903 წ-დან სწავლა განაგრძო ქენევაში. 1912 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში. 1914 წლიდან მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. გასაბჭოების შემდეგ სამუშაოდ გაგზავნეს თერჯოლაში, საიდანაც გადაიყვანეს თბილისში.

ოჯახისათვის ბატონი ლეონის გასამართლების დეტალები და სასჯელი ბურუსით იყო მოცული. მათ არ შეატყობინეს განაჩენი და არც ის, თუ რა ედებოდა ბრალად. მისი გარდაცვალების და არა დახვერეთის შესახებ შვილმა და შვილიშვილებმა გაიგეს 1957წ. ცნობიდან რეაბილიტაციის შესახებ, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ ლ. არუთინოვი გარდაიცვალა 1946წ. (სინამდვილეში დახვერეთილი იყო 1938 წელს). 1957 წელს გარდაიცვალა ლეონის მეუღლეც, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ელოდა ლეონს და მისი დაპატიმრების შემდეგ გარეთაც კი არ გადიოდა. გარდაცვალების წინ შვილებმა უთხრეს, რომ ლეონი გაათავისუფლეს და როგორც კი მიაგნებენ, თუ სად არის გადასახლებული, დაბრუნდება. ამ იმედით დატოვა ქალბატონმა სუსანამ ეს ქვეყანა.

ბევრი გაჭირვება ნახა ოჯახმა ლეონის დაპატიმრების შემდეგ. მისი ვაჟი იმავე წელს გარიცხეს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. რეპრესირებულები იყვნენ ლეონის უფროსი და ასევე - მისი მომ-



დევნო ძმებიც. ბევრი ერიდებოდა მათთან ურთიერთობას. მაგრამ იყვნენ კეთილი ადამიანებიც. ოჯახის წევრები დღესაც სითბოთი და პატივისცემით იხსენებენ ცნობილ ქირურგს სერგო ხუნდაძეს, რომელმაც არ მიატოვა ოჯახი და ყოველთვის იყო მათთან ჭირსა თუ ღზინში.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## ასათაჰვილი დალი გიორგის ასული ექიმი

დაბ. 1940წ. თელავში. საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა მატანში 1958 წელს და მუშაობა დაიწყო ახმეტის ხის დამამუშავებელ ქარხანაში მუშად. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1965 წელს. იმავე წელს სამუშაოდ გაგზავნეს ყაზახეთში, კოკჩეტავის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. საქართველოში დაბრუნდა 1968 წელს და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრაზე, რომელიც დაამთავრა 1972 წელს. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დატოვეს კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. 1993 წელს იმავე კათედრაზე აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



## ასათაჰვილი გზია გიორგის ასული - ექიმი

დაბ. 1947წ. ახმეტის რაიონის სოფელ მატანში. საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა იქვე, 1964 წელს. ერთი წელი მუშაობდა იმავე სკოლაში ფრანგული ენის მასწავლებლად. 1965 წლიდან სწავლა დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1972 წელს. ერთი წელი მუშაობდა მატანში უბნის ექიმად. 1974 წლიდან



დღემდე მუშაობს რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გასტროენტეროლოგიურ განყოფილებაში.

ჰყავს ოთხი შვილი.

## ასათაჰვილი ნანსი გიორგის ასული - ექთანი



დაბ. 1938წ. ახმეტის რაიონის სოფელ მატანში. საშუალო სკოლა დაამთავრა იქვე, 1957 წელს. 1959 წლამდე მუშაობდა ახმეტის ხეტყის დამამუშავებელ ქარხანაში მუშად. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1963 წელს და იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში ექთნად.

ჰყავს ორი შვილი.

1951 წლის 26 დეკემბერს სამივე და მშობლებთან - გიორგი ასათაჰვილთან და ანა ზუნჯუკაშვილთან ერთად საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილების საფუძველზე გადასახლეს ყაზახეთში. გადასახლების მიზეზი იყო ბატონი გიორგის გერმანელებთან ტყვედ ყოფნა.

ემოციურად იხსენებს ქალბატონი დალი იმ დროს: "1951 წელს საკმაოდ მკაცრი ზამთარი იყო. 26 დეკემბერს, ოთხშაბათს დილით დაახლოებით 5-6 საათზე მატანში ჩვენი სახლის გვერდით დიდი სატვირთო მანქანა "ბუქსაობდა" ყინულზე. მამამ იფიქრა, მეზობელს ხომ არაფერი გაუჭირდაო, ჩაიცივა და გარეთ გავიდა. მალე უკან სამხედროებთან ერთად დაბრუნდა. ჩვენ ტახტზე დაგვსვეს. მახსოვს, მოსულები მამაჩემს რაღაც იარაღზე ესაუბრებოდნენ. ბოლოს, თითქმის ერთ საათში გაჩხრიკეს სახლი და მამას უთხრეს: სახელმწიფოს უნდა მუშათა ქალაქის - რუსთავის დასახლება და ამიტომ იქ უნდა წავიყვანოთ საცხოვრებლად. გარკვევით მახსოვს, რომ როცა საქმიანობის შესახებ იკითხეს ჩემმა მშობლებმა, უპასუხეს, რომ იქაც პედაგოგებად იმუშაებთ და ამიტომ ლიტერატურა წამოიღეთო. მალე ჩვენს სახლთან მოგროვდა მთელი სოფლის მოსახლეობა, აინტერესებდათ ჩვენი შემდგომი ბედი. ვილაცამ თქვა: "შორს მიდიან და თუკი რამე შეგიძლიათ, დაეხმარეთ". ჩვენ საახალწლო ღორი გვყავდა, რომელიც სასწრაფოდ დაკლეს, მეზობელმა ქვრივმა ქალმა კი

თონედან ახლად ამოღებული, გასაყიდად გამზადებული პური მოიტანა, მამაჩემის მამიდა და ბიძაშვილებიც დატრიალდნენ... ჩვენი ბარგი დაყარეს გაყინულ თოვლიან მანქანაზე, ჩვენც იქვე დაგვყარეს. თვალცრემლიანი, დაღვრემილი ვისხედით მანქანაზე და ტკივილით ვემშვიდობებოდით თანასოფლელებს. გურჯაანში ჩავვიყვანეს და იქ ცხოველების გადასაყვან ეშელონში "დაგვაბინავეს". ვაგონი ოთხ სექციად იყო გაყოფილი, თითო სექციაში თითო ოჯახი მოგვათავსეს. ჩვენ მეორე სართულზე ვიყავით ზუთივენი. არავითარი სანტექნიკა, კარებთან კი "ჩასაკვი" სერიოჟა იდგა. ირგვლივ ვერაფერს ვხედავდით. აღარ მახსოვს ზუსტად, 15 თუ 20 დღე მივყავდით გაურკვეველი მიმართულებით, არავინ არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდიდა. შუალამეს სადღაც გაგვაჩერეს, ეშელონს მოაყენეს სატვირთო მანქანები და სადღაც დიდ, ცივ დაწესებულებაში "შეგვასახლეს". მახსოვს უცხო ენაზე მოლაპარაკე და განსხვავებული ხალხი, რა თქმა უნდა, ძალიან შეგვეშინდა. განსაკუთრებით ბავშვებს. ცოტა ხანში თითოეული ოჯახი ცალ-ცალკე მიწურის ტიპის სახლებში განგვათავსეს. ჩვენს სოფელს მახტალა ერქვა. რაც ყაზახურად ბამბას ნიშნავს. ირგვლივ ტრიალი, თოვლით დაფარული მინდორი იყო. სოფელში 20-25 ქართული ოჯახი დაასახლეს. მინდორში გამხმარ ბალახებს და ბამბის ძირებს ვაგროვებდით ცეცხლისთვის. ღამე ქურდულად ვაგროვებდით წიკებებს, რომელთაგან მამამ საწოლები გამართა. ადგილობრივი მოსახლეობა "შეშად" გამხმარ ნაკელს ხმარობდა. თავის გასატანად ბამბას ვთოხნიდით, ვკრეფდით ბამბას და კაუჩუკის თესლს. მამასთან ერთად ბავშვები რალაც ბიუჯეტს ვქმნიდით. თუკი რამე გვექონდა წაღებული სათამოშოებით დაწყებული, პატეფონით გათავებული - ყველაფერი გავყიდეთ. გვეხმარებოდა მამას ფრონტის მეგობარი, ტრაქტორისტი ალექსი მჭედლიშვილი, რომელიც ზოგჯერ ნავითთ ვეამარაგებდა. წყალი მიწიდან ამოთხრილი ორმოებიდან ამოგვექონდა, ვადულებდით და ისე ვხმარობდით. ბინაში ზოგჯერ ცივისისხლიანი ცხოველებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. რამდენიმე ოჯახმა მძიმე ავადმყოფობის გამო ახლობლები დაკარგა, არავითარი სამედიცინო სამსახური ჩვენთვის არ არსებობდა. იმ გაჭირვებაში დაგვებადა აზრი, ექიმები გავმხდარიყავით.

მე და ჩემი უფროსი და ჩვენი სახლიდან 7-8 კილომეტრით დაშორებულ რუსულ სკოლაში ფეხით დავდიოდით. ენის ბარიერის გამო ბევრი რამ არ გვესმოდა, მაგრამ რალაცას მაინც ვსწავლობდით. ჩვენთან ერთად იყვნენ თათრები, ყარაჩაელები და გერმანელები.

ქართველი მამაკაცები ხშირად იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ, ღარ-

წმუნებული იყვნენ, რომ სტალინმა არაფერი იცოდა და, რომ მხოლოდ სტალინი გეიხსნიდა ამ გაჭირვებისგან. საქართველო და სტალინი იყო ჩვენი საოცნებო სიტყვა. 1953 წლის 5 მარტს, როდესაც გავიგეთ სტალინის სიკვდილის შესახებ, საქართველოში დაბრუნების ყოველგვარი იმედი დაკარგეთ. თავი, როგორც რობინზონ კრუზოს, უკაცრიელ კუნძულზე გვეგონა.

1953 წლის მაისში დაებრუნდით საქართველოში. ნანსის თანაკლასელები უკვე მეცხრე კლასში იყვნენ, ჩემი კი - მერვეში. ჩვენ, ფაქტობრივად, ორი წელი დაკარგეთ, მაგრამ სკოლის დირექტორის, ქალბატონი ვერიკო გურიელის დახმარებით, ექსტერნად ჩაებარეთ გამოცდები. რითაც ერთი წელი მოვიგეთ".

## ასათიანი ბრამიტონ ჰლატონის (ყაფლანის) ძე - ექიმი



დაბ. 1895წ. ლეჩხუმში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1924 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. კარგი ვოკალური მონაცემების მქონე, იმავდროულად სწავლობდა კონსერვატორიაში (დაასრულა სამი კურსი). 1924-31 წლებში მუშაობდა პათანატომიის კათედრაზე პოფ. ვ. ფლენტან, 1931 წელს გადავიდა მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე (კათედრის გამგე ბ. ლოლობერიძე) ორდინატორის თანამდებობაზე. 1935 წლიდან ასისტენტია.

1937 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1941წ. - სადოქტორო. მინიჭებული ჰქონდა პროფესორის წოდება.

1945-49 წლებში განაგებდა პათანატომიისა და მეანობა-გინეკოლოგიის კათედრებს დაღესტნის სამედიცინო ინსტიტუტში, საიდანაც გადაიყვანეს სოხუმში, აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის მთავარ გინეკოლოგად.

1951 წლის 26 დეკემბერს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის № 4893 - 2113 დადგენილების საფუძველზე, მეულესთან ერთად გადაასახლეს ყაზახეთში (დაპატიმრებისა და გადა-

სახლების შესახებ იხ. ასათიანი (ბოკერია) ქეთევან ღიმიტრის ასული).

დაბრუნდა გადასახლებიდან სტალინის გარდაცვალების შემდეგ და პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა თბილისში, მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში სამეანო განყოფილების ხელმძღვანელად.

გარდაიცვალა 1979 წელს.

## ასათიანი (ბოკერია) ქეთევან ღიმიტრის ასული - ექიმი

დაბ. 1893წ. ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1924 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (მისი შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემები არ მოგვეპოვება).



1951 წლის 26 დეკემბერს მეუღლესთან - გრამიტონ ასათიანთან ერთად გადაასახლეს ყაზახეთში. გადასახლების მიზეზი კი იყო მათი ვაჟის, ექიმ გედონ ასათიანის ემიგრაციაში ყოფნა. ქალბატონ რუსუდან ძიძიგურის ცნობით, გედონი მეორე მსოფლიო ომის დროს გივი გაბლიანთან და დათა ჩხარტიშვილთან ერთად გაიწვიეს ფრონტზე, სადაც ჩაეარდა ტყვედ. ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ტყვედამყოფი, რეპრესიებისგან თავის დასაღწევად, გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მუშაობდა ექიმად და ღიდ წარმატებებსაც მიაღწია. მშობლების უსაფრთხოების მიზნით გაწყვიტა მათთან ყოველგვარი ურთიერთობა. ამიტომ ქალბატონმა ქეთევანმა და ბატონმა გრამიტონმა დანამდვილებით ისიც კი არ იცოდნენ, მათი შვილი ცოცხალი იყო თუ არა. გადასახლებით კი დადგინდა, რომ გედონი (გედე) ცოცხალია და იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მშობლების სიხარული იმდენად ღიმილი იყო, რომ იგი ვერ დაჩრდილა უცხო მხარეში გადასახლებამაც კი.

მეუღლეების დაპატიმრების ზოგიერთ დეტალს იხსენებს იმ დროს მათი მეზობელი სოხუმიდან, ბატონი ალექსანდრე ბერიშვილი.

მისი გადმოცემით, ბატონი გრამიტონი დააპატიმრეს 26 დეკემბერს, გათენებისას. ქალბატონი ქეთევანი იმ დროს იმყოფებოდა თბილისში და უნდა დაბრუნებულიყო 26-ში დილით. როგორც ჩანს, ეს კარგად იცოდნენ "ჩეკისტებმა" და ელოდებოდნენ მას საცხოვრებელ სახლთან. ბატონი ალექსანდრე, რომელიც დახვდა ქეთევანს სოხუმის სარკინიგზო სადგურში, იხსენებს, რომ ქალბატონი ქეთევანი დააპატიმრა "ჩკ"-ს ორმა თანამშრომელმა ბინაში შესვლამდე. აუხსნეს გარემოება, ცოტა ხანი მისცეს მომზადებისთვის და წაიყვანეს სადგურში. სადაც იღვა სპეციალური ეშელონი, რომელშიც ელოდებოდა მომღიმარი მეუღლე - მათი შვილი ზომ ცოცხალი იყო.

დაბრუნდნენ ყაზახეთიდან სტალინის გარდაცვალების შემდეგ. მოგვიანებით შესაძლებლობა მიეცათ ენახათ ერთადერთი შვილი. ჯერ ბატონი გრამიტონი გაემგზავრა მასთან შეერთებულ შტატებში, შემდეგ - ქალბატონი ქეთევანი. სამწუხაროდ, ხანგრძლივი არ აღმოჩნდა ოჯახის სიხარული. უკურნებელმა სენმა შეიწირა გედეონის სიცოცხლე. დედამაც 1973 წელს იქვე დაასრულა ცხოვრება. ქალბატონ რუსუდან ბოკერიას გადმოცემით, გედეს მეუღლემ - მოწესრიგებულმა გერმანელმა ქალმა, გრამიტონ ასათიანს თბილისში გამოუგზავნა ურნები შვილისა და მეუღლის ფერფლით, რომლებსაც ბატონმა გრამიტონმა სამუდამო სასუფეველი მიუჩინა ვერის სასაფლაოზე (რ. ძიძიგური - "თავს ნებას ვაძლევ", თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

## ასირ მანუშელ ხანი - სტომატოლოგი.

დაბ. 1887წ. თავრიზში. დააპატიმრეს თბილისში (ჭონქაძის №11), 1938 წლის 7 მარტს. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1940 წლის 11 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-6 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (საარქივო საქმე № 14213-60).

## ასრიპაკოვი ერვანდ მიხეილის ძე - ექიმი

დაბ. 1898წ. ქ. ნუხში, კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან. დაპატიმრებამდე მუშაობდა სსრკ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამედიცინო სასწავლების სამმართველოს უფროსად.

გამოძიებამ ბრალად წაუყენა ანტისაბჭოთა მემარჯვენეთა ორგანიზაციის წევრობა, აქტიური დივერსიულ-მაწებლური საქმიანობა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მზადება (მომხსენებელი კრიმინანი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით. თავი დამნაშავედ არ ცნო (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10647, ოქმი № 44, 10,11,37. ფ. 87). განაჩენი აღსრულდა 1937 წლის 12 ნოემბერს.

## აუსტრინა ოლღა მარტინის ასული - ექიმი

დაბ. 1900წ. სოხუმში. უპარტიო. დააპატიმრეს ბათუმში, 1941 წლის 15 ოქტომბერს.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1942 წლის 6 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 18075-60).

## აფხაზავა ნოე მიხეილის ძე - ექიმი

დაბ. 1894წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. არჩეულში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოფ. ჯუმათში ფერშლად.

დააპატიმრეს 1930წ. და იმავე წელს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. სასჯელს იხდიდა ყაზახეთის რესპუბლიკაში, სადაც მუშაობდა სპეციალობით. შემდეგ დაამთავრა ყაზანის სამედიცინო ინსტიტუტი და



საცხოვრებლად დარჩა აკმოლინსკში. მუშაობდა ტუბდისპანსერში ექიმად. საქართველოში ნათესავეებთან კავშირი არ გაუწყვეტია სიცოცხლის ბოლომდე. გარდაიცვალა 1950 წელს. მის საქართველოში გადმოსასვენებლად აკმოლინსკში ჩასულ ნათესავეებს საზოგადოებამ მიმართა თხოვნით ცხედარი დაეტოვებინათ ადგილზე, რადგანაც თვითონაც თვლიდნენ თავს ჭირისუფლებად.

## **ახვლედიანი ამბროსი (ჭიჭიკო) სოლომონის ძე - ექიმი**

დაბ. 1887წ. ვანში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ვანის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. ხარკოვის უნივერსიტეტისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აღზრდილი - დაამთავრა 1934 წელს. თერაპევტი. დაპატიმრეს 1937 წლის 10 მარტს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის დადგენილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-10) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (საარქივო საქმე № 8823-59).

## **ახვლედიანი ონისიმი არჩილის ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1886წ. ვანში. ყოფილი სოციალ-ფედერალისტი, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით. დაპატიმრებამდე მუშაობდა ვანის აფთიაქში. დაპატიმრეს იქვე, 1937 წლის 5 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობა, მენშევიკების არალეგალური ორგანიზაციის წევრობა, ანტისაბჭოთა აგიტაცია საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ (იყო განკულაკებული). ძიებამ ჩათვალა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშ პიროვნებად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 29 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 31057, ოქმი № 78-2, 29.12.37, ფ. 45).



## ახოგაქა ნინა ვასილის ასული

დაბ. 1905წ. შორაპნის მაზრის სოფ. კულაშში, სკკპ (ბ)-ის წევრი 1927-1937 წწ. დაპატიმრებამდე მუშაობდა ადგილობრივი მედსანშრომის პროფკავშირის თავმჯდომარედ. დააპატიმრეს 1937 წლის 21 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა:

პირადი კავშირი კულაშის სასოფლო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარე ბესარიონ კილაძესთან - მემარჯვენეთა დივერსიულ-მაკინებლური ორგანიზაციის წევრთან. ძიების მტკიცებით, მონაწილეობდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქმიანობაში და ეხმარებოდა რეპრესირებულ, ე.წ. ხალხის მტრების ოჯახებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 27294, ოქმი № 77-1, 28.12.37, ფ. 88).

## ზაბრატონი ივანე გიორგის ძე - ექიმი

დაბ. 1881წ. ხაშურის რაიონის სოფ. ფცაში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა გორის რკინიგზის საავადმყოფოში ექიმად. დააპატიმრეს 1937 წლის 26 ოქტომბერს.

გამოძიების მტკიცებით, იყო რა გაბოროტებული საბჭოთა ხელისუფლებაზე მიწების ჩამორთმევის გამო, სისტემატურად ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ. აქებდა მენშევიკებს, განსაკუთრებით, კონტრრევოლუციონერ ნ. ჟორდანას და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაეცემა (მომხსენებელი აბგაროვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერეთა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 21861, ოქმი № 55, 28.11.37, ფ. 6). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 1938 წლის 2 სექტემბერს.

## ბაიზუსაშვილი სპირიდონ მიხეილის ძე

დაბ. 1902წ. თბილისში, ცოლშვილიანი, კპ(ბ)-ის წევრი 1927 წლიდან. დაპატიმრებამდე მუშაობდა კურორტ აბასთუმნის დირექტორად.

ძიების მიხედვით, იყო რა კონტრრევოლუციური, ტერორისტული. დივერსიულ-მაკინებლური ორგანიზაციის აქტიური წევრი, ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას სახელმწიფო ვაჭრობაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანდაცვის სისტემებში, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის დისკრიმინაციას და მოშლას, ხელს უშლიდა კურორტ აბასთუმანში სააღმშენებლო-სარემონტო სამუშაოებს და ამზადებდა დივერსიულ აქტებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-8, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10365, ოქმი № 43, 09.11.37, ფ. 57). განაჩენი აღსრულდა 1937 წლის 10 ნოემბერს.

## ბარისი იანი თომას ძე - ფერშალი

დაბ. პოლონეთში, 1876 წელს. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში. დაპატიმრეს 1932 წლის 15 დეკემბერს.

ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასამართლო კოლეგიის 1933 წლის 29 ივლისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-6 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. (საარქივო საქმე № 7844-69).

## ბარკალაია ვიქტორ მაქსიმეს ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1887წ. სენაკის რაიონის სოფ. ბეთლემში, უპარტიო. ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის აღზრდილი. დაპატიმრებამდე მუშაობდა აფხაზეთის ასსრ სააფთიაქო სამმართველოში ფარმაცევტად, ლაბორატორიის გამგედ. დაპატიმრეს სოხუმში, 1937 წლის 9 ოქტომბერს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსე-

ბული სამეულის 1937 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (სამეულის დადგენილებაში მითითებული არ არის სათანადო კონკრეტული მუხლი. დანაშაული განსაზღვრულია მხოლოდ ზოგადად, როგორც კონტრრევოლუციური. ავტ.). იგი, როგორც ყოფილი მესაკუთრე (მითითებული არ არის რისი), დაადანაშაულეს "ყოფილ ხალხთან" და "სოციალურად უცხო" ელემენტებთან კავშირში და მათთან საუბრების დროს "ანტისაბჭოთა განწყობილების" გამოხატვაში, რაშიც ვ. ბარკალაიამ თავი დამნაშავედ არ ცნო. ბრალდება ეყრდნობოდა აგენტურული წყაროების "Шальной", "Болтливый" და "Аянов"-ის საიდუმლო მონაცემებს, რომლებიც, როგორც შემდეგ გაირკვა რეაბილიტაციის დროს, გადამოწმებული არ ყოფილა (უიცსა ფონდი 498, ანაწ. 4, საქ. 1892, გვ. 5).



ბარკალაიას დაპატიმრების შემდეგ დარჩა მეუღლე და ოთხი შვილი. ოჯახი გაასახლეს ბინიდან და საცხოვრებლად გამოუყვეს ერთი ოთახი. დაპატიმრების დროს აღწერეს ნივთები, მაგრამ წაიღეს მხოლოდ სანადირო თოფები და სხვა სამონადირო ნივთები.

ოჯახმა ბატონი ვიქტორის ამბავი გაიგო შემთხვევით 1947წ. სოხუმელი სასულიერო პირისაგან, რომელიც გადასახლებაში იყო ვ. ბარკალაიასთან ერთად. მისი მონაყოლით, ვ. ბარკალაიამ ბანაკში გამოაცხადა შიმშილობა, უარი თქვა ხის ჭრის სამუშაოზე და მოითხოვა სამუშაო პროფესიის მიხედვით. ოფიციალური ცნობის თანახმად გარდაიცვალა სულ მალე, 1938 წ 28 მაისს, ფილტვების ანთებით. რეაბილიტირებული იყო 1998 წელს.

## ბაქრაძე აკაკი დიმიტრის ძე - ექიმი

დაბ. 1882წ. ტყიბულის რაიონის სოფ. ძმუისში. ცოლშვილიანი, 1917 წლიდან ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ფოთში და მუშაობდა იქვე ექიმ-რენტგენოლოგად. დაპატიმრეს 1937 წლის 3 ოქტომბერს.

ბრალად ედებოდა, რომ სისტემატურად გამოთქვამდა უკმაყოფილებას პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების მიმართ, რომ მისი გამონათქვამები იყო ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური ხასიათისა, რომ შეგნებულად ცდილობდა ჩაეშა-

ლა ფოთის საავადმყოფოს რენტგენოლოგიური კაბინეტის მუშაობა და ამით გამოეწვია საავადმყოფოს თანამშრომლებისა და ავადმყოფების უკმაყოფილება ხელისუფლებისადმი (მომხსენებელი კვირაია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით ა. ბაქრაძის საქმე განსახილველად გადაეცა სპეცკოლეგიას, რომელმაც 1938 წლის 14 მარტის დადგენილებით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. 1939 წელს უზენაესი სასამართლოს დადგენილებით საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

(სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 22367, ოქმი № 95-2, 13.12.37. ფ. 116).

## **გაგუთოვი ვლადიმერ დავითის ძე - ექიმი-სტომატოლოგი**

დაბ. 1891წ. სიღნაღის მაზრის სოფ. დედოფლისწყაროში, უპარტიო. დააპატიმრეს 1937 წლის 15 ოქტომბერს თბილისში, სადაც იმყოფებოდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მეორე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში.

როგორც ყოფილ თეთრგვარდიელს, ბრალად ედებოდა, რომ ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და მონაწილეობდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ გატარებულ დამსჯელ ღონისძიებებში (მომხსენებელი კოლესნიკოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 14 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-13) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეჭა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10984, ოქმი № 46-2, 14.11.37, ფ. 73). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 15.11.1937 წ.

## **გაგუთოვი ვატრა დავითის ძე - კბილის ტექნიკოსი**

დაბ. 1887წ. თბილისში. უპარტიო. დააპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში (ნინოშვილის ქ. №14). დააპატიმრეს 1931 წლის 8 ივლისს.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კო-

ლეგის განსაკუთრებული სათათბიროს 1931 წლის 22 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-13 მუხლით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 27259-61).

## ბელახიანი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე - ექიმი

დაბ. 1897წ. თბილისში. უპარტიო, 1925 წლიდან მსახურობდა წითელ არმიამი. დაპატიმრების დროს იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო პოსპიტლის ექიმი. მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი იმ კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული ორგანიზაციისა, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს განახორციელეს კიროვის მკვლელობა და შემდგომ, 1934-37 წლებში, ამზადებდნენ ახალ ტერაქტებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების გასანადგურებლად, რომ თბილისის სამხედრო პოსპიტალში ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას. სამხედრო მოსამსახურეთა მკურნალობის გაუარესებით ცდილობდა მათი უკმაყოფილების გამოწვევას და ამით საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას.

თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი კერვალიშვილი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15827, ოქმი № 120, 09.10.38, ფ. 8).

## ბარაქიანი ბესარიონ იოთამის ძე - ექიმი

დაბ. 1875წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ზენობანში. სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში და თბილისის საფერშლო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში ფერშლად. რამდენიმე წლის შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. თბილისში დაბრუნების შემდეგ კვლავ დაიწყო მუშაობა რკინი-



ნიგზის საავადმყოფოში, ამჯერად - ქირურგად. 1951წ. 26 დეკემბერს, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951წ. 29 ნოემბერის № 4893-2113 დადგენილებით, ოჯახთან ერთად გადაასახლეს ყაზახეთში, კიროვის რაიონში ბამბის საბჭოთა მეურნეობის - "ოქტომბრის 30 წელი" დასახლებაში. ოჯახის ერთი ნახევარი (თავად ბესარიონი, ქალიშვილი თამარი, სიძე დავით ხირსელი და შვილიშვილი მარიამ ხირსელი (7 წლის) გაასახლეს თბილისიდან, ხოლო ოჯახის მეორე ნახევარი - ბესარიონის მეუღლე კესარია კეკელიძე, შვილი ნინო და სამი შვილიშვილი, სოფ. ზენობანიდან, სადაც იმყოფებოდნენ დროებით. ოჯახი გაერთიანდა ყაზახეთში. ბატონი ბესარიონი იქ მძიმედ დაავადდა (სისხლის ჩაქცევა თავის ტვინში) და ვეღარ შეძლო მუშაობა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ოჯახის მდგომარეობა.

გასახლების მიზეზი გახდა 1929 წელს საფრანგეთში ემიგრირებული უფროსი ვაჟი შოთა ბერეჟიანი, რომელთანაც ოჯახს კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა. საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, შოთა ბერეჟიანი მეორე მსოფლიო ომის დროს მიემხრო გერმანელებს და გახდა მათი მზვერავი. გარდა ამისა, ცდილობდა ქართველი ტყვეების გადაბირებას (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს განჩინება № 664 23.03.56).

ბ. ბერეჟიანის მეორე ვაჟი ივანე კი იბრძოდა საბჭოთა არმიაში, მაგრამ ომის შემდეგ არ დაბრუნებულა - ოჯახს შეატყობინეს, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ომის შემდეგ, 1952 წელს, შინ დაბრუნდა მხოლოდ მესამე ვაჟი დიმიტრი, რომელიც მალე უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა.

ოჯახი ყაზახეთიდან საქართველოში დაბრუნდა 1954 წელს. ბ. ბერეჟიანი დასახლდა მშობლიურ სოფელ ზენობანში, სადაც გარდაიცვალა 1957წ.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## პირია გეგლარ ბასას ქა - ფარმაცევტი

დაბ. 1881წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ნაფიჩხევში. საშუალო განათლებით, კპ(ბ)-ის წევრი 1905 წლიდან (გარიცხული კონტრრე-

ვოლუციური საქმიანობის გამო). დაპატიმრების დროს უმუშევარი. პარტიიდან გარიცხვამდე იყო საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი.

ბ. ბერიამ, თვლიდა რა, რომ პარტიიდან გარიცხული იყო უსამართლოდ, რამდენიმეჯერ მიმართა განცხადებით პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად ლ. ბერიას. ერთ-ერთ ასეთ განცხადებაზე გაჩნდა ლ. ბერიას რეზოლუცია: “შინსახკომს, ამხ. გოგლიძეს. იგი უნდა დააპატიმროთ”.

დააპატიმრეს კიდეც... და ბრალად წაუყენეს, რომ სააფთიაქო სამმართველოში ეწეოდა კონტრრევოლუციურ-ძირგამომთხრელ მუშაობას, შემოიკრიბა უცხო ელემენტები - კომბინატორები და მავნებლები, რომელთა საშუალებითაც ეწეოდა მავნებლურ-ძირგამომთხრელ საქმიანობას საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს მთელ სისტემაში. შედეგად სრულიად მოშალა სისტემა და სახელმწიფოს მიაყენა 252000 მანეთის ზარალი. ნაცნობებში საუბრობდა უკანასკნელ ხანს მიმდინარე დაპატიმრებების შესახებ (მომხსენებელი ოდიშარია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წ 5 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 12760, ოქმი № 81, 05.01.38, ფ. 4). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938წ. 8 იანვარს.

## ბერიშვილი ოლღა (ოლია) ნესტორის ასული - ექიმი

დაბ. 1896წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. სურებში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრის ნესტორ ბერიშვილის ოჯახში. დედა - მართა რამიშვილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის და. იზრდებოდა ბიძებთან - ნოე რამიშვილთან თბილისში და დავით რამიშვილთან ბათუმში. თბილისში სწავლობდა ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში. 1915 წელს იქორწინა ხარკოვის უნივერსიტეტის



ახალკურსდამთავრებულ ექიმ ვლადიმერ ხვედელიძესთან, რომლის-განაც შეეძინა ორი ვაჟი: ბორისი - შემდგომ მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და გივი - შემდგომ მედ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი, ჟურნალისტი.

1926 წელს. უკვე ორი შვილის დედამ, სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1931 წელს და 1933 წლამდე მუშაობდა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ორდინატორად, შემდეგ ქალაქის მეცხრე პოლიკლინიკაში უბნის ექიმად. 1938 წლიდან 1977 წლამდე კი (გადასახლებაში ყოფნის პერიოდის გამოკლებით) გამომცემლობა "კომუნისტის" კომბინატის ჯანპუნქტის გამგედ.

1951 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 15 აპრილის გადაწყვეტილებით, ქალბატონი ოლია უკვე დაოჯახებულ ორივე შვილსა და რძლებთან ერთად გადასახლეს ყაზახეთში, სამხრეთ ყაზახეთის ოლქის დაბა აბაი-ბაზარში, შემდეგ - სარიაგაჩში. გადასახლების მიზეზი იყო მისი ძმა - მამია ბერიშვილი (საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომი საქართველოს საპატიო მოქალაქე) და ბიძაშვილი - აკაკი ნოეს ძე რამიშვილი, რომლებიც იმჟამად ცხოვრობდნენ პარიზში. ამავე მიზეზით, სოფ. შუა რეხიდან გადასახლეს ქალბატონი ოლიას დედა - მართა რამიშვილი, იმხანად 85 წლის, უსინათლო (გარდაიცვალა ყაზახეთში).

აბაი-ბაზარშიც და სარიაგაჩშიც ქ-ნი ოლია მუშაობდა სპეციალობით. დაბრუნდა თბილისში ოჯახთან ერთად 1954 წელს. რეაბილიტირებული იყო 1955 წელს. გარდაიცვალა 1981 წელს.

## ბერძენიშვილი შალვა ივანეს ძე - ექიმი



დაბ. 1892წ. გორის მაზრის სოფ. შინდისში. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო კიევში - 1917 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, მერვე პოლიკლინიკის მთავარ ექიმად, უპარტიო. დააპატიმრეს თბილისში 1942წ. 18 დეკემბერს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1943 წლის 1 ივლისს, საქართველოს სის-



ხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა (საგამოძიებო საქმე № 3584, საარქივო საქმე № 12212).

სასჯელს იხდიდა თბილისში შრომა-გასწორების ბანაკში. 1946 წელს გაათავისუფლეს პირობით, თბილისში ცხოვრების უფლების აკრძალვით. მუშაობდა გუჯარეთში, შემდეგ - წალვერში.

დაპატიმრებამდე ბატონ შალვას ჰყავდა მეუღლე - იულია ივანჩენკო - ეკონომისტი და ორი ქალიშვილი: ნინო - შემდგომ ექიმი და ნათელა - შემდგომ ქიმიკოსი.

გარდაიცვალა 1951 წელს.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს 1958 წლის 21 მაისის დადგენილებით საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

## **ბინიაშვილი პალვა ილიას ქა**

დაბ. 1894წ. თბილისში, კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი. მცხოვრები ქუთაისში. დაპატიმრებამდე მუშაობდა კურორტ წყალტუბოს დირექტორად.

გამოძიების მტკიცებით, შ. ბინიაშვილი ქუთაისის პარტიული კომიტეტის პასუხისმგებელ ინსტრუქტორად მუშაობის დროს, 1934 წელს, კონტრრევოლუციურ, მავნებლურ, დივერსიულ-ტერორისტულ ორგანიზაციაში საქმიანობისათვის გადაიბირა კორსაველმა. ამ უკანასკნელის დავალებით შ. ბინიაშვილი ქუთაისის რაიონში ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ საქმიანობას, ორგანიზაციაში იზიდავდა ახალ წევრებს და მალე გახდა მისი ხელმძღვანელი (მომხსენებელი დემუროვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 24 იანვრის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 27111, ოქმი № 84, 24.01.38, ფ. 85).

## **პოკერია პოლიკარპე ბრიგოლის ქა - პროვიზორი**

დაბ. 1880წ. სოფ. ონტოფოში. ყოფილი მენშევიკი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ბაკურციხის აფთიაქში. დააპატიმრეს ბაკურციხეში

1937 წლის 21 ივლისს.

წარდგენილი ბრალდებით პ. ბოკერია, იყო რა მტრულად განწყობილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ბაკურციხეში ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას. ჰქონდა მჭიდრო კავშირი "ბანდელემენტ" ჩოლოყაშვილთან. მისი ბინის ჩხრეკის დროს აღმოჩენილი იყო მენშევიკური და ტროცკისტული ხასიათის პროკლამაციებით სავსე ჩემოდანი და ერთი ათვაზნიანი თოფი.

ბოკერია პირველად დაპატიმრებული და მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში როგორც 1924 წლის აჯანყების მონაწილე. იგი მაშინ მოხვდა დასახვრეტთა სიაში, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 21299, ოქმი № 2, 15.08.37, ფ. 72).

გამოტანილი განაჩენის შესახებ ოჯახს არ შეატყობინეს. ოფიციალური ცნობა, რომელშიც სიკვდილის მიზეზად დასახელებული იყო მუცლის ტიფი, ოჯახმა მიიღო 1946 წელს.

რეაბილიტირებული იყო 03.10.1956 წელს.

## ბოკუჩავა გალაქტიონ აკაკის ძე - ექიმი



დაბ. 1919წ. აბაშის რაიონის სოფ. საბოკუჩავოში. თბილისის მეოთხე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. მეხუთე კურსიდან მობილიზაციით გაწვეული იყო ჯარში. მსახურობდა ექიმად სევასტოპოლის №388 მსროლელთა დივიზიაში. 1942წ. იქვე ჩავარდა ტყვედ. 1942 წლის სექტემბერში ჩარიცხეს "ქართულ ნაციონალურ ლეგიონში" და დანიშნეს მესამე ბატალიონის უფროს ექიმად, ლეიტენანტის წოდების მინიჭებით. ლეგიონის სანი-

ტარულ ნაწილში მსახურობდა 1944წ-მდე, შემდეგ გადაიყვანეს ქტილზიტში ექიმად გერმანულ სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მსახურობდა 1945 წლის აპრილამდე. საბჭოთა ჯარში ე.წ. ფილტრაციის გავლის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ბანაკში ექიმად. თბილისში დაბრუნდა 1947წ. და სწავლა განაგრძო სამედიცინო ინსტი-

ტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსთავის საავადმყოფოში ქირურგად.

1951წ. 16 აპრილს, ქორწინებიდან ორი თვის შემდეგ დააპატიმრეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1951 წლის 19 ივნისს საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საარქივო საქმე № 5953-59, საგამოძიებო საქმე № 4069). სასჯელს იხდიდა ქ. ამურის კომსომოლსკში.

1955წ. 21 მაისს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის №18-06194 წარდგინებით, სასჯელის ვადა შეუმცირა 10 წლამდე, რადგან გაითვალისწინა, რომ გ. ბოკუჩავა ტყვედ ყოფნის პირობებში სამსახურში არ გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტივობით და ეწეოდა მხოლოდ საექიმო საქმიანობას და არ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში (სუსის არქივი, საქმე № 5953-59, ფ. 237).

გ. ბოკუჩავა გათავისუფლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული ამნისტიით, ნასამართლობის მოხსნითა და სამოქალაქო უფლებების აღდგენით.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქალაქის პირველ საავადმყოფოში ქირურგად. შეეძინა ორი ვაჟი: ზურაბი - შემდგომში არქიტექტორი, და მამუკა - მედ. მეცნ. კანდიდატი, ანგიოლოგი. გარდაიცვალა თბილისში 1973 წელს.

## ბოჯგუას იოკიმი პეტრის ძე - ექიმი

დაბ. 1906წ. სენაკის მაზრის სოფ. ზანაში, უპარტიო, მცხოვრები ბათუმში, დაპატიმრებამდე მუშაობდა ექიმად ბათუმის პორტის საზღვაო კარანტინის განყოფილებაში.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი ბათუმში მოქმედი კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ჯაშუშურ-ღივერსიული ორგანიზაციისა, რომელშიც 1935წ. ჩაითრია თავართქილაძემ. ამ უკანასკნელის დავალებით ი. ბოჯგუამ მოაწყო ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის შეხვედრა ბათუმში იტალიური თბომავლით ჩასულ ორ კონტრრევოლუციონერ ემიგრანტთან. ბოჯგუას ჯგუფის ერთ-ერთი წევრი კი, ბოჯგუას ხელშეწყობით, ემზადებოდა აჭარაში ინფექციური სნეულებების (შავი ჭირი, ქოლერა და სხვა) გასავრცელებლად. იმზილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი რომანოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 36896, ოქმი № 110, 28.04.38, ფ.165). განაჩენი აღსრულდა 1938 წლის 6 მაისს.

## გაბუნია იოსებ იაკობის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1896წ. ყოფილი მენშევიკი, 1921-27 წლებში ცხოვრობდა საზღვარგარეთ. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, სააფთიაქო სამმართველოში განყოფილების გამგედ. დაპატიმრეს 1938 წლის 10 მარტს.

ბრალად ედებოდა, რომ საზღვარგარეთ, პრალაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მენშევიკური ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობაში. 1927წ. ესერების ორგანიზაციის მიერ პრალიდან შემოგზავნილი იყო საბჭოთა კავშირში კონტრრევოლუციურ-მავნებლური საქმიანობისათვის, რასაც დაპატიმრებამდე ეწეოდა კიდევ სააფთიაქო სამმართველოს სისტემაში.

თავი დამნაშავედ ცნო ნაწილობრივ. იმზილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ურუშაძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 5 მაისის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14994, ოქმი № 113, 05.05.38, ფ.73).

## გაბუნია მიხეილ სარდიონის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1903წ. სოფ. ბანძაში, კომუნისტური პარტიის წევრობის ყოფილი კანდიდატი 1925 წლიდან. დაპატიმრების დროს უმუშევარი. დაპატიმრეს თბილისში 1937 წლის 29 დეკემბერს კონტრრევოლუციური ტროცკისტული საქმიანობისთვის, კერძოდ - ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში მის მიერ შექმნილი ტროცკისტული ახალგაზრდული ჯგუფის ხელმძღვანელობისათვის. პირველად დაპატიმრებული და გასახლებული იყო ჯერ კიდევ 1929 წელს, მაგრამ ტროცკისტულ საქმიანობას განაგრძობდა გადასახლებაშიც.

დაბრუნების შემდეგ თავის ბინაში მალავდა მის მიერ გადაბირებულ პირებს და კვლავ ეწეოდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ აგიტაციას. დანაშაული აღიარა ნაწილობრივ. იმხილებოდა აგენტურული მონაცემებით (მომხსენებელი მოვსესიანი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 20 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13990, ოქმი № 105, 29.03.38, ფ.4 ).

## **გაბლოევი ალექსანდრე გორისის ძე - ექიმი**

დაბ. 1897წ. გორის მაზრის სოფ. კოშკში. უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა სტალინირში (ცხინვალი), საოლქო საავადმყოფოს გამგედ.

ბრალად ედებოდა, რომ 1930 წლიდან დაპატიმრებამდე იყო ერთ-ერთი უცხოური დაზვერვის აგენტი და ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას. 1936წ. შევიდა სამხრეთ ოსეთის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-დივერსიულ, მკენებლურ ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელთა დავალებით ამუშავებდა ცალკეულ პირებს ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 9 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 23517, ოქმი № 43, 09.11.37, ფ. 9). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1937 წლის 10 ნოემბერს.

## **გაბუა აბრაფენა ილარიონის ასული - ექთანნი**

დაბ. 1912წ. სენაკის მაზრის სოფ. ნოქალაქევი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ნოქალაქევის მეღპუნქტში ექთნად. დაპატიმრეს 1949 წლის 17 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-

13 მუხლით მიუსჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩინა დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდადებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№ 1206-65), გაგუას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## ბალუსტიანი კონსტანტინე ისააკის ძე - ექიმი

დაბ. 1893წ. ბაქოში, უპარტიო. მსახურობდა დენიკინის არმიაში, რომლის განადგურების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. 1926 წლამდე ცხოვრობდა გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, კუნძულ კვიპროსზე. დაპატიმრების დროს მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სანიტარული სამსახურის ლენინაკანის საავადმყოფოში. დაპატიმრეს 1937 წლის 16 ოქტომბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო გერმანიის დაზვერვის აგენტი, რომ 1935 წლიდან გახდა წევრი ანტისაბჭოთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციისა, რომლის ხელმძღვანელთა დავალებითაც ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას რკინიგზელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში (მომხსენებელი კისლევესკი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-10, 58-11) მიუსჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 3511-სსგ, ოქმი № 122, 11.10.38, ფ. 240).

## გარსევანიშვილი თაგარ იასონის ასული - ლაბორანტი

დაბ. 1989წ. გორში. ქმარშვილიანი, ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი. მისი შვილი - შოთა გარსევანიშვილი მსჯავრდადებული იყო 1941 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის (იხ.), ძმა - იოსები დახვერტილი იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სასკოლო ჰიგიენის კათედრაზე უფროს ლაბორანტად.

ბრალად ედებოდა, რომ 1941 წელს გადაბირებული იყო "საქართველოს გათავისუფლების კომიტეტში" სამუშაოდ და თავადაც ხელი შეუწყო ერთი პირის გადაბირებას. დაეხმარა ქ. ახვლედიანს კავშირი დაემყარებინა ქართველ ემიგრანტებთან, რისთვისაც მისცა სარეკომენდაციო წერილი. დავალებული ჰქონდა შეერჩია კომიტეტის წარმომადგენელი გორის რაიონში. მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის დროშის დამზადებაში და დაეხმარა ორგანიზაციის წევრებს ანტისაბჭოთა პროკლამაციების დაბეჭდვაში (მოამარაგა ქალაქით).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1945 წლის 4 აგვისტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10 მეორე ნაწილი, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, სამოქალაქო უფლებების 5 წლით ჩამორთმევა და პირადი ქონების კონფისკაცია (საგამოძიებო საქმე № 212, ფ. 104).

რეაბილიტირებული იყო 1956წ.

## გარსევანიშვილი შოთა დიმიტრის ძე - ექიმი

დაბ. 1919წ. გორში, უპარტიო, დაპატიმრებამდე იყო მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დააპატიმრეს მოსკოვში, 1941 წლის 23 ივნისს.

გამოძიებამ ჩათვალა, რომ შ. გარსევანიშვილი, იყო რა მტრულად განწყობილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, სისტემატურად ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, მიმართულს პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების წინააღმდეგ. გამოთქვამდა უკმაყოფილებას სტუდენტებისათვის სტიპენდიის მოხსნის გამო და ავრცელებდა ჭორებს საბჭოთა სინამდვილეზე.

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1941 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის (მუხლი 58-10) მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (სააარქივო-საგამომიებო საქმე № 923292).

გათავისუფლების შემდეგ შ. გარსევანიშვილმა დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. უკანასკნელად მუშაობდა თბილისში კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის კარდიოქირურგიის განყოფილებაში ექიმ-ანესთეზიოლოგად.

## გეგელაშვილი სიმონ ანტონის ძე - ექიმი

დაბ. 1899წ. სოხუმში, უპარტიო, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ბათუმში. მუშაობდა იქვე ვენდისპანსერის გამგედ.

ძიების მტკიცებით, განწყობილი იყო რა მტრულად საბჭოთა წყობის წინააღმდეგ, არ შეატყობინა ხელისუფლებას მისთვის ცნობილი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და ჩარეული იყო მსხვილ სავალუტო ოპერაციებში (მომხსენებელი ბზი-აშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 23721, ოქმი № 68-1, 16.12.37, ფ. 54).

განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 1937 წლის 22 დეკემბერს.

## გეგელაშვილი იოკიმა ლაზარეს ძე - პროვიზორი

დაბ. 1872წ. უპარტიო. ყოფილი მენშევიკი. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა სოხუმში, მუშაობდა წითელი ჯვრის აფთიაქში პროვიზორად. დააპატიმრეს 1937 წლის ოქტომბერში.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური მენშევიკური ორგანიზაციის აქტიური წევრი და ეწეოდა ჯაშუშურ და მანებლურ საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (მომხსენებელი მარტიროსოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან



არსებული სამეულის 1938 წლის 16 ივნისის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 20310, ოქმი № 82 16.01.38 ფ. 117). ოფიციალური მონაცემებით განაჩენი აღსრულდა 1938 წლის 12 იანვარს.

განაჩენი 1938 წლის 12 იანვარს არ აღსრულებულა!

ი. გეგელაშვილი არ დაუხვრეტიათ იმ "უბრალო" მიზეზის გამო, რომ სამეულის მიერ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოტანის დროს იგი ცოცხალი აღარ იყო.

გეგელაშვილი დაკითხვის დროს მოკლეს ცემით.

ნაწყვეტი გეგელაშვილის საქმის გამომძიებლის გრიგორიადის 1957 წელს მიცემული ჩვენებიდან: "გეგელაშვილს მე პირადად კკითხავდი და დამხმარებებთან ერთად ვცემდი. (ერთ-ერთი) დაკითხვის შემდეგ წაიყვანეს საკანში. ორი დღის შემდეგ ექიმმა აბაკუმოვმა მომახსენა, რომ გეგელაშვილი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ საქმე გატარდა სამეულის სხდომაზე და მიესაჯა დახვრეტა. სამეულის სხდომას ვინ მოახსენა საქმე, არ მახსოვს" (საარქივო-საგამომიებო საქმე № 1676-58, ტომი 8, გვ. 90).

## გეგეჭკორი ნიკოლოზ გიორგის ძე - ექიმი

დაბ. 1891წ. მარტვილში, სასულიერო პირის ოჯახში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1914 წელს. როგორც სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული იმავე წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, გაიწვიეს მოქმედ არმიაში. მსახურობდა ოსმალეთის ფრონტზე. საქართველოში დაბრუნდა ომის დამთავრების შემდეგ და დაიწყო მუშაობა ა/კ რკინიგზის თბილისის საავადმყოფოში თერაპევტად და მალე გახდა რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის მთავარი თერაპევტი. ამ თანამდებობაზე ორგანიზაციულ საქმიანობას უნარიანად უთავსებდა კლინიკურ მუშაობას. კვალიფიკაციის ამაღლებისა და ავადმყოფთა გამოკვლევისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების ასათვისებლად რამდენჯერმე იყო მივლინებული ლენინგრადში სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კლინიკებში. ამავე მიზნით იყო გაგზავნილი გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც გაეცნო ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფების მკურნალობის უახლეს მეთოდებს და ტუბსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, ამ დაავადების სანატორიული მკურნალობის მეთოდებს. შექმნილი გამოცდი-

ლება უნარიანად გამოიყენა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თუმცა აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე იგი დაინტერესებული იყო ამ პრობლემით.

ბატონი ნიკოლოზი იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს კურორტების მშენებების (გარდაჭარბების გარეშე) სანატორიუმ ლიბანის აშენებისა (მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ინჟინრები: გვერდწითელი, დიკი, თუმანოვი). სანატორიუმში გაიხსნა 1927 წლის 27 ნოემბერს და მის პირველ დირექტორად დაინიშნა ბატონი ნიკოლოზი. დიდი იყო ნ. გეგეჭკორის წვლილი მინერალური წყლების "სკურისა" და "ლუგელას" სამკურნალო თვისებების შესწავლისა და გამოყენების საქმეებში. მისი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩა. ძალე ბატონი ნიკოლოზი მიხეილ წინამძღვრიშვილმა მიიწვია სამუშაოდ კათედრაზე, სადაც აირჩიეს დოცენტად. 1933 წელს კი არჩეული იყო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრის გამგედ. 1937 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება. იყო მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის სახელმძღვანელოსი. აქტიურად მონაწილეობდა სიმპოზიუმებისა და ყრილობების მუშაობაში.

უდროოდ, ძალზე ადრე შეწყდა მისი მოღვაწეობა და ცხოვრება. 1938 წლის ზაფხულში წაყენებული ბრალდების მიხედვით "იმზილეობდა, რომ იყო არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი-მონაწილე, პირადად იყო დაკავშირებული უცხოეთში მყოფ ქართველ მენშევიკთა ერთ-ერთ ლიდერთან ევგენი გეგეჭკორთან, ეწეოდა ინტენსიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას და უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მდივან ბერიაზე ტერაქტის მომზადებაში" (მომხსენებელი ღარიბოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით ( სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 8899, ოქმი № 119, 29.09.38, ფ. 176).

იმავე პერიოდში რეპრესირებული იყო ბატონი ნიკოლოზის ძმა - გრიგოლი და მეუღლე - ქალბატონი ეკატერინე კოკაია-გეგეჭკორი, რომელმაც გადასახლებაში გაატარა 10 წელი და საქართველოში დაბრუნდა 1949 წელს.

ოჯახს ნიკოლოზ გეგეჭკორის შესახებ შეატყობინეს, რომ გარდაიცვალა 1940 წელს ტუბერკულოზით (!).

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## გეგიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1888წ. ახალქალაქში. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა საჯავახოში. რევოლუციამდე იქვე ჰქონდა საკუთარი აფთიაქი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იყო იმავე აფთიაქის გამგე. მისი შვილის, ბატონი გრიგოლის, გადმოცემით დააპატიმრეს 1923წ. და რამდენიმე თვე ჰყავდათ ქუთაისის იზოლატორში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისში, მეტეხის ციხეში, სადაც დახვრიტეს, როგორც 1924წ. აგვისტოს აჯანყების მომზადების (!) ერთ-ერთი აქტიური წევრი. აღნიშნული დასტურდება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მიერ 1988 წლის 13 ივლისს გაცემული №16/8 გ-245 ცნობით, რომლითაც მოქ. ალექსანდრე გრიგოლის ძე გეგიძეს საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩკ) დადგენილებით 1924წ. აგვისტოს აჯანყების მომზადებისთვის მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი იმავე წლის აგვისტოში. რეაბილიტირებულია 1992წ. 25 მაისის დეკრეტის პირველი მუხლის საფუძველზე.



შვილის, გრიგოლ გეგიძის გადმოცემით იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერი. დაპატიმრების მიზეზი გამხდარა მისი უარი პრესაში პარტიის კურსის დაგმობაზე. ამხანაგებს შეუთავაზებიათ წასულიყო საზღვარგარეთ ემიგრაციაში, მაგრამ უარი უთქვამს ცოლ-შვილის აწიოკების შიშით.

დაპატიმრების დროს ჰყავდა ვაჟი - გრიგოლი (შემდგომ ექიმი). რეაბილიტირებული იყო 1958 წელს.

## გეგიძე გიორგი გრიგოლის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1889წ. ახალციხის მაზრის სოფ. საროში, კპ(ბ)-ის ყოფილი წევრი, მცხოვრები სამტრედიის რაიონის სოფ. საჯავახოში. დაპატიმრებამდე საჯავახოს აფთიაქის გამგე.

გ. გეგიძემ საჯავახოს ზემოხსენებულ, ადრე ძმის კუთვნილ აფთიაქში გამგედ დაიწყო მუშაობა 1923 წელს მისი ძმის ალექსანდრეს დაპატიმრების შემდეგ და უნარიანადაც უძღვებოდა საქმეს. ძმისშვილის, ალექსანდრეს ვაჟის, ბატონ გრიგოლ გეგიძის გადმოცემით, გიორგის ძმის ობლად დარჩენილი ოჯახისათვის არ მოუკ-



ლია მზრუნველობა – სისტემატურად ეხმარებოდა ყოველმხრივ. მონაწილეობდა სოფლის ყველა ახალ საქმეში. მისი აქტიური მონაწილეობით საჯავახოში აშენდა შეიღწლიანი სკოლა, შემდეგ კი – საშუალო სკოლა. 1934 წელს გაიხსნა იმ დროისათვის კარგად მოწყობილი სასოფლო კლუბი ბიბლიოთეკით. მეტის გაკეთება არ დასცალდა. არ დააცალეს სხვებსაც, რომლებიც გიორგი გეგიძესთან ერთად ცდილობდნენ სოფელში ცხოვრების გალამაზებას. მოკლე დროში დააპატიმრეს 7 კაცი.

გ. გეგიძეს ბრალად ედებოდა, რომ 1935 წლიდან იყო წევრი მენშევიკური მემბოხე ორგანიზაციისა, ესწრებოდა მის არალეგალურ კრებებს და უკანონოდ ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს – 10 შაშხანასა და 2 რევოლვერს, რომლებიც მას შესანახად გადასცა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ე. არღიშვილმა (მომხსენებელი ნადარაია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 8 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა უმალლესი ზომა – დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 21016, ოქმი № 10, 08.09.37, ფ. 91.). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1937წ. 6 ნოემბერს. რეაბილიტირებული იყო 1958 წელს.

## ბელაშვილი გიორგი პავლეს ძე – ექიმი

დაბ. 1900წ. წალვერში (ხაშურში?). საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არმიის ყოფილი ფერშალი. 1928 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია, კპ(ბ)-ის წევრი (გარიცხული დაპატიმრებასთან დაკავშირებით). დაპატიმრებამდე იყო საქართველოს სსრ ჯანდაცვის სახალხო კომისარი. დაპატიმრეს 1937 წლის დეკემბერში.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. "მეიკუთვნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ა/კ სამხედრო ოლქის ნაწილებში მოქმედ კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, ჯაშუშურ სამხედრო ორგანიზაციას, როგორც მისი ხელმძღვანელი-მონაწილე.

2. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარულ სისტემაში ჩამოაყალიბა კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაცია და ხელმძღვანელობდა მის საქმიანობას" (მომხსენებელი რიბოვი). წაყენებული ბრალდება ითვალისწინებდა 58-ე მუხლით (58-7, 58-1, 58-9, 58-11) განსაზღვრულ სასჯელს, მაგრამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულმა სამეულმა 1938წ. 17 იანვრის დადგენილებით საქმე მოხსნა განხილვიდან და გადაგზავნა დამატებითი ძიებისათვის (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13333, ოქმი № 83. 17.01.38, ფ. 82).

დაახლოებით სამი კვირის შემდეგ, 1938 წლის 8 თებერვალს. სამეულმა კვლავ განიხილა გ. გელაშვილის სისხლის სამართლის საქმე. მომხსენებელი ისევ რიაბოვი იყო. განმეორებითი განხილვის დროს პირველად წარდგენილ ბრალდებას დაემატა ჯაშუშური საქმიანობა ინგლისის სასარგებლოდ. ამჯერად სამეულმა თავისი 1938 წლის 2 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-7, 58-9, 58-11) მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (ახალი ბრალდება - ჯაშუშური საქმიანობა, 58-6-ე მუხლი, ახალ განაჩენში აღნიშნული არ იყო. ავტ.). (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13333, ოქმი № 87, 08.02.38, ფ. 148). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 13.02.38წ.

## **გიორგოზიანი ალექსანდრა ივანეს ასული - ექთანნი**

დაბ. 1916წ. რაჭის მაზრის სოფ. ბარში. დაპატიმრებამდე მუშაობდა პოლიკლინიკაში ექთანად. დააპატიმრეს 1949 წლის 17 ოქტომბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი ძალაში დატოვა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭო-

თა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდადებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან. მასთან ერთად გაათავისუფლდნენ ნ. ავაქოვა, ნ. არსენიძე-გიუნაშვილი, ა. გაგუა, რ. გოგოსაშვილი, მ. გულუა, ლ. ზარქუა, ჟ. იმედაშვილი, ს. მესხი, ვ. მიმინოშვილი-დარჩია, ნ. მუჟაანაძე, ლ. ჟორჯოლიანი, ნ. ჭანტურიძე, ე. ჭელიძე, ე. ხურცია.

1950 წელს, სასამართლოზე, ა. გიორგობიანსა და ზემოდასახელებულ 14 ექთანს, როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ბრალი ედებოდათ იმაში, რომ 1942 წელს გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, თავიანთი სურვილით გაწევრიანდნენ "თეთრი გიორგის" ლეგიონში და შევიდნენ ვუსტრავის აგენტ-პროპაგანდისტების მოსამზადებელ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ უნდა შემოეგზავნათ საქართველოში პროპაგანდისტული საქმიანობისათვის. კავკასიაში გერმანული ჯარის დამარცხების გამო, გიორგობიანი და სხვა 14 დასახელებული ექთანი, საბუშაოდ გაგზავნეს საავადმყოფოებში და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

1965 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა სსრკ გენერალური პროკურორის წარდგინებით მიიღო დადგენილება № 1206-65, რომლითაც გაირკვა, რომ დასახელებული განსასჯელები ვუსტრავის სკოლაში ჩაურიცხავთ მათი ნების გარეშე, რომ სკოლაში ასწავლიდნენ მხოლოდ გერმანულ ენას და არ ამზადებდნენ პროპაგანდისტებად. 1943 წლის გაზაფხულზე ყველა მათგანი გაგზავნილი იყო მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებაში სპეციალობით საბუშაოდ. განმეორებითმა ძიებამ მათ ქმედებაში რაიმე ანტისაბჭოთა საქმიანობა ვერ დაადგინა, ამიტომ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით დასახელებული პირების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, მათ ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო შეწყდა წარმოებით (სუსის არქივი, საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

## გიუნაშვილი გიორგი დავითის ძე - ექიმი

დაბ. 1887წ. სიღნაღის მაზრის სოფ. ახალსოფელში. უმაღლესი განათლება მიიღო პოლონეთში - დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და კიევში, სადაც დაამთავრა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ პირველად დაპატიმრებული იყო 1922 ჩკ-ს მიერ, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. განმეორებით დააპატიმრეს 1924 წელს აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის და იმავე წლის სექტემბერში დახვრეტილი იყო საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის (ჩკ) მიერ (სუსის არქივი, საქმე № 5 ტომი № 48, ფ. 73).

მისი ვაჟის, ბ-ნი თენგიზის გადმოცემით, დახვრეტილი იყო ბოლბის მონასტერთან.

## **გლაგოლევა ტატიანა ალექსანდრის ასული - ექთანი**

დაბ. 1909წ. მოსკოვში. უპარტიო, მარტოხელა. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში ექთნად. დააპატიმრეს თბილისში.

გასამართლა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1951 წლის 28-31 იანვარს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10 მეორე ნაწილი, 58-11) მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, ქონების კონფისკაციით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1955 წლის 28 იანვრის დადგენილებით სასჯელი შეუმცირდა 5 წლამდე. იმავე წლის 27 მარტს გაათავისუფლდა ამნისტიით (საარქ. საქმე № 5906).

## **გოგაჩია ერეკლე ევგენის ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1989წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ლეწურწუმეში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოფ. ძველი სენაკის აფთიაქის გამგედ. დააპატიმრეს 1937 წლის 26 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ 1937 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო კამპანიის დროს კოლმეურნეობის წევრებს შორის ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და ზმამალა ამტკიცებდა, რომ ხალხს აიძულებენ აირჩიონ წამოყენებული კანდიდატები. ცდილობდა კოლმეურნეობის დისკრედიტაციას. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი მამულია).

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 2 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით, მიესაჯა თა-

ვისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 31742, ოქმი № 93, 02.03.38, ფ. 13).

## **გოგია ვიქტორ მიხეილის ძე - სტუდენტი**

დაბ. 1912წ. სენაკის მაზრის სოფ. გეჯეთში, უპარტიო. დაპატიმრებამდე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, დაპატიმრეს 1937 წლის 5 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. იმხილებოდა ერთი მოწმის ჩვენებით. საქართველოს სსრ შს სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 13213, ოქმი № 77-1. 28.12.37, ფ. 92).

## **გოგია ვიქტორ მიხეილის ძე - ექიმი**

დაბ. 1895წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ხიდისთავში.

ბრალად ედებოდა, რომ რვა პირთან ერთად იყო წევრი კონტრრევოლუციური მენშევიკური ჯგუფისა, რომელშიც სამოქმედოდ გადაიბირა ჩიგოგიძე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 4 ოქტომბრის დადგენილებით მიესაჯა 10 წლით გასახლება (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 2107, 04.10.37, ფ. 27).

## **გოგოსაშვილი რაისა სტეფანის ასული - ექთანი**

დაბ. 1917წ. ლაგოდეხში. დაპატიმრეს 1949 წლის 5 ნოემბერს. დაპატიმრების დროს იყო პენსიონერი ინვალიდობის გამო.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭო-



თა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდადებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუძვირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№ 1206-65), გოგოსაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულ იქნა (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## **გროზდენკო ალექსანდრა გოლენაჰვის ქა - ექიმი**

დაბ. 1897წ. პეტერბურგში, უპარტიო, კ(ბ)-ის ყოფილი წევრი 1919 წლიდან. გარიცხეს პარტიული წმენდის დროს. დაპატიმრებამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის პოსპიტალში ნერვულ სნეულებათა განყოფილების გამგედ. მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი კონტრრევოლუციური, მემარჯვენე ტროცკისტული, ტერორისტულ-მაკენებლური, სამხედრო, ჯამუშური ორგანიზაციისა, რომელმაც განახორციელა კიროვის მკვლელობა და შემდგომ, 1934-37წწ. ამზადებდა ახალ ტერაქტებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა გასანადგურებლად, რომ ეწეოდა მაკენებლურ საქმიანობას საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერების ძირის გამოსათხრელად.

ადრე ორჯერ იყო დაპატიმრებული - 1918 წელს სამხედრო სამსახურიდან დეზერტირობისათვის და 1921 წელს კრონშტატის ამბოხების მონაწილეებთან შესაძლო კავშირის გამო (მომხსენებელი გულტსი.).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 15836, ოქმი № 120, 9.10.38, ფ. 16).

## გულისაშვილი ნიკოლოზ ბრიგოლის ძე - ექიმი



დაბ. 1902წ. თბილისში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო) ქირურგად. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო თბილისში. 1929წ. დაამთავრა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ჭიათურაში, სადაც შექმნა ოჯახი - იქორწინა ლია წერეთელზე. მალე ჭიათურიდან სამუშაოდ გადაიყვანეს წითელწყაროში. 1936 წელს ოჯახთან ერთად დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის ცენტრალური

კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, შეთავსებით თბილისის საავიაციო ქარხნის (ე. წ. 31-ე ქარხნის) საავადმყოფოში. ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. დამთავრებული ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე "ჩიყვის პრობლემა სევანეთში", მაგრამ დაცვა არ დასცალდა. 1937წ. 8 დეკემბერს დააპატიმრეს ბრალდებით - ჯაშუშობა იაპონიის სასარგებლოდ (!).

საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 29 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-6, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13208, ოქმი № 78-1, 29.12.37, ფ. 12).

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე და ვაჟი - ალექსანდრე (შემდგომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი)

რეაბილიტირებული იყო 1955 წელს.

## გულისაშვილი ნიკოლოზ ზაქარიას ძე - ექიმი

დაბ. 1886წ. თელავის მაზრის სოფ. რუისპირში, უპარტიო, დაპატიმრების დროს მუშაობდა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო სანიტარული განყოფილების უფროსად. უმაღლესი განათლება მიიღო ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტში (დაამთავრა 1913 წელს). იყო საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების განყოფილების გამგე.

ბრალად ედებოდა, რომ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ-ტე-

რორისტულ ორგანიზაციაში შესვლის დღიდან ეწეოდა კონტრრევოლუციურ-მაენებლურ საქმიანობას, მიმართულს სამხედრო-თავდაცვითი ძლიერების შესასუსტებლად, ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების გაერთიანებას (ჯანდაცვის სისტემიდან გადაიბირა 15 პირი) თავად ის კი ორგანიზაციაში სამუშაოდ 1935წ. გადაიბირა საქართველოს სახკომსაბჭოს სპეციალური სამდივნოს მდივანმა, რომელმაც შექმნა დასახელებული ორგანიზაცია წითელი არმიისა და სპეცსამსახურების თანამშრომლებისათვის. გარდა აღნიშნულისა, ნ. გულისაშვილი ორგანიზაციას აკავშირებდა საქართველოს სხვადასხვა რაიონთან. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი მოვსესოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 26 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) განესაზღვრა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13245. ოქმი № 75, 26.12.37, ფ. 10).

## **გულუა მარიამ ეფრემის ასული - ექთანი**

დაბ. 1922წ. ცხაკაიას რაიონის სოფ. თეკლათში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ქ. მიხა ცხაკაიას (დღევანდელი სენაკი) ტუბდისპანსერში. დააპატიმრეს 1949 წლის 25 ოქტომბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუძცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№ 1206-65), გულუას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაუ-

ლის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულ იქნა (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## გურამიშვილი გიორგი

ვასილის ძე - კბილის ტექნიკოსი



დაბ. 1918წ. საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძელში. რეპრესირებული იყო ორჯერ. პირველად დააპატიმრეს 1937წ. ვერ კიდევ სკოლის მოწაფე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ტრიბუნალმა 1943 წლის 1 ივლისს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

ბრალად ედებოდა, რომ იყო საქართველოს ახალგაზრდული ე.წ. ნაციონალურ-სოციალისტური, კონტრრევოლუციური, ფაშისტური ორგანიზაციის წევრი, რომლის მიზანი თითქოს იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყებით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების მიმართ ტერორის განხორციელება. ბრალად ედებოდა ისიც, რომ ორგანიზაციაში იზიდავდა ახალ წევრებს. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული გ. გურამიშვილი ორგანიზაციაში "ჩაითრიეს" თეზო მარმარაშვილმა, ამირან ქრისტოფოროვმა და ალექსანდრე ბურდულმა (უიცსა, ფონლი 498, ან. 4, საქ. № 283, ფ. 44). როგორც შემდეგ (1956წ.) გაირკვა, დასახელებულ პირებს არ გადაუბირებიათ გიორგი და ეს არც შეეძლოთ, რადგან თვითონაც არ ყოფილან ორგანიზაციის წევრები. 1937 წელსვე, ასევე კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დააპატიმრეს და დახვრიტეს გიორგის ძმა ვასილი.

გ. გურამიშვილი სასჯელს იხდიდა ბურიატ-მონღოლეთში, სადაც მუშაობდა ფიზიკურად, შემდეგ კი უფლება მისცეს ესწავლა სტომატოლოგიურ სასწავლებელში (არ ჰყავდათ სათანადო კადრი). მისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა იქვე. ბურიატ-მონღოლეთიდან გადაიყვანეს არხანგელსკში, სადაც ბანაკში მუშაობდა სპეციალობით. 1947 წელს გაათავისუფლეს და დაბრუნდა მშობლიურ პატარძელ-

ში. იქვე დაოჯახდა (მეუღლე - ქეთევან სიბოშვილი), მაგრამ კვლავ არ აცალეს მშვიდობიანი ცხოვრება და 1949 წლის დასაწყისში (15 აპრილს) სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით (საგამოძიებო საქმე № 8657) და ბედის ირონიით (კვლავ 58-10, 58-11 მუხლით) გაასახლეს მუდმივად საცხოვრებლად კრასნოიარსკის მხარეში მდ. ანგარის პირას მდებარე სოფ. კეჟმაში. ერთი წლის შემდეგ გიორგის ჩააკითხეს დედამ - თამარ უსტიაშვილმა და მეუღლემ - ქეთევან სიბოშვილმა, რომელსაც შვილი ჯერ არ ჰყავდა გიორგისგან. ქალბატონი თამარი მალე იძულებული გახდა წამოსულიყო საქართველოში. ოჯახიდან შეატყობინეს, რომ დააპატიმრეს ოჯახის კიდევ ერთი წევრი - გიორგის და, მარიამი. ქალბატონი ქეთევანი კი დარჩა მეუღლესთან და გაინაწილა მისი მძიმე ზვედრი. გადასახლებაში ახალგაზრდებს შეეძინათ სამი შვილი: ტარიელი (1951) - შემდგომში მოქანდაკე, ოლა (1952) - შემდგომში გერმანული ენის სპეციალისტი და თამარი (1954) - ბიოლოგი.

გ. გურამიშვილი გაათავისუფლეს 1954წ. ოჯახი საქართველოში დაბრუნდა 1956 წელს. რეაბილიტირებული იყო ერთი წლის შემდეგ. გარდაიცვალა 1986წ. გაზაფხულზე.

## **გურბენიკა სტაფანა ონისიძეს ქმ - ფერშალი**

დაბ. 1885წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. სუფსაში. მცხოვრები ზუგდიდის რაიონის სოფ. ანაკლიაში. ყოფილი მენშევიკი, ყოფილი კკ(ბ)-ის წევრი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ანაკლიის საბავშვო კურორტის გამგედ.

ბრალად ედებოდა, რომ მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ სადამსჯელო ექსპედიციაში. 1929 წელს მოტყუებით შევიდა კომუნისტურ პარტიაში, საიდანაც გარიცხეს 1935 წელს. პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს გაირკვა, რომ 1928-29 წლებში იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ანაკლიაში მოქმედი კონტრ-რევოლუციური, ტროცკისტული ორგანიზაციისა, რომლის წევრებსაც მიზნად ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებით (მომხსენებელი კაკულია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ქონების კონფისკა-

ციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 8832, ოქმი № 65-3, 13.12.37. ფ. 16) განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 30.12.37წ.

## **დანდუროვი გარეგინ ალექსანდრეს ძე - ექიმი**

დაბ. 1880წ. თბილისში, მონარქისტული პარტიის ყოფილი წევრი. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო შვეიცარიაში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მე-12 სანიტარული უბნის უფროსად.

ბრალად ედებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის საქმიმო-სანიტარული სამსახურის სისტემაში მოქმედი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობა. ანტისაბჭოთა აგიტაცია და მკენებლური საქმიანობა (მომხსენებელი კისლევსკი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე №-4264 სსგ, ოქმი №122, 11.10.38, ფ. 239).

## **დარახველიძე ალიმ ძეგის ძე, იგივე გაბრიელ ივანეს ძე**

დაბ. 1889წ. რაჭის მაზრაში. დაპატიმრებამდე მუშაობდა კურორტ საირმის დირექტორად.

ბრალად ედებოდა კურორტ საირმეში კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული და მკენებლური საქმიანობა. ჰქონდა რა მჭიდრო ურთიერთობა ტროცკისტებთან, მიიღო "ნაგანის" სისტემის რევოლუციური და ორი შაშხანა. მათივე დავალებით კურორტ საირმეს მიაყენა ზარალი 50.000 მანეთის ოდენობით (მომხსენებელი ხელაძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 19 აგვისტოს დადგენილებით, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 16850, ოქმი № 4, 19.08.37, ფ. 184). განაჩენი აღსრულდა 1937 წლის 30 აგვისტოს.

## დარჩიაშვილი აშინად ზაქარიას ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1902წ. სიღნაღში. არასრული უმაღლესი განათლებით, ცოლშვილიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, მეექვსე აფთიაქის გამგედ, უპარტიო, ახალგაზრდა მარქსისტთა პარტიის ყოფილი წევრი, რისთვისაც 1922 წელს დაპატიმრებული იყო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ და მისჯილი ჰქონდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განმეორებით დაპატიმრეს 1938 წლის 11 თებერვალს. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური კავშირი ხალხის მტრებთან - მხეიძესა და გუგუნავასთან და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა (მომხსენებელი ცხოვრებოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამეულის 1938 წლის 25 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე (58-10, 58-11) და 202-ე მუხლებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14623, ოქმი № 109, 25.04.38. ფ. 13). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი მეორე დღესვე - 26 აპრილს.

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - ქეთევან რუსია და ქალიშვილი ციალა - შემდგომ მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი.

ქალბატონი ციალას გადმოცემით, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის სიღნაღში დახვერიტეს აშინადის უმცროსი ძმა ქრისტეფორე. მისივე გადმოცემით, მამის დაპატიმრების შემდეგ, ოჯახს მხარში ამოუდგნენ და ბავშვის გაზრდაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ახლო ნათესავეებმა, რომელთაგან ქალბატონი ციალა განსაკუთრებით ემადლიერება დედის ძმას - ბატონ გიორგი რუსიას - ინჟინერ-ენერგეტიკოსს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელს და ბატონებს ალექსანდრე მიქაძესა და ალექსანდრე ტყეშელაძეს.



## დგაგუაძე ანდრო გესარიონის ძე - ექიმი

დაბ. 1886წ. სენაკის მაზრის სოფ. გურხემში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ზუგდიდის საეადმყოფოს გამგედ.

ბრალად ედებოდა, რომ ოდესის უნივერსიტეტში სწავლის დროს

ეწეოდა ჯამუშურ საქმიანობას (მითითებული არ არის რომელი ქვეყნის სასარგებლოდ. ავტ.). საქართველოში დაბრუნების შემდეგ ზუგდიდში მის ბინაზე ეწყობოდა თავყრილობები ტროცკისტების მონაწილეობით. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა კონტრრევოლუციური მუშაობის საკითხები, გამოითქმებოდა უკმაყოფილება არსებული წყობილების, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების მიმართ. სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, რომლის მიზანი იყო საკოლმეურნეო მშენებლობის ჩაშლა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა დისკრედიტაცია. თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილებოდა რვა მოწმისა და ერთი კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის მსჯავრდადებულის ჩვენებებით (მომხსენებელი კაკუჩაია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 19 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე (58-10, 58-11) მუხლით შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 21225, ოქმი № 65-3, 13.12.37. ფ. 21).

## **დგაგუაქი ბენედიქტი ივანეს ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1887წ. ბაღდათის მაზრის სოფელ წითელხევში. საშუალო განათლებით. დაპატიმრებამდე მუშაობდა ბაღდათის აფთიაქში.

კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის გადასახლებული იყო სამი წლით, სადაც კვლავ ეწეოდა არალეგალურ მენშევიკურ საქმიანობას, რისთვისაც თავისუფლების აღკვეთის ვადა გაუხანგრძლივეს თორმეტ წლამდე. 1935 წელს გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კვლავ ეწეოდა ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციურ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. 1937 წელს დაპატიმრების შემდეგაც საკანშიც განაგრძობდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და ამბობდა, რომ იყო და დარჩება მენშევიკად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 27 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 16849, ოქმი № 54, 27.11.37, ფ.1). დახვერეტეს 19.12.37წ.



# დგებუაძე ბესარიონ

## პატრეს ქე - ექიმი-გინეკოლოგი

დაბ. 1917წ. სენაკის მაზრის სოფ. ზანაში. დაწყებითი განათლება მიიღო სენაკში. 1929წ. ოჯ. ხთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, სადაც 1930-32წწ. სწავლობდა საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საქარხნო-საფ. ბრიკო სკოლაში. 1933-35წწ. მუშაობდა მკერავ ტრესტის №2 ფაბრიკაში ნორმადარმკვლევის თანამდებობაზე. 1936წ. ბ. დგებუაძემ სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, 1937წ. დ. კი გადავიდა ლენინგრ. დის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე (ლენინგრადში იმავე დროს სწავლობდა მისი ორი ძმა). 1941წ. ომის დაწყების გამო სასწავლებლად გადავიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. საიდანაც იმავე წელს გივიის რმიაში. მსახურობდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის 680-ე მსროლელთა პოლკის უფროს ექიმად. 1942 წლის აგვისტოში ჩავარდა ტყვედ და 1945 წლის აპრილამდე იმყოფებოდა ფოლინგპოსტენის საკონცენტრაციო ბანაკში. გაათავისუფლა მოკავშირეთა ჯარმა. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ მკაცრი შემოწმების შემდეგ ივნისში ცნეს უდანაშაულოდ და დაბრუნეს არმიაში. 1945წ. დეკემბერში დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში, სადაც კვლავ განაგრძო სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1946 წელს. მუშაობდა ჩხოროწყუში, შემდეგ თიანეთში ჯერ უბნის ექიმად, შემდეგ მეან-გინეკოლოგად. 1951 წლის 26 დეკემბერს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის № 4893-2113 დადგენილებით, როგორც ტყვედ ნამყოფი და პოლიტიკურად არასაიმედო, გადაასახლეს ყაზახეთში, დაბა სარი აგაში, სადაც მუშაობდა რაიონულ საავადმყოფოში მეან-გინეკოლოგად.



გათავისუფლდა 1953წ. 8 ივნისს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა (შეეძინა ვაჟი პეტრე, შემდგომში ისტორიკოსი). 1954-56წწ. მუშაობდა თბილისის მეორე სამშობიაროში, 1956წ.-დან 1994 წლამდე თბილისის მესამე სამშობიარო სახლში. გარდაიცვალა 1996 წლის 12 ნოემბერს.

## **ღვალთმობის თაობაზე მკვლევარის კვლევა, იგივე თეორია მისხილის კვლევა - ფარმაცევტი**

დაბ. 1889წ. სოფ. ბარეულში. უპარტიო. ყოფილი მენშევიკი, უმაღლესი განათლებით, დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის აფთიაქის მმართველად და ცენტრალური სააფთიაქო საწყობის უფროსად. დაპატიმრეს 1938წ. 18 მარტს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო ანტისაბჭოთა ტერორისტულ-ღივრისიული და არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის წევრი. ორგანიზაციის მითითებით ეწეოდა მკვლევარ საქმიანობას. დაკავებული პქონდა ომის შემთხვევაში ჩაეშალა ა/კ რკინიგზის სანიტარული პუნქტებისა და საექიმო უბნების მედიკამენტებით მომარაგება. 1929წ. დაპატიმრებული იყო პოლიტიკური სამმართველოს მიერ როგორც ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი. გარდა აღნიშნულისა, ბრალად ედებოდა, რომ დაქორწინებული იყო პოლონელზე და ჰყავდა ნათესავები საზღვარგარეთ (მომხსენებელი კისლევესკი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938წ. 25 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 146-სსგ, ოქმი № 119, 25.05.38, ფ. 190). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 26.10.1938წ.

## **დიდუბაშვილი-კვიციანი თამარ ალექსის ასული - ექიმი-სტომატოლოგი**

დაპატიმრეს თბილისში, 1937 წელს. საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 7 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (საარქივო საქმე პრ. № 2533).

სასჯელს იხდიდა მორდოვეთის ავტონომიურ რესპუბლიკის დასახლება იავასში (საფოსტო ყუთი № 250/5). იქვე, მასთან ერთად, სასჯელს იხდიდა ქალბატონი ტერეზა სახოკია (იხ.).

გათავისუფლეს და საქართველოში დაბრუნდა 1952 წელს.

რეპლიტირებული იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1955 წლის 14 ნოემბერს.

## დოლიკა გენიაშინ პავლას ქა - ფარმაცევტი

დაბ. 1905წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. მერიაში, უპარტიო. დაპატიმრეს იქვე, 1948წ. 23 დეკემბერს.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს განსაკურებული სათათბიროს 1949 წლის 2 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) გაასახლეს ყაზახეთის სსრ ჯამბულის ოლქში (საარქივო საქმე №13248-59).

## დოლიკა თამარ ალექსანდრეს ასული - ექიმი

დაბ. 1889წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ამაღლებაში. კპ(ბ)-ის წევრი 1918 წლიდან. "გარიცხული 1937 წლის აპრილში მის მეუღლესთან კონტრრევოლუციური კავშირის გამო". დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოში. დაპატიმრეს თბილისში 1937 წლის 5 მაისს.

სოფლის ორკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის ქალთა პროფსასწავლებელში. 1917 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში - იყო სოფ. ამაღლების კომუჯრედის მდივანი, ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს კპ(ბ)-ის აჭარის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების ინსტრუქტორი, საქართველოს კპ ცკ-ს ქალთა განყოფილების გამგე.

1930-35წწ. სწავლობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქალაქის მეორე საავადმყოფოში, შემდეგ თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების გამგედ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 12122, ოქმი № 69, 21.12.37, ფ. 43).



განაჩენი აღასრულეს მისი გამოტანიდან მეორე დღეს, 1937 წლის 22 დეკემბერს.

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს ბიუროს 1979 წლის 24 ივნისის დადგენილებიდან ირკვევა, თ. დოლიძეს ბრალად ედებოდა მონაწილეობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობაში და მეუღლის კონტრრევოლუციური საქმიანობის დამალვა.

ქ-ნი თამარის მეუღლე თედორე დოლიძე დაპატიმრებამდე გაათავისუფლეს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან. ორი თვის შემდეგ კი დააპატიმრეს და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

თამარ დოლიძის დაპატიმრების შემდეგ ოჯახი მაშინვე გამოასახლეს ბინიდან და შეასახლეს იქვე, მეზობელ ერთ ოთახში, საიდანაც ოჯახის წევრებს შეეძლოთ თვალი ედევნებინათ, თუ როგორ ცხოვრობდნენ მათ ბინაში სხვები. დიდხანს არც “ახალმოსახლეების” სიხარული გაგრძელებულა – ორი თვის შემდეგ დააპატიმრეს ოჯახის უფროსი და ოჯახი სრული შემადგენლობით გამოასახლეს “საკუთარი” ბინიდან. იგივე ბედი ეწია მათ შემდეგ შესახლებულ ახალ ოჯახსაც.

თ. დოლიძეს დაპატიმრების დროს ჰყავდა ორი შვილი: ლალი – მომავალში პედაგოგი და გიზო – მომავალში ინჟინერ-ელექტრიკონი.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## დუმბაძე პეტრე ლუარსაბის ძე - ექიმი

დაბ. 1897წ. ბორჯომში, უპარტიო, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით. დაპატიმრებამდე მსახურობდა ქართულ მსროლელთა დივიზიის სანიტარული სამსახურის უფროსად. მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. 1935 წლიდან იყო სამხედრო კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი.
2. ეწეოდა მოსამზადებელ სამუშაოს ორგანიზაციაში ახალი წევრების გასაერთიანებლად.
3. დივიზიის ნაწილების სანიტარულ მომსახურებას ატარებდა მავნებლურად" (მომხსენებელი წულუკიძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, სა-

ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14659, ოქმი № 110. 28.04.38, ფ. 88). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 30.04.38.

## დუნდუა ლევან ლომინის ძე - ექიმი

დაბ. 1890წ. შორაპნის მაზრის სოფ. ჭილათში. დაპატიმრებამდე მუშაობდა მეან-გინეკოლოგად სენაკში, დაპატიმრეს 1937 წელს იქვე.

ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური მუშაობა და კავშირი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან - მენშევიკებთან და საქართველოს მენშევიკური ახალგაზრდული კონტრრევოლუციური ცენტრის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან. ბრალად ედებოდა აგრეთვე 1924 წლის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა (იარაღით ხელში). 1924 წელს დაპატიმრებული იყო საქართველოს შსს კომისარიატთან არსებული პოლიტიკური სამმართველოს მიერ როგორც მენშევიკური არალეგალური ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე. მაშინაც ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური კავშირი მენშევიკური არალეგალური ცენტრის წარმომადგენლებთან, რომელთაგანაც იღებდა მითითებებს და აკრძალულ ლიტერატურას, თავად კი გადასცემდა საწევრო ანარიცხებს.

იმყოფებოდა საზღვარგარეთ - ჟენევაში (მომხსენებელი ბოხუა).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 8722, ოქმი № 54, 27.11.37, ფ. 106).



## დუნდუა ნინა დიმიტრის ასული -

ექიმი სტომატოლოგი



დაბ. 1897წ. ბორჯომში, უპარტიო. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სტომატოლოგიურ სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაკულტეტის სტომატოლოგიური განყოფილება და მუშაობა დაიწყო სამტრედიაში. 1937წ. მისი მეუღლის, ინჟინერ-ქიმიკოს ალექსანდრე დუნდუას დაპატიმრების შემდეგ გაათავისუფლეს სამსახურიდან. 1938

წლის 23 აპრილს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (საარქივო საქმე № 40513).

სასჯელს იხდიდა პოტამში, სადაც მუშაობდა ფიზიკურად არაადამიანურ, ყოვლად დამამცირებელ პირობებში. პატიმრები მოთავსებული ჰყავდათ მაღალ საყრდენებზე შემდგარ ბარაკებში, რომლებშიც სამუშაოდან დაბრუნებულებს შერეკავდნენ მოსახსნელი კიბის საშუალებით... ორი წლის შემდეგ გადაიყვანეს ზაბაროვსკის მხარეში, სადაც მუშაობდა სპეციალობით. მანამდე იყო როსტოვის გამანაწილებელი ციხე, სისხლის სამართლის დამნაშავეები, შეურაცხყოფა, ყინვა, შიმშილი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1946 წელს მუშაობა დაიწყო სამტრედიაში, მოგვიანებით თბილისში - მეცამეტე პოლიკლინიკაში.

მძიმე აღმოჩნდა მისი ერთადერთი ქალიშვილის - ეთერ დუნდუას ზვედრიც. უღედმამოდ დარჩენილმა ნახა შიშიც, უსამართლობაც, ადამიანთა გულგრილობაც და სიკეთეც. მისი მოგონებებიდან: "... ნათესაეები ჩვენთან არ მოდიოდნენ, სკოლაში ჩემს მერხზე არავინ ჯდებოდა, შესვენებაზე არ მეკარებოდნენ. დედას დაპატიმრების შემდეგ უნდოდათ ჩემი მოთავსება უპატრონო ბავშვთა სახლში, მაგრამ ჩემი ბიცოლას (მამის გარდაცვლილი ძმის მეუღლის) ტონია დუნდუას დიდი ძალისხმევით მასთან დამტოვეს. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო".

რეაბილიტირებული იყო ქ-ნი ნინა 1956წ. გარდაიცვალა 1976 წელს.

## ეპრალიძე თამარ ერმილეს ასული - ექიმი

დაბ. 1910წ. ოზურგეთის მაზრის დაბა ლანჩხუთში. უპარტიო, გაუთხოვარი. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ქობულეთის რაიონის სოფ. ოჩხამურში, საიდანაც გადაიყვანეს ბათუმის რაიონის სოფ. სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საექიმო პუნქტში. 1938 წლის აპრილში დააპატიმრეს და მოათავსეს ბათუმის ციხეში.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებს მიზანად ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. მათი დავალებით ეწეოდა მკვლევარ მუშაობას მეურნეობის მუშათა ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, კერძოდ, არ ჩაატარა სათანადო წინმსწრები ღონისძიებები, რითაც გაიზარდა ბავშვთა სიკვდილიანობა (მომხსენებელი ყრუაშვილი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 39662, ოქმი № 121, 10.10.38, ფ. 183).

განაჩენი ოჯახისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1958 წელს, რეაბილიტაციის შემდეგ. თავდაპირველად ოჯახს გამოუცხადეს, რომ გადასახლებულია 10 წლით, მიმოწერის უფლების გარეშე.

1937 წელს რეპრესირებული იყო თამარის დედაც - ფატი ჟღენტი, რომელიც დააპატიმრეს მეუღლის გამო (მისი მეუღლე - თამარის მამა, ეპრალიძე ერმილე 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა 1939წ. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე). გადასახლეს ქ-ნი ფატი 10 წლით. სასჯელს იხდიდა არხანგელსკის ოლქში. დაბრუნდა საქართველოში 1947 წელს.





დაბ. 1892წ. საჩხერეში. 1907 წელს წარ-  
ჩინებით დაამთავრა ბათუმის გიმნაზია და სწავ-  
ლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის ლიტერ-  
ატურულ ფაკულტეტზე, მაგრამ მისი დამთავ-  
რება ვერ მოახერხა - 1910 წელს გარიცხეს  
სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობითვის და  
სამი თვით დააპატიმრეს კიდეც, შემდეგ კი გა-  
ასახლეს საქართველოში და დაუნიშნეს პოლი-  
ციის მეთვალყურეობა. 1912 წელს სწავლა გა-  
ნაგრძო ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო  
ფაკულტეტზე, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის  
დაწყების გამო ვერც ამ უნივერსიტეტის დამთავრება შეძლო. ბო-  
ლოს, 1916 წელს, დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო  
ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ტრაბზონის მიკ-  
რობიოლოგიურ ლაბორატორიაში. დაბრუნდა თბილისში ერთი წლის  
შემდეგ და დაინტერესებულმა მიკრობიოლოგიით მუშაობა დაიწყო  
ქალაქთა კავშირის ცენტრალურ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორია-  
ში. 1919 წელს გაემგზავრა პარიზში, სადაც მუშაობდა საყოველთა-  
ოდ ცნობილ პასტერის ინსტიტუტში. დაბრუნდა საქართველოში  
1921 წელს და თან ჩამოიტანა ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის-  
თვის საჭირო მოწყობილობა, რომელიც პასტერის ინსტიტუტმა  
უსასყიდლოდ გადასცა ახლგაზრდა მეცნიერს ნიშნად მისი სამეცნი-  
ერო შესაძლებლობების აღიარებისა. უკვე 1922 წელს ლაბორატო-  
რიის თანამშრომლებმა შეძლეს დიფტერიის შრატისა და რამდენიმე  
სახეობის ვაქცინის გამოშვება. მიღებულმა შედეგებმა შესაძლებელი  
გახდა იმავე ლაბორატორიის ბაზაზე 1923 წელს შექმნილიყო ბაქ-  
ტერიოლოგიური ინსტიტუტი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შე-  
ასრულა საქართველოში ამ დარგის განვითარებაში.

ბატონი გიორგი კიდევ ორჯერ იყო მივლინებული პარიზში -  
1925 წელს (ორი წლით) და 1930 წელს, რითაც შესაძლებლობა მი-  
ეცა ყოფილიყო დარგის განვითარების საქმის კურსში და თან კო-  
ლეგებისთვის გაეცნო თავისი ნამუშევარი. არც ფრანგი კოლეგები  
ივიწყებდნენ ენერგიულ და ნიჭიერ კოლეგას საქართველოდან. გან-  
საკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფ. ღერელთან - ბაქტერი-  
ოფაგის ანუ "მიკრობთა შთამნთქმელის" აღმომჩენთან, რომელიც სამ-  
ჯერ იყო ჩამოსული საქართველოში ინსტიტუტისთვის დახმარების  
გასაწევად.

1927 წელს პარიზიდან ახლად დაბრუნებული გ. ელიავა აირჩი-  
ეს თბილისის უნივერსიტეტის ჰიგიენის კათედრის გამგედ, 1929



წლიდან 1937 წლამდე კი განაგებდა მიკრობიოლოგიის კათედრას ჯერ უნივერსიტეტში, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში. 1934 წელს ბატონი გიორგის ინიციატივით თბილისში გაიხსნა შავი ჭირის სადგური. ენერგიული მეცნიერი ამით არ დაკმაყოფილდა და 1936 წელს გადაწყვიტა ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნაც. ამ მიზნით, სათანადო დასაბუთებითა და ხარჯთაღრიცხვით, მიმართა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივანს. პირადი ანტიპათიისა თუ სხვა გარემოებათა გამო ბერიამ ინსტიტუტის გახსნაზე უარი განაცხადა. დაუმორჩილებელმა პროფესორმა კი ბუღუ მდივანის დახმარებით მიმართა საკავშირო მთავრობას, რომელმაც დააკმაყოფილა მისი თხოვნა. მოსკოვის დადგენილებების საფუძველზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო იძულებული გახდა 1936 წლის 14 აპრილს ბაქტერიოფაგის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მშენებლობისთვის გამოეყო სათანადო თანხა. დირექტორად, ბუნებრივია, დაინიშნა გ. ელიავა.

ხანმოკლე გამოდგა წარმატებით გამოწვეული სიხარული. 1937 წლის 23 იანვარს გ. ელიავა დააპატიმრეს როგორც კონტრრევოლუციონერი და... ამუშავდა შინსახკომის "საგამოძიებო" სამსახური.

ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ "ძიების" პროცესს. ამის საშუალებას გვაძლევს 1955 წლის 6 ნოემბერს საქ. სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი გამოძიებლის კაპიტან თოფურიას მირ შედგენილი მიმოხილვითი ცნობა (საარქივო-საგამოძიებო საქმე №9462, ტომი 3, გვ. 24-36) როგორც მიმოხილვითი ცნობიდან ირკვევა, საგამოძიებო საქმეში მითითებული არ ყოფილა თუ რა დაედო საფუძვლად გ. ელიავას დაპატიმრებას (აგენტურული მონაცემები, პატაკი, ანონიმური წერილი თუ სხვა). თავდაპირველად ბრალი ედებოდა ჯაშუშობაში ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ", შემდგომ ამ ბრალდებას დაემატა სამშობლოს დალახვა, ტერორიზმი, დივერსია და მონაწილეობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობაში (მუხლი 58-1ა, 58-6, 58-8, 58-9, 58-11). იმავე ცნობის მიხედვით, ელიავა პირველად დაუკითხავთ დაპატიმრებიდან 2,5 თვის შემდეგ. და აი, პირველივე დაკითხვაზე თითქოს განუცხადებია, რომ მტკიცედ გადაწყვიტა შეწყვიტოს (!) ჩაკეტილობა და გამოძიებას მისცეს აღიარებითი ჩვენება. მიცემული ჩვენებით, ელიავას "უღიარებია", რომ 1918 წელს თბილისში გაიცნო საფრანგეთის სამხედრო მისიის ოფიცერი, კაპიტანი გასფელდი, რომელმაც ელიავა წარუდგინა მისიის ხელმძღვანელს დე კონანკურს. ამ ორმა ოფიცერმა დაითანხმა იგი გამხდარიყო საფრანგეთის დაზვერვის აგენტი. თავდაპირველად ევალდებოდა საქართველოს მოსახლეობის განწყობის შესწავლა. 1921 წელს კი, პარიზში მეორედ ყოფნის დროს, იმავე დე კონანკურისა და გასფელდისაგან მიიღო ახალი დავალება: საქართველოში შეექმნა აგენტურული ქსელი და მოპოვებუ-

ლი მონაცემები საფრანგეთის დაზვერვისთვის გადაეცა ამერიკული ორგანიზაცია "ამერიკონის" საშუალებით. ელიავამ აღნიშნული აგენტურული ქსელი საქართველოში შექმნა ბუდუ მდივანის დახმარებით. საფრანგეთის დაზვერვის გარდა ელიავამ კავშირი დაამყარა ინგლისური დაზვერვის რეზიდენტ ალენ გრეგთან, რომელიც ქართველ "უკლონისტებს" ურჩევდა შეექმნათ ქართული ნაციონალური არმია (!) და ფართოდ გაეღოთ კარი დასავლეთევროპული საქონლისთვის. გარდა ამისა, ელიავამ "ალიარა", რომ ინგლისური დაზვერვის დავალებით ეწეოდა დივერსიულ საქმიანობას და ჯაშუშობისთვის იზიდავდა ახალ აგენტებს. თითქოს მის მიერ იყო გადაბირებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ალაფუზო მიხეილ ივანეს ძე, რომელიც ელიავას საჭირო ცნობებს აწვდიდა თბილისიდან და შემდგომ მოსკოვიდან, სადაც ის გადაიყვანეს წითელი არმიის გენერალურ შტაბში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად. 1936 წელს ალაფუზოს მოსკოვიდან ორჯერ მიუწოდებია ელიავასთვის ცნობები წითელ ჯარში ჯარისკაცთა მორალური მდგომარეობისა და სამხედრო ნაწილების შეიარაღების შესახებ. მოსკოვიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან საიდუმლო ინფორმაციის მიღება ელიავასთვის იყო "ჩვეულებრივი" მოვლენა, რადგან 1931 წლიდან იგი გახდა საფრანგეთის დაზვერვის რეზიდენტი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე (პირადი № 68, ფსევდონიმი "ოტელო"). როგორც რეზიდენტს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში გადაუბირებია 65 აგენტი.

ელიავას სხვა "ალიარებებიდან" აღსანიშნავია მთელი რიგი დაგეგმილი ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებაც ვერ მოახერხა. ასეთებია: ომის შემთხვევაში უზარისზო სამკურნალო პრეპარატების დამზადება (დაჭრილების მავნებლურად სამკურნალოდ), საქართველოს რეგიონებში სასმელი წყლის გაბინძურება შავი ჭირის გასავრცელებლად (იხ. ა. ანთელავა და ნ. ჯანაგოვა), მოწამლული საკონსერვო პროდუქციის დამზადება, ბერიაზე ბაქტერიებით ტერაქტის მოწყობა (ბუდუ მდივანის შეთავაზება უარყოფილი ელიავას მიერ), მოწამლული საკარმიდამო ნაკვეთის დივერსიულ-მავნებლური მიზნით გამოყენება (განხილული ბუდუ მდივანთან და სანქციონებული მის მიერ) და სხ.

გ. ელიავას საქმე განიხილა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ. როგორც მიმოხილვით ცნობაშია აღნიშნული, ელიავას საგამოძიებო საქმეში სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო ჩაწერილი. იყო მხოლოდ საქართველოს შინსახკომის პირველი განყოფილების უფროსის მიერ 1940 წელს ხელმოწერილი ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ გამსვლელი სესიის გადაწყვეტილებით გ. ელიავას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. აღსანიშნავია, რომ არც დასახელებულ საქმეში და არც

თბილისისა და მოსკოვის სათანადო არქივებში არ აღმოჩნდა ცნობა სასჯელის სისრულეში მოყვანის შესახებ.

1937 წლის 11 ივლისის № 157 (4958) გაზეთი "კომუნისტი" საზოგადოებას ატყობინებდა: "მეცნიერი ელიავა ეწეოდა ხალხის მიმართ საზიზღარ მანებლობას. მეცნიერულ მუშაებზე მშობლიურ, სტალინურ ზრუნვას მან უპასუხა საზიზღარი მოქმედებით: პირის-ხლიანი ფაშისტი-ტროცკისტების ღირექტივებით ის ბაქტერიებს ამზადებდა საბჭოთა ხალხის შესამუსრავად, განსაკუთრებით ომის შემთხვევაში. ამ მხეცს ხალხმა გასცა საკადრისი პასუხი".

დაპატიმრების დროს ბატონ გიორგის ჰყავდა მეუღლე - ანელია ვოლ-ლევიცკაია, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი და ქალიშვილი განა. ქალბატონი ანელია დააპატიმრეს ბატონი გიორგის დაპატიმრებიდან ერთ საათში. "ღედა და მამა რომ დააპატიმრეს, მე საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის გეოლოგიურ-საძიებო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი, - იგონებს ქალბატონი განა. - 2 თვის შემდეგ მეც დაპატიმრეს და ეტაპით გამგზავნეს ყარაგანდის გულაგში... მხოლოდ 1946 წელს დავბრუნდი მშობლიურ თბილისში. მამას ბედი გაიზიარა ღედამაც. ისიც 37-ში დაუხვრეტიათ..."

ღედა და მამა გულღია, სტუმართმოყვარე და ხალისიანი ადამიანები იყვნენ. ჩვენს ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ თვალსაჩინო ადამიანები: ბულუ მდივანი, ძმები - პეტრე და ლევან აღნიაშვილები, ინჟინერ-ენერგეტიკოსი ვლადიმერ ჯიქია, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ქეთევან მაღალაშვილი, სოლიკო ვირსალაძე, სერგო ქობულაძე, ახალგაზრდა ვახტანგ ჭაბუკიანი, ფიზიკოსი ალექო იმხნელი. მამა გატაცებული იყო ლიტერატურით, წერდა ლექსებს, შესანიშნავად უკრავდა როიალზე... ღედა კი, მოგეხსენებათ, მშვენიერი ეოკალისტი გახლდათ. სამწუხაროდ, მისი მხოლოდ ერთადერთი პორტრეტი გადარჩა შემთხვევით ჩვენს ახლობელთან. მე ვმუშაობდი მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ. ამჟამად პენსიაზე ვარ" (იხ. ფელიქს დანელიას სტატია "გიორგი ელიავა" - ჟურნალი "საქართველოს სამედიცინო მოამბე", 1992, № 2, გვ. 58-66).

## პირისთავი რაფიელ შამანდალის ქა

დაბ. 1885წ. რაჭის მაზრის სოფ. ცეხში. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1917 წლიდან, საშუალო განათლებით. დაპატიმრებამდე მუშაობდა ქედის აფთიაქის მმართველად. დაპატიმრეს 1937 წლის 30 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ:

"1936 წლიდან იყო წევრი აჭარის კონტრრევოლუციური მემბროზე ორგანიზაციისა, რომელშიც გადაიბირა ქედის რაიონის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა".

წყაენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 26352, ოქმი № 15, 15.10.37, ფ. 124).

## ვაინშტეინი ისააკ რუხენის ძე – ექიმი

დაბ. 1998წ. მანგლისში. კპ(ბ)-ის ყოფილი წევრი, ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს დისპანსერის ყოფილი უფროსი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ძერჟინსკის რკინიგზის სანიტარული სამსახურის უფროსად. დაპატიმრეს 1938 წლის 22 იანვარს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული, ტერორისტული, დივერსიულ-მაკნებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომში (1934-37წწ.) ამზადებდნენ ახალ ტერაქტებს. ორგანიზაციის მითითებით ამზადებდა ბაქტერიოლოგიურ დივერსიას ტრანსპორტის სისტემაში (მომხსენებელი ზერუმოვი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე №1014-სსგ, ოქმი №110, 28.04.38, ფ. 138).

## პარდნაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე – სტუდენტი



დაბ. 1916წ. ქუთაისში, უცოლშვილო, ალკა-ის წევრი, დაპატიმრების დროს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი. დაპატიმრეს 1937წ. 25 მაისს.

გამოძიებამ ჩათვალა, რომ იგი იყო საქართველოში მოქმედი ანტისაბჭოთა

მენშევიკური, დივერსიულ-ტერორისტული მემბოზე ორგანიზაციის წევრი და სამედიცინო ინსტიტუტში არსებული კონტრრევოლუციური მენშევიკური ჯგუფის ხელმძღვანელი, ორგანიზაციაში იზიდავდა ახალგაზრდებს სამედიცინო ინსტიტუტიდან. როგორც საგამოძიებო მასალებშია აღნიშნული (საარქივო საქმე №17464-60). დ. ვარდანაშვილი თვითონ ადგენდა კონტრრევოლუციურ, ანტი საბჭოთა მოწოდებებს, რომელთა დასაბეჭდად ბინაზე ჰქონდა მოწყობილი არალეგალური სტამბა. 1937 წლის 25 მაისს მის ბინაზე ჩატარებული ჩხრეკის დროს "აღმოაჩინეს" და საქ. შსსკ-ში წარსადგენად ჩამოართვეს: სასტამბო შრიფტები, 26 მაისისთვის დასაბეჭდად გამზადებული კონტრრევოლუციური ხასიათის მოწოდება, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციის წევრთა სია (7 კაცი), მომავალი არალეგალური კრების დღის წესრიგი - ნახევარ გვერდზე - 1 ცალი, მენშევიკური ლიტერატურა №1 (რვეული) - 1 ცალი, ნოე ჟორდანიას პორტრეტი - 1 ცალი, კ. ჩხეიძის პორტრეტი - 1 ცალი, ნ. რამიშვილის "ისტორიული მატერიალიზმი" - 1 ცალი, ნ. ჟორდანიას წიგნი ნაციონალურ საკითხზე - 1 ცალი, ნ. ჟორდანიას წიგნი, ტ. 1-1 ცალი, მზა სუფთა ბლანკები - 5 ცალი, უბის წიგნაკი - 1 ცალი, ვარდანაშვილის სახელზე გაცემული სხვადასხვა დოკუმენტი, "სმიტ-ვესონის" სისტემის რევოლვერი, სამხედრო რუკა (ჩხრეკა ჩაატარეს: ოდიშარიამ, გასიევმა, ოვიანმა, ურუშაძემ. ესწრებოდა მოქ. დოლიძე. ჩხრეკის ჩასატარებელი ორდერი №415).

1937წ. 20 ივნისის დაკითხვის ოქმის მიხედვით, დ. ვარდანაშვილმა 1934წ. დეკემბერში კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებულ სამგლოვიარო მიტინგზე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობაში (იმ დროს სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში) გააკრა მისი ხელით დაწერილი პროკლამაციები - "ნიკოლაევი (კიროვის მკვლელი. ავტ.) მხეცი კი არა, გმირია".

გაასამართლა დ. ვარდანაშვილი საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1937 წლის 19 სექტემბერს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-8, 58-10) მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახურეტა, რომელიც აღასრულეს მეორე დღესვე - 1937წ. 20 სექტემბერს.

ე.წ. სასამართლო პროცესის უკეთ წარმოდგენისათვის გთავაზობთ დახურული სასამართლო სხდომის ოქმს სრულად:

# ПРОТОКОЛ

ЗАКРЫТОГО СУДЕБНОГО ЗАСЕДАНИЯ ВЫЕЗДНОЙ СЕССИИ ВОЕННОЙ КОЛЛЕГИИ  
ВЕРХОВНОГО СУДА СОЮЗА ССР

19 октября 1937 года Город Тольятти

Председательствующий **Бригадир Ю.О. МАТЛЮВИЧ**

Члены **Бригадир Ю.О. МАТЛЮВИЧ и А.И. ПУГАЧЕВ**

Секретарь военный юрист 1 ранга **ВОСТАНОВ**

Заседание открыто в 21 час. 40 мин.

Председательствующий объявил, что подлежит рассмотрению дело по обвинению

**ЗАРДАНШЕЛИ Дотрия Михайловича**

в преступлениях, предусмотренных ст. ст. 58-8 и 58-11 УК РСФСР

Секретарь доложил, что подсудимый в суд доставлен и что в материалах по делу не выявлено.

Председательствующий удостоверился в самоличности подсудимого и спрашивает его, вручена ли ему копия обвинительного заключения, на что подсудимый ответил

что получил. Подсудимому разъяснены его права на суде и

объявлен состав суда

Подсудимый **никаких ходатайств, а также отвода составу суда не заявил.**

По предложению председательствующего секретарем оглашено обвинительное заключение.

Председательствующий разъяснил подсудимому сущность предъявленных ему обвинений и спросил его, признает ли он себя виновным, на что подсудимый ответил, что виновным себя признает и поясняет, что прокламация он писал сам.

Свои показания на предварительном следствии подтвердил и заявил, что больше дополнить судебное следствие ничем не имеет.

Председательствующий объявил судебное следствие законченным и предоставил подсудимому последнее слово.

В своем последнем слове подсудимый просит суд учесть его молодость и сохранить ему жизнь.

Суд удалился на совещание.

По возвращении суда с совещания Председательствующий огласил приговор.

В 22ч.00м. заседание закрыто.

**ПРЕДСЕДАТЕЛЬСТВУЮЩИЙ  
ЮРЬ МАТЛЮВИЧ**

**СЕКРЕТАРЬ  
ВОЕННЫЙ ЮРИСТ 1 РАЙОНА**

# ПРИГОВОР

Именем Союза Советских Социалистических Республик  
Внедлая сессия  
Военная Коллегия Верховного Суда Союза ССР

в составе:

Председательствующего Корвояхриста И.О. МАТУЛЕВИЧ

Членов: Бригвояхристов ЗАРЯНОВА и ЖИГУР

При секретаре. Вояхристе 1-го ранга КОСТИШКО

В закрытом судебном заседании, в городе Т б и л и с ь  
"19" сентября 1937 года

, рассмотрела дело

по обвинению: ВАРДАНАШВИЛИ Дмитрия Михайловича, 1916г. рождения, учаще-  
госп., в преступлениях предусмотренных ст.ст. 58-8, ~~58-10~~ и 58-11 УК РСФСР.

Предварительным и судебным следствием установлено:

*Варданашивили с 1935 года являлся активным  
участником андреевской-менгшевской груп-  
пы во главе с Троцким и повстанческой орга-  
низации Дашкельванская в Грузии и Азербайджане.  
Мурзаводческие к.р. менгшевской группы. Со-  
седств. в Тбилисском педагогическом институте.*

в Гитлерово государство Варданави  
Р. Р. Меташевские прокламации, при  
к наемной организации Бориса Кроткого  
организации и себя на квартире Мелеганова  
дети даи Черанович о терроре и верования  
мешающих к р организации и к себе ситу  
новое дело

Таких образцы Черановича выданы  
Варданави и в совершении преступлений  
преступного деяния ст. 58-в и 58-11 УК Гитлер  
На основании и прочитанном и проводившем ст.  
319 и 320 УК Гитлером СССР Романович  
Федерации Ордена СССР приговорила:  
Варданави и Дмитрия Мизановича  
вместе с ними уголовно наказаны - расстреляны  
вместе с ними все члены этой принадлежности  
и их семьи

Приговор отменен, обжалованию не подлежит  
и в силу постановления УИК СССР от 1 декабря  
1934 года подлежит немедленному исполнению

Председательствующий  
Воробейников

А. Шенников

Меня (Бачванович Заремин -  
(Бернштейн) Шенников





Секретно.

С П Р А В К А.

Приговор о расстреле Варбанаевича Яковлевича  
Митябилова приговорен в исполнение в  
ноч. ~~1937~~ 12 1937 г. Копия с повелениям по-  
говора в исполнение хранится в Особом архиве 1-го  
специального НКВД СССР том № 8 лист № 824

НАЧ 12 ОТД. 1 СПЕЦИАЛЬНА НКВД СССР  
Лейтенант Госбезопасности.

*(Подпись)*  
(Шевелев)





დაბ. 1893წ. თბილისში, ცნობილი ექიმის, მედიცინის დოქტორის, თბილისის სამხედრო პოსპიტლის უფროსის, გენერალ სპირიდონ ვაწაძის ოჯახში. დედა - მარიამ ხრისტიანი (წარმოშობით სერბი) დიასახლისი იყო.

1911 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეორე კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1916 წელს. უნივერსიტეტის დამთავრებამდე მოხალისედ მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, როგორც წითელი ჯვრის ექიმი. "როგორც პოლკის ექიმი, ახლოს ვიყავი ჯარისკაცებთან, წერდა 1940 წელს ავტობიოგრაფიაში, განვიცილებდი მათ უსუსურობას და სასოწარკვეთას და თავ დ ვხვდებოდი ჩიხში, როცა ვერანაირად ვერ ვპასუხობდი კითხვაზე - რისთვის ვიბრძვი?"

1918 წლის დეკემბერში თბილისიდან მიიღო შეტყობინება მამის ავადმყოფობის შესახებ და უკვე 1919 წლის იანვარში ჩავიდა თბილისში, სადაც ახალგაზრდა ექიმისთვის არ აღმოჩნდა ადგილი და იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო მანგლისში. მალე დაავადდა პარტახტიანი ტიფით. გამოჯანმრთელების შემდეგ მუშაობდა საერო ექიმად დილომში, სადაც დაავადდა შებრუნებითი ტიფით. 1920 წელს მობილიზაციით გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში, საიდანაც გათავისუფლდა სექტემბერში და მუშაობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრაზე პროფესორ ი. ბერიტაშვილთან.

1921-24წწ. კათედრაზე მუშაობასთან ერთად იყო თბილისის აღმასკომის ჯანდაცვის განყოფილების გამგე, შემდეგ, 1924-25 წლებში, საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე - საკურორტო სამმართველოს უფროსი. იმავე პერიოდში არჩეული იყო მედსანშრომის გამგეობის წევრად.

1926-28 წლებში მივლინებული იყო გერმანიაში, მუშაობდა ბერლინში პროფ. რონასთან და შემდეგ კილში პროფ. რ. ჰობერთან. აღნიშნულ პერიოდში შეასრულა და გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა სამი სამეცნიერო ნაშრომი. კილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1929 წელს დაბრუნდა საქართველოში

და მუშაობა განაგრძო უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრაზე.

1930 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით დაინიშნა უნივერსიტეტიდან ახლად გამოყოფილი სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე, მცირე პაუზით, მუშაობდა 1936 წლამდე. ამასთან განაგებდა მის მიერ ინსტიტუტში ჩამოყალიბებულ ფიზიოლოგიის კათედრას.

მალე გ. ვაწაძის ინიციატივით საბურთალოზე დაიწყო სამედიცინო ქალაქის მშენებლობა. მისი დირექტორობის დროს აშენდა კიდევ ორი კორპუსი. 1936 წელს სამედიცინო ინსტიტუტი, შემოწმების შემდეგ, მიჩნეული იყო ერთ-ერთ საუკეთესო სამედიცინო ინსტიტუტად საბჭოთა კავშირში. მიუხედავად ამისა, იმავე წელს ინსტიტუტის ღია კრებაზე გ. ვაწაძე გამოცხადდა "ხალხის მტრად", რასაც მოჰყვა მისი თანამდებობიდან გადაყენება ფორმულირებით "პოლიტიკური სიფხიზლის მოღუწებისთვის". 1937 წლის სექტემბერში კი გარიცხეს პარტიიდან. სამედიცინო ინსტიტუტში იმავე წელს რუსულ ენაზე შედგენილი იყო პოლიტიკური დახასიათება, რომლის მიხედვითაც: "ფიზიოლოგიის კათედრის გამგე გ. ვაწაძე, ქართველი, დაბ. 1893წ., დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი 1916წ. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი 1935 წლიდან, პროფესორი 1933 წლიდან, აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის 16 წლის სტაჟი. ქართულ ენას ფლობს ცუდად, რის გამოც ლექციებს კითხულობს ცუდად. აქვს ორი შეთავსება. 1926-28 წლებში იმყოფებოდა გერმანიაში.

წინათ იყო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი და ჩააგლო ეს საქმე. დაქორწინდა ანტისაბჭოთა პიროვნებაზე. აქვს მიმოწერა უცხოეთში (პროფესორ გებერთან).

ახალგაზრდა კადრებს არ ზრდის. იმყოფება პროფესურის გავლენის ქვეშ. ინსტიტუტის პარტკომმა გარიცხა კომპარტიის რიგებიდან მენშევიკური გვარდიის დამსჯელ ექსპედიციაში მონაწილეობის დამალვისთვის, პარტიული საიდუმლოს გაცემისთვის, ხალხის მტრის - ლლონტისთვის 20000 მანეთის გადაცემისთვის.

დირექტორი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ეზიაშვილი, პარტკომის მდივანი - ნამიჭეიშვილი" (უიკსა, ფონდი 2139, ან. 2, საქმე № 120, გვ. 12).

სრულიად განსხვავებულია 1940 წელს (ასევე რუსულ ენაზე) შედგენილი დახასიათება, რომელსაც ხელს აწერენ ინსტიტუტის დირექტორი - პროფ. მაჭავარიანი და პარტბიუროს მდივანი - ხასან

ბერიძე. დახასიათების მიხედვით, გ. ვაწაძე არის გამოცდილი და მოაზროვნე პედაგოგი, მისი რედაქციით ქართულ ენაზე გამოვიდა ჰებერტისა და კროიტის სახელმძღვანელოები, წარმატებით ზრდის ახალგაზრდა სპეციალისტებს. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია და სრულდება მთელი რიგი სამეცნიერო შრომებისა და ა.შ. (უიცსა, ფონდი 2139, ან. 2, გვ. 14).

დააპატიმრეს გ.ვაწაძე 1945 წელს ე.წ. “საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის” სხვადასხვა სპეციალობის 12 პირთან ერთად (ვ. დვალიშვილი, ქ. ახვლედიანი, გ. კოსტავა, თ. გარსევანიშვილი, ი. ბასილიძე, მ. დევიძე, გ. კვერნაძე, ა. მაღალაშვილი, შ. ტყაყაძე, გ. მამაცაშვილი, ა. ციციშვილი, ზ. ჯანელიძე).

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ფაშისტური გერმანიის მიერ 1939 წელს დაწყებულმა ომმა საქართველოში გამოიწვია ანტისაბჭოთა ელემენტების გააქტიურება, რომლებიც არალეგალური ორგანიზაციის შექმნით ცდილობდნენ საქართველოში ბურჟუაზიული წყობის აღდგენას. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ვ. დვალიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის წევრიც იყო გ. ვაწაძე. ორგანიზაციის წევრებმა სცადეს შეექმნათ თბილისის ხელში ჩაგდების გეგმა, რისთვისაც შეადგინეს სამთავრობო ორგანიზაციების ჩამონათვალი, რუკაზე აღნიშნეს ყველა ხიდი ან გადასასვლელი, გამოითვალეს ამ ობიექტების ხელში ჩასაგდებად საჭირო ცოცხალი ძალა, დაამზადეს საქართველოს გერბი და ორგანიზაციის ბეჭედი და სხვა, მაგრამ 1942წ. ფრონტზე მდგომარეობის შეცვლის შემდეგ ყველა ეს ნივთმტკიცება გაანადგურეს, გარდა დროშის დასამზადებელი ქსოვილისა.

ამ დასკვნით, გ. ვაწაძეს ორგანიზაციის დავალებით უნდა შეედგინა საქართველოს მომავალი მთავრობა, რომლის წევრებიც უნდა შეერჩია ანტისაბჭოურად განწყობილი ინტელიგენციიდან. გარდა ამისა, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ვაწაძემ განაცხადა, რომ არასოდეს არ იზიარებდა კომუნისტურ იდეებს და არ თვლიდა თავს კომუნისტად, თუმც კი პარტიიდან გარიცხვის შემდეგ ცდილობდა მასში აღდგენას და როცა 1944 წელს ეს მოახერხა, კვლავ მოატყუა პარტია და დაუმალა აღნიშნულ ორგანიზაციაში თავისი საქმიანობა.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის გამო საქართველოს შსსკ შინაგანი ჯარის სამხედრო ტრიბუნალმა გ. ვაწაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიუსჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, პირადი ქონების კონფისკაციით

(მკაცრი განაჩენი გამოუტანეს სხვა 12 განსასჯელსაც. მათგან: ვ. დვალისძე, გ. კოსტავას და ქ. ახელედიანს - სასჯელის უმაღლესი ზომა, რომელიც შემდგომ შეუცვალეს. დვალისძეს - 20 წლით, გ. კოსტავას და ქ. ახელედიანს - 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთით (საგამოძიებო საქმე № 212, გვ. 101-113).

სასჯელს გ. ვაწაძე იხდიდა ჯერ საქართველოში (ავჭალაში), შემდეგ, 1949 წლიდან, ყაზახეთში, სპასკის შრომა-გასწორების ბანაკში, სადაც მასთან ერთად სხვა ქართველების გვერდით, სასჯელს იხდიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ალექო წულუკიძე. ბანაკში გ. ვაწაძე მუშაობდა ექიმად, რასაც კარგად იყენებდა პატიმრების დასახმარებლად.

დაბრუნდა საქართველოში 1956 წელს. მიუხედავად იმისა, რომ იმავე წელს იყო რეაბილიტირებული, ძალიან გაუჭირდა მუშაობის დაწყება - არავის სურდა "თავის ატკივება". ისევ ბატონმა ივანე ბერიტაშვილმა გაუწოდა ხელი. მისი თანადგომით გ. ვაწაძე დაინიშნა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ახლადგახსნილ რადიობიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად, რომელსაც უნარიანად უძღვებოდა სიცოცხლის ბოლომდე.

გარდაიცვალა 1971 წელს.

ბატონ გიორგის დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე და ქალიშვილი თინათინი - ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## ვაჭარაქი სერგო სამსონის ძე - ფერშალი

დაბ. 1886წ. ხონის რაიონის სოფელ კუხში. ცოლშვილიანი, დაპატიმრებამდე მუშაობდა წულუკიძის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებაში ფერშლად. დააპატიმრეს 1937 წელს თერთმეტ პირთან ერთად.

ბრალად ედებოდა, რომ "სისტემატურად ატარებდა კონტრრევოლუციურ პროვოკაციულ საუბრებს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

ადრე დაპატიმრებული იყო 1924 წლის ამბოხებაში მონაწილეობისთვის, 1930 წელს კი კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გამოსვლებისთვის.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კო-

დექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 26942, ოქმი № 51, 21.11.37, ფ. 105).

### ველიაშვილი ალექსი გიორგ - სტუდენტი

დაბ. 1906წ. თელავის მაზრის სოფ. ენისელში. ალკა-ს წევრი 1925-36წწ. (გარიცხეს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის). დაპატიმრებამდე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი.

ბრალად ედებოდა, რომ "იყო წევრი პ. აღნიაშვილის მიერ დაარსებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა "ჭეშმარიტი მარქსისტ-ლენინელები" და ეწეოდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ" (მომხსენებელი ოდიშარია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11), მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 2651, ოქმი № 1, 11.08.37. ფ. 51).

### ვისტვალნი ნიკოლოზ ივანეს ძე - ექიმი

დაბ. 1886წ. სანკტ-პეტერბურგში. ცოლშვილიანი, უპარტიო. დაპატიმრებამდე ეწეოდა კერძო საექიმო პრაქტიკას.

წყაენებული ბრალდებით, იმზილებოდა ჯაშუშურ საქმიანობაში. იმყოფებოდა რა მჭიდრო კავშირში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილ ელემენტებთან, მკვეთრად აკრიტიკებდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას. ანთი-საბჭოთა საქმიანობაში გამოტყდა, ჯაშუშურ ორგანიზაციასთან კავშირი უარყო. ჯაშუშურ საქმიანობაში იმზილება ერთი მოწმის ჩვენებით (მომხსენებელი ფოშკინი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 25 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15187, ოქმი № 109, 25.04.38. ფ. 9).

## ვოლოზინი ივანე პეტრეს ძე - ფერმალი

დაბ. 1891წ. როსტოვის ოლქის სოფ. ლაბინსკაიაში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა ოჩამჩირის ტროპიკული სადგურის ჰელმინთოლოგიური ბრიგადის უფროსად. დააპატიმრეს ოჩამჩირეში. გამოძიებამ, მოწმე ცოკოლიას ჩვენებაზე დაყრდნობით, ჩათვალა, რომ ი. ვოლოზინი, თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო, ამბობდა: "ჩამომიყვანეს აქ და ვკვდები შიმშილით. საბჭოთა კავშირში ცხოვრებას სჯობია სიკვდილი. მე ლვოვში მილიონერი ვიყავი და აქ კი შიმშილით ვკვდები. ყოველივე ამას თან ახლდა უცენზურო სიტყვები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ". გაასამართლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ 26.08.1940 წელს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის პირველი ნაწილით მიუსაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (სამომოძიებო საქმე № 20052-60).

## ვორონინა ალექსანდრა ივანის ასული - მედდა

დაბ. 1906წ. როსტოვის ოლქში, უპარტიო, გაუთხოვარი. დაპატიმრებამდე მუშაობდა სტალინირის (ცხინვალის) საავადმყოფოში მედდად. დააპატიმრეს 30.07.1937წ.

გაასამართლა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ 21.01.1938 წელს მუხლით 58-10 და მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გამომძიებამ მოწმეების - ჯანაიას, ბაგაევის, გოგოლაევის ჩვენებებით დაადგინა, რომ ა. ვორონინა ამბობდა: "ესპანელი რესპუბლიკელები ტყუილად იბრძვიან, ფაშისტები მათ მაინც მოსპობენ". ს. კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებით კი თვლიდა, რომ: "კიროვის მკვლელობის შემდეგ საბჭოთა კავშირში ტყუილად დახვრიტეს ამდენი ადამიანი. ისინი პასუხს აგებენ ამისათვის" (სამომოძიებო საქმე № 15184-60).

## ზაკსი ანა ლევის ასული - ექიმი

დაბ. 1897წ. სარატოვში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის დისპანსერში ექიმად.

ბრალად ედებოდა, რომ:

"იყო პოლონეთის დაზვერვის აგენტი და ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას პოლონეთის დაზვერვის სასარგებლოდ" (მომხსენებელი ჯვარშიშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 3 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერვა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13911, ოქმი №95, 03.03.38. ფ. 28). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 09.03.38 წელს.

## ზარკუა ლუბა ისიდორეს ასული – ექთანი

დაბ. 1920წ. სენაკის მაზრის სოფ. ნოქალაქევში. დააპატიმრეს 1949 წლის 25 ოქტომბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. რადგან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№1206-65) მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო. (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ.147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.



# ზედგინიძე სერგო დავითის ძე - ექიმი-ქირურგი

დაბ. 1888წ. თბილისში, რკინიგზელის ოჯახში. სწავლობდა თბილისში, შემდეგ ელიზავეტპოლის (ამჟამად განჯა) გიმნაზიაში. საიდანაც 1905 წელს გარიცხეს ბოლშევიკებთან კავშირის გამო. ერთი წლის შემდეგ იქვე ჩააბარა გამოცდები ექსტერნად და სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ მალე, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში ქუენევაში, სადაც სწავლა განაგრძო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. დაამთავრა 1914 წელს. იმავე წელს, როგორც ექიმმა, გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო პირველ მსოფლიო ომში და დახმარებოდა ჯარისკაცებს. ამ მიზნით მოხალისედ ჩაეწერა სერბიის არმიაში და მსახურობდა ექიმად ქ. პალანკაში. მალე სერბიის არმია, წარუმატებლობის გამო, იძულებული გახდა გადასულიყო ალბანეთში, შემდეგ გერმანიაში და ბოლოს საფრანგეთში. მასთან ერთად იყო ექიმი სერგო ზედგინიძეც. პარიზში მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალში საყოველთაოდ ცნობილი დე მარტელის ხელმძღვანელობით, რაც ახალგაზრდა ექიმისთვის საუკეთესო სკოლა იყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ახლად გახსნილი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში ორდინატორად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სამუშაოდ გადავიდა ა/კ რკინიგზის საექიმო-სანიტარულ სამმართველოში და მიიღო აქტიური მონაწილეობა მის განვითარებაში. იყო საექიმო-სანიტარული სამსახურის უფროსის მოადგილე და მთავარი სანიტარული ინსპექტორი. 1930 წლიდან კითხულობდა ლექციებს სამედიცინო ინსტიტუტში სატრანსპორტო ჰიგიენის საკითხებზე. იყო საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირებისა და სამედიცინო საზოგადოებების გამგეობის წევრი, თბილისის აღმასკომის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე და სხვა.



მოულოდნელად შეწყდა მისი აქტიური მოღვაწეობა - დააპატიმრეს 1938 წლის 21 იანვარს და ბრალად წაუყენეს, რომ:

"1. ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარულ სამსახურში ხელმძღვანელობდა ანტი საბჭოთა, ტროცკისტულ, დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციას;

2. ორგანიზაციაში იბირებდა საექიმო-სანიტარული სამსახურის

ექიმებს:

3. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას;

4. ხელმძღვანელობდა მასიური ბაქტერიოლოგიური დივერსიის მომზადებას ამიერკავკასიის რკინიგზაზე ომის შემთხვევაში" (მომხსენებელი კისლევესკი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 62-სსგ, ოქმი № 110, 28.04.38. ფ. 155). განაჩენი აღსრულდა 30.04.38წ.

დაპატიმრების დროს ბატონ სერგოს ჰყავდა მეუღლე – ფ. ზედგინიძე (როზენკოპი), რომელთანაც იქორწინა უენევაში და შვილები – გიორგი (შემდგომ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნეუროლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე) და ალექსანდრე (შემდგომ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კათედრის გამგე).

## **ზერაგია სერგო გიორგის ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1887წ. ზონში, კპ(ბ)-ის წევრი 1903 წლიდან, გარიცხული არსებულ საქმესთან დაკავშირებით. დაპატიმრებამდე მუშაობდა ზონში აფთიაქის გამგედ. დაპატიმრეს «ჯგუფის» სხვა წევრებთან ერთად.

საგამომიებო მასალების მიხედვით, ზერაგია 1931 წელს გადაბირებული იყო მემარჯვენეთა მავნებლურ ორგანიზაციაში სამუშაოდ ზონის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ. 1936წ. კი შევიდა ტერორისტულ ორგანიზაციაში და თავადაც გადაიბირა ორი პიროვნება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 16893, ოქმი № 11, 09.09.37, ფ. 48). განაჩენი აღსრულდა 1937წ. 26 სექტემბერს.

## ზირაქიანი შარვაშ ივანეს ძე - ექიმი

დაბ. 1889წ. თბილისში, ცოლშვილიანი, უპარტიო. დაპატიმრებამდე იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის ინფექციური განყოფილების უფროსი. დაპატიმრეს თბილისში.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული, ჯამშური სამხედრო ორგანიზაციისა, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამისთვის ორგანიზაციის წევრებმა განახორციელეს კიროვის მკვლელობა. შემდეგ კი ემზადებოდნენ ახალი ტერაქტებისთვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. გარდა ამისა, საქართველოში განლაგებულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებსა და ოლქის სანიტარული სამსახურის სისტემაში ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას საბჭოთა არმიის ძლიერების შესასუსტებლად (მომხსენებელი რიაბოვი).

საქართველოს სსრ შს სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი - საგამოძიებო საქმე № 15823, ოქმი № 120, 09.10.38, ფ. 28).

## ზუგადალაშვილი გიორგი პავლეს ძე - ექიმი

დაბ. 1915წ. სიღნაღის მაზრის სოფ. არბოშიკში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში - დაამთავრა საღამოს ათწლედ (მანამდე სწავლობდა თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში, შემდეგ - საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში). სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის პედიატრიული ფაკულტეტი დაამთავრა 1939 წელს. იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა სოფ. ტიბაანის საექიმო უბნის გამგედ. ფინეთთან ომის გამო გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, მაგრამ ფინეთთან ომში მონაწილეობა არ მიუღია. მისი ნაწილი განაღდაკეს ბელორუსია-პოლონეთის საზღვარზე და ამიტომ გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლაში. ნა-



წილი პირველივე დღეებში განადგურდა. გადარჩენილი ზუბადალაშვილი და კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი საბჭოთა ჯარის სხვა ნაწილებთან შეერთების მცდელობის დროს დაატყვევეს გერმანელებმა 1941 წლის 27 ივნისს და მოათავსეს სულაეკის ტყვეთა ბანაკში, საიდანაც მალე გადაიყვანეს ვუსტრაკის სკოლაში, სადაც სხვა ქართველებთან ერთად შევიდა "თეთრი გიორგის" ლეგიონში. ვუსტრაკაში დიდხანს არ ყოფილა. ქართველი ემიგრანტების - ქრისტიანე წულუკიძისა და რეზო გაბაშვილის დახმარებით გადაიყვანეს ბერლინში, პათანატომიის ინსტიტუტში, პროფესორ როსლესთან. მოკლე ხანში, სულ რამდენიმე თვეში, ისე აითვისა გერმანული ენა, რომ სტუდენტებს მეცადინეობებს უტარებდა გერმანულ ენაზე. ექვსი თვის შემდეგ გადაიყვანეს ქირურგიულ კლინიკაში, პროფესორ პაულ როსტოკთან ასისტენტად, სადაც დიდი გულმოდგინებით მუშაობდა ქირურგად. წარმატება იმდენად დიდი ჰქონდა, რომ ხშირად ანდობდნენ რთული ოპერაციების დამოუკიდებლად ჩატარებას.

ომის დამთავრებისთანავე თვითონ გამოცხადდა რეპატრიანტების საბჭოთა პუნქტში, სადაც დანიშნეს პუნქტის მთავარ ექიმად. საბჭოთა კავშირში დასაბრუნებლად საფილტრაციო კომისიის გავლის შემდეგ, გადაგზავნეს ოდერის ფრანკფურტში, მაგრამ იქაც დააყოვნეს - საავადმყოფოში დანიშნეს ქირურგად.

დაბრუნდა საქართველოში 1945 წლის ბოლოს.

დააპატიმრეს 1946 წლის 3 იანვარს და თბილისის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის დახურულ სესიომაზე 1946 წლის 16 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (საგამომიებო საქმე № 22055-61).

სასჯელს იხდიდა ირკუტსკის ოლქში, სადაც მუშაობდა სპეციალობით. იქვე დაქორწინდა პატიმარ ქალბატონ ადა კოლოდინაზე. იმ დროისთვის უკვე იმყოფებოდა ე.წ. თავისუფალ დასახლებაში და მუშაობდა სადგურ ჩუნის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. მალე შეეძინათ ქალიშვილი თამარი (ამჟამად ექიმი).

საქართველოში ოჯახი 1957 წელს დაბრუნდა. მუშაობა დაიწყო ზნაურის საავადმყოფოში, საიდანაც მალე გადაიყვანეს ბორჯომში, რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული ჰქონდა სამეცნიერო ნაშრომები მუცლის ღრუს ორგანოთა პათოლოგიის საკითხებზე.

გარდაიცვალა 1993 წელს.

## ზუნტურიდი კონსტანტინე გიორგის ძე - ექიმი

დაბ. 1884წ. ყარსში. სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1909წ. მიღებული პირველი ხარისხის დიპლომი უფლებას აძლევდა განეგრძო სწავლა პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. ასეც მოიქცა. აკადემია დაამთავრა 1912 წელს. ვინაიდან აკადემიაში სწავლის დროს ბოლო ორ კურსზე იღებდა სტიპენდიას, სწავლის დამთავრების შემდეგ გაგზავნეს სამხედრო სამსახურში. გათავისუფლების შემდეგ დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო საფერშლო სასწავლებელში. ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას - კითხულობდა საჯარო ლექციებს, წერდა სახელმძღვანელოებს და ბროშურებს სამედიცინო საკითხებზე ("ადამიანის ორგანიზმის, როგორც ფაბრიკის მუშაობა", "ლათინური ენა - ტერმინოლოგია, ეტიმოლოგია, აფორიზმები, რეცეპტები" და სხვა).

დააპატიმრეს 1937 წლის 15 დეკემბერს. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, 26 კომისრის სახელობის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებაში მოზარდთა ინსპექტორის თანამდებობაზე. 1938წ. 20 ივნისს ე. წ. "დვოიკამ" სსრკ შს სახალხო კომისრის ეუოვისა და საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის ვიშინსკის შემადგენლობით "საალბომო" წესით განიხილა კ. ზუნტურიდის საგამოძიებო საქმე და იურიდიული კვალიფიკაციის აღნიშვნის გარეშე მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეტა, რომელიც სისრულეში მოიყვანეს 1938წ. 8 ივლისს (სუსის არქივი, სისხლის სამართლის საქმეთა საალბომო განხილვის ოქმი №120. ფ. 65).



## თევზაძე დავით ლაზარას ძე - ექიმი

დაბ. 1895წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩომეთში. 1924 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ერთი წლის შემდეგ, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაემგზავრა გერმანიაში. მუშაობდა ჰაიდელბერგში, პროფ. კიუმელის კლინიკაში, ბერლინში პროფ. გაუტმანთან და პროფ. ფონ ეიკინთან. გერმანიაში მისი გამგზავრება და იქ ყოფნა დააფინანსა უფ-



როსმა ძმამ ივანემ - ცნობილმა მეწარმემ და მეცენატმა (მისი დახმარებით უცხოეთში სასწავლებლად გაემგზავრა არაერთი ახალგაზრდა). ბატონმა დავითმა გერმანიაში ოთხი წელი დაყო. სამშობლოში დაბრუნდა 1929 წელს და თან ჩამოიტანა ყელ-ყურ-ცხვირის კაბინეტის სრული აღჭურვილობა, შექმნილი ძმის - ივანეს დახმარებით. იმავე წელს დაიწყო მუშაობა ა/კ რკინიგზის სამმართველოს საექიმო-სანიტარული სამსახურის თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგედ. მიწვეული იყო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის კათედრაზე ასისტენტად. აქტიურად თანამშრომლობდა აგრეთვე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან - სისტემატურად უწევდა კონსულტაციებს თეატრის მსახიობებსა და თანამშრომლებს. 1937 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

დააპატიმრეს ბატონი დავითი 1941 წლის 14 აგვისტოს და მხოლოდ ორი წლის შემდეგ - 1943 წლის 21 აგვისტოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 77920).

მანამდე - 1937 წელს, დააპატიმრეს მისი ძმა ივანე და იმავე წელს დახვრიტეს.

ბატონი დავითის დაპატიმრების შემდეგ ოჯახი გამოასახლეს ბინიდან და მოახდინეს ქონების კონფისკაცია.

გათავისუფლეს ბატონი დავითი 1944 წლის ბოლოს. მომდევნო წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის კათედრაზე დოცენტად. 1949 წელს არჩეული იყო იმავე კათედრის გამგედ, მაგრამ ამ თანამდებობაზე დიდხანს არ დასცალდა მუშაობა - 1951 წელს კვლავ იყო რეპრესირებული, ამჯერად ოჯახთან ერთად. 1951 წლის 26 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის № 4893-2113 დადგენილების საფუძველზე მეუღლესა და ორ შვილთან ერთად გადაასახლეს ყაზახეთში. გასახლების მიზეზი იყო მისი მეუღლის - ეკატერინე თევზაძის (დადეშქელიანი) ძმის - ნიკოლოზ დადეშქელიანის უცხოეთში ყოფნა.

ყაზახეთში ოჯახი დაასახლეს აბაი-ბაზარში, შემდეგ - სარიაგარში. მუშაობდა ბამბის პლანტაციებში და მასწავლებლად პედაგოგიურ სასწავლებელში. გათავისუფლდა ბატონი დავითი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის დადგენილებით და იმავე წელს დაბრუნდა თბილისში ბავშვებთან ერთად. მეუღლე დაბრუნდა 1954 წლის დასაწყისში.

საქართველოში დაბრუნებულმა დაიწყო მუშაობა ტუბერკულო-

ზის ს/კ ინსტიტუტში ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე - 1967 წლამდე.

ბატონი დავითი იყო ავტორი მრავალი სამეცნიერო შრომისა, მათ შორის, ქართულ ენაზე გამოცემული ყელ-ყურ-ცხვირის პირველი სახელმძღვანელოსი.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## თევზაქა (დადეშქელიანი) ეკატერინა ალექსანდრეს ასული - ექიმი

დაბ. 1910წ. თბილისში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1932 წელს შექმნა ოჯახი - იქორწინა დავით თევზაძესთან, რომლისგანაც შეეძინა ორი შვილი - ნანა (შემდგომ ექიმი) და თემური. როცა ბავშვები წამოიზარდნენ, სწავლა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტში. 1941 წელი მძიმე აღმოჩნდა მისთვის და მისი ოჯახისთვის - აგვისტოში დააპატიმრეს დავითი, ხოლო თვითონ, ბავშვებთან ერთად, გაასახლეს კეთილმოწყობილი დიდი ბინიდან და შეასახლეს ორ პატარა ოთახში საერთო სამზარეულოთი და სანკვანძით. მათ ბინაში, საიდანაც ავეჯის გატანის ნებაც კი არ მისცეს, შეასახლეს შინსახკომის მაღალი თანამდებობის პირი. იმავე წელს, ომის დაწყების გამო, მისი ძმა ნიკოლოზი გაიწვიეს ჯარში, სადაც ჩავარდა ტყვედ, ხოლო სექტემბერში დააპატიმრეს მამამისი, ალექსანდრე დადეშქელიანი - ყოფილი სამხედრო (დაუზუსტებელი მონაცემებით, ცემით მოკლეს დაკითხვის დროს).

ქალბატონმა ეკატერინემ ოჯახის მეგობრების რჩევით და დახმარებით სწავლას თავი არ დაანება. იმ მძიმე დროს ოჯახს მხარში ედგნენ ქალბატონი ლენა გერი, ბატონები სერგო ხუნდაძე, დავით იოსელიანი, მიხეილ კობახიძე და სხვები. 1944 წლის ბოლოს, როდესაც გათავისუფლებული ბატონი დავითი აღადგინეს სამსახურში და დაუბრუნეს ბინა, ოჯახმა თითქოს ამოისუნთქა. ამასთან ქალბატონმა ეკატერინემ დაამთავრა კიდეც სამედიცინო ინსტიტუტი და დაიწყო მუშაობა თბილისის ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოში ყელ-ყურ-ცხვირის ექიმად. მაგრამ მშვიდობიანი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა - 1951 წლის 26 დეკემბერს მთელი ოჯახი გადაასახლეს ყაზახეთში. გადასახლების მიზეზი იყო ეკატერინეს ძმა - ნიკოლოზ დადეშქელიანი, რომელიც 1942 წელს ქერ-



ჩში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გერმანელებთან მსახურობდა თარჯიმნად. გერმანული ენა კი ზედმიწევნით კარგად იცოდა, რადგან საშუალო განათლება თბილისში მიღებული ჰქონდა გერმანულ ენაზე. ნიკოლოზი ომის დამთავრების შემდეგ აღარ დაბრუნდა საქართველოში.

ყაზახეთში ოჯახი დაასახლეს სამხრეთ ყაზახეთის ოლქის დაბა აბაი-ბაზარში, შემდეგ - სარიაგაჩში. უმძიმესი იყო იქ გაატარებული წლები. გაათავისუფლეს ოჯახის წევრები 1953 წლის 11 აპრილის დადგენილებით, თუმც მამინვე ვერ მოხერხდა მათი თბილისში დაბრუნება. ჯერ ჩუმად, თვითნებურად დაბრუნდა ბატონი დავითი ბავშვებთან ერთად (ისარგებლა შექმნილი მდგომარეობის გამო მოხელეთა დაბნეულობითა და გაურკვევლობით), ხოლო ქალბატონი ეკატერინე სათანადო საბუთების გაფორმების დაყოვნების გამო დაბრუნდა თბილისში 1954 წელს. იგი ჩამოიყვანა ბატონი დავითის ძმისშვილმა ლევანმა, რომელიც ამ მიზნით ჩავიდა ყაზახეთში.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ქალბატონი ეკატერინე მუშაობდა ბავშვთა მესამე კლინიკურ საავადმყოფოში.

გარდაიცვალა 1993 წელს. რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## თევზაქე ნანა დავითის ასული - ექიმი

დაბ. 1932წ. თბილისში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1953 წელს ყაზახეთში, სადაც გადასახლებული იყო მშობლებთან და ძმასთან ერთად 1951 წლის 26 დეკემბერს.

მძიმე მოსაგონრად დარჩა ქალბატონ ნანას ბავშვობა. ჯერ იყო და 1941 წელს, მამის დაპატიმრების შემდეგ დედასა და ძმასთან ერთად გაასახლეს დიდი, ნათელი, კეთილმოწყობილი ბინიდან და შეასახლეს ორ პატარა კეთილმოწყობელ ბინაში, სადაც უმამოდ გაატარა ომის მძიმე წლები, შემდეგ კი, 1951 წელს მთელი ოჯახი გადასახლეს ყაზახეთში. დღესაც ნათლად ახსოვს ის ღამე ქალბატონ ნანას: რამდენიმე საათი მისცეს მოსამზადებლად. ბევრი აუცილებლად საჭირო ნივთების წაღების უფლება არ მისცეს, მაგრამ ყველაზე საშინელი იყო ის, რომ ოჯახს თან გააყოლეს მწვავე რევმატიზმით საწოლს მიჯაჭვული უმცროსი ძმა თემური, რომელიც სადგურში საკაცით გადაიყვანეს გამსახლებლებმა. ავადმყოფი და ოჯახი არ მიატოვა ძიძამ - ქალბატონმა პაშა დავიდენკომ. ეს ღვთისნიერი ქალი თავისი სურვილით გაჰყვა ოჯახს ყაზახეთში, რისთვისაც დასჭირდათ ჩინოსანთა ძნელად მისაღწევი თანხმობა. კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა ქალბატონ პაშას ყაზახეთიდან "გათავი-



სუფლება", როდესაც გაუმჯობესდა თემურის მდგომარეობა. არაერთი განცხადებისა თუ საჩივრის დაწერა გახდა საჭირო, რომ დაემტკიცებინათ მისი "უდანაშაულობა".

საზარელი იყო მგზავრობა სატვირთო, უფანჯრეო, უტუალეტო ვაგონებით. რომ არა გადასახლებულთა ურთიერთმხარდაჭერა, დანიშნულების ადგილს ბევრი ვერ მიაღწევდა. თბილისში დარჩენილი ნათესავების დასამშვიდებლად (ცოცხლები რომ იყვნენ) გზაში წერდნენ წერილებს და სამკუთხედად დაკეცილ (როგორც ომის დროს) ბარათებს ყრიდნენ ვაგონის იატაკში ამოჭრილ ე.წ. სანწერტილის ხვრელში. ერთ-ერთი ბარათი თბილისში მიიღეს ნათესავებმა. ბარათზე მინაწერი იტყობინებოდა, რომ სხვა წერილებთან ერთად რკინიგზის ლიანდაგზე უპოვიათ იმ დროს ყაზახეთში საბჭოთა ჯარში მყოფ ქართველ ახალგაზრდებს და ფოსტით გაუგზავნიათ თბილისში.

ხანგრძლივი ოდისეა დასრულდა "მოგზაურთა" გადმოყრით (სხვა სიტყვას ვერც შეარჩევთ) ტრიალ მინდორში, საიდანაც "ახალ-მოსახლეები" წაიყვანეს და შეასახლეს მიტოვებული სკოლის შენობაში. პირველ ხანებში დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოდან გადასახლებულმა გერმანელებმა. თვითონაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფნი, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ საქართველოდან ჩასულ "სტუმრებს". შემდეგ იყო აბაი-ბაზარი და სარიაგაჩი, სადაც 1953 წელს დაამთავრა სკოლა.

გაათავისუფლეს სტალინის გარდაცვალების შემდეგ. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს. მუშაობდა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე უფროს ლაბორანტად, შემდეგ, ჰენსიაში გასვლამდე, სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და სხიური თერაპიის კათედრაზე.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## თოდუა აქვსანტი (ტრიფონ)

### ვასილის ძე - სტუდენტი

დაბ. 1904წ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ტაიში, კპ(ბ) წევრი, გარიცხული 1937წ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. დაპატიმრებამდე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დაპატიმრეს 1937 წლის 14 აგვისტოს.

წაყენებული ბრალდების მიხედვით, "ა. თოდუა 1926 წელს იმყოფებოდა რა კომკავშირში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მიემხრო

კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას, ესწრებოდა კონტრრევოლუციურ არალეგალურ კრებებს, იხდიდა საწევრო გადასახადს და ეცნობოდა კონტრრევოლუციურ ლიტერატურას. ბოლო ხანებში კავშირი ჰქონდა სამეგრელოს კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ტ. არდაშელიასთან. 1931წ., კომუნისტურ პარტიაში შესვლის დროს, პარტიას დაუმალა თავისი კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ, ასევე მოიქცა 1936 წელს პარტიული დოკუმენტების შეცვლის დროსაც და ტყუილით მიიღო პარტიული, არ გაუწყვეტია კავშირი კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან. ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და აკნინებდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფელში გატარებულ ღონისძიებებს". იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი კაკუჩაია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 8823, ოქმი № 65-3, 13.12.37, ფ. 104).

სულ რაღაც სამ-ნახევარი თვის შემდეგ ა. თოდუას საქმე კვლავ განიხილა სამეულმა 1938 წლის 3 მარტს. ამჯერად ბრალად ედებოდა, რომ: "იყო კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის აქტიური წევრი. შედიოდა საქართველოს ახალგაზრდობის ტროცკისტულ-მემარჯვენეთა ცენტრის შემადგენლობაში, ეწეოდა ტერორისტულ საქმიანობას და აქტიურ მუშაობას ახალი წევრების გადასაბირებლად" (მომხსენებელი კოვალჩუკი).

საქართველოს შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 3 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 8823, ოქმი № 95, 03.03.38, ფ. 4). დახვრეტილ იქნა 04.03.38.

## თოდუა ნიკოლოზ

დავითის ძე – კბილის ტექნიკოსი

დაბ. 1894წ. ზუგდიდის მაზრის სოფ. რუხში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ზუგდიდში კბილის ტექნიკოსად.

წაყენებული ბრალდების მიხედვით, ნ.თოდუა იყო მენშევიკური

პარტიის წევრი და მენშევიკური ახალგაზრდული გვარდიის შტაბის უფროსი ზუგდიდში. 1927 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის გასახლებული იყო 3 წლით. დაბრუნების შემდეგ, 1932 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დაპატიმრებული იყო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ და 11 თვე იმყოფებოდა პატიმრობაში. სამსახურის თავისებურებიდან გამომდინარე, ჰქონდა რა კავშირი მოსახლეობასთან, სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დისკრედიტაციის მიზნით. თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი კაკუჩაია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 8822, ოქმი № 65-3, 13.12.37, ფ. 37). დახვერტილ იქნა 30.12.37.

## თოფაქა ბარბარე ივანეს ასული - ექიმი

დაბ. 1909წ. დაბა ყაზბეგში, უპარტიო. დაპატიმრებამდე იმყოფებოდა ლენინგრადში, სადაც გაგზავნილი იყო კვალიფიკაციის ასამაღლებლად. დააპატიმრეს იქვე, 1940 წლის 1 ოქტომბერს და 1941 წლის 18 აპრილს 58-ე მუხლით (58-8, 58-10, 58-11) მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ ოთხი წლით გადასახლება.

საშუალო სასწავლებელში სწავლობდა თბილისში. სასწავლებლის დამთავრებამდე, ამხანაგებთან ერთად, გარიცხეს სკოლიდან 26 მაისის აღნიშვნისათვის. 1933 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, საიდანაც გაგზავნეს ლენინგრადში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მუშაობდა პროფ. შააკის კლინიკაში (შემდგომში პროფ. შააკიც იყო რეპრესირებული). ქალბატონი ბაბულიას ლენინგრადში ყოფნის დროს დაიწყო ომი ფინეთთან. ამის გამო კლინიკაში ინტენსიურად მიჰყავდათ დაჭრილი და დაზიანებული ჯარისკაცები. ბევრ მათგანს



მოციწული ჰქონდა კიდურები, რაც სათანადო ჩაუცმელობით იყო განპირობებული. ბ. თოფაძე ამის გამო ხმამაღლა გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, რაც მისი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. გარდა ამისა, არსებობდა სხვა მიზეზიც. ქართველების ერთი ჯგუფის წევრები ხშირად იკრიბებოდნენ, ერთად ატარებდნენ საღამოებს. ასეთ შეკრებებზე, რასაკვირველია, იყო ხუმრობაც, სიმღერაც და ანეკდოტებიც, რაც საბედისწერო აღმოჩნდა. ერთი მათგანი დამსმენი გამოდგა.

სასჯელს იხდიდა აღმოსავლეთ ურალის ერთ-ერთ შრომა-გასწორების ბანაკში, შემდეგ - ციმბირში. სასჯელის განსაზღვრისას გარკვეული როლი ალბათ იმანაც ითამაშა, რომ დედა გერმანელი ჰყავდა, გვარად ჰაანი. სამშობლოში დაბრუნებული აღნიშნავდა, რომ არასოდეს გაუკეთებია ამდენი სიკეთე აღამიანებისათვის - ქართველებისა თუ არაქართველებისათვის, როგორც გადასახლების დროს. ამის საშუალებას მისი პროფესია აძლევდა.

დაბრუნდა ქალბატონი ბარბარე-ბაბულია 1956 წელს. მისი ძმის-შვილის, ქალბატონი ლალი თოფაძე-ჯიშკარიანის გადმოცემით, "... ბაბულიას ჩამოსვლა მთელი ნათესაობისათვის დიდი ზემიმი იყო. მაღლე შემოიკრიბა ნათესაეები და მეგობრები. ყველას უხაროდა მასთან მისვლა. იგი ყველას პატრონი იყო ჭირშიც და ღვინშიც. თავისი მტკიცე და შეუპოვარი ხასიათის გამო, რომელსაც იგი ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებდა, ძმებმა მეტსახელად "გენერალი" შეარქვეს".

ქალბატონი ბაბულია დაბრუნების შემდეგაც დაუფარავი ოპოზიციონერი იყო.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს (ცნობა № 5-4181-41, გაცემული სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 1956 წლის 28 მარტს). გარდაიცვალა თბილისში, 1997 წელს.

## თურმანიძე შაკირ ქაზბეარის ძე

დაბ. 1905წ. კპ(ბ) ყოფილი წევრი (გარიცხული 1931 წელს), მცხოვრები ხულოში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ხულოს რაიონის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ინსპექტორად.

ბრალად ედებოდა, რომ 1935 წლიდან იყო კონტრრევოლუციური მუშაობის ორგანიზაციის წევრი და ხელმძღვანელობდა ოთხკაციან ჯგუფს. კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის იღებდა ფულად გასამრჯელოს. აჯანყების შემთხვევაში ჯგუფთან ერთად უნდა ჩაბ-

მულიყო ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-2, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერვა (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 22093, ოქმი № 4, 19.08.37.). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 20.08.37.

## ივდაშვილი ჟუჟუნა

სილიზისტროს ასული – ექთანი

დაბ. 1922წ. სოფ. გეჯეთში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ქ. ცხაკაიას საბავშვო სახლში ექთნად. დააპატიმრეს 1949 წლის 17 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ წამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდადებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№1206-65) იმედაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე №5, ტომი 13, ფ.147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.



დაბ. 1889წ. აბაშის რაიონის სოფ. ქვათა-  
ნაში. დაპატიმრებამდე მუშაობდა აბაშის რაიონის  
ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ. და-  
აპატიმრეს იქვე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალ-  
ხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938  
წლის 22 თებერვლის დადგენილებით (დანაშაუ-  
ლის იურიდიული კვალიფიკაციის აღნიშვნის  
გარეშე) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა -  
დახვრეტა. განაჩენი მოყვანილი იყო სისრულე-  
ში იმავე დღეს - 22 თებერვალს.

დ. იოსელიანი ცნეს დამნაშავედ იმის გამო,  
რომ 1930-31წწ. "ხელმძღვანელობდა არალეგა-  
ლურ, კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-მენშევიკურ ორგანიზა-  
ციას "ოპოზიცია", რომ თავის სახლში ინახავდა ორგანიზაციის  
კუთვნილ საბეჭდ მანქანას, მჭიდრო კავშირი ჰქონდა და იფარავდა  
პოლიტბანდიტ გ. ი. ჩხეიძეს. აღმასკომის თავმჯდომარის კონტრრე-  
ვოლუციონერ ვ. ნოდის დავალებით აბაშის რაიონში ეწეოდა მავ-  
ნებლობას" (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 22264, ოქმი №  
92-1, 22.02.38, ფ. 160).

დ. იოსელიანთან ერთად "სამეულის" იმავე დადგენილებით სა-  
სიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ლავრენტი ეგნატეს ძე ჩხეიძეს,  
დაბადებულს 1876წ., კოლმეურნეს, უპარტიოს, დაბალი განათლებით.  
მასაც ბრალი დასდეს ე.წ. პოლიტბანდიტ გ. ჩხეიძის დამალვასა და  
1929 წელს არალეგალურ კრებაზე დასწრებაში.

დაკითხვების დროს დ. იოსელიანმა (ისევე როგორც ლ. ჩხეი-  
ძემ) თავი დამნაშავედ არ ცნო და კატეგორიულად უარყო რომელი-  
მე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან კავშირი.

ბრალდებას საფუძვლად ედო სხვა საქმის გამოძიების დროს  
ბრალდებულთა მიერ მიცემული ჩვენებები.

როგორც 1956 წელს დ. იოსელიანის რეაბილიტაციის საკითხის  
განხილვის დროს გაირკვა, სახელმწიფო უშიშროების პირველ სპეც-  
განყოფილებაში ე.წ. პოლიტბანდიტი გ. ჩხეიძე, როგორც კონტრრე-  
ვოლუციონერი ან დამნაშავე, აღრიცხული არ ყოფილა (უიცსა, ფონ-  
დი 498, ანაწ. 4, საქ. 4530).

## **იუდელევიჩი აზრაშ მოსეს ძე – ექიმი**

დაბ. 1898წ. ტამბოვში. ადრე ნასამართლევნი არ ყოფილა. დაპატიმრებამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში თვალის სნეულებათა განყოფილების უფროსად. მესამე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური, მავნებლური სამხედრო ორგანიზაციის წევრი, რომლის დავალებით თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას (მომხსენებელი კალუგინი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამედიცინის 28.04.38 წლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7,58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14924, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 145). განაჩენი აღსრულდა 30.04.38წ.

## **პაზარიანი ერვანდ გეგლარის ძე – ექიმი**

დაბ. 1889წ. თბილისში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის თბილისის ცენტრალურ პოლიკლინიკაში ექიმად. დაპატიმრეს 1942 წლის 24 ივნისს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1943 წლის 12 მაისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით (საარქივო საქმე № 16469-60).

## **კაიშაური ლუარსაბ**

### **ალექსანდრეს ძე – ფერმალი**

დაბ. 1887წ. დუშეთის მაზრის სოფელ ქვეშეთში, უპარტიო, მსხვილი კულაკის შვილი. მეფისა და მენშევიკური მთავრობის არმიების ყოფილი ფერმალი. დაპატიმრეს 1937 წელს ახალქალაქში. დაპატიმრების დროს მუშაობდა იქვე.

ბრალად ედებოდა, რომ "წლების განმავლობაში მჭიდრო კავში-



რი ჰქონდა პირებთან, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ უცხოურ დაზვერვასთან, თეთრგვარდიელთა კონტრდაზვერვასთან, მეამბოხეთა ჯგუფებთან. 1933 წელს პოლონეთის ჯაშუშ კრეივონისკისა და ნათესავ გიორგი ტურაშვილს ხელი შეუწყო ქვეყნიდან ემიგრაციაში. ახალქალაქის რაიონში ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, კავშირი ჰქონდა ამჟამად მხილებულ ხალხის მტრებთან - აგამალიანთან, მაძიშევთან და სხვა” (მომხსენებელი სუკიასოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 25 დეკემბერის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10,58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 24642, ოქმი № 73, 25.12.37, ფ. 275). განაჩენი აღსრულდა 1937 წლის 26 დეკემბერს.

ლ. კაიშაურის ვაჟის - ომარ კაიშაურის (თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი) გადმოცემით, პატარა ლუარსაბმა დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო არმავირში, სადაც იზრდებოდა ნათესავებთან მშობლების გარდაცვალების გამო. მათი დიდი ოჯახის (შვიდი და-ძმა) პატრონობა თავს იღო უფროსმა ძმამ ნიკოლოზმა, რომელიც მოგვიანებით გახდა მმართველი წარმოების “სავაჭრო სახლი ძმები სესიაშვილები წარმოება კონიაკისა, ლიქიორისა, არყისა, ღვინისა” მისი ხელშეწყობით ლუარსაბმა სწავლა განაგრძო ხარკოვში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაქორწინდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტ მარგარიტა რაჩკოვსკაიაზე. მალე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ეპიდემიასთან საბრძოლველად სამუშაოდ გაგზავნეს ახალქალაქის რაიონში, სადაც, სამწუხაროდ, ახალგაზრდების თანაცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1933წ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ქალბატონი მარგარიტა. მათი ახალშობილი ვაჟი კი თბილისში წამოიყვანეს ლუარსაბის დამ და სიძემ - მოქანდაკე გ. სესიაშვილმა.

რეაბილიტირებული იყო 1957 წელს.



## კაკიტელაშვილი ბენიამინ

იოსების ძე - ექიმი

დაბ. 1883წ. ქუთაისში. ცოლშვილიანი. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო შვეიცარიაში (ბაზელში). დაპატიმრებამდე მუშაობდა ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოში ექიმად. დაპატიმრეს 1937 წლის 25 ივლისს.

ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ფაშისტური აგიტაცია. პირველად დაპატიმრებული იყო 1934 წელს, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ, ოქროს დამალვისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 23 სექტემბრის დადგენილებით საქმე გადაეცა სპეცკოლევგიას (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 20110, ოქმი № 18, 23.09.37, ფ. 26).

განმეორებით კაკიტელაშვილის საქმე შსსკ სამეულმა განიხილა 1938 წლის 5 მაისს. ამჯერად ბრალი დასდეს, რომ იყო რა განწყობილი მტრულად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეწეოდა კონტრრევოლუციური ხასიათის აგიტაციას - ერთმანეთს ადარებდა კომუნიზმსა და ფაშიზმს. მიმოწერა ჰქონდა პარიზში მცხოვრებ დასა და ძმასთან. გაუხსენეს აგრეთვე, რომ 1934 წელს სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ ჩამოართვა 250 მანეთი ოქროთი და 7 ინგლისური ფუნტი სტერლინგი (მომხსენებელი შავგულიძე).

შსს კომისარიატთან არსებული სამეულის ახალი, 1938 წლის 5 მაისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 20110, ოქმი № 113-2, 05.05.38, ფ. 28).

## კაკულია ბრიგოლ უტუნას ძე - ექიმი

დაბ. 1897წ. მარტვილის მაზრის სოფ. გურძემში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ბათუმის საზღვაო სანიტარულ სამსახურში ექიმად. დაპატიმრეს იქვე, 1937 წლის 15 აგვისტოს.

გასამართლა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ და 1937 წლის 3 ოქტომბერს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

ოჯახისათვის ღელემდე უცნობია გადასახლების ადგილი და გარდაცვალების თარიღი.



1956 წლის 31 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის № 4ფ-011198/56 დადგენილებით გ. კაკულიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე (ბაბინა დემურია) და სამი შვილი - აკაკი (მეშვიდე კლასის მოწაფე), დინარა (მეექვსეკლასელი) და ანგელინა (მეხუთეკლასელი). ქალბატონი დინარას გადმოცემით, ბატონმა გრიგოლმა ფოთში საფერ-

შლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი იმუშავა სოფ. ყულევში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1935წ. იმავე წელს სამუშაოდ გაგზავნეს ბათუმში, სადაც გაემგზავრა ბავშვებთან ერთად, მეუღლე კი ერთი წლით დარჩა თბილისში მუშფაკში სწავლის დასამთავრებლად. ერთი წლის შემდეგ ისიც ჩავიდა ბათუმში და დანიშნეს ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორად, შეთავსებით აგურ-კრამიტის ქარხნის ხელმძღვანელად. მეუღლის დაპატიმრების შემდეგ მოხსნეს სამსახურიდან და გარიცხეს პარტიიდან, ბავშვები კი დაითხოვეს სკოლიდან.

ქალბატონი დინარას მოგონებიდან: "მამას დაპატიმრების მეორე დღეს მოვიდა ორი მილიციელი. მახსოვს, წვიმიანი დღე იყო. სახლიდან გამოგვიყარეს ავეჯი, ტანსაცმელი, წიგნები, თეთრეული და დაყარეს ეზოში წვიმის ქვეშ. სამზარეულოდან გამოყარეს ჭურჭელი და ანთებული ნავთქურა, რომელზეც სადილი მზადდებოდა... იმ დღეს მშვიდები დავრჩით. მეზობლებს უფასოდ ვთავაზობდით ჩვენს ნივთებს, მაგრამ არავინ გვეკარებოდა, ეშინოდათ... შემდეგ საცხოვრებლად სოფელში გადავედით. შევიძინეთ ქოხი სკოლასთან ახლოს. სკოლაში ძლივს მიგვიღეს. ხან ვთოხნიდით, ხან ჩაის ვკრეფდით და ასე გაჭირვებით ვირჩენდით თავს. საწყალი დედა - რამდენი წამება და ტანჯვა გამოიარა".

## კალანდარიშვილი ალექსანდრე ქაიხოსროს ძე - ექიმი

დაბ. 1886წ. გორში. მცხოვრები ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოეთში. უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოფ. ნიგოეთში. ეწეოდა კერძო საქმიანობას.

ბრალდების მიხედვით, ა.კალანდარიშვილი " არის გამოუსწორებელი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ელემენტი. გასაბჭოების შემდეგ დაპატიმრებული იყო 7-ჯერ, 1931წ. განაკულაკეს და გაასახლეს შუა აზიაში. დაბრუნების შემდეგ აეკრძალა აჭარაში ცხოვრება. დაქორწინებულია უცხოელზე. თვითონაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ჟენევაში, ჰქონდა მიმოწერა მეუღლის ნათესავებთან ჟენევაში. ურთიერთობა ჰქონდა ფრიად საეჭვო პიროვნებებთან (გერმანელებთან) და ყოფილებთან. სოფ. ნიგოეთში ეწეოდა კერძო საექიმო პრაქტიკას, ჰქონდა საკუთარი პრიმიტიული აფთიაქი, სადაც ამზადებდა წამლებს. სიკვდილიანობის გაზრდის გამო მოსახლეობაში იწვევდა უკმაყოფილებას. მედიკამენტებს ყიდულობდა საზღვარგარეთ, საეჭვო პირობისაგან. არ ემორჩილებოდა ადგილობრივ ხელისუფალთ, არ იხდიდა გადასახადს.

ბინის ჩხრეკის დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მედიკამენტები, მათ შორის - შხამები და ფული 29000 მან.

მოსახლეობაში ეწეოდა აშკარა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ხასიათის აგიტაციას" (მომხსენებელი გოგია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 26723, ოქმი № 78-2, 29.12.37, ფ. 86). განაჩენი აღსრულდა 14.01.38წ.

## კალანდარიშვილი ისააკ ილარიონის ძე - ექიმი


დაბ. ოზურგეთის მაზრის სოფ. მაკვანეთში. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ხარკოვში. ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ჯარში, საიდანაც გაათავისუფლდა და დაბრუნდა საქართველოში 1920 წელს. 1921-28წწ. მუშაობდა ჩოხატაურის საავადმყოფოში, შემდეგ - ლანჩხუთსა და ოზურგეთში. 1928 წელს საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, მუშაობდა მე-14 პოლიკლინიკაში და სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში. 1941წ. 24 ივნისს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. იყო ბაქოს სამხედრო ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგე.

დააპატიმრეს 1942 წელს. იმავე წლის 6 ივლისს გაასამართლა კასპიის ფლოტილიის სამხედრო ტრიბუნალმა. განაჩენი ოჯახისათ-

ვის დღემდე უცნობია. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1956 წლის 5 აპრილს გაცემულ ცნობაში №428 აღნიშნულია მხოლოდ გასამართლების თარიღი და დასკვნა, რომ ი. კალანდარიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია და იგი რეაბილიტირებულია.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ცნობით, ი. კალანდარიშვილი 1922 და 1925 წწ. დაპატიმრებული იყო საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის, მაგრამ ორჯერვე გაათავისუფლეს. დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - მარიამ მურადაშვილი და შვილები: შოთა - შემდგომში სამხატვრო აკადემიის პედაგოგი და მარგარიტა - შემდგომში ექიმი.

## კალანდარიშვილი იანა იანა - ექიმი



დაბ. 1896წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ხიდისთავში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის აღზრდილი. 1931 წელს დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი. დაპატიმრებამდე მუშაობდა კასპის რაიონის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ. დაპატიმრეს 1937 წლის 2 აგვისტოს.

ბრალად ედებოდა, რომ "1936 წელს გადაბირებული იყო კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ ორგანიზაციაში სამუშაოდ ტროცკისტ ქებაძის მიერ, რომლის დავალებითაც ეწეოდა ძირგამომთხრელ-მავნებლურ საქმიანობას კასპის რაიონის ჯანდაცვის სისტემაში.

კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის გასასხლებელი იყო მისი სამი ძმა.

თავი დამნაშავედ არ ცნო, მაგრამ სრულად იმხილება მოწმეთა ჩვენებებით" (მომხსენებელი გოგიჩაიშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10,58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 22392, ოქმი № 38, 17.10.37.). განაჩენი აღსრულდა 04.05.37წ.

# კამალიანი ევგენია მირზას ასული - ექთანი

დაბ. 1925წ. სოფ. შაუმიანში, უპარტიო. გასახლებაძე ცხოვრობდა შაუმიანში და მუშაობდა იქვე, პოლიკლინიკაში ექთნად.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს გადაწყვეტილებით 1942 წლის 5 ოქტომბერს მშობლებთან ერთად გასახლებული იყო ალთაის მხარეში. საღაც დაყო 1952 წლის 29 მარტამდე (საარქივო საქმე № 2999-რ).

## კანდელაკი ოთარ ღვთისძის ძე - პროვიზორი, პოეტი

"ჩემი სამშობლო ჩემი ღმერთია.  
და სხვა არაეინ, და სხვა არაეინ!"



დაბადებიდან 75 წელი შეესრულა ცნობილ ქართველ პოეტს ოთარ კანდელაკს ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისამართა გაუწვავინა:

ბატონო ოთარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი გულითადად მოგხალობებით მხსოვან, დეაწლმობილ შემოქმედს და გილოცავთ დაბადების 75 წლისთავს.

თითქმის ექვსი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენი პოეტურია დებიუტი შედგა. 1988 წელს სრულიად ახალგაზრდად გამოაქვეყნეთ პირველი ღმერთები. დებიუტი იმედისმოცემი აღმოჩნდა და ყველა პირობა არსებობდა საიმისოდ, რომ თქვენი სახით ქართულ მწერლობას საიმედო ძალა შემატებოდა. მაგრამ სამკოთა ამერიის მსახურალი ხელი თქვენს

შემათ და კარგა ხნის მიწვევებით სამშობლოს, წინაშე ბაღსს, სუყარელ საქმეს. ჩრდილოეთი უახეთისა თუ კახსნაირსკის ბანაკებში სხვა ქართველ მწერლებთან ერთად (კბა ბუბაძე, დედო ბაღაური, კახუა ამირჯანბი, ალექსანდრე ბეგუჯალი, ზაქარე მჭედლოშვილი) ამაყად და ქიფით სრულად ახდითი ხასკელს, იცნობდით თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოზე. სამშობლოში დაბრუნებისთანავე განაგრეთ სამწერლო მიღწეობა. თქვენი პოეტურია კრებულებია „იმედია“, „ჩემი საღაურია“, „ოთარია აკრია“, „სტრიქონის ცა“, „ციხერი აკრებია“ ქართველი ჯიბელების ინტერესით ხარკვლობს პოეტურია ხაბების სისათვე და ვამაყავარება, გულწრფელობა და უშუალობა ვამაყარებ თქვენს პოეტურია. თქვენი ღმერთები კეთილმზიანი და შლიდური, გამოსახელო მტკაფარებთა მდიდარია, რაგინაღური რითმებთა ვამართლო და თქვენი გული.

თქვენ მდიდარია დარგის ცნობალი მუშაია ბრანდებთა, არჩეული ხართ საქართველოს განმართლობის დაცვის სამინისტროს სარეცინერო-სარეცინერო სარეცინერო დიგების წევრად.

კამდე ერთხელ გულითადად გილოცავთ სათუბლო ოთარს ჩვენს ძვირფას თანამოკლებს, განმართლობის და დიდხანს სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით წარმატებას გისურვებთ.

სამართველოს მდიდარია  
კახუბაი

დაბ. 1918წ. თბილისში. უპარტიო, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში (კრილოვის ქუჩა №15), დააპატიმრეს 1941 წელს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური, ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი.

გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1941 წლის 30 ივნისს და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

სასჯელს იხდიდა თბილისის ციხეში, ავჭალის შრომა-გასწორების ბანაკში, შემდეგ – კრასნოიარსკის მხარესა და ჩრდილო ყაზახეთში.

თბილისის გამანაწილებელ ციხეში ბატონ ოთართან ერთად იმყოფებოდა ექიმი და პოეტი შალვა მჭედლიშვილი: "ჩვენს შორის ყველაზე ტრაგიკული ბედი მაინც ოთარ კანდელაკს ხვდა წილად. პატიმრობის პირველ ხანებშივე სასტიკი წამების შემდეგ მენინგიტით დაავადდა. მიუხედავად იმისა, რომ უგონო მდგომარეობაში იყო, მაინც ხალხმრავალ საკანში ამყოფეს. არ უჯერებდნენ, რომ ავად იყო. ფოლადისებური ჯანმრთელობის ჭაბუკმა კი გაუძლო იმ საზარელ სენს, მაგრამ სამუდამოდ ინვალიდად დარჩა. როდესაც გონს მოვიდა (გვიანი ღამე იყო), ამხანაგებს გასძახა, წყალი მომაწოდეთო. როდესაც გულიძილში მყოფთაგან ვერც ერთი ვერ გამოერკვა, უფრო ხმამაღლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა. შეშფოთებული პატიმრები შეძრწუნდნენ კიდევ უფრო მეტად, როცა ოთარის უმწეო ქვითინი გაიგონეს: ბიჭებო, ორივე ყურით დავყრუვდიო!

ესეც არ აკმარა უიღბლო ჭაბუკს ბედმა, პატიმრობის პირველივე წელს ჯერ დედა გარდაეცვალა, მერე მამაც... ავჭალის კოლონიაში მე და ოთარს ერთად გვიხდებოდა მუშაობა: მე ამბულატორიაში, მას კი აფთიაქში. ოთარს ყველა ებრალებოდა, ყველას თანაუგრძნობდა. ღვთისაგან მომადლებული იუმორის გრძნობაც ჰქონდა, რაც მას ძალიან შეელოდა თავისი შავი სვე-ბედის ატანაში. აკი ამიტომაც გულითადი მეგობრობა აკავშირებდა კიბა ბუაჩიძესთან, რომელიც აგრეთვე გამოირჩეოდა გონებაბაზვილობით" (შ. მჭედლიშვილი, გაზ. "განახლებული ივერია", № 5, 2000).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1956 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

1993წ. დეკემბერში ბატონ ოთარ კანდელაკის დაბადებიდან 75 წლის აღსანიშნავად გამოქვეყნებულ მწერალთა კავშირის მიმართვაში გულისტკივილით იყო აღნიშნული: "... თითქმის ექვსი ათეული

წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენი პოეტური დებიუტი შედგა. 1935 წელს სრულიად ახალგაზრდამ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. დებიუტი იმედის მომცემი აღმოჩნდა და ყველა პირობა არსებობდა საიმისოდ, რომ თქვენი სახით ქართულ მწერლობას საიმედო ძალა შემატებოდა. მაგრამ საბჭოთა იმპერიის მსახვრალი ხელი თქვენც შეგეზოთ და კარგა ხნით მოგწყვეტათ სამშობლოს, საყვარელ საქმეს" (გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 1993წ., 3 დეკემბერი).

გამოქვეყნებული აქვს კრებულები: "იმედი", "ჩემი სალამური", "თეთრი აკაცია", "ბროწეულის ცა", "ცისფერი ვარდები".

რეაბილიტირებული იყო სსრკ უზენაესი სასამართლოს მიერ 1956 წლის 28 ნოემბერს.

## კანდელაკი სერგო პორფირეს ძე - ექიმი

დაბ. 1895წ. სამტრედიაში, უპარტიო, უცოლშვილო, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში, ყორღანოვის (ქიაჩელის) ქუჩაზე №11. მუშაობდა ქალაქის მეორე საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორად.

დაწყებითი განათლება მიიღო სამტრედიაში, 1916-1917წწ. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ - თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1924 წელს.

დააპატიმრეს 1927 წლის 8 თებერვალს. აღძრული სისხლის სამართლის საქმე ეყრდნობოდა ერთი მოწმის - საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა ახალგაზრდული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის მიერ ძიებისათვის მიცემულ ჩვენებებს და მეორე საავადმყოფოში მოქმედი საიდუმლო ინფორმატორის მონაცემებს. მათზე დაყრდნობით, გრიფით "სრულიად საიდუმლო", შედგენილი იყო დაზარალება-ცნობა, რომლის მიხედვით: "1925წ. იანვარში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში მიღებული იყო ცნობა, რომ სოციალ-ფედერალისტთა ახალგაზრდული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედის ვინმე სერგო, მეორე საავადმყოფოს ასისტენტი. გატარებული ღონისძიებით დადგინდა, რომ ასეთი იყო ექიმი კანდელაკი სერგო პორფირეს ძე. შემდგომმა შინაგანმა დაკვირვებებმა დაადასტურა, რომ სერგო კანდელაკი მართლაც არის სოციალ-ფედერალისტური ახალგაზრდული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ეწევა აქტიურ არალეგალურ საქმიანობას. ამასთან ჩვენი საიდუმლო განყოფილების ინფორმატორი პირადად შეხვდა ს. კანდელაკს სიფრაშვილის ბინაზე, სადაც მიიღო სხვადასხვა

ღირეკტივეები არალეგალური მუშაობის ჩასატარებლად...

7 თებერვალს ს. კანდელაკს საიდუმლოდ შეეთავაზეთ თანამშრომლობა. მაგრამ არ დათანხმდა.

შენიშვნა: კანდელაკის დაკითხვაზე ინფორმატორის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად წარმოდგენილი მონაცემებით ოპერირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება". ხელს აწერენ საიდუმლო ნაწილის რწმუნებული მიქაძე, პირველი ქვეგანყოფილების უფროსი მელიქიძე და საიდუმლო განყოფილების უფროსი ვალიკი. შედეგად ს. კანდელაკს, როგორც ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ბრალი დასდეს არალეგალურ საქმიანობაში და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიასთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1927 წლის 16 ივნისის დადგენილებით, 58-ე და 61-ე მუხლებით მიესაჯა 3 წლით გადასახლება ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში. დადგენილება დაადასტურა გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომაც (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 3330-58. საგამოძიებო საქმე № 4838).

## კანდელაკი სერგო

### ფარნაოზის (პეტრეს) ძე - ექიმი



დაბ. 1896წ. თბილისში, კომუნისტური პარტიის წევრი 1927 წ-დან. დაპატიმრებამდე მუშაობდა მოსკოვში, საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტში "ტეპლოპროექტი" უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე.

იზრდებოდა ბაქოში, სადაც პოლიტიკური დანაშაულის გამო სასჯელს იხდიდა მისი მამა ფარნაოზი (პეტრე), რომელიც თავდაპირველად გადასახლებული იყო ციმბირში და მთლიანად იყო მოწყვეტილი ოჯახს. ამით შეწუხებული

მისი მეუღლე მივიდა კავკასიის მთავარმმართველთან და სთხოვა, ხელი შეეწყო ოჯახის გაერთიანებისათვის. გენერალ-გუბერნატორის შუამდგომლობით ფარნაოზი ციმბირიდან გადაიყვანეს ბაქოში, სადაც საცხოვრებლად გადავიდა მისი ოჯახიც. ამდენად, პატარა სერგომ დაწყებითი განათლება მიიღო ბაქოში. მასთან ერთად იმავე სკოლაში სწავლობდა ლავრენტი ბერია, რომელთანაც ბავშვობაში საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ოჯახი მამის გათავისუფლების შემდეგ



დაბრუნდა თბილისში, სადაც სერგომ 1913 წელს დაამთავრა ვაჟთა მეორე გიმნაზია. 1919 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და დაამთავრა 1924 წელს. 1924-27 წწ. მუშაობდა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში ორდინატორად. 1927-28 წწ. იყო ახალქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, საიდანაც 1929 წელს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაგზავნეს მოსკოვში. იქ შეხვდა ძველ ნაცნობს - სეხნია სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც ერთ-ერთი შეხვედრის დროს შესთავაზა სრულიად მოულოდნელი წინადადება - გამხდარიყო ამიერკავკასიის გეოლოგიურ-ჰიდროგეოდეზიური ტრესტის მმართველი, რომელიც უნდა დაარსებულიყო თბილისში. ს. კანდელაკის გაკვირვებაზე კომისარ სერგოს უთქვამს: "დიდი ამბავი, თუ მე, ფერშალი. ამოდენა კომისარიატს ვუძღვები, შენ, ექიმი როგორ ვერ მოერევი ერთ... ტრესტს". გადაწყდა - ჩარიცხეს ე.წ. "განსაკუთრებული დანიშნულების ფაკულტეტზე" და ინდივიდუალური გრაფიკით ამზადებდნენ მომავალი თანამდებობისათვის. ლექციებს ხანდახან ბინაზე უკითხავდნენ ცნობილი სპეციალისტები, მათ შორის: პროფესორები გუბინსკი - მინერალოგიაში და ფერსმანი - პეტროგრაფიაში. კურსის გავლის შემდეგ, 1932 წელს, საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ს. ორჯონიკიძის ბრძანებით, დანიშნეს მოსკოვის გეოლოგიურ-სადაზვერვო ტრესტის მმართველად, ხოლო 1933 წლის 2 დეკემბერს, ისევ ს. ორჯონიკიძის ბრძანებით - თბილისში ამიერკავკასიის გეოლოგიურ-ჰიდროგეოდეზიური ტრესტის მმართველად (ბრძანება № 1023). ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1937 წ-მდე. ბერიასთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობის გამო (ურთიერთობა კი დაიძაბა მას შემდეგ, რაც კანდელაკმა უარი თქვა ბერიასთან საიდუმლო თანამშრომლობაზე) იძულებული გახდა საცხოვრებლად გადასულიყო მოსკოვში, სადაც მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში "ტეპლოპროექტი" უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მოსკოვში გადასვლამ ვერ გადაარჩინა. 1940 წელს თბილისში დროებით ჩამოსული დააპატიმრეს.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1941 წლის 7 ივლისის დადგენილებით (მუხლი მითითებული არ არის) მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში, სადაც სხვადასხვა ბანაკსა და ქალაქში მუშაობდა პროფესიით: 1941-44წწ. იყო შსსკ-ის კრასნოიარსკის მხარის სხვადასხვა საავადმყოფოს მთავარი ექიმი, თერაპევტი, რენტგენოლოგი. 1945 წელს დანიშნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კიროვის საოლქო საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

1948-49წწ. გადაიყვანეს სამხრეთ ენისეისკის საავადმყოფოში თერაპევტად. შეთავსებით იყო რენტგენოლოგიც. 1950-52წწ. მუშაობდა ანგარის გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის საექიმო უბნის უფროსად და შეთავსებით რენტგენოლოგად. შემდეგ გადაიყვანეს ენისეისკის საავადმყოფოში თერაპევტად მთლიან შტატზე და შეთავსებით რენტგენოლოგად და ინფექციონისტად.

ს. კანდელაკი გათავისუფლდა 1956 წლის აპრილში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 10 მარტის დადგენილების საფუძველზე. რეაბილიტირებული იყო 1956 წლის 26 დეკემბერს, როდესაც № 45-018426/56 განჩინებით, საქმე მის მიმართ შეწყდა წარმოებით დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

დაპატიმრების დროს ჰყავდა სამი შვილი: ეთერი (შემდეგში არქიტექტორი), მზია (ამჟამად ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) და ედიშერი (ამჟამად ინჟინერი).

გარდაიცვალა 1978წ.

## კანდელაკი შალვა

### აღიქსანდრის ძე - პროვიზორი



დაბ. 1900წ. ქუთაისში, უპარტიო, ცოლში-ლიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ფარმაცევტული სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ. დაპატიმრეს 1943წ. 8 მარტს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ტრიბუნალის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის II ნაწილით 1943წ. 27 აპრილს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (საგამოძიებო საქმე № 14218, საარქივო საქმე № 1588).

სწავლობდა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. ცხოვრობდა გინმნაზიასთან არსებულ პანსიონატში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1918 წელს სწავლა განაგრძო ახალგაზსნილ თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ოჯახური მდგომარეობის გამო სამი წლის შემდეგ შეწყვიტა სწავლა და დაიწყო მუშაობა ჯერ აფთიაქში, შემდეგ პროფკავშირულ ორგანიზაციებში - იყო პროფკავშირების დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამმართველოს უფროსის მოადგილე. აღნიშნული თანამდებობიდან გაათავი-

სუფლეს 1937წ. მამის დაპატიმრების გამო. მუშაობა დაიწყო სააფთიაქო სამმართველოში. პარალელურად სწავლობდა ფარმაცევტების ორწლიან კურსებზე, რომელიც დაამთავრა 1939წ. მალე დანიშნეს ფარმაცევტული სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ, სადაც მუშაობდა დაპატიმრებამდე. დაპატიმრების მიზეზი კი გამხდარა ქუჩაში შემთხვევითი წალაპარაკება უცხოებთან, შემდეგ კი მისი გაცხარება მილიციის განყოფილებაში, სადაც წაიყვანეს მისივე მოთხოვნით. ქუჩაში გამოსულს გამოუთქვამს უკმაყოფილება სტალინსა და ბერიაზე. იმავე წუთს გვერდში ამოუდგა ორი მამაკაცი და მოსთხოვეს უკან, მილიციის განყოფილებაში დაბრუნება. მილიციაში კი განაცხადეს: ამ მოქალაქემ მთავრობა აგინაო...

შ. კანდელაკის დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოჯახში მივიდა უცნობი პიროვნება, რომელიც თანხის სანაცვლოდ თავზე იღებდა დაპატიმრებულის გათავისუფლებას, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ოჯახს არც ქონება და არც სახარბიელო ბინა არა ჰქონდა, ვიზიტები შეწყვიტა.

როგორც შ. კანდელაკის ვაჟი ბატონი თეიმურაზი იხსენებს (ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი), ოჯახს წელიწად-ნახევრის შემდეგ მიეცა საშუალება ენახა შალვა კოლონიაში. მას ზურგზე კვლავ აჩნდა "გამოკითხვის" ნაკვალევი. სასჯელს იხდიდა ავჭალისა და რუსთავის კოლონიებში. ბატონი თეიმურაზის გადმოცემით, რუსთავში შ. კანდელაკთან ერთად სასჯელს იხდიდა მრავალი ღირსეული პიროვნება, მათ შორის თელავის თეატრის რეჟისორი ალექსანდრე (საშა) მიქელაძე, რომელსაც ერთ-ერთი ხუმრობა 10 წლით თავისუფლების აღკვეთად დაუჯდა. ერთხელაც, როდესაც შ. კანდელაკთან მისი ოჯახი იყო მისული, კანდელაკის მეუღლემ ხუმრობის ტონით ჰკითხა ბატონ საშას - ახლა თუ მიეჩვიეო, რაზედაც იყო პასუხი: რას ამბობ, ჩემო ნუცა, რომ ვერ მიეჩვიე, იმიტომ ვარ აქ და აქ რალა მიმაჩვევდაო!

შ. კანდელაკი გაათავისუფლეს 1953წ. 9 მარტს ბელადის დაკრძალვის დღეს, დაპატიმრებიდან ზუსტად 10 წლის შემდეგ. დიდხანს, საკმაოდ დიდხანს ვერ გათავისუფლდა მძიმე მოვონებებისაგან და ღამე ხშირად კოშმარები აღვიძებდა. თავდაპირველად მუშაობა დაიწყო ვაზიანში, რადგან თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. რეაბილიტირებული იყო ა/კ სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1955 წლის 7 მარტს. გარდაიცვალა 1977წ. 7 მაისს.

## კატელოვიჩი ნიკოლოზ ივანეს ძე – ფარმაცევტი

დაბ. 1895წ. პოლონეთში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა ავთიაქში ფარმაცევტად. დაპატიმრეს თბილისში, 1938 წლის 10 იანვარს.

წაყენებული ბრალდების მიხედვით, კატელოვიჩი “იყო რა შო-ვინისტურად განწყობილი, ჩვენთვის მტრული გარემოდან ეწეოდა ან-ტისაბჭოთა აგიტაციას. ტენდენციურად აწარმოებდა ჯარის ნაწილ-ში წითელარმიელთა გამოკითხვას მათი საყოფაცხოვრებო პირობები-სა და მშობლებთან მიმოწერის შესახებ”. თავი დამნაშავედ სრულად არ ცნო (მომხსენებელი ენუქიძე).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 13 მარტის დადგენილებით საქართველოს სისხლის სა-მართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-10) მიესაჯა თავისუფ-ლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14151, ოქმი № 100-1, 13.03.38, ფ. 44).

## კახიანი მიხეილ ღვინთის ძე – ექიმი



დაბ. 1912წ. ბაღდათის რაიონის სოფ. რო-კითში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აღზრდილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდა-ტი. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის სა-მედიცინო ინსტიტუტში თერაპიის კათედრაზე ასისტენტად. დაპატიმრეს 1948 წლის 18 მა-ისს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედ-რო ტრიბუნალის მიერ 1949წ. 5 მაისს საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-10 წინაწილი) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბა-ნაკში მოხდით.

დაპატიმრეს მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში, საფრან-გეთსა და პოლონეთში ტყვედ ყოფნის გამო. გერმანიაში სამხედრო ტყვეთა ბანაკში ყოფნისას 1942წ. ივლისში დაინიშნა ბანაკის სანი-ტარული ნაწილის უფროს ექიმად (მის დაქვემდებარებაში იყო 25-კაციანი სამედიცინო პერსონალი). ემსახურებოდა ტყვეებს. 1943წ. აპრილში სხვადასხვა ბანაკიდან დაკომპლექტებულ ჯგუფთან ერთად

წაიყვანეს ექსკურსიაზე გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ტყვეებისათვის გერმანიის კულტურისა და ძეგლების დემონსტრირების მიზნით. როგორც წაყენებულ ბრალდებაშია აღნიშნული, ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ აქებდა ფაშისტური გერმანიის მოსახლეობის ყოფისა და ცხოვრების ღონეს.

1955 წლის 19 თებერვალს მისი საქმის განმეორებითი განხილვის დროს განაჩენი ძალაში დარჩა (სუსის არქივი, საქმე № 153, ტ. 10, საქაღალდე 82, 83, გვ. 14-15).

სასჯელს იხდიდა ყაზახეთში - ყარაგანდაში.

მ. კახიანის ვაჟის, დავითის, მოგონებიდან: "მამაჩემი ბუნდოვნად დამამახსოვრდა, როცა ასამართლებდნენ. მე პატარა ვიყავი და ვერ გავერკვიე, რა ხდებოდა. გაცნობით კი გავიცანი ყარაგანდის ბანაკში, როცა დედასთან (ოღლა აბაშიძე) ერთად ჩავედი მის სანახავად. იმავე ბანაკში სასჯელს იხდიდნენ იმ დროს უცნობი სოლჟენიცინი და ცნობილი ფიზიკოსები და მათემატიკოსები".

მ. კახიანი გათავისუფლდა 1956 წლის 21 ოქტომბრის ამნისტიით, ნასამართლეობის მოხსნით და სამოქალაქო უფლებების აღდგენით. დაბრუნდა საქართველოში 1956წ. მუშაობდა რუსთავში, მეტალურგიული ქარხნის სამედიცინო ნაწილში. გარდაიცვალა 1981 წელს.

## კედია იოსებ მანუჩარის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1884წ. ზუგდიდში. უპარტიო. ყოფილი სოც-ფედერალისტური პარტიის წევრი 1905 წლიდან. ყოფილი ვაჭარი. დაპატიმრებამდე იყო საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს წარმომადგენელი ზუგდიდის რაიონში. დააპატიმრეს 13.07.37წ.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, იყო 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორი, რისთვისაც იყო დაპატიმრებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ. როგორც სპირიტონ კედიას მოგვარესა და სიძეს, იოსებს თითქოს კავშირი ჰქონდა კონტრრევოლუციონერ-მენშევიკ ქარცივაძესთან, რომლის მითითებითაც ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ, მენშევიკურ არალეგალურ საქმიანობას ზუგდიდის რაიონში. ცდილობდა შეექმნა ახალგაზრდა მარქსისტთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია (მომხსენებელი კაკუჩაია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10,

58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 8819, ოქმი № 65-3, 13.12.37, ფ. 11).

## აკაკელია გრიგოლ მიხეილის ძე

დაბ. 1898წ. შორაპნის მაზრის სოფ. განირში. კპ(ბ)-ის წევრი 1930 წლიდან. დაპატიმრებამდე იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მეღსანშრომის კავშირის თავმჯდომარე. დააპატიმრეს 1937 წლის 26 ნოემბერს.

ბრალად, როგორც მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიურ წევრს, ედებოდა მავნებლური საქმიანობა მეღსანშრომის კავშირში.

პირველად დაპატიმრებული იყო საგანგებო კომისიის (ჩკ) მიერ 1924 წელს, როგორც "ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის აქტიური წევრი. მისი ძმა ამბერკი ხელმძღვანელობდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ სათადარიგო ცენტრს (მომხსენებელი ღრეი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 12926, ოქმი № 68-1, 16.12.37, ფ. 4).

## კვანტალიანი დავით მიხეილის ძე – ფარმაცევტი

დაბ. 1883წ. სამტრედიაში, უპარტიო. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა სამტრედიაში. დააპატიმრეს 1937 წლის 2 აგვისტოს.

ბრალად ედებოდა, რომ 1936 წლიდან იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და ესწრებოდა ორგანიზაციის არალეგალურ სხდომებს. 1937 წლიდან დაუკავშირდა გადასახლებიდან დაბრუნებულ ალექსანდრე კვანტალიანს და დათანხმდა შეექმნათ მენტე-ვიკური მემბოხე ორგანიზაცია. დაპატიმრებამდე აქტიურად ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების შიზიდვას (მომხსენებელი ნადარაია).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 8 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 21016, ოქმი № 10, 08.09.37, ფ. 73). განაჩენი აღსრულდა 30.09.37წ.

## კვაჭაძე ილია დიმიტრის ძე – ფერშალი

დაბ. 1898წ. მენშევიკური პარტიის წევრი 1910 წლიდან. მოხალისედ მსახურობდა მენშევიკურ არმიაში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ხულოს რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებაში ინსტრუქტორად.

ბრალად ედებოდა, რომ 1937 წელს გადაბირებული იყო კონტრრევოლუციონერ ივანე კვაშალის მიერ მენშევიკურ ორგანიზაციაში სამუშაოდ. ცდილობდა კპ(ბ) და საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტის შელახვას და მოსახლეობაში უკმაყოფილების შექმნას, რისთვისაც ავადმყოფებს დროულად არ უწევდა დახმარებას და ექცეოდა უხეშად.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 5 მაისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 32288, ოქმი № 113-2, 05.05.38, ფ. 105). დახვრიტეს 11.05.38წ.

## კვირია ბიორგი ალექსანდრის ძე

დაბ. 1902წ. მარტვილში. კპ(ბ) წევრი 1919 წლიდან. წითელ არმიაში მსახურობდა 1921 წლიდან 1931 წლამდე. დაპატიმრების დროს იყო მანგლისის საკურორტო სამმართველოს დირექტორი.

ბრალად ედებოდა, რომ 1927 წლიდან იყო წითელი არმიის ქართულ ნაწილებში მოქმედი კონტრრევოლუციური, არალეგალური ტროცკისტული სამხედრო ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას საბჭოთა არმიის ძლიერების შესასუსტებლად და ორგანიზაციაში იზიდავდა ახალ წევრებს.

იმზილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ასლანოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 3 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-

8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 1675-59, ტომი 5, ფ. 256).

რეაბილიტირებულია 1956 წელს.

## კვიჟინაძე ილია დავითის ძე – ექიმი



დაბ. 1890წ. ბაღდათის რაიონის სოფ. კიკნაველეთში. კპ(ბ) წევრობის კანდიდატი. ცოლშვილიანი. საშუალო განათლება მიიღო თბილისში. 1912 წელს დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია და 1913 წელს სასწავლებლად გაემგზავრა პეტერბურგში, საიდანაც გადავიდა იურიევში (ტარტუ). 1913 წელს დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა ტყიბულსა და ქუთაისში, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საავადმყოფოსა და სამედიცინო სასწავლებლის გახსნაში. 1930 წლიდან გადაიყვანეს თბილისში. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კადრების განყოფილების გამგედ, შემდეგ, დაპატიმრებამდე, მუშაობდა სანეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსად. დაპატიმრეს 1937 წლის 3 სექტემბერს.

ი. კვიჟინაძის დაპატიმრების ზოგიერთ დეტალს იხსენებს მისი ქალიშვილი – თინათინი (ექიმი-სტომატოლოგი): “1937 წლის 3 სექტემბერს დილის 6 საათზე დაგვადგა 3 ახალგაზრდა (20-21 წლის ვაჟები) და მოიტანეს მამას დაპატიმრების ორდერი, ჩამოართვეს რევოლვერი, ძველებული ხმალი და სანადირო თოფი ტყვია-წამლით. მამა თან წაიყვანეს. დაპატიმრებიდან მეექვსე დღეს მოვიდნენ და აღწერეს, რაც კი გვებადა. გამოგვასახლეს ჩვენი ფულით აშენებული ბინიდან და დედა, ბებია, ჩემი ძმა და მე შეგვასახლეს ნახევრად სარდაფში ბროსეს ქუჩაზე”.

ი. კვიჟინაძეს ბრალად ედებოდა მავნებლური მუშაობა ჯანდაცვის სისტემაში. სიღნაღის რაიონში აქტიური ბაქტერიოლოგიური ღივერსიის დაფარვა, ღივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრად ყოფნა (მომხსენებელი ოვანესიანი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 21 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-



11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 10237, ოქმი № 117, 21.06.38, ფ. 27). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წლის 22 ივნისს. რეაბილიტირებულია 1983 წელს.

## კვიტაიშვილი დავით ფილიმონის ძე – ექიმი

დაბ. 1910წ. ლანჩხუთში. იქვე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1934 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო რაიონში პედიატრად. დაპატიმრების დროს მუშაობდა თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში. 1942 წლის 25 ნოემბერს დაპატიმრეს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად (ა. იმნაძე, ი. გილი, ექიმები თეოფანე და ლევან ჩაჩუბი, და სხვები). 1944 წლის 20 ნოემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-11), მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და შემდგომ 5 წლით სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა.

1949 წლამდე სასჯელს იხდიდა თბილისში, შემდეგ – შორეულ კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვორკუტის შრომა-გასწორების ბანაკში, სადაც მუშაობდა ექიმად. იქვე, მასთან ერთად, იხდიდნენ სასჯელს მწერალი ლევან გოთუა, ფილოსოფოსი ზურაბ მიქელაძე, ნიკოლოზ მღებრიშვილი (იხ.), გიორგი ჭიაბრიშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, პოეტი შალვა მჭედლიშვილი (იხ.) და სხ.).

დავით კვიტაიშვილმა, როგორც ექიმმა და ღირსეულმა მოქალაქემ, ბანაკში ბევრს გაუადვილა მძიმე ცხოვრება, ბევრიც სიკვდილს გადაარჩინა. ბატონი შალვა მჭედლიშვილი დღესაც მადლიერებით იხსენებს, თუ როგორ ამოიყვანა იგი ბატონმა დავითმა მორგიდან და როგორ შეუნარჩუნა სიცოცხლე. ექიმ კვიტაიშვილისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ იყო ავადმყოფი – პატიმარი თუ თავისუფალი მოსახლე, ქართველი თუ სხვა ეროვნებისა. თავისუფალ დროს კი ძირითადად ატარებდა ქართველებთან. "სადაც დავითი იყო, იქ იყო პატარა საქართველო, იქ იყო სიკეთე და სიამტკიბილობა" – განუზომელმა სიყვარულმა და პატივისცემამ თუ ათქმევინა ეს სიტყვები ვორკუტის პატიმარს ბატონ შოთა შავგულიძეს (ჟურნალი "დროშა" № 7-9, 1996). თითქოს აგრძელებსო შ. შავგულიძის ნათქვამს მწერალი გურამ დოჩანაშვილი, როცა ბრძანებს: "ბატონი და-

ვითი ის ექიმი, თვითონ რომ ოცდაცხრამეტი გრადუსი ჰქონია სიცხე, ოცდათვრამეტგრადუსიან ავადმყოფთან წასულა, რაღა თქმა უნდა, ყოვლად უსასყიდლოდ და უანგაროდ. ძია დათიკოს გრძელ გადასახლებაშიც კი, ციმბირულ ქარბუქსა და ყინვაში, ათი და ოცი კილომეტრი გაუვლია, ბავშვი რომ ეხსნა, რა გაბოროტება, რის ხელჩაქნევა დაჭერის გამო, ყოველთვის, მუდამ, სხვებზე ზრუნავდა. და ერთადერთი, მოსაფრთხილებლად არ უღირდა საკუთარი თავი" (გ. დოჩანაშვილი, "იქამდე", თბ. 1991).

1952 წელს დაუმთავრდა სასჯელის ვადა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება არ აღირსეს, დატოვეს იქვე, ვორკუტაში ე. წ. "თავისუფალ დასახლებაში". მუშაობდა ქალაქის მთავარ პედიატრად და იმავედროულად კონსულტაციებს უწევდა ბავშვთა პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს ექიმებს. მაღლიერმა ადგილობრივმა მოსახლეობამ თავისი დამოკიდებულება ექიმ კვიტაიშვილის მიმართ გამოხატა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაგზავნილ წერილში, რომელშიც ითხოვდნენ, რომ დავით კვიტაიშვილისთვის მოეხსნათ ნასამართლობა და აღედგინათ სამოქალაქო უფლებები. პრეზიდიუმმა გაითვალისწინა მოსახლეობის თხოვნა და 1956 წლის ზაფხულში მოუხსნა ნასამართლობა და აღუდგინა საბჭოთა მოქალაქის უფლებები (საქმე № იპ-13288, ოქმი № 38). საქართველოში დაბრუნდა იმავე წელს. ჯერ მუშაობდა ბავშვთა პოლიკლინიკებში, შემდეგ - ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში განყოფილების გამგედ.

გარდაიცვალა ბატონი დავითი 1987 წელს.

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - ნინო იმნაძე, ექიმი (გარდაიცვალა 1989 წელს) და ვაჟები: ვახტანგი (გარდაიცვალა 1975 წელს) და ემზარი - ამჟამად რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგი, მწერალი.

## კიკაჩიშვილი ნესტორ მიხაილის ძე - ფერმალი

დაბ. 1878წ. შორაპნის მაზრის სოფ. კულაშში. ფლობდა ქართულ, რუსულ, ბერძნულ და გერმანულ ენებს. დაპატიმრებამდე მუშაობდა სამტრედიის ფერშლად. დაპატიმრეს 1937 წლის 25 აგვისტოს.

ბრალად ედებოდა, რომ სისტემატურად ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას ტრანსპორტის მუშაკთა შორის.

პირველად რეპრესირებული იყო 1924 წელს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ქუთაისის განყოფილების მიერ (მომხსენებელი კამკამიძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 24106, ოქმი № 48-1, 17.11.37, ფ. 28).

## კიკნაძე ალექსანდრა

### ნაკობის ასული - ექიმი-სტომატოლოგი

დაბ. 1903წ. სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო სენაკში. დაპატიმრებამდე მუშაობდა სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში.

ბრალად ედებოდა მისი მეუღლის ტროცკისტული საქმიანობის დამალვა და მისთვის კონტრრევოლუციურ ქმედებაში ხელის შეწყობა (მომხსენებელი ოვიანი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-12), მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერვა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 7982, ოქმი № 1, 11.08.37, ფ. 3). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 13.08.37.

## კიკნაძე ბრიგოლ ბრიგოლის ძე - ექიმი

დაბ. 1882წ. თელავში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ჰოსპიტალში ორდინატორად, მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. ჩაბმული იყო კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, ჯამუშურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934წ. პირველ დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომში ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.
2. იყო წევრი საქართველოში და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში მოქმედი კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული, ჯამუშური სამხედრო ორგანიზაციისა, რომლის მიზან-

ნი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა.

3. დასახლებული ორგანიზაციის დავალებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარულ სისტემაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების სიძლიერის ძირის გამოთხრის მიზნით ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას.

თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 15825, ოქმი № 120, 09.10.38. ფ. 42). განაჩენი აღსრულდა 10.10.38.

### **კიკნაძე სერგო ზაქარაიას ძე -**

სანიტარული ინსპექტორი

დაბ. 1886წ. ბორჯომში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა რაიალმასკომში სანიტარულ ინსპექტორად. დაპატიმრეს იქვე, 1936წ. 17 სექტემბერს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1936 წლის 23 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საარქივო საქმე №613-56).

### **კილასონია გიორგი მათეის ძე - ექიმი**

დაბ. 1905წ. ხაშურში, კპ(ბ) ყოფილი წევრი, გარიცხული იყო 1937წ. პირველ დაპატიმრებამდე მუშაობდა გორის რაიონის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ. დაპატიმრეს 1937წ. 16 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ 1929წ. ა. გოგიჩაიშვილის მიერ მიწვეული იყო ტროცკისტული ორგანიზაციის არალეგალურ კრებაზე, სადაც მას შესთავაზეს გამხდარიყო ორგანიზაციის წევრი. აღნიშნული კი გ. კილასონიამ არ შეატყობინა სათანადო ორგანოებს. ბრალდება ეყრდნობოდა მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებას, რომელმაც განაცხადა, რომ 1929წ. ზაფხულში გორის შემოგარენში ნახა გ. კილასონიას.

ნია ტროცკისტ ა. გოგიჩაიშვილთან, ხომასურიძესა და ტატიშვილთან ერთად და მიუხედავად იმისა, რომ არ მოუსმენია, რაზე საუბრობდნენ, დაასკვნა: ეს იყო ტროცკისტული ხასიათის შეკრება, რადგან ა. გოგიჩაიშვილი ტროცკისტია. ბრალდება კილასონიამ კატეგორიულად უარყო. გოგიჩაიშვილმა, ხომასურიძემ და ტატიშვილმა უარყვეს კილასონიასთან შეხვედრის ფაქტი.

საქმე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ 1938წ. 25 იანვარს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

1940წ. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ გააუქმა საქართველოს უ/ს კოლეგიის განაჩენი და საქმე დააბრუნა ხელახალი გამოძიებისათვის. დამატებითი გამოძიების შემდეგ შსს კომისარიატის გორის რაიონულმა განყოფილებამ დასვა საკითხი საქმის შეწყვეტის შესახებ ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატი არ დაეთანხმა რაიონის წინადადებას და კილასონიას საქმე კვლავ გაგზავნა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საქმის განხილვის შემდეგ კვლავ დააბრუნა დამატებითი ძიებისათვის. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ყოველგვარი ახალი გამოძიების გარეშე საქმე გადასცა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო სათათბიროს (არასასამართლო ორგანო), რომელმაც სასჯელის ვადა შეამცირა 5 წლამდე (უიცსა, ფონდი 498, ან. 4, საქ. 7399, გვ. 10-11).

1950წ. გ. კილასონია მეორედ დააპატიმრეს. ამჯერად ბევრად უფრო სერიოზული ბრალდებით. კერძოდ, ბრალად ედებოდა. რომ იყო მენშევიკური ჯაშუშური ჯგუფის წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მენშევიკების საზღვარგარეთული ბიუროს ემისარი - თურქული დაზვერვის აგენტი გ. გაბინაშვილი, რომ იგი. კილასონია, ასრულებდა გაბინაშვილის პრაქტიკულ, ანტი საბჭოთა ხასიათის დავალებებს და, იცოდა რა მისი მტრული საქმიანობის შესახებ, ხელს უწყობდა მას საქართველოს ტერიტორიაზე მტრული საქმიანობის განხორციელებაში.

1952წ. 13 ივლისს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გ. კილასონიას და ჯგუფის სხვა წევრებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა, 58-11 მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით.

გ. კილასონიამ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამო 1953წ. 17 აპრილს საჩივრით მიმართა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრს ბერიას. მასში აღნიშ-

ნულია: ჩემი საქმის გამომძიებელი მოქ. გურგენიძე პირველივე დაკითხვიდან ჩემ მიმართ იყენებდა ფიზიკური ძალადობის არაადამიანურ მეთოდებს: ცემას, დაშინებას, სასქესო ორგანოებზე მტკივნეულ მოქმედებას" და ა. შ.

გ. კილასონიასა და სხვათა საგამომძიებო საქმისა და დამატებითი გამომძიებით მოპოვებული მასალების შესწავლის საფუძველზე 1955წ. საბჭოთა კავშირის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ გარკვეა, რომ: "საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში არც დაპატიმრებამდე და არც ძიების დამთავრების შემდეგ არ იყო საქმარისი მასალა, რომელიც მიუთითებდა, რომ გაბინაშვილი იყო თურქული და ამერიკული დაზვერვის აგენტი, მენშევიკების საზღვარგარეთული ბიუროს ემისარი... საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში არ არის მონაცემები გაბინაშვილის უცხოეთში ყოფნისა და უცხოურ დაზვერვასთან მისი კავშირის შესახებ, ამასთან, შემოწმებით დადგინდა, რომ ე. წ. "გაბინაშვილის ხელშემწყობთა საქმე" ფალსიფიცირებული იყო საქართველოს უშიშროების ყოფილი ხელმძღვანელის რუხაძის მიერ" (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 7263-59, ტომი 5, 6).

1952-55წწ. სასჯელს იხდიდა რუსთავის კოლონიაში. 1955 წლის 30 დეკემბერს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებო განყოფილების მიერ საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

## კლინი როზარტ იოჰანის ძე - ექიმი

დაბ. 1910წ. აზერბაიჯანში, გერმანელი, სსრკ მოქალაქე, დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპაერო თავდაცვის მეცხრე ავიაბრიგადაში ექიმად.

წარდგენილი ბრალდების მიხედვით, "იყო რა განწყობილი კონტრრევოლუციურ-ფაშისტურად, 1932 წლიდან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ერთ-ერთი კაპიტალისტური ქვეყნის ჯაშუშებთან, მალავდა მათ კონტრრევოლუციურ საქმიანობას და აწვდიდა საიდუმლო მონაცემებს ავიანაწილის მდგომარეობის შესახებ. სამხედრო მოსამსახურეებში სისტემატურად ეწეოდა კონტრრევოლუციურ-ფაშისტურ აგიტაციას. სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა დანაშაულებრივ-მავენებლურად".

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის დადგენილებით, საქართველოს სის-

ხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-10) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 9996, ოქმი №43, 09.11.37. ფ. 27). განაჩენი აღსრულდა 10.11.37.

## **კოხალაძე ალექსანდრე ფილიპეს ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1892წ. სოფ. სამებაში, კომპარტიის წევრი. 1930-35წწ. მუშაობდა გერმანიაში. დააპატიმრეს თბილისში, 1936 წლის 20 დეკემბერს.

გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ და სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) 1937წ. 20 ივნისს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (საგამოძიებო საქმე №8429, საარქივო საქმე №18384).

სსრკ უზენაესი სასამართლოს 1957წ. 13 აგვისტოს დადგენილებით საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

## **კოზლოვსკი კაზიმირ კაზიმირის ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1883წ. ქ. უმანში, უპარტიო. დააპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა მწვანე კონცხზე. დააპატიმრეს იქვე, 1931წ. 7 აპრილს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასამართლო კოლეგიის სხდომის 23.09.1931წ. დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საარქივო საქმე № 3294-58).

## **კოილუ სოლომონ თედორას ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1883წ. კურსკში, უპარტიო, დააპატიმრებამდე მუშაობდა გუდაუთაში აფთიაქის გამგედ. დააპატიმრეს 1937წ. 12 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას - ჰყვებოდა ანტისაბჭოთა ანეკდოტებს, არ სჯეროდა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებისა, ელოდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. იყო რა გუდაუთის აფთიაქის გამგე, ეწეოდა კონტრარევოლუციურ მავნებლურ მუშაობას აფთიაქში. ჰქონდა მჭიდრო კავშირი ფა-

შისტური გერმანიის აგენტ ლექტორ ლინდეტონთან და მასთან ერთად ჰყვებოდა ანტისაბჭოთა ანეკდოტებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 26419, ოქმი № 32 14.10.37. ფ. 88).

## კონიაშვილი ივანე ბრიგოლის ძე - ექიმი



დაბ. 1889წ. თბილისში, მრავალშვილიან ოჯახში. 1908 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია და სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან გადავიდა პეტერბურგის სამხედრო - სამედიცინო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1913 წელს. იმავე წელს, როგორც ექიმი, გაიწვიეს ჯარში. პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა კასპისპირეთის ოლქში მოქმედ არმიაში. 1919 წლიდან სამსახური განაგრძო თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენი-

ლა. 1920 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის თერაპიის კათედრაზე პროფ. ა. ალადაშვილის თაოსნობით დაარსებული ბალნეოლოგიური განყოფილების ხემძღვანელად, იმავედროულად დანიშნეს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილედ სამკურნალო დარგში და იმავე სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ, 1922 წელს კი, ბორჯომში რომანოვების სასახლის ბაზაზე გახსნილი სანატორიუმის მთავარ ექიმად.

1923-24 წლებში მივლინებული იყო გერმანიაში, სადაც მუშაობდა საყოველთაოდ ცნობილ პროფესორ ბიკელთან. საქართველოში დაბრუნებულმა თან ჩამოიტანა ბიოქიმიური ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა, აპარატურა გაზთა ცვლის გამოსაკვლევად და იმ დროისთვის უახლესი სხვა სამედიცინო აპარატურა, რომელსაც შემდგომ წარმატებით იყენებდა სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1926 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის კათედრა, რომლის პირველი გამგე იყო პროფ. პ. მეზერნიცკი. 1928 წლიდან კათედრას სათავეში ჩაუდგა ივანე კონიაშვილი, 1935 წლიდან



კი ბატონმა ივანემ შეითავსა ახლად გახსნილ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში კურორტოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაც. იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ბატონი ივანეს მოღვაწეობა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტიტუტში. დღიდან დაარსებისა (1927წ.) იყო უცვლელი დირექტორი 1938 წლამდე. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ინსტიტუტის სტრუქტურა, გაიხსნა განყოფილებები და ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობა. დღეს ინსტიტუტი ივანე კონიაშვილის სახელობისაა.

1930 წელს, კურორტოლოგიის უახლეს მიღწევთა გასაცნობად, ი. კონიაშვილი კვლავ მიავლინეს უცხოეთში (საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და ჩეხოსლოვაკიაში). სამშობლოში დაბრუნებული უნარიანად იყენებდა იქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. ბატონი ივანეს ხელმძღვანელობით დაიწყო წყალტუბოს საკურორტო რესურსებისა და მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების კომპლექსური შესწავლა. მისი თაოსნობით წყალტუბოში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოვის, ხარკოვისა და პიატიგორსკის კურორტოლოგიის ინსტიტუტების თანამშრომლები. მსგავსი ექსპედიციები მოეწყო ახტალაში, ჯავაში, ბახმაროზე, პატარა ცემში, აბასთუმანში, შოვეში, საირმეში და ა.შ. (ფ. დანელია, "ივანე კონიაშვილი", "საქართველოს სამედიცინო მოამბე", 1993, № 2, გვ. 50-61).

სრულიად მოულოდნელად შეწყდა ბატონი ივანეს წარმატებული მოღვაწეობა - 1938 წლის ზაფხულში ბორჯომში მუშაობის დროს დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს, რომ "... იყო ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი. ამასთან ერთად, 1925 წლიდან შედიოდა პოლონეთის დაზვერვის აგენტურაში და დაპატიმრებამდე ეწეოდა ინტენსიურ ჯამბურსადაზვერვო საქმიანობას, რისთვისაც ჰქონდა მუდმივი კავშირი მის რეზიდენტებთან თბილისში" (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 15507, ოქმი № 119, 25.09.38, ფ. 179).

თუ როგორ ხდებოდა ბატონი ივანეს საქმის "გამომიება" ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ყოფილი პოლიტპატიმრის, ბატონ დავით გიორგაძის მოგონება. ბატონი დავითი იმ დროს ი. კონიაშვილთან ერთად იმყოფებოდა საკანში: "ორმა გამცილებელმა შემოიყვანა ივანე კონიაშვილი, ფერმიხდილი, დასისხლიანებული, ნაწამები. გამცილებლები გავიდნენ. პროფესორი ფეხზე ვერ დგებოდა. დავაწვინეთ, როგორც შეგვეძლო, მოუუარეთ. დიდხანს ხმა არ ამოუღია. ზურგზე ვერ დაწვა. მხრები და წელი ერთ მთლიან იარას წარმოადგენდა.

ეს უკვე მეშვიდედ განიცადა მან ადამიანის ღირსების გათელვა, უღმერთო წამება. მისი გამომიებიელი მუქარით, ლანძღვით, რე-

ზინის მათრახითა და ჯოხით მეშვიდედ მოითხოვდა მისგან ეცნო თავი დამნაშავედ. აელო ბრალდება ჯაშუშურ ქმედებაში.

მესამე ღამეს პროფესორი კონიაშვილი კვლავ წაიყვანეს. უკვე მზემ შემოაჭვრიტა, როდესაც ცოცხალ-მკვდარი საკაცით შემოგვიგდეს" (გაზეთი "საქართველო" 1991 წ., №№ 5, 7).

პროფესორ ივანე კონიაშვილის მომავალი გადაწყვეიტა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულმა სამეულმა, რომელმაც 1938 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11). მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერეტა, ქონების კონფისკაციით. განაჩენი აღასრულეს 1938 წლის 26 ოქტომბერს (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15507, ოქმი № 119, 25.09.38.. ფ. 179).

დაპატიმრების დროს ბატონ ივანეს ჰყავდა მეუღლე – სოფიო, რომელმაც ათი წელი გაატარა გადასახლებაში და ქალიშვილი თამარი – შემდგომში ექიმი.

## კონცელიძე ოსმან ალის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1892წ. ბათუმში. საშუალო განათლებით. ცოლშვილიანი. კპ(ბ) ყოფილი წევრი, გარიცხული 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით. დაპატიმრებამდე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი. ადრე ნასამართლევნი არ ყოფილა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-2, 58-6, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერეტა, პირადი ქონების კონფისკაციით.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი კონტრრევოლუციური, მემამბოხე ორგანიზაციისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში და აჭარის შეერთება თურქეთთან. ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას და მკვნიბლობას ჯანდაცვის სისტემაში, ცდილობდა გადაებირებინა მოქალაქეები კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად – გადაიბირა ერთი კაცი (მომხსენებელი კონსტანტინიდი).

რიგით მომდევნო საგამოძიებო საქმით № 21986 "შესწავლილი" იყო ოსმან კონცელიძის მეუღლის – ადვიე კონცელიძის კონტრრევოლუციური საქმიანობა. საგამოძიებო საქმეში აღნიშნულია, რომ მი-

სი მშობლები ცხოვრობდნენ თურქეთში, თვითონ კი იყო წვერი კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში და მისი მიერთება თურქეთთან. ორგანიზაციის დავალებით ჩადიოდა თურქეთში ჯამუშური საქმიანობისთვის (მომხსენებელი კონსტანტინიდი). აღნიშნულისთვის 1937 წლის 22 ნოემბერს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 21986, ოქმი № 52, 22.11.37, ფ. 40).

## კორძასია პლატონ ოტიას ძე - ექიმი

დაბ. 1894წ. აბაშაში. კომუნისტური პარტიის წვერი 1920 წლიდან (გარიცხული დაპატიმრების გამო), სოციალ-ფედერალისტული პარტიის ყოფილი წვერი. მცხოვრები თბილისში. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აღზრდილი (დაამთავრა 1931 წელს), ოფთალმოლოგი, ჯანდაცვის ორგანიზატორი - თბილისის საქალაქო საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი გამგე, საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე (1931-37წწ.).



ეწეოდა პრაქტიკულ საექიმო საქმიანობას. როგორც ოფთალმოლოგი დახელოვნდა ოდესის ცნობილ კლინიკაში პროფ. ფილატოვის ხელმძღვანელობით. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის თვალის სნეულებათა საავადმყოფოს დირექტორად.

ბრალად ედებოდა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოში მუშაობის დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხალხის მტრებთან, რომლებიც აღიარებდნენ მემარჯვენეთა შეხედულებებს. ბრალად ედებოდა აგრეთვე კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ღია გამოსვლები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938წ. 19 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14766, ოქმი № 105, 19.03.38. ფ. 24).

განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 21.03.38წ.

## კოსტავა-შვულავა ლიდა ილიას ასული - ექთანი

დაბ. 1907წ. ქუთაისში. საშუალო განათლებით. უპარტიო. დააპატიმრეს 1937წ. თბილისში.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1937წ. 16 დეკემბერის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-16 მუხლით (წესიერების მასიური დარღვევის მოწყობა) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საგამომიებო საქმე № 12263, საარქივო საქმე № 40113). სასჯელს იხდიდა ყაზახეთში, ჯეზკაზგანის ოლქში. საქართველოში დაბრუნდა 1946წ. მუშაობდა ქუთაისის სამშობლიარო სახლში.

რეაბილიტირებული იყო 1955 წელს.

## კრივისკი ალექსანდრა ტიმოთეს ძე - ფერმალი

დაბ. 1884წ. ორენბურგში, უპარტიო. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა ოზურგეთში. დააპატიმრეს 1933წ. 16 მარტს.

საბჭოთა კავშირის გაერთიანებული მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს 1933წ. 22 აგვისტოს დადგენილებით გაასახლეს ყაზახეთის რესპუბლიკაში 3 წლით (საარქივო საქმე № 6805-69).

## კულულაშვილი ვასილ ალექსის ძე - ექიმი



დაბ. 1897წ. თბილისში, სოციალ-ფედერალისტური პარტიის ყოფილი წევრი (1915 წლიდან), ცოლშვილიანი. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, დაამთავრა გიმნაზია და შემდეგ რამდენიმე წელი მუშაობდა აფთიაქში პროვიზორის თანაშემწედ. 1924წ. სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1930წ. დააპატიმრებამდე სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისში - ქალაქის პირველ საავადმყოფოში, თეთრიწყაროში, ბორჩალოში, ლენინგრადში.

ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ გადახდა

თავს, უამრავ ადამიანს შეხვდა. ამ შეხვედრებიდან, როგორც მისი ქალიშვილი ჰენრიეტა გადმოგვცემს, სიამაყით იხსენებდა ერთს: "1913წ. სექტემბერ-ოქტომბერი იქნებოდა, როცა მეორედ შევხვდი ბუმბერაზ პოეტებს აკაკისა და ვაჟას. ისინი მძიმე ნაბიჯით მოსიერი-ნობდნენ გოლოვინის პროსპექტზე. მიდიოდნენ ქართულ კლუბში ლ. ალექსი-მესხიშვილის საღამოზე დასასწრებად. ახალგაზრდული გამბედაობით წინ შევეფეთე და მივესალმე. ვაჟამ საღამოთ მიაპასუხა და აკაკის უთხრა: ეს ახალგაზრდა კიკუშა სულხანიშვილის გუნდში მღერისო. აკაკიმ შემომხედა და გაღიმებულმა ხელი ჩამომართვა, მომიკითხა და თავზე ხელი გადამისვა. თურმე დაეხსომებივიარ. მე ხომ ერთი თვის წინ საკუთარი ლექსი ეუთხარი ავლაბრის სახალხო თეატრში. მაშინ ლექსი აკაკიმ კონცხით გამომართვა. ბედნიერი ვიყავი. ისინი ალერსით დამემშვიდობნენ, ცხოვრებაში გამარჯვება მისურვეს".

დაპატიმრებამდე მუშაობდა ბორჩალოს რაიონის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ და იმავდროულად შაუმიანის ამბულატორიის გამგედ.

მამის დაპატიმრების ზოგიერთ დეტალს გადმოგვცემს ქალბატონი ჰენრიეტა, იმხანად 10 წლის: "1937წ. ივლისში ზაფხულის არდადეგების პერიოდში ერთ ღამეს თავს დაგვადგნენ, თითქოს ნაცნობი და ამავე დროს უცნობი "ბიძები" და მამა დააპატიმრეს. დედა აფორიაქდა, ჩვენ სამივენი ვტიროდით. დედამ მომხდარის შესახებ მეორე დღესვე შეატყობინა თავის მამას - კოლა მაჭავარიანს არგვეთში. ბაბუა-პაპა კოლა სასწრაფოდ ჩამოვიდა; ავიბარგეთ შურააცხყოფილ-შეშინებულები და ჩამოვედით თბილისში. ზაფხული ცხელი იყო და პაპა კოლამ წაგვიყვანა არგვეთში... ორ კვირაში ახალი უბედურება დაგვატყდა თავს - პაპა კოლაც დააპატიმრეს... ის აღარ დაბრუნებულა. რა ბედი ეწია? არ ვიცით".

ვასილ კულულაშვილს დაპატიმრების დროს ბრალად ედებოდა, რომ 1922 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისში გამართულ სოციალისტ-ფედერალისტთა კონფერენციაში, ბორჩალოს რაიონში მუშაობის დროს ასრულებდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბორჩალოს რაიკომის ყოფილი მდივნის ცეხაძის (ცეცხლაძე (?) ავტ.) დავალებებს და ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას. ამ მიზნით მისი ხელმძღვანელობით ბამბის მოსავალს იღებდნენ წვიმიან ამინდში და სველს აბარებდნენ მიმღებ პუნქტს. 1936წ. იმავე ცეხაძის ხელშეწყობით კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული იყო ლენინგრადში, რისთვისაც რაიონის აღმასკომის სახსრებიდან გამოიყო 20000 მანეთი და დაენიშნა მაღალი ხელფასი. შაუმიანში

მუშაობის დროს შოვინისტურად იყო განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას. ძიების პროცესში აღიარა, რომ იყო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, მაგრამ უარყო კონტრრევოლუციური კავშირი ცეხაძესთან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 13 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-21) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 3526, ოქმი № 65-3, 13.12.37, ფ. 153).

სასჯელს იხდიდა შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში, სადაც მუშაობდა სპეციალობით. საქართველოში დაბრუნდა 1948 წელს და მუშაობა დაიწყო ახალქალაქის საავადმყოფოში ქირურგად, 1953-54 წწ. მივლინებული იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრაზე. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა განაგრძო მთავარ ქირურგად ღუშეთის რაიონში, სადაც ჩატარებული ჰქონდა არაერთი წარმატებული ოპერაცია (მათ შორის გულზე).

რებილიტირებული იყო 1957 წელს. გარდაიცვალა 1976 წ.

## **კულჩიციანია ოლღა ნიკოლოზის ასული - ექთანი**

დაბ. 1904წ. უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა ბათუმში ამბულატორიის ექთნად. დაპატიმრეს 1933წ. 23 მარტს.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებულ სათათბიროს 1933 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, 3 წლით (საარქივო საქმე № 3074).

## **კუჭავა ალექსანდრე მამუკას ძე - ფერმალი**

დაბ. 1894წ. სოხუმის მაზრის სოფ. ვარჩეში, უპარტიო, მცხოვრები თბილისში, ძერუინსკის ქ. № 6. დაპატიმრეს თბილისში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის ადმინისტრაციულ გასახლებათა განსაკუთრებული სათათბიროს 1932 წლის 29 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 3702-58).

## ლექსვა გიორგი ერმალოს ძე - ექიმი-პედიატრი

დაბ. 1902წ. ხონში, უპარტიო. მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის აღზრდილი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ესენტუკიში და თბილისის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში. დაპატიმრებამდე მუშაობდა ხონის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად. დაპატიმრეს 1937 წლის აგვისტოში სხვა საქმის გამოძიების დროს მსჯავრდადებულისაგან მიღებული ჩვენებით.

ბრალად ედებოდა, რომ 1937 წელს ხონში ციხადის მიერ გადამხრებული და ჩართული იყო კონტრრევოლუციურ, არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციაში. ერთხელ დაესწრო კიდეც მის არალეგალურ სხდომას. სხვა კონკრეტული მიზეზი გ. ლექსვას დაპატიმრებისა საგამოძიებო საქმიდან არ ჩანს. თუმც წაყენებულ ბრალდებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ იგი 1925 წელს რსფსრ შსს კომისარიატის მოსკოვის ოლქის თანამშრომლების მიერ დაკავებული იყო პოლონეთის საზღვრის გადაკვეთის მცდელობის დროს, მაგრამ ამ ინციდენტს გაგრძელება არ მოჰყოლია.

მასთან ერთად დაპატიმრებული იყო რვა სხვადასხვა სპეციალობის პიროვნება. მათ ბრალად ედებოდათ, რომ ჩართული იყვნენ კონტრრევოლუციურ, მენშევიკურ ორგანიზაციაში და ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას. როგორც შემდგომ გაირკვა, 1956 წელს, "ჯგუფის" წევრების რეაბილიტაციის დროს, პატიმრებს დაკითხვისას, სასურველი ჩვენების მისაღებად, აწამებდნენ და სასტიკად სცემდნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11), ყველა მსჯავრდადებულს, გარდა ერთისა, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 26938, ოქმი № 51, 21.11.37, ფ. 93; უიცსა, ფონდი № 498 ან. 4, გვ. 31-33).

ამჟამად ყველა მათგანი რეაბილიტირებულია.

გ. ლექსვას დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - მარიამ ბოკერია - ექიმი-პედიატრი (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი სპეციალისტი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში პედიატრიის კათედრის გამგე) და ვაჟი - გელა (მედი-

ცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, 1978-85 წლებში საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრი, ამჟამად მის მიერ დაარსებული ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი).

## ლექსა ზაქაია (სიომონ) კონსტანტინეს ძე - ექიმი



დაბ. 1876წ. რაჭაში, სოფ. წკადისში. კომუნისტური პარტიის წევრი 1896 წლიდან. სწავლობდა ქუთაისში, შემდეგ - განჯაში. 1902წ. დაამთავრა ერევნის გინმნაზია და სწავლა დაიწყო ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1904 წელს დააპატიმრეს ოდესის სტუდენტთა საგაფიცვო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. გათავისუფლების შემდეგ ცოტა ხანში კვლავ დააპატიმრეს და მოათავსეს პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხეში. 1905 წლის აპრილში შ. ლექსა პოლიციის ზედამხედველობით დააბრუნეს თავის მშობლიურ სოფელ წკადისში. 1906 წლის მეორე ნახევარში არალეგალურად გაემგზავრა საზღვარგარეთ და სწავლა განაგრძო ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1908წ. სამშობლოში დაბრუნების წინ ვენიდან გაემგზავრა ჟენევაში ლენინის გასაცნობად.

საქართველოში დაბრუნდა 1909 წელს და კვლავ ჩაება არალეგალურ მოძრაობაში, რისთვისაც დააპატიმრეს 1919 წელს, მაგრამ საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, 1920 წლის მაისში გაათავისუფლეს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარედ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად, კავკასიის გზათა მშენებლობის ტრესტის სანატორიული სამმართველოს უფროსად. არჩეული იყო საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად და საქართველოს სსრ ცაკის წევრად, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად.

პიროვნების გასაცნობად ფრავმენტები მისი ერთ-ერთი ოფიციალური გამოსვლიდან: "ახალა უნდა შევებო ტყის მეურნეობის საკითხს. ფაქტია, რომ ჩვენი ძვირფასი ტყეები ჯერ კიდევ უმოწყალოდ იჩეხება. აღიგენში მე ვნახე მდინარეში ჩაყრილი მორები. როდესაც ვიკითხე, თუ რატომ არის ასე წვრილი, მითხრეს, წყალი პატარაა,



დიდი მორები ვერ მიაქვს და ამიტომ ახალგაზრდა ხეებს ჭრიანო. აქედან ცხადია, თუ ზოგან როგორ ბარბაროსულად უღებებიან ტყის ექსპლოატაციას"... და იმავე გამოსვლიდან: "... რაც შეეხება მშენებლობას შოვში. უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ ჩვენ კიდეც არ გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც კურორტი შოვი საკურორტო სამმართველოს გადაეცა, იქ თითქმის არაფერი გაკეთებულა". რატომ შოვი? რა კავშირი ჰქონდა შამშე ლეჟავას შოვთან? "შოვის გაგონებაზე ჩემ წინაშე წამოიჭრება ხოლმე შამშე ლეჟავა, - წერდა 1929 წელს ივანე გომართელი, უაღრესად პოპულარული ექიმი და საზოგადო მოღვაწე. - შოვი და შამშე განუყოფელია, განუყოფელი; შოვი შამშეს პირმშო შეილია. მახსოვს, ნიკოლოზის დროს შამშე შემოვიდა ჩემთან და გატაცებული მომიყვა შოვის მომავალი სანატორიუმის შესახებ. ეუსმენდი მას უგულოდ, ძალდატანებით და თან ვფიქრობდი: ახირებული კაცია ეს ჩვენი შამშე, რატომ არ ესმის, რომ შოვში სანატორიუმის აგება შეუძლებელია-მეთქი.

შენ გაიმარჯვე, გალილეველო!

მეოცნებე შამშემ გაიმარჯვა ..." (ი. გომართელი, "შთაბეჭდილებანი - მოსკოვი-ბერლინი-პარიზი", თბ., 1929).

დააპატიმრეს შამშე ლეჟავა 1937 წელს და იმავე წლის 11 ოქტომბერს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის, რომლითაც ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების შესუსტებას, ძირის გამოთხრას ან სულაც დამხობას (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (საგამოძიებო საქმე № 8433, საარქივო საქმე № 24027).

განაჩენის გამოტანამდე კი, ძიების დროს, იყო წამება, ცემა გონების დაკარგვამდე (უნდოდათ ელიარებიან დანაშაულებრივი კავშირი აბელ ენუქიძესთან).

რეაბილიტირებული იყო 1956 წ. (ცნობა № 46294-54).

## ლომაკე გიორგი ხარიტონის ძე

დაბ. 1922წ. ოზურგეთში, დაწყებითი განათლება მიიღო იქვე, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისში. ერთდროულად სწავლობდა სკოლაში და მუშაობდა ფარმაცევტულ ქარხანაში.

გასამართლებული იყო რ. ხიდაშელთან და რ. აროშიძესთან ერთად. ჯგუფის წევრებს ბრალად ედებოდათ, რომ შექმნეს კონტრ-რევოლუციური ორგანიზაცია და მოსახლეობაში ეწეოდნენ ანტისაბ-

ჭოთა ავითაცას - ქმნიდნენ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გზავნიდნენ ანტისაბჭოთა ხასიათის პროკლამაციებს.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სამივე ცნო დამნაშავედ. მათგან არიშიძე და ხიდაშელი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10, 58-11 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და თითოეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. ლომიძესთან დაკავშირებით კი განაჩენში აღნიშნული იყო, რომ მას არც ხიდაშელისგან და არც არიშიძესგან არავითარი დავალება არ მიუღია, არ ესწრებოდა კრებებს და არავითარ პრაქტიკულ ანტისაბჭოთა საქმიანობას არ ეწეოდა. მას დანაშაულად ჩაუთვალეს ორგანიზაციის საქმიანობის განუცხადებლობა (არდაბეზღება) და საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლით 1939 წლის 29 ნოემბერს მიუსაჯეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა (უიცსა, ფონდი 498, ან. 4, საქმე 1298, გვ. 33-35).

## ლომინაძე დავით გენარეონის ძე - ექიმი



დაბ. 1888წ. ქუთაისში, მცხ. თბილისში (ლერმონტოვის ქ. №26/ჭონქაძის 3), უპარტიო, ცოლშვილიანი. 1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია (1911-12 წლებში მასთან ბინაზე იმალებოდა სტალინი). 1922 წლამდე იყო სამხედრო ექიმი. 1922-25 წლებში კურორტ ბორჯომ-აბასთუმნის დირექტორი, შემდეგ თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული ექიმი. 1928-33წწ. მუშაობდა ექიმ-კონსულტანტად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტში, შემდგომ ორი წელი - ხრამქვის მშენებლობაზე მთავარ ექიმად. დაპატიმრებამდე იყო საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი ექიმი. დაპატიმრეს 1937 წელს. დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე მის ბინაზე ჩატარდა ჩხრეკა, რომლის დროსაც ჩამოართვეს მხოლოდ ხმალი, შემორჩენილი სამხედრო სამსახურიდან.

ბრალად ედებოდა, რომ "... იყო რა ღვიძლი ძმა ბესო ლომინაძისა, იცოდა მისი კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ და ასრულებდა მის ცალკეულ დავალებებს. პქონდა მჭიდრო კავშირი კონტრრევოლუციონერებთან - ჯიქიასთან, ს. ქავთარაძესთან, გ. მგა-

ლობლიშვილთან, მათიკაშვილსა და სხვებთან.

ფულის, ღვინისა და ქალების მოყვარული ეწეოდა თავაშვებულ ცხოვრებას.

ჯაშუში ცაგარელის საშუალებით 1925 წელს თბილისში დაუკავშირდა პოლონეთის დაზვერვას და მისი დახმარებით აწვდიდა მონაცემებს თბილისის გარნიზონის ნაწილების განლაგებისა და მათი რიცხოვრივი შემადგენლობის შესახებ. გადასცემდა აგრეთვე ცნობებს მოსახლეობის განწყობაზე” (მომხსენებელი შაპირო).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 13 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 9667, ოქმი № 12, 13.09.37, ფ. 1).

დაპატიმრების დროს ბატონ დავითს ჰყავდა მეუღლე ახვლედიანი ნინო - დიასახლისი და ვაჟი - გიორგი, შემდგომ ისტორიკოსი. ჰყავდა აგრეთვე გოგონა, რომელიც ორი წლის ასაკში გარდაიცვალა, მაშინ როდესაც ბატონი დავითი სხვა ბავშვის სამკურნალოდ იყო წასული.

ბატონ გიორგის მამა დაამახსოვრდა როგორც „... მაღალი კულტურისა და განათლების ადამიანი, რომელიც არ ეწეოდა არავითარ "თავაშვებულ" ცხოვრებას. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, სახლში თუ გარეთ, რომ ეჩხუბოს, ეყვიროს ან ხმამაღლა ელაპარაკოს”.

რეაბილიტირებული იყო 1956 წლის 10 აგვისტოს.

## ლომიკა დავით ზაქარიას ძე - ექიმი

დაბ. 1905წ. ქუთაისში. უპარტიო, კომკავშირიდან გარიცხული 1930 წ. დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში ლაბორატორიის უფროსად. მესამე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

- “1. იყო კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტული ჯაშუშური ორგანიზაციის წევრი.
2. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ საქმიანობას და კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ აგიტაციას” (მომხსენებელი რიაბოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938წ. 3 მარტის დადგენილებით, საქართვე-

ლოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 20647, ოქმი № 95, 03.03.38, ფ. 185).

## ლომოური იოსებ ანტონის ძე - ექიმი

დაბ. 1882წ. გორის მაზრის სოფ. ერედვეში. მცხ. თბილისში, ენგელსის ქუჩაზე. მენშევიკური პარტიის წევრი 1904 წლიდან 1921 წლამდე. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1912 წელს. ფსიქიატრი, ფთიზიატრი, ერობის ექიმი. დააპატიმრეს 1937 წლის 13 აგვისტოს.

ბრალად ედებოდა, რომ სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ, ფაშისტურ აგიტაციას, რომ იყო 1924წ. აჯანყების მონაწილე და 1937 წლამდე ორჯერ იყო დაპატიმრებული. ჩადენილი დანაშაული არ აღიარა, იმხილება მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ვარაზნაშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წ. 14 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 17234, ოქმი № 13. 14.09.37.) განაჩენი აღსრულდა 05.10.37.

## ლორთქიფანიძე ივანე

### ნესტორის ძე - ექიმი



დაბ. 1890წ. ქუთაისში. ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1914 წელს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული იყო ეროვნულ საბჭოში როგორც სოციალისტ-რევოლუციური (ესერების) პარტიის წარმომადგე-

ნელი. იყო იმ 88 მოღვაწეთა შორის, რომლებმაც 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერეს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. იმავე დღეს ივანე ლორთქიფანიძე ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარდგენილი იყო გზათა მინისტრის თანამდებობაზე. კრებამ ბატონი ივანე ლორთქიფანიძე ერთხმად დამტკიცა დროებითი კოალიციური მთავრობის გზათა მინისტრად. მთავრობის თავმჯდომარედ დამტკიცებული იყო ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად - აკაკი ჩხენკელი, სამხედრო მინისტრად - გრიგოლ გიორგაძე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად - გიორგი ჟურული, განათლების მინისტრად - გიორგი ლასხიშვილი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი გახდა ნოე ხომერიკი, იუსტიციისა - შალვა მესხიშვილი (გურამ შარაძე, გიორგი შარაძე, "ისტორიული რელიკვიების დაბრუნება" თბ., 2001წ.).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. ლორთქიფანიძე დარჩა საქართველოში და მუშაობდა სპეციალობით - სოციალურ პიგიენაში. მეცნიერული სამედიცინო სტატისტიკის გამოყენებით შეისწავლიდა სხვადასხვა დაავადების გავრცელებას საქართველოში. 1921 წელს გამოაქვეყნა კიდევ პირველი შედეგები ტრაქომის გავრცელების შესახებ.

კომუნისტური წყობის ფხიზელ დარაჯს - საგანგებო კომისიას (ჩკ) არ გამოჰპარვია ივანე ლორთქიფანიძის წარსული მოღვაწეობა და არც მისი ესურთა პარტიის წევრობა. 1923 წლის 27 მაისს დააპატიმრეს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით (საარქივო საქმე № 2276-61).

სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ განაგრძო მუშაობა სპეციალობით. არჩეული იყო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სოციალური პიგიენის კათედრის უფროს ასისტენტად. 1926-1929 წლებში გამოაქვეყნა გამოკვლევები ტუბერკულოზის, ბავშვთა ინფექციების, ვენერიული დაავადებების, მალარიისა და სხვა დაავადებების საქართველოში გავრცელების შესახებ.

1929 წელს, პირველად ქართულ ენაზე გამოსცა სახელმძღვანელო "სამკურნალო სტატისტიკა და სოციალური სნეულებანი სიკვდილობის და ავადობის ნომენკლატურით", რითაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მეცნიერული სამედიცინო სტატისტიკის დანერგვას. იმავე წელს ბატონი ივანე დანიშნეს საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-პიგიენური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. (ამჟამად გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და პიგიენის ს/კ ინსტიტუტი).

დააპატიმრეს ივანე ლორთქიფანიძე 1937 წელს (ახლობლების

გადმოცემით - ბერიას კაბინეტში) და იმავე წლის 13 ნოემბერს საქართველოს შსს კომისარიატთან არსებული სამეულის დადგენილებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერვა. პირადი ქონების კონფისკაციით.

ბრალად ედებოდა, რომ: "1933 წელს გახდა რა ხელმძღვანელი ესერების კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, შევიდა ინტერპარტიულ კომიტეტში, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოში არსებული ყველა ანტისაბჭოთა პარტიის კონტრრევოლუციურ, ტერორისტულ, დივერსიულ-შეამბოხე და ჯამშურ საქმიანობას" (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე №10595, ოქმი № 45, 13.11.37, ფ 34).

განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 14 ნოემბერს.

ბატონ ივანეს ჰყავდა მეუღლე ქალბატონი ნინა კაპანაძე - ექიმი-სტომატოლოგი (იქორწინეს ბატონი ივანეს პატიმრობის დროს ციხეში. მეჯვარე - სერგო ქავთარაძე) და ორი ქალიშვილი - ცისანა შემდგომ ექიმი-სტომატოლოგი (ხუმრობით "ციხანა") და გულნაზი - შემდგომ ხელოვნებათმცოდნე.

## ლუნკავიჩი სერგეი მიხეილის ძე - ექიმი

დაბ. 1890წ. თბილისში. 1914-1917წწ. მსახურობდა სამეფო ჯარში ექიმად. "ჰქონდა საკუთარი ლაბორატორია. დაქორწინებული იყო არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელზე." დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სანიტარულ სამსახურში უფროს ინსპექტორად. დააპატიმრეს 1938წ. 10 თებერვალს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო აქტიური წევრი ამიერკავკასიის რკინიგზის სანიტარული სამსახურის სისტემაში მოქმედი ანტისაბჭოთა, ტროცკისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციისა, რომლის ხელმძღვანელთა დავალებითაც ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიზიდვას. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას სანიტარული სამსახურის სისტემაში შეშავალ დაწესებულებებში მუშაობის ჩასაშლელად. იყო საქმის კურსში, რომ მზადდებოდა მასიური ბაქტერიოლოგიური დივერსია ფაშისტური სახელმწიფოების საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში (მომხსენებელი კისლევესკი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7,

58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერეტა (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 78-სსგ, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 57). განაჩენი აღსრულდა 30 აპრილს.

## მამალაქე გიორგი პეტრას ქე - ექიმი



დაბ. 1891წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ხევში. ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1919 წელს. უნივერსიტეტში სწავლის დროს, როგორც მოხალისე, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში – მსახურობდა წითელი ჯვრის ერთ-ერთ რაზმში. ომის შემდეგ, 1919-1925 წლებში მუშაობდა კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში. იყო ერთ-ერთი რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. დავალებული ჰქონდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მოწყობა შავი ზღვის სანაპიროზე ანაპა-სოჭის მიდამოებში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1926 წელს, დაინიშნა საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსად. ერთი წლის შემდეგ, საკურორტო საქმის უკეთ გაცნობის მიზნით, მივლინებული იყო გერმანიაში, საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

1927 წელს დაინიშნა ჯანდაცვის სახალხო კომისარის მოადგილედ. იმავედროულად იყო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე და ჟურნალ “საბჭოთა მედიცინის” მთავარი რედაქტორი. 1931 წლის მარტში დაინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციის მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილედ. 1932 წელს გახდა საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, ხოლო 1934 წლის 4 სექტემბრიდან – ამავე კომისარიატის სახალ-

ხო კომისარი. ამ თანამდებობაზე სრულად გამოჩნდა მისი ნიჭი და უნარი: "მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა ისეთი დიდად მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულებები, როგორებიცაა სისხლის გადასხმისა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტები, ფსიქონევროლოგიური დისპანსერი, სამშობიარო სახლები, ბავშვთა საავადმყოფოები და პოლიკლინიკები. იგი სამართლიანად ითვლება ქართული კურორტოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ერთი სიტყვით, მედიცინა დიდადაა დავალებული ამ ამგდარი პიროვნებისგან. საკმარისია ითქვას, რომ იმ წლებში, როცა ის განაგებდა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, დიდად შემეცირდა ბავშვთა ინფექციური დაავადებისა და სიკვდილიანობის შემთხვევები, გაძლიერდა ბრძოლა სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებებთან, მკვეთრად შემეცირდა მალარიის დაავადების შემთხვევები და ამ საქმეში დიდი ბატონი გიორგი მამალაძის ღვაწლი" (კ. ერისთავი. ზ. კახიანი. გაზ. "ზარია ვოსტოკა", 15.12.1967 წ.).

დააპატიმრეს გიორგი მამალაძე 1937 წლის 8 ივლისს, მანამდე კი. 15 ივნისს, გაათავისუფლეს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის თანამდებობიდან და 26 აგვისტოს, როგორც ხალხის მტერი, გარიცხეს პარტიიდან. ამ აქტს წინ უძღოდა გაზეთ "კომუნისტში" 1937 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნებული წერილი, რომლითაც საზოგადოებას ატყობინებდნენ, რომ: "ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი, ფაშისტთა საზიზღარი შიკრიკი მამალაძე და გარეწარი ცომაია შეეცადნენ ყურადღება არ მიექციათ საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის ლ.პ. ბერიას ბრძნული მითითებებისათვის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე".

ბრალად ედებოდა დანაშაულებრივი კავშირი გ. ელიავას ჯგუფთან, ბაქტერიოლოგიური დივერსიის მზადება, კავშირი უცხოეთის დაზვერვასთან და სხვა. 1937 წლის 30 სექტემბერს მისი საქმე განიხილა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (დაზუსტება ვერ მოხერხდა) მიესჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერვა (საგამოძიებო საქმე № 13461, საარქივო საქმე № კრ-8952).

დაპატიმრების დროს გ. მამალაძეს ჰყავდა მეუღლე - ელენე მოლჩანოვა-მამალაძე, ინგლისური ენის სპეციალისტი და სამი შვილი: ნინო, (პირველი მეუღლისგან, შემდგომში ქიმიკოსი) ლანა (შემდგომ ფილოლოგი) და იური (შემგომ ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი).

1937 წლის 26 ოქტომბერს დააპატიმრეს გ. მამალაძის მეუღლე ქალბატონი ელენეც. საბჭოთა კავშირის შსს კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 7 იანვრის დადგე-



ნილებით, როგორც ხალხის მტრის მეუღლეს, მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა მორდოვეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. საქართველოში დაბრუნდა 1943 წელს, მუშაობდა ინგლისური ენის პედაგოგად. რეაბილიტირებული იყო 1956 წელს. გარდაიცვალა 1996 წელს.

გიორგი მამალაძე რეაბილიტირებული იყო 1957 წელს.

## მამარდაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე - ექიმი

დაბ. 1890წ. ქუთაისში. ცოლშვილიანი. კპ(ბ) წევრი 1918 წლიდან. გარიცხული იყო აღძრული საქმის გამო. დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარედ.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრევოლუციური, ტერორისტული, დივერსიულ-მაენებლური ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა მაენებლურ საქმიანობას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. მემარჯვენეთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ამზადებდა ტერორისტულ აქტებს სკპ(ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ (მომხსენებელი ოვიანი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-8, 58-9, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10435, ოქმი №76, 28.12.37, ფ. 19).

განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 03.01.38 წ.

## მამულია ილია დიმიტრის ძე - ექიმი

დაბ. 1890წ. სენაკის მაზრის სოფ. ფოცხოში. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე. შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, საიდანაც გარიცხეს 1905 წელს და გაასახლეს ქუთაისის გუბერნიიდან. 1909 წელს შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1915წ. იმავე წელს გაიწვიეს ჯარში, სადაც თებერვლის რევოლუციამდე მსახურობდა ექიმად. დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა საქართველო-



ში. 1919 წელს, როგორც ექიმი, გაიწვიეს საქართველოს რესპუბლიკის ჯვარში, საიდანაც მალე დაითხოვეს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დანიშნეს ფოსტა-ტელეგრაფის კომისრად, შემდეგ სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, 1932-36წწ. ჯანდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე და საკურორტო სამმართველოს უფროსი, თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე. დაპატიმრებამდე მუშაობდა საკავშირო საკურორტო სამმართველოს რწმუნებულად საქართველოში.

დააპატიმრეს 1937 წლის 10 ივნისს. ერთი თვის შემდეგ, 11 ივლისს, გასამართლებული იყო სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ და 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი აღსრულდა 1937 წლის 10 აგვისტოს (საგამოძიებო საქმე № 4833).

ბატონ ილიას დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე – თამარ ავალიშვილი და ქალიშვილი ლია (შემდგომში ფილოლოგი-არაბისტი). პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ქალიშვილი რუსუდანი.

მცირე ნაწყვეტი ქალბატონი ლიას მოგონებიდან: "... მამაჩემის დაპატიმრების ამბავს ჩვენს ოჯახში ასე ყვებოდნენ: დაპატიმრების დღეს მთავრობის სხდომიდან დაბრუნებულს, უთქვამს – ახლა კი დავრწმუნდი, რომ უმიზეზოდ არავის იჭერენო. იმ ღამეს ჩვენთან ბინაში შემოჭრილა რამდენიმე კაცი და სანადირო თოფი მოუკითხავთ, მამას კაბინეტი დაუღუქვავთ, თოფი წაუღიათ და მამა წაუყვანიათ... თოფის ისტორია კი ასეთია: "გერმანიიდან ჩამოსულ მამაჩემს სამი სანადირო თოფი ჩამოუტანია, თითო აჩუქა სტალინსა და ორჯონიკიძეს, მესამე კი თავისთვის დაუტოვებია.." სწორედ ის თოფი წაიღეს იმ ღამეს."

რეაბილიტირებული იყო ი. მამულია 1957 წელს.

## მარჩენაო ალაქსი ტიმოთის ძე – ფერმალი

დაბ. 1870წ. ჩერნიგოვის ოლქში, უპარტიო. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა გაგრაში. დააპატიმრეს 1931 წლის 19 მარტს.

ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის სხდომის 1931 წლის 22 ივლისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით

(58-10, 58-13) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით (საარქივო საქმე № 26575-62).

## მატეუზოვი მილეთი (მალთა) ნიკოლოზის ძე - ექიმი

დაბ. 1893წ. სიღნაღში. 1914 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. კპ(ბ) წევრი 1930 წლიდან. დაპატიმრებამდე მუშაობდა სიღნაღის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ. დაპატიმრეს 1937 წლის 17 აგვისტოს.

მატეუზოვს, როგორც კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის წევრს, ბრალად ედებოდა მავნებლური საქმიანობა, რომელსაც ეწეოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დავალებით. მისი უშუალო მითითებით ტიფით ავადმყოფ ბავშვებს სიღნაღსა და ნუკრიანში მკურნალობდნენ როგორც გრიპით დაავადებულებს, რის გამოც ღიდი იყო ბავშვთა სიკვდილიანობა. გარდა ამისა სოფლის მეურნეობის სფეროში მავნებლური საქმიანობით ხელი შეუწყო კოლმეურნეთა შორის საკოლმეურნეო წყობით უკმაყოფილების გამოწვევას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 10 წლით გასახლება (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 20547, ოქმი № 48-2, 17.10.37, ფ. 151).

დაბრუნდა საქართველოში 1947 წლის აგვისტოში. მუშაობდა თბილისში მეორე პოლიკლინიკაში. 1949 წლის 12 აპრილის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით კვლავ გაასახლეს ციმბირში, სადაც გარდაიცვალა 1950 წელს.

1937 წელს დაპატიმრებამდე ჰყავდა მეუღლე - ანა ჩახნაშვილი და ორი ქალიშვილი - ტატიანა (შემდგომში ექიმი) და ირინე.

მ. მატეუზოვის დაპატიმრების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, ქალბატონი ანას დასთან - ნადეჟდა ჩახნაშვილთან, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტთან, რომელმაც ღიდი დახმარება გაუწია გაჭირვებაში მყოფთ.



რეაბილიტირებული იყო 1956 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნლის მიერ.

## მდივანი მიხეილ

ივანეს ძე - ფარმაცევტი



დაბ. 1886წ. ქუთაისის გუბერნიის სოფ. ქვიტირში. უმაღლესი განათლებით - 1912წ. დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, უპარტიო, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ყოფილი წევრი (1917-21 წწ). დაპატიმრებამდე მუშაობდა ფოთის სანეპიდემიოლოგიური სადგურის ლაბორატორიის გამგედ. დაპატიმრეს ფოთში, 1940 წლის 30 ოქტომბერს.

ბრალად ედებოდა სანეპიდსადგურის თანამშრომლებს შორის ანტისაბჭოთა აგიტაცია, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შესასუს-

ტებლად. იმზილებოდა ოთხი მოწმის ჩვენებებით.

გასამართლებული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიის გამსვლელი სესიის მიერ 1941წ. 18 თებერვალს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (უიცსა, ფონდი 498, ან 4, საქ. 8806, გვ. 4).

გადასახლებიდან დაბრუნდა 1943 წლის 23 მაისს, მძიმე ავადმყოფი. გარდაიცვალა იმავე წლის 26 მაისს.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს 1958 წლის 31 მარტის № 46 განჩინებით სისხლის სამართლის საქმე მიხეილ მდივნის მიმართ წარმოებით შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

## მდივანი სერგო

ისიდორას ძე - ექიმი

დაბ. 1899წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ერკეთში. კპ(ბ) ყოფილი წევრი. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო საქართველოში - 1927 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფა-

კულტეტი. სტუდენტობის დროს არჩეული იყო სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარედ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე, სადაც პროფ. ა. ალადაშვილის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე “პასტერიზებული ყურძნის წვენი გავლენა კუჭის სეკრეციაზე”. იმავე კათედრაზე იყო არჩეული დოცენტის თანამდებობაზე. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის დელეგატი.



1937 წელს სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორისა და პარტკომის მდივნის მიერ შედგენილი პოლიტიკური დახასიათების მიხედვით “ს. მდივანი კარგია როგორც პედაგოგი, სამუშაოს თავს ართმევს კარგად, მაგრამ ლიბერალობს”(!)

დაპატიმრების დროს ბრალად ედებოდა, რომ “...იყო ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, აქტიურად ეწეოდა ძირგამომხრელ საქმიანობას და იყო კპ(ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ განზრახული ტერაქტების მომზადების საქმის კურსში”. თავი დამნაშავედ არ ცნო (მომხსენებელი ღარიბოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 15696, ოქმი № 121, 10.10.38, ფ. 136). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 11.10.38 წ.

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი – ლილი (შემდგომში ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) და ნოდარი (შემდგომში ინჟინერი).

რეაბილიტირებული იყო ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1956 წლის 28 სექტემბერს.

## მედელი ალექსი ბორისის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1892წ. მოსკოვში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა გულრიფშის სანატორიუმში ფარმაცევტად. დაპატიმრეს 1938 წლის 18 სექტემბერს.

გასამართლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი

სასამართლოს კოლეგიამ 1939 წლის 13 ივნისს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, რომელსაც ეწეოდა 1938 წლის 18 სექტემბერს თბომაველ "ნორდზე" გაერიდან სოხუმში მგზავრობის დროს. კერძოდ, თითქოს ამბობდა, რომ საბჭოთა ფულს სჯობია გერმანული, რომ მისი სამშობლო გერმანიაა და იქ უნდა ცხოვრება და არა საბჭოთა კავშირში, ამ დროს იყენებდა უცენზურო სიტყვებს, ლანძღავდა საბჭოთა ხელმძღვანელებს.

საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ა. მედელის დანაშაული სრულიად არის დამტკიცებული საქმეში არსებული მასალით და აგენტურული მონაცემებით (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, გვ. 36).

## **მელიქ-შახნაზაროვი სარგო მიხეილის ქა – ექიმი**

დაბ. 1899წ. ელიზავეტპოლში (განჯა), დაპატიმრებამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის სანეპიდემიოლოგიური ლაბორატორიის უფროსად. მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

"1. იყო საქართველოში განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში მოქმედი კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული, ჯაშუშური სამხედრო ორგანიზაციის წევრი.

2. ეწეოდა კონტრრევოლუციურ მანებლურ საქმიანობას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის სისტემაში, რომელიც მიმართული იყო სამკურნალო პროფილაქტიკური მუშაობის ჩასაშლელად სამხედრო ჰოსპიტალში და სამხედრო მოსამსახურეებში უკმაყოფილების შესაქმნელად, რითაც ცდილობდა საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერებისა და წითელი არმიის ძლიერების შესუსტებას" (მომხსენებელი რიაბოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე №

14635, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 113). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წლის 30 აპრილს.

## მესხი ლილა შალვას ასული - ექიმი

დაბ. 1922წ. მოსკოვში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში. 1938 წელს დაამთავრა თბილისის საცდელ-საჩვენებელი პირველი სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1943 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ქალაქის მეორე საავადმყოფოში ორდინატორად. 1949 წელს შექმნა ოჯახი - იქორწინა ექიმ გივი ხვედელიძესთან (იხ.).



1951 წლის 26 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს გადაწყვეტილებით ოჯახთან ერთად (მეუღლე - გივი ხვედელიძე, დედათილი - ოლღა ბერიშვილი, მაზლი - ბორის ხვედელიძე, მაზლის მეუღლე - მედეა კეკელია და მათი ვაჟი - ბერდია) გადასახლებული იყო ყაზახეთში. მიზეზი კი გამხდარა მეუღლის დედის, ქან ოლია ბერიშვილის საფრანგეთში მცხოვრები ძმა მამია ბერიშვილი და ბიძაშვილი აკაკი რამიშვილი. ემოციურად და საინტერესოდ იხსენებს ქალბატონი ლილა გადასახლების ზოგიერთ დეტალს: "ლამის ორ საათზე კარებზე გავიგონეთ საშინელი ბრაზუნნი. კაპიტანი ბობროვი და ორი ქართველი, მოვიდნენ ჩვენს გასასახლებლად. წაგვიკითხეს დადგენილება, რომ ოჯახის მეთაური ოლღა რამიშვილი არის და სამშობლოს მოღალატის მამია რამიშვილისა, და ამიტომ გასახლებული უნდა იქნეს შეილებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად. როცა დაიწყო ბარგის გატანა (გაგვატანეს ტანსაცმელი და ცოტაოდენი ჭურჭელი), მე ჩემი გოგონა (მანანა ხვედელიძე - ამჟამად ჟურნალისტი) ჩუმად გადავეცი დედაჩემს, რომელმაც ბავშვი მალულად აიყვანა სადარბაზოს ზედა სართულზე. ამ დროს უკვე თენდებოდა. მოგროვდნენ მეზობლები და გამვლელები, რომლებიც გაკვირვებულები და შეწუხებულები შემოგვცქეროდნენ, ზოგი ტიროდა...

მატარებელი იდგა ნავთლულის სადგურზე. ჩვენ ვაგონში არ გვიშვებდნენ, რადგან ბავშვი, რომელიც სიაში შეყვანილი იყო, არ

გვახლდა. მაშინ მე დავიწყე ყვირილი, რომ ერთი წლის ბავშვი სახელმწიფოსთვის საშიში არ არის. ჩემს ყვირილზე მოვიდა ვიღაც წარმომადგენელი და რომ არ ატეხილიყო ზედმეტი ხმაური, ნება დაგვართო შევსულიყავით ვაგონში, რომელშიც ჩვენ გარდა იყო სხვა ოჯახებიც. ასეთი ვაგონებით გადაჰყავთ საქონელი... ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის იყო, რომ ვაგონში არ იყო ტუალეტი. მის მაგივრად ამოჭრილი იყო 30 სმ დიამეტრის ხვრელი.

ასე "ვიმოგზაურეთ" ორი კვირა. ბოლოს მატარებელი გაჩერდა რომელიღაც პლატფორმაზე, სადაც ჩამოგვყარეს ვაგონებიდან, ჩაგვსვეს საბარგო მანქანებში და გაგვიყენეს უსასრულო გზას. ამ გზაზე არ შეგვხვედრია არც ხე, არც მდინარე, არც ტბა - მხოლოდ ყვავები და გადაშავებული უბალახო მიწა... როგორც იყო მივალწიეთ რაღაც სახლის მაგვარს - არც კარები, არც ფანჯრები, არც იატაკი. ჩვენთან ერთად იყო სპარსეთიდან საქართველოში ახლად დაბრუნებული გიუნაშვილების ოჯახი. მათ ჰქონდათ ხალიჩები, რომლებიც აეაფარეთ ფანჯრებზე. გამოვიყენეთ ყველაფერი, ვისაც რა გაგვანდა... ისეთი სივიწროვე იყო, რომ ვინმეს ადგომა რომ დასჭირვებოდა. ადამიანებზე უნდა გადაეხიჯებინა.

საიდანღაც გაჩნდნენ ომის დროს საქართველოდან გასახლებული გერმანელები - ჩამოძონძილები, გამხდრები. ცდილობდნენ ჩვენ გამხნევენას. რამდენიმე დღეში გადაგვიყვანეს დაბა აბაი-ბაზარში. ეს უკვე "ბედნიერება" იყო - ფოსტა, ბაზარი, ჩაიხანა... ერთი წლის მერე კი გადაგვიყვანეს სარიაგაჩში, სადაც იყო საავადმყოფო, რომელშიც ჩემმა დედამთილმა და მე დავიწყეთ მუშაობა, ჩემი მეუღლე სანეპიდსადგურში მოეწყო ექიმად“.

გათავისუფლეს ქალბატონი ლეილა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად 1954 წლის თებერვალში. იმავე წელს დაბრუნდა თბილისში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1962 წელს, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დაიწყო მუშაობა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ჯერ ასისტენტად, შემდეგ - დოცენტად. მუშაობდა 2001 წლამდე. ამჟამად ხელშეკრულებით იქვე კითხულობს ლექციებს.

## **მესხი ოლღა ალექსანდრეს ასული - ექიმი**

დაბ. 1902წ. რაჭის მაზრის სოფ. კვირიკეწმინდაში (კორტი). თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი, დაამთავრა 1928 წელს, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა საგარეჯოში, რაიონული საა-



ვადმყოფოს კანისა და ვენსნეულებათა კაბინეტის გამგედ. დააპატიმრეს 1930 წლის აპრილში და იმავე წლის 23 სექტემბერს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 3 წლით გადასახლება (ცნობა № 16/8-1-10, 06.05.58).



სასჯელს იხდიდა დასავლეთ ციმბირში (კოლპაშევი, ნარიმი, ბისკი), სადაც მუშაობდა ექიმ-თერაპევტად. ნარიმში მასთან ერთად სასჯელს იხდიდა 35-მდე ქართველი, მათ შორის - მისი მეგობარი, ექიმი მაყვალა (ეპრაქსია) რამიშვილი, მწერალი ლევან გოთუა და... ნესტორ იმნაიშვილი, რომელთან ერთადაც შორეულ ციმბირში შექმნა ქართული ოჯახი. ამ ოჯახმა ბევრ ქართველს გაუადვილა პატიმრის მძიმე ყოფა. 1933 წ-დან, როდესაც ო. მესხს სსრკ-ის გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიასთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 27 აგვისტოს დადგენილებით 3 წლით გაუხანგრძლივეს სასჯელი და გადაიყვანეს ე. წ. თავისუფალ დასახლებაში, მათ ოჯახში სისტემატიურად იკრიბებოდნენ ქართველები და ოჯახურ პირობებში ერთმანეთთან ურთიერთობით იმსუბუქებდნენ მძიმე ხვედრს. სამწუხაროდ, მათ შორის აღარ იყო ნესტორ იმნაიშვილი, რომელიც გადაიყვანეს სხვა ბანაკში.

ქალბატონ ოლღასა და ბატონ ნესტორს 1933 წლის 8 მაისს შეეძინათ ქალიშვილი თინათინი. მოგვიანებით ქალბატონი ოლღა ავად გახდა და ქალბატონი მაყვალა რამიშვილი იძულებული გახდა გადაეყვანა საავადმყოფოში, რომელშიც თვითონ მუშაობდა. პატარა თინათინს კი დღისით გულმოდგინედ უვლიდნენ ლევან გოთუა - მისი ნათლია, გიორგი ჯინორია და ადგილობრივი თავისუფალი მოსახლეობიდან ამ მიზნით დაქირავებული მოსამსახურე ქალი და, რასაკვირველია, მაყვალა რამიშვილი. დადგა დრო ბავშვის ფეხის ადგმისა. ლევან გოთუას ფანტაზიის წყალობით ეს მოხდა "ქართულ მიწაზე" - ბავშვს იატაკზე დაუფინეს საქართველოს რუკა (საქართველოდან გამოგზავნილი ამ მიზნით) და ასე ასწავლეს სიარული (ეს რუკა დღესაც ინახება ქალბატონ თინა იმნაიშვილთან).

გათავისუფლდა ოლღა მესხი 1936წ. და იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ გადასახლებაში დარჩენილ მეგობრებთან კავშირი არ გაუწყვეტია. 1936 წლის 26 მაისს ბისკიდან გამოგზავ-

ნილ ბარათში ლევან გოთუა წერდა: "მადლობა თბილი წერილისათვის. თქვენი წერილები გზიდანაც და საქართველოდანაც - ყველა მიღებული მაქვს.

კარგია, მეტად კარგი, რომ ასე კეთილად გიმგზავრიათ. ახლა ისალა გაკლიათ, რომ სრულიად განიკურნოთ - ამის სრული იმედი მაქვს. სამშობლო - ისიც ჩვენი სამშობლო, რომელ სენს არ განკურნავს. მეტად მენატრება თინიკო და ამ მხრივ ვნანობ კიდევაც თქვენს წასვლას (აღამიანი ეგოისტია მაინც!). წარმოდგენილი მყავს: ფეხშიშველა და მზენაწვაკი შუხუთის ღელეებში დასდევს პეპლებს და ბაყაყებს. თან გაპკივის ნარიმულ-გურულ კილოკავზე. ეკოცნი თინიკოს.

ვაკალებ (მე ხომ მის მასწავლებლად ვითვლები): ქართულის მცოდნე დამხვდეს - იქნებ მეც ჩამოვიდე ბოლოს და ბოლოს".

საქართველოში დაბრუნებულმა ოლღამ თავდაპირველად მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში, სადაც მალე გაათავისუფლეს სამსახურიდან როგორც ხალხის მტრის მეუღლე. შემდეგ მუშაობა დაიწყო ჩხარის რაიონის სოფ. ზემო საზანოში საექიმო პუნქტის გამგედ. იმ მძიმე დროს შემთხვევით გადაურჩა მეორედ დაპატიმრებას. მისი ქალიშვილის, თინათინ იმნაიშვილის გადმოცემით, ქალბატონ ოლღასთან საღამოს მისულა მისი 18 წლის ექთანის თამარ კაპანაძე და გაუფრთხილებია - ოლღა ექიმო, ხვალ თქვენთან დასაჭერად მოვლენ და თავს უშველეთ. იმავე ღამეს დის - თამარის და მისი მეუღლის - მიხეილ აბესაძის დახმარებით ურმით გადაიყვანეს ზესტაფონში და იქიდან გაამგზავრეს თბილისში. ჯერ მუშაობდა ლუქსემბურგში (დღევანდელი ბოლნისი), 1941წ-დან კი თბილისში - მე-14 და 24-ე პოლიკლინიკებში. თბილისში სამუშაოდ გადმოიყვანა პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა ბატონმა ლუკა ცაგარელმა, რომელმაც ქალბატონი ოლღა ჯერ ექიმთა დახელოვნების კურსებზე გაგზავნა, შემდეგ კი ჩარიცხა პოლიკლინიკის შტატში. ეს კი იმ დროს დიდი გმირობის ტოლფასი იყო. ასე მოქცევა შეეძლო მხოლოდ მაღალი ზნეობისა და კეთილ აღამიანს.

გარდაიცვალა ქალბატონი ოლღა 1982 წელს. რეაბილიტირებული იყო 1989 წელს.

## მესხი სოფიო ზაქარიას ასული - ექთანის

დაბ. 1914წ. ხაშურში. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში. დაპატიმრეს 1949 წლის 23 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ წამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№1206-65), მესხის წინააღმდეგ აღძრული, სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## **მეტონიძე ლავრენტი**

### **პრემიერ-მინისტრი - ფერშალი (შემდეგში იურისტი)**

დაბ. 1893წ. ცოლშვილიანი, უპარტიო, სისხლის სამართლის სამსახურის ყოფილი თანამშრომელი (გათავისუფლეს როგორც პოლიტიკურად არასაიმედო). 1923 წლამდე იზიარებდა ანარქისტების შეხედულებებს. მისი ძმა ვალენტინი - ირანის საკონსულოს თანამშრომელი, მხილებული იყო როგორც ხალხის მტერი.

ლავრენტი მეტონიძე დაპატიმრებამდე მუშაობდა გამომცემლობა "ფედერაციის" საილუსტრაციო განყოფილების უფროსად, მანამდე - ირანის საკონსულოში იურისკონსულტად.

ბრალად ედებოდა, რომ კავშირი ჰქონდა ირანის საკონსულოს ვიცე-კონსულ ფრიდუნხანთან და ეწეოდა ჯამშურ საქმიანობას. თავი დამნაშავედ არ ცნო, თუმცა აღნიშნა, რომ იცნობდა ფრიდუნხანს. იმხილებოდა დაპატიმრებული მზვერავის რიზაევ ალა ბურზუკის ჩვენებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსე-

ბული სამეულის 1937 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13294, ოქმი № 73, 25.12.37. ფ. 277).

## **მიმინოშვილი-დარჩია ვალენტინა გიორგის ასული - ექთანი**

დაბ. 1919წ. სოხუმის მაზრის სოფ. ქვედა ფარცხაში. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოხუმის ქალაქის მეორე საავადმყოფოში უფროს ექთნად. დაპატიმრეს 1949 წლის 17 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდადებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, სსრკ უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№1206-65), მიმინოშვილი-დარჩიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## **მიქაია ვარლამ ისიდორეს ძე - ექიმი**

დაბ. 1914წ. გეგეჭკორის რაიონის სოფ. ონეგში, ცოლშვილიანი, უპარტიო. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში, ოზურგეთის

ქუჩაზე, მუშაობდა თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში.

1940 წლის ოქტომბერში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ბელორუსიაში, სატანკო დივიზიის მე-14 პოლკში ექიმად, შემდეგ გადაიყვანეს 30-ე სატანკო ბრიგადაში, რომელმაც ომის პირველივე დღეს მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში. მიქაია იმავე დღის ბოლოს დაიჭრა ფეხში და თავის არეში კონტუზიის განვითარებით. ტყვედ ჩავარდა უკვე 29 ივნისს. დაჭრილი და დასუსტებული გადაიყვანეს ტყვეთა ბანაკში, სადაც გამოჯანმრთელების შემდეგ შევიდა "ქართულ ნაციონალურ ლეგიონში". ბანაკიდან მალე გადაიყვანეს ვარშავის ერთ-ერთ სამოქალაქო ლაზარეთში, სადაც სპეციალურად გამოყოფილ პალატებში მკურნალობდნენ საბჭოთა მოქალაქეები სხვადასხვა მძიმე დაავადებით (ტუბერკულოზით, დაჩირქებული ძველი ჭრილობებით და სხვ.). 1944 წელს გადაგზავნეს აღმ. პრუსიაში, იქიდან - გერმანიაში, ქ. ლაუბინში. 1945 წლის მარტის შუა რიცხვებში დაატყვევეს ამერიკელებმა და გადაგზავნეს ოდერის მაინცში, საიდანაც საბჭოთა წარმომადგენლებმა გადაიყვანეს საბჭოთა ზონაში განლაგებულ ბანაკში. შემოწმების გავლის შემდეგ, როგორც ექიმი, სამუშაოდ დატოვეს აგვისტოს ბოლომდე. თბილისში დაბრუნდა 1945 წლის სექტემბერში და დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში ქირურგად. დაპატიმრეს 1951წ. აპრილში.

გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წლის 19 ივნისს და როგორც სამშობლოს მოღალატეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

1955წ. 21 მაისს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის №1ჩ-06194 წარდგინებით სასჯელის ვადა შეუმცირა 10 წლამდე. კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ მიქაია ტყვედ ჩავარდა დაჭრილი, რომ ტყვეობის დროს სამსახურში არ გამოირჩეოდა აქტიურობით, რომ ეწეოდა მხოლოდ საექიმო საქმიანობას და არ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში (სუსის არქივი, საქმე № 5953-59).

გათავისუფლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული ამნისტიით.

# მიქელაქე თამარ სიმონის ასული - პედიატრი



დაბ. 1887წ. ბაქოში. თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1930 წელს, მუშაობა დაიწყო ახლად ჩამოყალიბებულ თბილისის ტუბერკულოზის ინსტიტუტში ბავშვთა კაბინეტის გამგედ, შემდეგ პედიატრად მუშაობდა თბილისის სხვადასხვა პოლიკლინიკაში, ზაფხულობით - ბორჯომის ხეობაში.

1937 წელს, თამარის ძმის, საყოველთაოდ ცნობილი ღირიჟორის ევგენი მიქელაძისა და მისი მეუღლის, ქეთევან ორახელაშვილის დაპა-

ტიმრების შემდეგ (ორივე დააპატიმრეს ერთ დღეს - ბატონი ევგენი ოპერისა და ბალეტის თეატრში, ქალბატონი ქეთევანი - ბინაზე), ქალბატონმა თამარმა ძმისშვილები - 3 წლის თინათინი და 1 წლის ვახტანგი - საცხოვრებლად გადაიყვანა თავისთან (ბავშვები არ მიატოვა და მათთან თავისი ნებით, უსასყიდლოდ დარჩა ძიძა - ანასტასია ზარუბინა). თამარის ბუნება კარგად გამოჩნდა, როცა ევგენი მიქელაძის დიდი ბინიდან ბავშვებს დაუტოვეს მხოლოდ ორი პატარა ოთახი. თამარმა კატეგორიული უარი თქვა ასეთ "მოწყალებაზე."

1951 წლის 26 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 29 ნოემბრის № 4893-2113 დადგენილებით ქ-ნი თამარი ბავშვებთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში, აბაი-ბაზარში. გადასახლების საბაბი იყო ქ-ნი თამარის დებისა და ძმის საზღვარგარეთ ყოფნა. ერთი და - ქეთევანი, გათხოვილი წარმოშობით დანიელ ივარ ლასენზე, ცხოვრობდა ნიუ-იორკში, ანასტასია კი მეუღლესთან, თბილისელ ალექსანდრე პრიმაკოვთან ერთად - პარიზში. ტრაგიკული აღმოჩნდა მათთვის საზღვრის გადაკვეთა: მღევრებმა მოუკლეს ორი მცირეწლოვანი ვაჟი, მესამე შვილი - მარგარიტა, გარდაიცვალა საფრანგეთში მძიმე მენინგიტით. შემდგომ, 1925 და 1927 წლებში შეეძინათ ორი ვაჟი. ირანში ცხოვრობდა თამარის ძმა გრიგოლი - გენერალი, შაჰ მუჰამედ რეზა ფეხლევისთან ერთობ დაახლოებული პირი, ირანში საკმაოდ გავლენიანი და პოპულარული პიროვნება.

ქ-ნი თამარი ვერ გატეხა ვერც აბაი-ბაზარში უმძიმესმა საცხოვრებელმა პირობებმა და ვერც მარტოდ დარჩენამ. ვინაიდან აბაი-ბაზარში არ იყო საშუალო სკოლა, საჭირო გახდა ბავშვების გადაყვა-

ნა ჩრდილო ყაზახეთში, სოფელ ზერანდამი დედასთან – ქეთევან ორახელაშვილთან, რომელიც იხდიდა სასჯელს როგორც მამია ორახელაშვილის ქალიშვილი და ევგენი მიქელაძის მეუღლე. ხელისუფლებამ მხოლოდ ბავშვებს დართო ნება ეცხოვრათ დედასთან. მაგრამ ქალბატონ თამარს არ მისცა უფლება შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი და იმ უმძიმეს პირობებში დატოვა მარტო.

დაბრუნდა ქ-ნი თამარი თბილისში 1954 წელს და გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად.

გარდაიცვალა 1974 წელს.

## მიქელაქე ლალი დავითის ასული – ექიმი

დაბ. 1932წ. თბილისში. გადასახლებამდე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე. თბილისიდან გადასახლეს 1951 წლის 26 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილებით დედასა და ბებიასთან – თამარ ციციშვილ-ვაჩნაძესთან ერთად. გადასახლების მიზეზი გახდა ემიგრაციაში მყოფი ქალბატონი თამარის მეუღლე დავით (დათა) ვაჩნაძე – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.



დაასახლეს ყაზახეთში, ჯერ აბაი-ბაზარში, შემდეგ – სარიაგაჩიში. მომდევნო წელს, როგორც წარჩინებულ მოსწავლეს (სკოლა დამთავრებული ჰქონდა ოქროს მედლით), ნება დართეს ესწავლა აღმა-ათის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. 1954 წლიდან, თბილისში დაბრუნებისთანავე, სწავლა განაგრძო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1961 წლიდან, მუშაობა დაიწყო მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ მუშაობდა სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრაზე ასისტენტად. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები ფსიქიატრიის დარგში.



დაბ. 1884წ. ხონში. 1901 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და მომდევნო წელს განაგრძო სწავლა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ - 1907 წელს დაბრუნდა საქართველოში. ორი წელი მუშაობდა ხონში, ხოლო 1909 წლიდან გადავიდა თბილისში და დაიწყო მუშაობა ქალაქის თვითმმართველობაში "საექიმო-სასანიტრო" ინსპექტორად. ამასთან აქტიურად იღებდა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი შალ-

ვას მოღვაწეობა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში, სადაც არჩეული იყო სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ (საქართველოს ცსს არქივი, ფონდი 1836, აღწ.1, საქ. 112, ფ. 2-12). იყო იმ 88 მოღვაწეთა შორის, ვინც ხელი მოაწერა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს (გურამ შარაძე, გიორგი შარაძე, "ისტორიული რელიკვიების დაბრუნება" თბ. 2001, გვ. 28).

1919 წელს აირჩიეს კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრაზე ასისტენტად (კათედრის გამგე - პროფ. ს. ვირსალაძე). ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს უფროს ასისტენტად პროფესორ ა. ალადაშვილის კათედრაზე. 1920 წელს მონაწილეობდა თერაპიაში პირველი ქართული ტერმინოლოგიის შემდგენელი კომისიის მუშაობაში (ხელმძღვანელი ა. ალადაშვილი, წევრები - მ. წინამძღვრიშვილი, ვ. ლამბაშიძე). 1924 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "მასალები სისხლის წებოვანებისა და შედელების შესასწავლად მალარიის დროს" (ოპონენტები - ა. ალადაშვილი, ა. მაჭავარიანი, ს. ვირსალაძე). ეს იყო სადოქტორო დისერტაციის რიგით მესამე დაცვა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (მანამდე იყვნენ მ. წინამძღვრიშვილი (1921 წელს) და ს. ყიფშიძე (1924 წელს)). 1925 წლის დასაწყისში ერთი წლით მიავლინეს ბერლინსა და პარიზში, სადაც მუშაობდა საყოველთაოდ ცნობილ კლინიცისტებთან: ვიდალთან, ვაკეზთან და ლაბერთან.

დაბრუნდა საქართველოში 1926 წელს. იმავე წელს აირჩიეს კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრის გამგედ, რომელსაც



1930 წელს შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრა ეწოდა. იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1933 წლიდან ხელმძღვანელობდა სამედიცინო ინსტიტუტთან ექიმთა გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩამოყალიბებას.

1935 წლიდან აღნიშნული კურსების ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტად გარდაქმნის შემდეგ იქვე ხელმძღვანელობდა სასწავლო საქმესა და თერაპიის კათედრას.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო შ. მიქელაძის სამეცნიერო მუშაობა. შეისწავლიდა სოციალური პიგიენის, გასტროენტეროლოგიის, ნივთიერებათა ცვლის, კარდიოლოგიის, კურორტოლოგიის და სხვა აქტუალურ საკითხებს. ამიერკავკასიაში პირველმა აღწერა დაავადება სპრუ.

ს. ვირსალაძესთან ერთად იყო ჟურნალ "ექიმის" რედაქტორი, ჟურნალ "თანამედროვე მედიცინის" ერთ-ერთი დამაარსებელი, ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამედიცინო სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი (1930-37 წლებში). აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელო საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებათა შესახებ (ორ ტომად), სახელმძღვანელო შინაგან დაავადებათა პროპედევტიკაში.

1938 წელს შეწყდა შალვა მიქელაძის აქტიური მრავალმხრივი საქმიანობა. იყო თუ არა ეს მოულოდნელი? ალბათ, არა. თუ გავითვალისწინებთ სამედიცინო ინსტიტუტში 1931 წელს ე.წ. კონდრატიეველებთან საბრძოლველად გამართულ კრებაზე მისი საკითხის განხილვას და 1937 წელს სამედიცინო ინსტიტუტში შედგენილ პოლიტიკურ დახასიათებას, მის "არასაიმედო" წარსულსა და საზოგადოებაში გამორჩეულობას, მის წარმოშობას, ბატონი შალვას დაპატიმრება მოულოდნელობად ვერ ჩაითვლება. ზემოაღნიშნულ კრებაზე შ. მიქელაძის კრიტიკით გამოვიდა მისივე მოწაფე კლიმენტი ცომაია, რომელმაც ბატონ შალვას სუსტ მკრთალ წითელ ფერზე მიუთითა. ფრიად საყურადღებოა და სამაგალითო იმავე კრებაზე პროფესორ ალექსანდრე ალადაშვილის გამოსვლა, რომელიც დიდი მოქალაქეობრიობის, ზნეობისა და გაბედულების მაგალითია: "ამხანაგმა ცომაიამ, - ბრძანა ბატონმა ალექსანდრემ. - რომელიც მისი შეგირდი არის, უნდა იცოდეს, რომ ამხანაგი მიქელაძე დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეა. ამხანაგი ცომაია ვერ მიიჩნევს ვერც ერთ საზოგადოებრივ საქმეს საქართველოში, სადაც პროფესორ მიქელაძეს მხურვალე მონაწილეობა არ მიუღია. ყოველი რთული საკითხის დროს მას მიმართავენ, როგორც უაღრესად მცოდნე პიროვნებას, რჩევისათვის. გარდა ამისა, იგი არის ბრწყინვალე მასწავლებელი,

დიდი ერუდიციის მქონე, მახვილი გონების კაცი. მის მოღვაწეობას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ინსტიტუტის აღმშენებლობაში" (გ. ბახტაძე, ვ. გერსამია, "ალექსანდრე ალადაშვილი", თბ., 1976).

მკითხველისთვის საინტერესო იქნება 1937 წელს მიქელაძის ე.წ. პოლიტიკური დახასიათება, შედგენილი სამედიცინო ინსტიტუტში: "დახასიათება პროპედევტიკული თერაპიის კათედრის გამგის შალვა ანტონის ძე მიქელაძისა: ქართველი, 1884 წელს დაბადებული. დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი 1907 წელს. მედ. მეცნ. დოქტორი 1924 წლიდან, პროფესორი 1930 წლიდან. აქვს 17 წლის პედაგოგიური სტაჟი. ნიჭიერი მეცნიერი თანამშრომელი, გამოცდილი კლინიცისტი, კარგი პედაგოგი და ორგანიზატორი. აქვს 41 სამეცნიერო შრომა. 1926 წელს იყო საზღვარგარეთ საფრანგეთში. ყოფილი ფედერალისტი 1905 წლიდან 1921 წლამდე. საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური. აქვს ორი შეთავსება. აქვს ანტიმარქსისტული შრომები".

ხელს აწერენ ინსტიტუტის დირექტორი ეზიაშვილი და პარტიკომის მდივანი ნამიჭეიშვილი (უიცსა, ფონდი 2139, ანაწ. 1, საქ. 65, გვ. 20).

დააპატიმრეს 1938 წლის ზაფხულში (შვილიშვილის, ბატონ არჩილ მიქელაძის გადმოცემით, პარკში სეირნობის დროს). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და 1938 წლის 26 აგვისტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-2, 58-11) მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეწა, ქონების კონფისკაციით. მეუღლის მიერ განაჩენის მოსკოვში გასაჩივრების შემდეგ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1939 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის საფუძველზე სასიკვდილო განაჩენი შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით 10 წლით და სამოქალაქო უფლებების 5 წლით ჩამორთმევით.

როგორც 1956 წელს გაირკვა (სსრკ უზენაესი სასამართლოს მიერ შ. მიქელაძის საგამოძიებო საქმის ხელახალი განხილვის დროს), 1939 წელს "მიქელაძე სასამართლომ დამნაშავედ ცნო იმაში, რომ 1921 წლამდე იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აქტიური წევრი, მტრულად შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, დაიკავა მასთან აქტიური ბრძოლის პოზიცია, ეწეოდა პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წყობის აღსადგენად.

ხედავდა რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამყარებას, მიქელაძე წავიდა იატაკქვეშეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გასაგრძელებლად.

1925 წელს, საზღვარგარეთ მივლინებაში გამგზავრებისას, სოციალ-ფედერალიზატებისგან მიიღო დავალება დაკავშირებოდა ემიგრანტებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხზე. საზღვარგარეთ ყოფნის დროს მიქელაძემ დაამყარა კავშირი მრავალრიცხოვან ემიგრანტ სოციალ-ფედერალისტებთან, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1929 წელს მიქელაძე იყო ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი თბილისში კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და ამ ორგანიზაციაში პირადად გადაიბირა ცხრა პიროვნება.

აღნიშნული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ჯაშუშურ საქმიანობას კაპიტალისტური ქვეყნების სასარგებლოდ. ორგანიზაციამ იარსება მის განადგურებამდე, ანუ 1938 წლამდე. გარდა ამისა, მიქელაძე 1930 წლიდან ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას უცხოური ქვეყნების სადაზვერვო ორგანოების სასარგებლოდ. 1929 წელს დაამყარა რა კავშირი ჯაშუშ ელიავასთან, რამდენიმე წლის განმავლობაში აწვდიდა ჯაშუშურ ცნობებს.

ამასთან იცოდა, რომ მისი გადაცემული მასალა გამოიყენებოდა უცხოური დაზვერვის მიერ".

სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, უსაფუძვლოდ მიიჩნია რა წაყენებული ბრალდებები, თავის 1956 წლის 25 იანვრის განჩინებაში (№ 004405/39) აღნიშნა, რომ 1939 წელს სასამართლოს განაჩენი ემყარებოდა მხოლოდ სხვა საქმის გამოძიების დროს დაკითხული ოთხი პატიმრის ჩვენებებს და თავად მიქელაძის აღიარებას. ამასთან დადგინდა, რომ მიქელაძემ აღიარებითი ჩვენებები მისცა გამომძიებელ კრიმიანის მიერ მასზე ფიზიკური ზემოქმედების შემდეგ. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ასევე ძლიერი ფიზიკური ზემოქმედების შედეგად იყო მოპოვებული ჩვენებები იმ ოთხი "დამნაშავესგან". მათგან ერთ-ერთის საგამომძიებო საქმის ხელახალი განხილვის დროს გამოირკვა, რომ ამ პიროვნებას თავის ჩვენებებში შალვა მიქელაძე საერთოდ არა ჰყავდა ნახსენები და მისი დაკითხვის ოქმი ფალსიფიცირებული იყო გამომძიებელ კრიმიანის მიერ.

იმავე განჩინებიდან ირკვევა, რომ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ (ბერას 1941 წლის 6 სექტემბრის მოხსენებითი ბარათისა და სტალინის იმავე დღის მითითებით) 1941 წლის 8 სექტემბერს, საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ

განიხილა მიქელაძის საქმე და კვლავ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. განაჩენი აღასრულეს 11 სექტემბერს ქ. ორიოლიდან 10 კილომეტრის დაშორებით, ე.წ. მედვედევის ტყეში (უფრო დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ჯ. თითმერია - "ტრაგედია მედვედევის ტყეში" გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 2001 წ. 5-11 ოქტომბერი № 40. 93352).

დაპატიმრების დროს ბატონ შალვას ჰყავდა მეუღლე - ქალბატონი ო. ლორთქიფანიძე (მათემატიკოსი) და შვილები - ნათელა (შემდგომ ფილოლოგი) და გივი (შემდგომ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე).

## მოლაშვილი ნუნუ (ნინა) პავლეს ასული - ექიმი



დაბ. 1925წ. 1933 წლის მაისში, პირველი კლასის მოსწავლე ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გაასახლეს ჩრდილო ყაზახეთში, ნოვოკუბანსკის რაიონის №36 დასახლება "ნოვოკავკაზსკში" საშუალო განათლება მიიღო იქვე, დაამთავრა ნოვოკუბანსკის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ომსკის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. ოთხი კურსის დამთავრების შემდეგ გადავიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1951 წელს და გარდაცვალებამდე მუშაობდა

ყვარლის საავადმყოფოში თერაპევტად. ტრაგიკულად დასრულდა მისი სიცოცხლე - შეეწირა მშობიარობის შემდგომ გართულებებს. გარდაიცვალა 1956 წელს. ასევე ტრაგიკული იყო მისი ვაჟის - გენერალ პაატა დათუაშვილის ხვედრი, იგი მოსკოვში სამხედრო აკადემიაში სწავლის დროს მოკლეს.

მისი მამა, პავლე მოლაშვილი, როგორც კულაკი "მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაისაბჭოს აღმასრულებელი ორგანოს" გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე თანდიშვილი) ყვარლის რაიონიდან გაასახლეს მეუღლესა და სამ შვილთან ერთად (ყვარლის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, საქმე 147, გვ. 21-22) გასახლების წინ შედგენილი აქტის მიხედვით: "მოლაშვილი პავლე მათეს ძე, 46 წლის, ცოლი - დარო 35 წლის. ქონებრივი მდგომარეობა: ორსართულიანი სახლი, მსხვილფეხა საქონელი - 16, წვრილ-

ფეხა - 350, ცხენი - 3, სახნავი - 3,75 ჰექტარი, ნათესი - 3,75 ჰექტარი, ვენახი - 0,38 ჰექტარი, მარანი.

მისი დახასიათება: კულაკი, ორი მოჯამაგირის მქონე, კოლმეურნეობის წინააღმდეგი, მევახშე, ვაჭარი, ანტისაბჭოთა ელემენტი, ხმის უფლებამართმეული.

შენიშვნა: სიაში შეტანილი არიან 16 წლის ზევით ასაკის ოჯახის წევრები”.

ემოციურად იხსენებს ოჯახის საქართველოდან გასახლებასა და ყაზახეთში ცხოვრების პირობებს ნუნუ მოლაშვილის უფროსი და - ქალბატონი მარიამი, რომელიც იმ დროს 13 წლისა იყო: "ამ გადასახლებაში იყვნენ მხოლოდ "კულაკები" კახეთიდან - ყვარლის, ახმეტის, ქიზიყის რაიონებიდან, სულ - 32 თუ 33 ოჯახი. ჩვენი ოჯახი ხუთი სულისაგან შედგებოდა - მშობლები და სამი ბავშვი: მე - 13 წლისა, ჩემი და - 8 წლისა და ჩემი ძმა - 5 წლის. ნავთლულის სადგურში შეგვრეკეს საქონლის გადასაყვან ვაგონებში, ჩაგვეკეტეს და გაგვაყენეს გზას, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. ერთ დილას ჩამოგვეყარეს ტრიალ მინდორზე, სადაც დაგვხვდნენ სომხები და აზერბაიჯანელები. მალე თათრებში ატყდა სიკვდილიანობა, დიდძალი ხალხი დაიღუპა. ვინც გადარჩა, სადაც წაიყვანეს. ქართველები და სომხები კი წაგვიყვანეს სადგურიდან 18-20 კილომეტრის სიშორეზე და ჩვენთვის გამოყვეს ადგილი 36-ე ნომრით - მომავალ დასახლებას ეწოდა "ნოვოკავკაზსკი". დაგვახვედრეს ორი დიდი კარავი - ერთში მოგვათავსეს ქართველები, მეორეში - სომხები. იმავე დღეს ხალხი გაიყვანეს ნამჯიანი თიხის ასაზელად. გაკეთებული იყო დიდი კალო, ჩაყრიდნენ თიხასა და ნამჯას და შიშველი ფეხებით კაციცა და ქალიც ზელდნენ. აზელილი გადაქონდათ ყალიბებში. ჭრიდნენ და აშრობდნენ. ასეთი ბლოკებით აშენდა საცხოვრებელი სახლები. სახურავიც თიხით იყო გადალესილი. სექტემბერში უკვე ბინებში ვიყავით. საჭმელს გვაძლევდნენ დღეში ერთხელ - მარილიანი თევზის სუპს და პურს, ბავშვებს - 300 გრამს, დიდებს, თუ გემას შეასრულებდნენ, - ერთ კილოს. 1933-34 წლის ზამთარი საშინელებაში გავატარეთ. ყინვა 40-45<sup>0</sup> იყო ხშირად. მიცვალებულებს სოფელთან ახლოს, ნაჯახით გაჭრილ თოვლის საფლავეებში მარხავდნენ. გაზაფხულზე, როცა დათბა და თოვლმა იწყო დნობა, სათამაშოდ გასული ბავშვები ვერჩებოდით მგლისაგან გამოხრული ადამიანის ჩონჩხებს. ასევე მკაცრი იყო მომდევნო ზამთარიც. ხალხი ტიფით დაავადდა. მსხვერპლი დიდი იყო.

მამაჩემი და ბიძაჩემი წაიყვანეს პავლოდარში ცხვრების ჩამოსაყვანად. ჩამორეკეს ცხვარი და მამაჩემი და მისი ძმა უვლიდნენ და

ამრავლებდნენ. იქ ცხვარს არ წველიან. მთავრობას მხოლოდ მატყლი და ხორცი მიჰქონდა. ადგილობრივი ხელისუფლება მათი მუშაობით კმაყოფილი დარჩა და ძმები თითო ცხვრით დაასაჩუქრა. მამამ და ბიძაჩემმა იმ ორი ცხვრით დაიწყეს ახალი ფარის მოშენება. ეს ხომ სისხლში ჰქონდათ გამჯდარი.

ხალხის მოთხოვნით გაიხსნა სკოლა - მხოლოდ ოთხი კლასით. შემდეგ კი რაიონის ცენტრში საშუალო სკოლა გადასახლებულთა შვილებისათვის. სკოლა დაკომპლექტებული იყო მხოლოდ პროფესორებით და გამოცდილი პედაგოგებით. მათგან კარგად დამამახსოვრდა ოტო ოსკარის ძე კრიუგოვი ლენინგრადიდან, მათემატიკას გვასწავლიდა. იცოდა 16 ენა: "მეჩვიდმეტე ქართული ენა უნდა შესწავლა. თქვენმა აკადემიკოსმა მარმა მომცა წიგნი, მე კი პირობა მივეცი, რომ სამ თვეში ჩაეაბარებდი, მაგრამ არ დამცალდა. აქეთ გადმომასახლეს".

სკოლასთან ჩვენთვის გახსნილი იყო ინტერნატი. თითო ოთახში ვიყავით 15-16 ბავშვი. გვედგა ერთი გრძელი მაგიდა და ერთი ნავთის ლამპა. მაგიდასთან რიგრიგობით ვსხდებოდით. ვკითხულობდით ლამპისკენ ზურგმუქცევით. ყველანი კარგად ვსწავლობდით. პროფესორმა კრიუგოვმა იცოდა ხოლმე თქმა: მე მიყვარს რიცხვი 36 (ჩვენი ნაკვეთის ნომერი იყო), რადგან იქ მხოლოდ მათემატიკოსები ცხოვრობენო. ჩვენთან ერთად სწავლობდა თუში უშარაული, სომეხი კარაპეტინი, ქისტე მარგოშვილი და სხვები".

გათავისუფლდნენ ოჯახის წევრები სხვადასხვა დროს. ქ-ნი ნუნუ გაათავისუფლეს 1948 წელს.

## მორჩილაკი ამირან მისხილის ძე - ექიმი



დაბ. 1922წ. თბილისში, მედ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი, სკკპ წევრი, დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დაპატიმრეს 1943 წლის 3 ნოემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო ახალგაზრდული ორგანიზაცია "თეთრი გიორგის" წევრი და ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედ-

რო ტრიბუნალის მიერ 1944 წლის 7-12 აპრილს 19 განსასჯელთან ერთად (ჭაბუა ამირეჯიბი, ლევან აბდუშელიშვილი, ლევან ნანეიშვილი, შალვა სვანიძე, რომან სუტა, პავლე ხარანაული, გიორგი მაჭავარიანი, ვახტანგ ჯორჯაძე, არჩილ წულუკიძე, გიორგი წულუკიძე, რევაზ ტყავაძე, გიორგი იშხნელი და სხვ.) საქართველოს სისხლის სამართლის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

სასჯელს 1946წ-მდე იხდიდა საქართველოში, შემდეგ კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში. როგორც დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, მუშაობდა ექიმად. გათავისუფლდა 1953 წელს, მაგრამ დატოვეს ქ. ინტაში ე.წ. თავისუფალ დასახლებაში. დანიშნეს ქალაქის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ და საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1956წ. ბადრაგის თანხლებით გაგზავნეს ქ. იაროსლავლში სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ კვლავ დაბრუნდა ინტაში და განაგრძო მუშაობა. თბილისში დაბრუნდა 1965წ., თუმც 1959წ. მიღებული ჰქონდა რეაბილიტაცია და ნებისმიერ დროს შეეძლო სამშობლოში დაბრუნება... მაგრამ არ წამოვიდა, რადგან ინტაში მისი შემცველი არ ჩანდა (!).

თბილისში დაბრუნებულმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრაზე ასისტენტად, მთავარი ექიმის მოადგილედ, ინსტიტუტის პრორექტორად.

ინტაში ყოფნის დროს გაიცნო ცნობილი კინორეჟისორი გ. ჩუხრაი. გაიცნო "შემთხვევით" მას შემდეგ, რაც ადგილობრივებმა ბევრი კარგი უამბეს რეჟისორს ქართველი ექიმის შესახებ. მონათხრობი იმდენად შთაბეჭდავი აღმოჩნდა, რომ ჩუხრაიმ გადაწყვიტა თავის მომდევნო ფილმში "ცხოვრობდნენ ბერიკაცი და დედაბერი" შეეყვანა ახალი გმირი. შემდეგ ჩუხრაი სპეციალურად ჩავიდა თბილისში ექიმ მორჩილაძის როლის შემსრულებელი მსახიობის შესარჩევად.

ადამიანის პიროვნული ღირსებები კარგად ჩანს გასაჭირში მყოფთათვის: "ახლა ძნელია გამოითვალო, სად უფრო ხშირად იმყოფებოდა ჩვენი ბანაკის ექიმი ა. მორჩილაძე - კარცერსა თუ საავადმყოფოში, - წერდა ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი ლაზუნბიკოვი ჟურნალში "სოვეტსკი ეკრანი", - თითქმის დღეგამოშვებით სჯიდნენ, მაგრამ მაინც ახერხებდა საავადმყოფოში დაეწვინა დაუძლურებული პატიმრები. ავადმყოფობის ისტორიაში უწერდა არარსებულ სწეულებებს, რომ როგორმე გადაერჩინა ისინი. ექიმს სხვებთან შედარებით თითქოს შეეძლო მაძღრისად ყოფნა, მაგრამ მასაც ხშირად უწევდა

ლუკმაპურის შოვნა და ამ უკანასკნელ ლუკმასაც ჩვენ გვიყოფდა".  
გარდაიცვალა ა. მორჩილაძე 1983 წელს. მისი სახელი 1992 წელს მიენიჭა კლინიკის თერაპიულ განყოფილებას.

## **მჟავანაძე ნინა მიხეილის ასული - ექთანი**

დაბ. 1923წ. მახარაძის რაიონის სოფ. ჭონეთში. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის № 94 საბავშვო ბაგაში ექთნად. დაპატიმრეს 11.11.1949 წ.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ წამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№1206-65) მჟავანაძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საქმე №5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხილე გიორგობიანი ა.ი.

## **მურადოვი სტაფანა**

### **პეტრუს ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1886წ. გორში. ცოლშვილიანი. მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრი. დაპატიმრებამდე მუშაობდა გორის საავადმყოფოს აფთიაქში.



ბრალად ედებოდა, რომ "1937 წელს განაახლა კონტრრევოლუციური საქმიანობა და ჩაერთო მენშევიკურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სამეულის მიერ რეპრესირებული ი. მთიულიშვილი, მ. როსებაშვილი და ბ. ბიბილური. მურადოვი სისტემატიურად ესაუბრებოდა მოქალაქეებს მოსკოვში დაპატიმრებული ტროცკისტების შესახებ და ამბობდა: "უბედურები, ტყუილად დააპატიმრეს და დახვრიტეს". ადრე მურადოვი რეპრესირებული იყო ორჯერ საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩკ) -ს მიერ 1922 და 1923 წწ. (მომხსენებელი ხელაძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამობიებო საქმე № 26026, ოქმი № 49-3, 19.11.37, ფ. 19). დახვრიტეს 12.02.38 წ.

## **მურვანიძე დიომიდე ლუკას ძე - ფერმალი.**

დაბ. 1890 წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ჯურყვათში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა ჯურყვათის საექიმო პუნქტში ფერმლად. დაპატიმრეს იქვე, 1931 წლის 3 აპრილს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის ადმინისტრაციულ გასახლებათა განსაკუთრებული სათათბიროს 1931 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) 3 წლით გადასახლებული იყო ციმბირში (საარქივო საქმე № 2383-58).

## **მუსაილოვი გაბრატ სერგოს ძე - ექიმი**

დაბ. 1889 წ. თბილისში. იქვე დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია და 1911 წელს სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1915 წელს გაიწვიეს მოქმედ არმიაში. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, 1918 წელს, დაამთავრა კიევის უნივერსიტეტი და იმავე წლის ბოლოს დაბრუნდა საქართველოში. 1918-21 წწ. მუშაობდა ექიმ-პედიატრად თბილისის მაზრაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1923 წ-მდე, მსახურობდა წითელ არმიაში, 1923 წ-



დან 1941 წ-მდე მუშაობდა თბილისის ჯანდაცვის სხვადასხვა დაწესებულებაში თერაპევტად და პედიატრად.

დააპატიმრეს 1941წ. 23 ოქტომბერს და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1942 წლის 27 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით (საგამოძიებო-საარქივო

საქმე № 57150).

სასჯელს იხდიდა ალთაის მხარეში. 1944 წ. ცნეს მეორე ვადუფის ინვალიდად. დაბრუნდა საქართველოში 1946 წელს და 1963 წ-მდე მუშაობდა პედიატრად თბილისის კიროვის რაიონში. გარდაიცვალა 1966 წელს ავადმყოფთან ვიზიტის დროს.

დაპატიმრებამდე იშვილა მცირეწლოვანი დისშვილი ირინა - ამჟამად ექიმი.

რეაბილიტირებული იყო 1958 წელს.

## მღებრიშვილი ნიკოლოზ დიმიტრის ძე - ექიმი



დაბ. 1922წ. გორში, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავისი სურვილით გახდა სამხედრო. ჯარში ყოფნის დროს დაიწყო ომი ფინეთთან, სადაც ჩაეარდა ტყვედ და მოხვდა ტყვეთა ბანაკში. მალე მოახერხა გაქცევა და დაბრუნდა საბჭოთა ჯარში. გერმანიასთან დაწყებულ ომში ბრძოლებში ჩაება პირველივე დღეებში. 1941 წლის სექტემბერში დაატყვევეს გერმანელებმა, 1944 წლის ბოლოს კი გაათავისუფლა ინგლისური ჯარის ნაწილმა და გადაგზავნა ინგლისში. ომის დამთავრების შემდეგ თავისი ნებით გამოემგზავრა სამშობლოში, მაგრამ საქართველომდე ვერ მოაღწია, გზაში დააპატიმრეს და საქმე განსახილველად გადასცეს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ სათათბიროს.

სათათბირომ ბრალად დასდო, რომ 1941 წელს გერმანელებთან

ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მსახურობდა გერმანულ ჯარში, შემდეგ დაატყვევა ინგლისური ჯარის ნაწილმა და გადაგზავნა ინგლისში, სადაც გადაიბირა ადგილობრივმა დაზვერვამ და სათანადო სადაზვერვო-დივერსიული სკოლის დამთავრების შემდეგ შემოგზავნა საბჭოთა კავშირში.

საქმის ნამდვილი ვითარება და განსაკუთრებული სათათბიროს მიერ წაყენებული ბრალდებების უმართებულობა გაირკვა 1956 წელს საქმის ხელახალი გარჩევის დროს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1956 წლის 28 ნოემბერს განიხილა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტი, საიდანაც ირკვევა, რომ: ნ. მღებრიშვილი 1941 წლის სექტემბერში ტყვედ ჩავარდა მძიმედ დაჭრილი, მას გერმანულ ჯარში არ უმსახურია და 1944 წლის 25 აპრილამდე იმყოფებოდა საბჭოთა ტყვეთა ბანაკში. 1944 წლის აპრილის ბოლოს ტყვეთა ნაწილი, მათ შორის მღებრიშვილი, გადაიყვანეს საფრანგეთში, სადაც მოახერხა გაქცევა, მაგრამ მალე შეიპყრეს და დააბრუნეს ბანაკში, ამასთან იძულებით ჩარიცხეს ქართულ ლეგიონში, სადაც დაყო თვე-ნახევარი და მუშაობდა მშენებლობაზე. იმავე წლის 20 ივნისს კვლავ გაიქცა და 1944 წლის აგვისტომდე იმალებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით. აგვისტოს ბოლოს დაატყვევეს ინგლისური ჯარის ნაწილებმა და გადაიყვანეს ინგლისში, სადაც სადაზვერვო-დივერსიულ სკოლაში სათანადო მომზადების შემდეგ რამდენჯერმე გადაგზავნეს საბრძოლველად საფრანგეთსა და გერმანიაში. 1956 წელს ჩატარებული დამატებითი გამოძიებით, როგორც ეს არის აღნიშნული სსრკ გენერალური პროკურორის პროტესტში, დადგინდა, რომ სათანადო პროგრამით მომზადება გაიარა გერმანულ ჯართან საბრძოლველად და არა ჯაშუშური საქმიანობისთვის.

ეს იყო 1956 წელს. მანამდე კი, 1947 წლის 26 ივლისს, განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით, რსფსრ სისხლის სამართლის 58-1ბ მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

სასჯელს იხდიდა ვორკუტაში (ვორკუტაში მოხვედრამდე მოიარა ჩრდილოეთის სხვადასხვა ბანაკი). მეგობრების დახმარებით სათანადო მომზადების გავლის შემდეგ, მუშაობდა ბანაკის საავადმყოფოში ფერშლად ექიმ დავით კვიციანიშვილთან ერთად. ბატონი ნიკოლოზის მეუღლის – ქალბატონი მზია კობახიძის გადმოცემით “... საავადმყოფოში ერთხელ მძიმე ავადმყოფი ლევან გოთუა მიიყვანეს. ნიკომ ჩვეული სითბოთი უპატრონა და ექიმ დავით კვიცა-

იშვილის დახმარებით ავადმყოფი ფეხზე დააყენეს. ასე დაიწყო ლევანის. დავითისა და ნიკოს მეგობრობა, რაც მათ სიკვდილამდე შეინარჩუნეს. ნიკო აქტიურად ეხმარებოდა ლევანს ნაწერების ბანაკიდან გამოტანასა და საქართველოში გამოგზავნაში".

დაბრუნდა საქართველოში 1956 წელს და უკვე 1957 წელს დაიწყო სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, მუშაობდა სოფ. მეჯვრისხევის საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

1964 წელს შექმნა ოჯახი - იქორწინა ქალბატონ მზია კობახიძესთან (ბიოლოგი, პათოფიზიოლოგი), რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი - გიორგი და ნიკოლოზი.

რეაბილიტირებული იყო სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 1956 წლის 28 ნოემბერს (ცნობა № 46-017496/56).

გარდაიცვალა ბატონი ნიკოლოზი 1988 წელს.

## **მჭედლიშვილი - ნვარიკიაზაშვილი ანა იოსების ასული - ექთანი**

დაბ. 1912წ. თბილისში, საშუალო სპეციალური განათლებით, უპარტიო. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. დააპატიმრეს 1937 წლის 16 ნოემბერს. მანამდე, 1937 წლის აგვისტოში, დააპატიმრეს მისი მეუღლე მჭედლიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე - ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სატანკო ბატალიონის შტაბის უფროსი.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 16 თებერვლის დადგენილებით, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრს, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საარქივო საქმე № პრ-3233).

სასჯელს იხდიდა არხანგელსკის ოლქში, სადაც მუშაობდა სპეციალობით. დაბრუნდა საქართველოში 1945 წელს. გარდაცვალებამდე მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ექთნად.

გარდაიცვალა თბილისში, 1981 წელს.

# მჭადლიშვილი შალვა ზაქარიას ძე - ექიმი, პოეტი

„მე ჩემს სულიერ ნამების ტაძარს  
არასდროს გავცვლი ეშმას ტაძარში“.

ამ გრძნობით ცხოვრობდა პოეტი შალვა მჭედლიშვილი მთელი ცხოვრება, ამ რწმენით ცხოვრობს ექიმი შალვა მჭედლიშვილი დღესაც.

დაიბადა სიღნაღის რაიონის ლამაზ სოფელ ანაგაში 1923 წელს, ექიმისა (ნინო თუშიშვილი) და პედაგოგის (ზაქარია მჭედლიშვილი) ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში – დაამთავრა პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა, ანუ ყოფილი ვაჟთა პირველი გიმნაზია. ბატონი შალვა: "პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ოდესღაც წმინდა ილია მართალი სწავლობდა, რაფიელ ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვა მრავალი ქართველი მამულიშვილი და ცხადია, მინდოდა მეც მამულისთვის მიმეძღვნა მთელი ჩემი სიცოცხლე..." მამულს კი, მაშინ, მართლაც სჭირდებოდა მისი შვილების თანადგომა. ალბათ ამ გრძნობამ თუ ათქმევინა 16 წლის ჭაბუკს, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეს, მაგრამ ჩამოყალიბებულ მოქალაქეს: "გესმით? ენაც კი ამოგვეგლიჯეს, რომ ვერსად გვეთქვა ის, რაც ზღაპრად თქმულ ჯოჯოხეთზეც უფრო მეტია".

"... ათწლედი წარჩინებით დავამთავრე და საბუთები თბილისის უნივერსიტეტში შევიტანე, მაგრამ მშობლებმა გამოიტანეს და სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანეს. იმდენად სტრესულ მდგომარეობაში ჩავვარდი, რომ ჯანმრთელობა საშინლად შემერყა... ერთი წელიწადი დავკარგე! შემდეგ სწავლა მაინც სამედიცინო ინსტიტუტში განვაგრძე, მაგრამ ძლიერ უხალისოდ ვსწავლობდი. ვიდრე ავადმყოფთა სარეცელებთან ახლოს ვდომა და მათზე ზრუნვა არ მომიხდა. იმაზე დიდი პოეზია რა უნდა იყოს, რომ ადამიანს სიცოცხლე აჩუქო, ტკივილი შეუმსუბუქო... და დავინტერესდი მედიცინით. პარალელურად გამალებული ვეწაფებოდი მხატვრულ ლიტერატურას. ბევრს ვწერდი. იმ დროს თბილისში მრავალი ლიტერატურული წრე მოქმედებდა, ზოგიერთი მთავრობის მიერ ნებადართული, ზოგი კი ოპოზიციური იერსახისა".

ახალგაზრდა შალვა ხშირად მონაწილეობდა ასეთ სალონებში გამართულ ლექსთა კითხვაში. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფში თავს იყრიდნენ: რეზო ჯაფარიძე, მიხეილ ქვლივიძე, მიხეილ ოქროპირიძე,



სელიმზან გოვილაშვილი, მიხეილ ზანგურაშვილი, ბიძინა ლუტიძე, იაშვილები, კარლო ბერიშვილი და მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა რეზო თაბუკაშვილი. მკითხველთა შორის იყვნენ კოტე ხიმშიაშვილის და, ამჟამად ცნობილი მწერალი დოდო ხიმშიაშვილი, ოთარ გამყრელიძე - ამჟამად იურისტი, პროფესორი და სხვ. მოახერხეს და დაიწყეს ჟურნალ "ქარიშხლის" გამოცემა. გამოუშვეს სულ რამდენიმე ნომერი, რადგან ჯგუფი დაიშალა მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო. ჯარში გაიწვიეს რეზო ჯაფარიძე და მიხეილ ზანგურაშვილი, შალვა კი არ წაიყვანეს ავადმყოფობის გამო (ფილტვის ტუბერკულოზი). გარკვეული ხნის შემდეგ დაუკავშირდა ახალგაზრდა პოეტებს, რომლებიც იკრიბებოდნენ პეტრე გრუზინსკის ბინაში. იქაც კითხულობდნენ ლექსებს. სცადეს გამოეშვათ ჟურნალი "ანათემა" (სახელწოდება შეურჩევია მარი აბრამიშვილს), გამოუშვეს კიდევ რამდენიმე ხელნაწერი ნომერი, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა 1945 წლის 27 მარტს, როდესაც დააპატიმრეს ჯგუფის წევრების ნაწილი, მათ შორის შალვა მჭედლიშვილი. გაასამართლა იგი საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. მაშინ იგი სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო.

ბრალდება ასე ჩამოყალიბდა: შ. მჭედლიშვილი, იყო რა ანტისაბჭოურად განწყობილი და საქართველოში მონარქიის რესტავრაციის მომხრე, 1944 წლის შემოდგომიდან მ. აბრამიშვილთან, ლ. აღნიაშვილთან და თ. შანშიაშვილთან ერთად გაერთიანდა პ. გრუზინსკი-ბაგრატიონის მიერ ჩამოყალიბებულ ე. წ. ლიტერატურულ სალონში. სალონის შეკრებებზე ლიტერატურული მეცადინეობის სახით თხზავდნენ, იხილავდნენ და ავრცელებდნენ ანტისაბჭოურ ლექსებს, რომლებსაც უკითხავდნენ სხვა ახლობლებსაც. დააარსეს ხელნაწერი ჟურნალი "ანათემა", რომელშიც გააერთიანეს თავისი ანტისაბჭოური ლექსები.

ასეთ ლექსებად ახალგაზრდა პოეტს ჩაეთვალა "მეორედ მოსვლა", "რამდენიმე სიტყვა თბილისზე", "ისევ თბილისზე" და სხვები (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქმე 2579, გვ. 13-15).

გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს:

"ღავთმე თბილისი, ვგრძნობ მიძღვის ბრალი,

თუმცა ეს ღმერთმაც ასე ინება,

დღეს ხომ იქ მეფობს რუსული ხმალი

და რუსულივე ისმის გინება" (1942წ.)

სასჯელს იხდიდა ავჭალისა და რუსთავის შრომა-გასწორების

ბანაკებში, შემდეგ ვორკუტის სარეჟიმო ბანაკში და ყაზახეთის ჩრდილოეთში. ვორკუტაში ეტაპით ჩასვლამდე იყო ბაქოს, როსტოვის, ვოლოგდის ციხეები. განსაკუთრებით მძიმედ დაამახსოვრდა ვორკუტის სარეჟიმო საკატორლო ბანაკი № 6, რომელშიც მუშაობდა ფიზიკურად. "მალაროში უამრავი პატიმარი იღუპებოდა, იხსენებს ბატონი შალვა, ჯოჯოხეთივით შავ მალაროში ზოგს ქვანახშირის ლოდები ჭყლეტდა, ზოგი პატიმარი იქ თვითონ ერთმანეთს ახრჩობდა და კლავდა თუნდაც ორიოდ გახვევა მახორკისთვის ან ისე, უბრალოდ, "გართობის" მიზნითაც კი. ტრაემები ხომ უამრავი იყო".

ერთხელაც, მუშაობის დროს, თავად მოჰყვა ჩამოშლილ ქანში და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. მოლოდ ამის შემდეგ დართეს ნება სპეციალობით მუშაობისა და დანიშნეს ფერშლად. მეორედ კიდევ უფრო ახლოს იყო სიკვდილთან - ტროპიკული მალარიის ერთ-ერთი შეტევის შემდეგ მკვდრად ჩათვალეს და მოათავსეს მორგში. გადაარჩინეს მეზობელი ბარაკიდან შემთხვევით მისულმა პატიმრებმა - ექიმმა დავით კვიციანიშვილმა და გიორგი ჭიაბრიანიშვილმა. განსაკუთრებული გულისტკივილით იხსენებს ბატონი შალვა იმ დღეს, როდესაც მის სანახავად შორეულ ვორკუტაში ჩავიდნენ მშობლები და ბანაკის უფროსმა მათთან შეხვედრისა და საუბრის ნება არ დართო. უფლება მისცეს მხოლოდ შორიდან დანახებოდა მშობლებს: "...გაგქანდი იქ, სადაც მიმითითა. შორიანხლო ჩემი ბედკრული დედ-მამა შეენიშნე, მიღიმოდნენ და ხელს მიქნევდნენ. გავიქეცი, გამოვიქეცი, მუშტი შეემართე, ცისკენ ხელები აღვაპყარი, ამით ვანიშნე, რომ ყოჩაღად ვარ... მამა იმ დღეს უკანასკნელად ვნახე".

1951 წლიდან გადაიყვანეს ყაზახეთის ჩრდილოეთში ე. წ. მუდმივ დასახლებაში, 1952 წ. ნება დართეს განეგრძო სწავლა ყარაგანდის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს. საქართველოში დაბრუნდა იმავე წელს, მაგრამ რეაბილიტაციაზე უარი უთხრეს. რადგან თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, მუშაობდა საქართველოს სსრ-ის რაიონში ექიმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარეს მხოლოდ 1998 წელს.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაქორწინდა ჯერ პოეტ ანა კალანდაძეზე, შემდეგ - ქალბატონ ეთერ არაბულზე. ჰყავს ოთხი შვილი და შვილიშვილები.

მძიმე ცხოვრება განვლო ბატონმა შალვამ. ბევრჯერ იგემა სიმწარე, ბევრჯერ ნახა უსამართლობა, დალატი და აღამიანთა სისასტიკე, მაგრამ დღესაც სწამს, რომ "სიყვარული ყოველივეს ამარცხებს".

# ნაკაიძე გარონტი ამბარკის ძე - ექიმი



დაბ. 1899წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახ-  
ვში, ცოლშვილიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა  
ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარულ  
სამსახურში ექიმად.

დაპატიმრეს 1938 წლის 4 აპრილს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო ამიერკავკასი-  
ის რკინიგზის სანიტარულ სამსახურში მოქმე-  
დი ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური, დი-  
ვერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრი და  
ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას, იცოდა ორგა-

ნიზაციის მიერ მასობრივი ბაქტერიოლოგიური დივერსიის განსახ-  
ორციელებელი გეგმის მზადების შესახებ.

1921 წელს დაპატიმრებული იყო საბოტაჟისთვის და მიესაჯა  
თავისუფლების აღკვეთა პირობით 1 წლით. რეპრესირებული იყო მი-  
სი ძმაც (მომხსენებელი შეიკოვსკი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან  
არსებული სამეულის 1938 წლის 21 ივნისის დადგენილებით, საქარ-  
თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-  
8, 58-9, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა,  
პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე  
№ 160-სსგ, ოქმი №117, 21.06.38, ფ. 186). განაჩენი სისრულეში  
იყო მოყვანილი 22.06.38 წ.

ახლობლების გადმოცემით, 1928 წელს დაამთავრა თბილისის  
უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მუშაობდა ა/კ რკინიგზის  
სანიტარული სამსახურის ინსპექტორად, ზაფხულობით კი იმავე  
სისტემის საბავშვო ბანაკების ექიმად.

დაპატიმრების შემდეგ ოჯახს ნამდვილი განაჩენი არ შეატყობი-  
ნეს. აცნობეს, რომ გადასახლებულია 10 წლით, მიმოწერის უფლე-  
ბის გარეშე, შემდეგ კი 15 წლის განმავლობაში ოჯახის შეკითხვა-  
ზე პასუხობდნენ: "ცოცხალია, ჯანმრთელად არის".

გ. ნაკაიძეს დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე ნ. აღნიაშ-  
ვილი - იმ დროს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი და ორი ვა-  
ჟი - გურამი (შემდგომში ინჟინერი-საინჟინრო აკადემიის აკადემი-  
კოსი) და შოთა (შემდგომში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი).  
მისი მეუღლე იძულებული გახდა თავი დაენებებინა სწავლისთვის და  
ექთნად დაეწყო მუშაობა. მძიმე დროს ოჯახი არ მიატოვეს და მხარ-



ში ამოუდგნენ ბატონი გერონტისა და ქ-ნი ნადიას დაძმანი. ოჯახი დღესაც განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს ანეტა ნაკაიძეს – პროფესიით პედაგოგს და ექიმ ელენე აღნიაშვილს.

რეაბილიტირებული იყო ბატონი გერონტი 1955 წელს.

## ნამიჯიშვილი გრიგოლ სოლომონის ძე

დაბ. 1908წ. სოფ. ვანში, კპ(ბ)-ის წევრი 1932-37 წწ. (გარიცხული იყო აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით), დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი და პარტიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დააპატიმრეს 1937 წლის 18 ნოემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ 1937 წლიდან იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და ორგანიზაციის დავალებით სამსახურში ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას. წარდგენილ ბრალდებას უარყოფდა. იმხილებოდა მოწმის ჩვენებით (მომხსენებელი ქადაგიშვილი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 12919, ოქმი № 78-1, 29.12.37, ფ. 31).

## ნანეიშვილი ლევან (ლელიკო) რაჭელენის ძე - ექიმი

დაბ. 1918წ. სამტრედიაში, ცნობილი ექიმი-სა და საზოგადო მოღვაწის - რაჭელენ ნანეიშვილის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ლენინგრადის მექანიკა-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ სასწავლებლად გადავიდა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში. თავდაპირველად ცხოვრობდა ბიძასთან - ვიქტორ ნანეიშვილთან, იმხანად კვების მრეწველობის აკადემიის რექტორთან, ხოლო ბიძისა და მისი სიძის - ალექსანდრე კოსარევის, სსრკ კომკავშირის ცკ-ის დახვერვის შემდეგ - საერთო საცხოვრებელში.



პირველი მდივნის, ომის დაწყების გა-

მო სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

დააპატიმრეს 1943 წლის 18 ნოემბერს. მასთან ერთად იმავე საქმეზე დააპატიმრეს: ჭაბუა ამირეჯიბი, ლევან აბდუშელიშვილი, შალვა სვანიძე, რომან სუტა, პავლე ხარანაული, გიორგი მაჭავარიანი. ამირან მორჩილაძე (იხ.) და ვახტანგ ჯორჯაძე (იხ.), არჩილ წულუკიძე, გიორგი წულუკიძე, რევაზ ტყავაძე, ლუკა ტყემალაძე, გიორგი იშხნელი და სხვ.

ჯგუფი სახელწოდებით "თეთრი გიორგი" გაასამართლა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1944წ. 7-12 აპრილს და ლევან ნანეიშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლით მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 24814-62).

სასჯელს იხდიდა კიროვის ოლქში, სადაც მუშაობდა როგორც ექიმი. ბუნებით კეთილი და გულისხმიერი, ეხმარებოდა ყველა პატიმარს - ქართველსაც და არაქართველსაც. არაერთი ყოფილი პატიმარი მისულა ლელიკოს დედასთან (როდესაც თვითონ ჯერ კიდევ გადასახლებული იყო) მადლობის გადასახდელად, ხოლო მის ძმას, ცნობილ ფსიქიატრს, პროფესორ ბიძინა ნანეიშვილს ლელიკოს მადლიერი პაციენტი, ყოფილი პოლიტპატიმარი შეხვდა პოლონეთში ფსიქიატრთა ფორუმზე. თვალცრემლიანმა, უკვე პროფესორმა, უამბო, თუ როგორ გადაარჩინა ლელიკომ იგი, მძიმე ავადმყოფი, და შემდეგ როგორ დატოვა საავადმყოფოში სამუშაოდ, რითაც კიდევ ერთხელ შეუნარჩუნა სიცოცხლე.

დაბრუნდა საქართველოში 1949წ. და განაგრძო სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. სწავლის დამთავრების შემდეგ ისევ რუსეთი - სამუშაოდ გაანაწილეს რკინიგზის ერთ-ერთი სამხარეო პოლიკლინიკის მთავარ ექიმად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა წყალტუბოს ერთ-ერთი სანატორიუმის მთავარი ექიმის მოადგილედ, მწვანე კონცხზე სანატორიუმის მთავარ ექიმად და ქობულეთში, ე. წ. მეოთხე სამმართველოს სანატორიუმის მთავარ ექიმად. იქვე დაქორწინდა ექიმ ეთერ ინწკირველზე. 1963 წელს დაბრუნდა თბილისში და გარდაცვალებამდე (1983წ.) მუშაობდა ქალაქის მესამე პოლიკლინიკის მთავარ ექიმად.

არასრული იქნება წარმოდგენა ლელიკო ნანეიშვილზე, როგორც პიროვნებაზე, თუ არ გავიხსენებთ მის სპორტულ ბიოგრაფიასაც. იყო კარგი კალათბურთელი, ფეხბურთელი, ფეხბურთელთა მწვრთნელი, სსრკ ფეხბურთის ფედერაციის მსაჯი და პირველი ქართველი ძიუდოისტი! 1937წ. 24 დეკემბერს მონაწილეობდა მოსკოვისა და ლენინგრადის ძიუდოისტთა პირველ ოფიციალურ შეხვედრაში

(იცავდა ლენინგრადის ღირსებას). იყო ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის ჩემპიონი. საკმაოდ კურიოზული იყო მისი ძიუდოში მოხვედრა. თავად ბატონი ლევანი ასე იხსენებს ამ ამბავს: "... ერთ დღეს ჩვენი გუნდი (იგულისხმება კალათბურთელთა გუნდი - იგი მაშინ კალათბურთელი იყო, ავტ.) დროზე ადრე მივიდა სავარჯიშოდ დარბაზში, სადაც ძიუდოს ახლად ჩამოყალიბებული წრე მეცადინეობდა. მწვრთნელი სპორტსმენებს აჩვენებდა რომელიდაც ილეთს ფეხის გამოდებით, ძალიან რომ წააგავდა ქართულ შუაკაურს. არ მომეწონა მის მიერ შესრულებული ფანდი და მწვრთნელს ჩემი აზრი მოვახსენე. ეს ალბათ ახალგაზრდობით მომივიდა, თორემ მე, კალათბურთელს, ვინ მეკითხებოდა მოჭიდავეთა საქმეში ჩარევას? მწვრთნელს ამ შენიშვნაზე გაეღიმა და მთხოვა ხალიჩაზე გავსულიყავი, მეც არ დაეკაოვნე და მის წინ აღმოვჩნდი. შუახნის ტანმორჩილმა მამაკაცმა სწრაფად შემომხვია ფეხი, მაგრამ ადგილიდან ვერ დამძრა, მე კი ჰაერში ავწიე და ერთხანს ასე მეჭირა. მცირე ხნის შემდეგ როლები გაცვალეთ. ახლა მე შემოვაველე მას ფეხი მჭიდროდ და უმაღლ ხალიჩაზე დავაგდე, იქ მყოფთ ტაში დასცხეს, მე კი დინჯად წამოვდექი, წამოვაყენე ჩემი მეტოქე და თანაგუნდელებს მივაშურე.

ასე დაიწყო ჩემი ნაცნობობა ძიუდოსთან. ამ ინციდენტის შემდეგ მწვრთნელი არ მომეშვა და დამითანხმა ძიუდოში მეგარჯიშია. მალე მოვიპოვე ვერ ინსტიტუტის, შემდეგ კი ლენინგრადის ჩემპიონობა. შემდეგ ოლქის პირველობაც მოვიგე".

ბატონ ლელიკოს დარჩა სამი ვაჟი: ლევანი (პირველი ქორწინებიდან - მეუღლე ეთერ პაპავა), კახა და ზურაბი (ინჟინრები) მეორე ქორწინებიდან (მეუღლე ეთერ ინწკირველი).

რეაბილიტირებული იყო ბატონი ლევანი 1956წ.

## ნარიმანბეილი მატაბან

ბაშია - ექიმი

დაბ. 1900წ. აზერბაიჯანში, ქ. შუშაში. კპ(ბ)-ის წევრობის ყოფილი კანდიდატი, გარიცხული იყო მამის ძმის სოციალური წარსულის დამალვისათვის. დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს ერთიანი დისპანსერის გამგედ. დაპატიმრეს 1937 წლის 9 ოქტომბერს.

ქალბატონ ნარიმანბეილის ბრალად ედებოდა, რომ ირიცხებოდა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, დივერსიულ-

მავნებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომ (1934-37წწ.) ემზადებოდნენ ა/კ რკინიგზის სისტემაში და წითელ არმიასი მასიური ბაქტერიოლოგიური დივერსიის განსახორციელებლად (მომხსენებელი ხეჩუმოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 84-სსგ, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 158).

## ნარიმანოვი გაბრატ განსპარის ქა – ექიმი

დაბ. 1883წ. თელავში, უპარტიო. დაპატიმრებამდე იყო ა/კ სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო პოსპიტლის დერმატოვენეროლოგიური განყოფილების უფროსი.

ბრალად ედებოდა, რომ მიეკუთვნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ა/კ სამხედრო ოლქის ნაწილებში მოქმედ კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, ჯაშუშურ სამხედრო ორგანიზაციას. წითელი არმიის თავდაცვის უნარის დასაქვეითებლად ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ საქმიანობას ა/კ სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის სისტემაში, ცდილობდა ახალი წევრების გადაბირებას ორგანიზაციაში (მომხსენებელი რიაზოვი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-7, 58-11,) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14629, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 112). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 30.04.38 წ.

## ნემსაძე კორნელი მიხეილის ქა – ექიმი

დაბ. 1886წ. შორაპნის მაზრის სოფ. ბზვანში, ყოფილი მენშევიკი, ცოლშვილიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ვანის პოლიკლინიკის დირექტორად. დაპატიმრეს 1937 წლის 10 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ანტისაბჭოთა აგიტაცია. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა, საექიმო-საექსპერტიზო კომისიაში ახალწვეულთა უკანონო განთავისუფლება საბჭოთა არმიაში გაწვევისგან.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისათვის ადრე მისჯილი ჰქონდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ კონტრრევოლუციონერ-ტერორისტის – რაიონის ყოფილი პროკურორის დახმარებით თავიდან აიცილა სასჯელის მოხდა (მომხსენებელი საგინაშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 31025, ოქმი № 70, 22.12.37, ფ. 17).

## ნანტარინკო მიხეილ პავლას ძე - ექიმი

დაბ. 1891წ. კიევის ოლქის სოფ. ბელაია ცერკოვში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა გაგრის რაიონის სოფელ ქრისტეფოროვოში საექიმო პუნქტის გამგედ. დააპატიმრეს იქვე, 1937 წლის 27 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას (აქებდა პიტლერს და გამოთქვამდა სინანულს ტუხაჩევსკის დახვრეტის გამო), კავშირი ჰქონდა ჯაშუშობისთვის რეპრესირებული გემის კაპიტანის თანაშემწესთან.

1931 წელს დაპატიმრებული იყო კიევში და უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 54-6 მუხლით (ჯაშუშობა) მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ 6 თვის შემდეგ გაათავისუფლეს (მომხსენებელი სვირიდოვი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 22964, ოქმი № 21, 26.09.37, ფ. 76).

## ნიკოლაიშვილი ივანე ბიორბის ძე - ექიმი



დაბ. 1896წ. სამტრედიაში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ცენტრალურ პოლიკლინიკაში ქირურგად. შეთავსებით საქართველოს შსს კომისარიატის სანიტარულ სამსახურში ექიმად. დაპატიმრეს 1937 წლის 21 ივნისს.

დაპატიმრების საფუძველი გახდა ქობულთის განყოფილების მიერ გაცემული ხელმოწერული ცნობა, რომლითაც ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. რომელშიც გააწევრიანა სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა. ძიების პროცესში ი. ნიკოლაიშვილი დაკითხული იყო მხოლოდ ერთხელ, 11 ივლისს. დაკითხვაზე "ალიარა", რომ დავალებული ჰქონდა გოგლიძის მოკვლა.

სსრკ უზენაესი სასამართლოს გამსვლელი სესიის მიერ ნიკოლაიშვილს 1937 წლის 30 სექტემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. განაჩენი მოიყვანეს სისრულეში იმავე დღეს (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 9534, მიმოხილვითი ცნობა საარქივო-საგამომიებო საქმიდან (№ 969505, ფ. 126-127).

## ნოდია ვლადიმერ ბესარიონის ძე - ექიმი

დაბ. 1908წ. აბაშის რაიონის სოფ. აბაშაში, უპარტიო. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის ქალაქის მეორე საავადმყოფოში ადგილკომის თავმჯდომარედ. დაპატიმრეს 1936 წლის 26 მაისს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1937 წლის 21 ივლისის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 14995).

# ოდისპარია სერგო კირილეს ძე

- ექიმი-რენტგენოლოგი

დაბ. 1895წ. ქუთაისში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის რენტგენოლოგიური განყოფილების გამგედ, დოცენტი. 1935 წლიდან იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრის პირველი გამგე (კათედრა განთავსებული იყო ა/კ რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის თბილისის კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე). 1916 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემია. 1925 წლიდან კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშაობდა ბერლინში, პრაღაში, ვენაში. დანტერესებული იყო კონტრასტული რენტგენოსკოპიის საკითხებით და მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჰქონდა ამ დარგში.



დააპატიმრეს 1938წ. 28 მარტს, სამსახურში.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო წევრი ა/კ რკინიგზის საექიმო-სანიტარულ სამსახურში მოქმედი ანტისაბჭოთა ტროცკისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციისა და მოქმედებდა აქტიურად.
2. ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას.
3. იცოდა მობილიზაციის შემთხვევაში თბილისისა და ბაქოს სარკინიგზო კვანძებში მასიური ბაქტერიოლოგიური დივერსიის მომზადების გეგმის შესახებ.
4. ეწეოდა ჯაშუშობას გერმანიის სასარგებლოდ (მომხსენებელი შეიკოვსკი).

დანაშაულად ჩაუთვალეს აგრეთვე დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ჯარში სამსახური ექიმად და წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა, კავშირი საზღვარგარეთ ნათესაებთან (საკუთარ ძმასთან - პეტრესთან) და თეთრ ემიგრანტებთან.

მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებდნენ გამომძიებლები ოვიანი და კისლოვსკი.


როგორც სუკის ყოფილი თანამშრომლის ა. ლლონტის მიერ 1956 წლის 3 თებერვალს მიცემული ჩვენებიდან გაირკვა, ს. ოდიშარიას გამომძიებლები სასურველი ჩვენების მისაღებად იმდენად უმოწყალოდ სცემდნენ, რომ მთლად გასისხლიანებული, კანქვეშ ძლიერი სისხლჩაქცევებით ვეღარ ახერხებდა დამოუკიდებლად სიარულს (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 9532, გვ. 263).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 21 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-9, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეწა, პირადი ქონების კონფისკაციით. (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 126-სსგ, ოქმი № 117, 21.06.38, ფ. 187).

განაჩენი მოიყვანეს სისრულეში მეორე დღესვე - 1938 წლის 22 ივნისს.

დაპატიმრების დროს ბატონ სერგოს ჰყავდა მეუღლე - ასია გოლიცინა-სკალონი, რომელიც დააპატიმრეს ს. ოდიშარიას დაპატიმრების დღეს (დააკავეს ქუჩაში ჩოგბურთის კორტებზე მიმავალი). მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. დაბრუნდა საქართველოში 1951 წელს. მის ჩამოსაყვანად საქართველოში გადასახლების ადგილზე ჩავიდა ბატონი სერგოს უმცროსი ძმა - პეტრე.

## ოკუჯავა (მოდეგაძე) ნინო იოკიძის ასული - პედიატრი



დაბ. 1904წ. ჭიათურის რაიონის სოფ კაცხში, ჭიათურის წმინდა ნინოს სასწავლებელის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც, უკვე სამი შვილის დედამ, დამთავრა 1935 წელს და მუშაობა დაიწყო თბილისში, რკინიგზის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში. დააპატიმრეს 1937 წლის ზაფხულში.

დაპატიმრების დეტალებს იხსენებს მისი ქალიშვილი ქ-ნი ნათელა ოკუჯავა: "1937 წლის ზაფხულში დედამ მშობლიურ სოფელ კაცხში წავეყვანა. სწორედ ამ დროს გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა მამას დახვეწის შესახებ. ეს გაზეთი დედას სამმა კომკავშირელმა მოუტანა. სანამ იგი ამ საშინელ ინფორმაციას ეცნობოდა, მოსულები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მის რეაქციას. დედა გაქვავებული იჯდა და ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს კი "ჭიათურის მადაროელში" გამოქვეყნდა სტატია იმის შესახებ, თუ როგორი ისტერიკა გამართა ნინო ოკუჯავამ, როდესაც მეუღლის დახვეწის ამბავი გაიგო.

ბებიას სასწრაფოდ თბილისში გამგზავრებამ მოუწია, რადგან შეატყობინეს მეორე ქალიშვილის, აკა მოდებაძისა და მისი მეუღლის დაპატიმრების ამბავი. დედა და სამი პატარა ბავშვი მარტო დავრჩით სოფელში.



საზარელი იყო ის დამე, როდესაც "ჩეკისტები" თავს დაგვესხნენ. ბავშვებს გვეძინა. გამოგვაფხიზლა ხმაურმა. ნათის ლამპის შუქზე ატარებდნენ ჩხრეკას, ოთახში ყველაფერი თავდაყირა იყო. გაფითრებული დედა ცდილობდა დავეწყნარებინეთ, მაგრამ ჩვენ ბავშვური ინტუიციით ვგრძნობდით, რომ საშინელება გველოდა. დედა "ჩეკისტებს" შეეხვეწა, რომ ერთი დღით სახლში გაჩერების ნება მიეცათ, რადგანაც ბავშვებს უპატრონოდ ვერ დატოვებდა. "ჩეკისტები" სასტიკ უარზე იყვნენ. გართულებული მდგომარეობის შესახებ ამცნეს უფროსს, რომელიც ჭიათურიდან ჩამოვიდა. საშინლად განრისხებული "უფროსი" ყვიროდა და იმუქრებოდა. თავზარდაცემული ბავშვები მოვთქვამდით და დედას ვეკვროდით. გამძვინვარებული კაცი არ ცხრებოდა... საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელი რევოლვერისკენ წაიღო. დედა გააფთრებულ ლომს ჰკავდა... ეს საშინელება იმით დამთავრდა, რომ დედას დაუყენეს შეიარაღებული მეთვალყურეები და შინ დატოვეს ერთი დღით. მეორე დღეს ბებია ჩამოვიდა. დედასთან გამომშვიდობება იყო დრამატული. იგი გვანუგეშებდა.

ჭიათურიდან დედა გადაიყვანეს თბილისში, საიდანაც მივიღეთ ერთი ბარათი - მე ვეღარ დავბრუნდებო, გვატყობინებდა"

"საქმე" გადაეცა საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებულ სამეულს. ბრალად ედებოდა, რომ: "იყო რა ხალხის მტრის ტროცკისტული, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მაკნებლური, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის, მიხეილ სტეფანეს ძე ოკუჯავას ცოლი, იმყოფებოდა მასთან მჭიდრო კავშირში, თავის სახლში იღებდა ხალხის მტერს, კონტრრევოლუციონერ კარპე მოდებამეს (ბიძაშვილს - ავტ.), დაპატიმრების შემდეგ სოფ. კაცხის გლეხებში ეწეოდა კონტრრევოლუციურ, ანტისაბჭოთა აგიტაციას კ(ბ)-ისა და მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ, თვლიდა, რომ მისი ქმარი, რომელმაც ბევრი გააკეთა გლეხებისთვის, საბჭოთა ხელისუფლებამ არაფრისთვის დახვრიტა" (სუსის არქივი, საქმე № 25579, ოქმი № 63, 10.12.37.).

ამ ბრალდებით, მცირეწლოვანი შვილების დედას, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (უიცსა. ფონდი 498, ანაწ.1, საქმე № 1566, გვ. 30).

ძალიან მოკლედ ქალბატონი ნინოს მეუღლეზე: ბატონი მიხეილ ოკუჯავა დაპატიმრეს 1936 წლის აგვისტოში. იმ დროს მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის დირექტორად. მანამდე სხვადასხვა დროს იყო საქართველოს კ(ბ) ცკ-ის მდივანი, ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი. 1926 წელს საკუთარი განცხადებით გათავისუფლდა ცკ-ს მდივნის


თანამდებობიდან და დაინიშნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

ბრალად ედებოდა დანაშაული, რომელიც ისჯებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11). 1937 წლის იანვარში ბრალად დასდეს აგრეთვე სამშობლოს დალაცია (58-1ბ) და ჯაშუშობა (58-6). გამოძიებამ ჩათვალა საქართველოში მოქმედი ტროცკისტული ცენტრის ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

როგორც 1955 წელს გაირკვა, მ. ოკუჯავას ოთხტომიან საგამოძიებო საქმეში, არ იყო არც საბრალდებო დასკვნა და არც სასამართლოს გადაწყვეტილება (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქმე № 1566, გვ. 16-18).

უდემამოდ დარჩენილი ბავშვები გაზარდა და გზაზე დააყენა ნინოს დამ – ქალბატონმა ლუდმილა მოდებაძემ პროფესიით ექიმმაფთიზიატრმა, შესანიშნავმა პიროვნებამ, პედაგოგმა, სპეციალისტმა. დღეს ქალბატონი ნათელა ოკუჯავა ექიმა, ფთიზიატრი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ბატონი არჩილი – გეოფიზიკის ინსტიტუტის დრუბლების მიკროფიზიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბატონი ვაჟა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექსპერიმენტული ნევროლოგის ს/კ ცენტრის დირექტორი.

## ონიანი (ჯაფარიძე) სარა ჯამგულათის ასული – ბებია ქალი



დაბ. 1893წ. ქვემო სვანეთის სოფ. ჩუკულში. დაპატიმრეს 1937 წლის 5 ოქტომბერს.

დამნაშავედ ცნეს იმის გამო, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, იზიარებდა თავისი მეუღლის შეხედულებებს და ხელს უწყობდა მას კონტრრევოლუციურ, მავნებლურ საქმიანობაში, ქმრის დაპატიმრებით გაღიზიანებული, ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, კერძოდ, ამბობდა, რომ როცა გაწყლებიან ეს კომუნისტები და დადგება დრო შევსვა მათი სისხლი, შურს ვიძიებ ქმრის და-

პატიმრებისთვის. ეწეოდა აგრეთვე ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას

და იფარავდა "პოლიტბანდიტებს". იგი ჩათვალეს სოციალურად უცხო და ანტისაბჭოთა ელემენტად.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 28976, ოქმი № 49-2, 19.11.37, ფ. 109).

ს. ონიანი დაწყებითი განათლება მიიღო მესტიის რაიონში, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. 1919 წელს დაამთავრა წმინდა ოლღას სახელობის საბებიო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ცაგერის რაიონში, სადაც ხშირად უმძიმეს პირობებში უხდებოდა ექიმის მოვალეობის შესრულებაც. მალე დაოჯახდა და შეეძინა სამი შვილი. დაპატიმრების დროს მეოთხეზე იყო ფეხმძიმედ. 1937 წელს სექტემბერში დაპატიმრეს მისი მეუღლე, ივანე პეტრეს ძე ონიანი - ლენტეხის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე - შემდგომში დახვრეტილი ე.წ. კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. ქ-ნი სარა კი გადასახლეს ხაბაროვსკის მხარეში, სადაც მუშაობდა პროფესიით. გადასახლებამდე იმშობიარა ციხეში, მაგრამ ბავშვმა დიდხანს ვერ იცოცხლა. დაბრუნდა საქართველოში 1947 წელს და განაგრძო მუშაობა ლენტეხის რაიონში.

1956 წელს, რეაბილიტაციის დროს გამოძიებლისთვის მიცემულ ჩვენებაში ს. ონიანი კითხვაზე, როდის და რატომ იყო დაპატიმებული, პასუხობს: "მე ვიყავი დაკავებული ჩემი ქმრის დაპატიმრებიდან ორი კვირის შემდეგ, თუ რატომ, არ ვიცოდი. მხოლოდ სამი კვირის შემდეგ თბილისის ციხეში გავიგე, რომ როგორც "სალხის მტრის" მეუღლემ უნდა მოვიხადო 10 წელი". და იქვე: "...მახსოვს, ბინაზე ვღებულობდი მშობიარეს. ამ დროს, დაკაკუნების გარეშე, შემოვიდა ასლანიკაშვილი და მე და სხვა ქალებს გვიბრძანა ხელების მალლა აწევა. მე ხელში მეჭირა ახალშობილი. ასლანიკაშვილმა მიბრძანა დამეგდო ახალშობილი და ამეწია ხელები. მე როგორღაც მოვახერხე ბავშვის უვნებლად დაწვენა. ამის შემდეგ ასლანიკაშვილმა და სხვებმა დაიწყეს ბინის გაჩხრეკა" (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 4648-58, ტომი 10, ფ. 212).

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს. გარდაიცვალა 1982 წ.

## ორაბველია ეპვთიმა ონისიას ქა - ფარმაცვეტი



დაბ. 1872წ. ოზურგეთის მაზრის დ. ლანჩხუთში. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ლანჩხუთში, მუშაობდა იქვე აფთიაქის გამგედ (ყოფილი საკუთარი აფთიაქი). დაპატიმრეს 1925წ.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს 1925 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის (1922წ.) 76-ე მუხლით (ბანდებისათვის

ხელის შეწყობა და დაფარვა...) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. გადასახლებული იყო სოლოკების ერთ-ერთ კუნძულზე. გათავისუფლდა 1928წ.

## ორახელაშვილი ივანე (მამია) დიმიტრის ქა -

ექიმი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე



დაბ. 1881წ. შორაპნის მაზრის სოფ. საქარაში, რკპ(ბ) წევრი 1903 წლიდან, დაპატიმრებამდე მუშაობდა მოსკოვში საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტრუქტის (იმელის) დირექტორის მოადგილედ.

დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისში - 1899 წელს დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია (სახელმწიფოს ხარჯზე) და სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

1902 წლიდან სასწავლებლად გადავიდა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1908 წელს. იმავე წელს, როგორც სამხედრო ექიმი, გაგზავნეს კასპიისგალმა ოლქსა და სპარსეთში (მასთან ერთად გაემგზავრა და სამხედრო მოსამსახურის ხვედრი გაიზიარა მისმა მეუღლემ - ქალბატონმა მარიამ მიქელაძემ). 1913 წელს ოჯახი დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო მამია გაიწვიეს მოქმედ არმიაში, სა-

დაც რუმინეთის ფრონტზე მსახურობდა სანიტარული რაზმის მთავარ ექიმად.

1917 წლის აპრილში, დემობილიზაციის შემდეგ, ჩავიდა ვლადიკავკაზში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა მისი ოჯახი. 1918 წლის დასაწყისში, ოჯახთან ერთად, დაბრუნდა საქართველოში. იმავე წელს დაუსწრებლად აირჩიეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ბოლშევიკების) ვლადიკავკაზის კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, რის გამოც აპირებდა ვლადიკავკაზში ჩასვლას, მაგრამ გზაში მენშევიკური მთავრობის ბრძანებით დააპატიმრეს და მოათავსეს საპყრობილეში, საიდანაც მალე, ავადმყოფობის გამო, გაათავისუფლეს.

1920-1921 წლებში იყო საქართველოს კპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე და კავბიუროს წევრი. 1921-1925 წლებში საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, საქართველოს კპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, შემდეგ საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამიერკავკასიის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. 1923-1925 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1927-1930 წლებში დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი, 1926-1929 წლებში კი სკპ(ბ)-ის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი და იმავდროულად გაზეთ "ზარია ვოსტოკას" რედაქტორი. მომდევნო წელს გადაიყვანეს მოსკოვში გაზეთ "პრავდის" რედკოლეგიის წევრად. ერთი წლის შემდეგ დაბრუნეს ამიერკავკასიაში და კვლავ დანიშნეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად. 1932 წლის დეკემბრიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საკავშირო მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ.

დააპატიმრეს 1937 წლის მაისში.

1937 წლის 20 დეკემბერს გაზეთი "პრავდა" (სიმართლე!) იტყობინებოდა:

"სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში

1937 წლის 16 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, 1934 წლის პირველი დეკემბრის კანონის შესაბამისად, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილა ა. ს. ენუქიძის, ლ. მ. კარახანის, ი. დ. ორახელაშვილის, ბ. პ. შებოლდაევის, ვ. ფ. ლარინის, ა. დ. მეტელიევის, ვ. მ. ცუკერმანის, და ბ. ს. შტიეგერის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებათ სამშობლოს დალატი, ტერორისტული საქმიანობა და სისტემატური ჯაშუშობა

ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ, ანუ დანაშაულებანი, რომლებსაც ითვალისწინებს რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა, 58-6 მუხლები.

ყველა ბრალდებულმა მთლიანად ცნო თავი დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებებში. სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ა.ს.ენუქიძეს, ლ.მ.კარახანს, ი.დ.ორახელაშვილს, ბ.პ.შებოლდაევს, ვ.ფ.ლარინს, ა.დ.მეტელიევს, ვ.მ.ცუკერმანს და ბ.ს.შტივერს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი - დახვერტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში".

ტყუის გაზეთი "პრავდა"!!!

1937 წლის 16 დეკემბრის განაჩენით მამია ორახელაშვილს სიკვდილით ვერ დასჯიდნენ, რადგან 16 დეკემბერს ივანე (მამია) ორახელაშვილი ცოცხალი აღარ იყო!

იგი სასიკვდილოდ გასწირა რეჟიმმა, რომელსაც აშენებდა და არა წყობამ, რომელსაც ანგრევდა. მას სასამართლოც არ აღირსეს. მ. ორახელაშვილის საქმე თბილისში განიხილა არასასამართლო ორგანომ - საქართველოს შსს-ის კომისარიატთან არსებულმა სამეულმა და თავისი 1937 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 9495, ოქმი № 58, 3.12.37, ფ. 65). აღნიშნული დაადასტურა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ, რომელმაც ჩვენს შეკითხვაზე 2002 წლის 12 ივნისს ( № 6/9/2-548 ) გვიპასუხა: "გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით, მამია (ივანე) დიმიტრის ძე ორახელაშვილს, დაბ. 1883წ., სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისთვის) მუხლების საფუძველზე მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1937 წლის 11 დეკემბერს.

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს 1954 წ. 10 ნოემბრის განჩინებით სისხლის სამართლის საქმე მამია (ივანე) ორახელაშვილის მიმართ წარმოებით შეწყდა დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია".

## ორლოვ-გალინოვსკი ახმედ რიზა დიმიტრის ძე - ექიმი

დაბ. 1984წ. უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ალბულალის (ამჟამად თეთრიწყაროს) საექიმო პუნქტში ექიმად. დაპატიმრეს იქვე.

ბრალად ედებოდა 1904–17 წლებში მეფის არმიაში სამსახური, შემდეგ, 1918-19 წლებში კოლჩაკის არმიაში, რისთვისაც იყო გასამართლებული და მოიხადა ორწლიანი სასჯელი. ბრალად ედებოდა აგრეთვე თავისი და მეუღლის საზღვარგარეთ ემიგრირებულ ნათესავებთან კავშირი, რასაც ბრალდებული კატეგორიულად უარყოფდა. საქმეში ჩართული იყო ვინმე დიმოვეის ჩვენება ბრალდებულის ე. წ. კონტრრევოლუციური საქმიანობის დამადასტურებელი საბუთებისა და ფაქტების გარეშე.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, ქონების კონფისკაციით (უიკსა, ფონდი 498, ან. 4, ს. 5379).

## პაპიძე გიორგი სევესტის ძე - ექიმი

დაბ. 1907წ. ჭიათურის რაიონის სოფ. უსახელოში, კპ(ბ)-ის წევრი 1931წ-დან 1937 წლამდე (გარიცხული იყო კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის). უმაღლესი განათლებით. დაპატიმრებამდე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. 1937 წლის სექტემბრიდან გახდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი.
2. კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის ცდილობდა მედინსტიტუტის თანამშრომელთა გადაბირებას. გადაბირა ორი კაცი (მომხსენებელი ქადაგიშვილი).

წაყენებული ბრალდება უარყო. იმზილებოდა მოწმის ჩვენებით და მასთან პირადი დაპირისპირების ოქმით.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯე-

ლის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 12998, ოქმი № 78-1, 29.12.37, ფ. 22). განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 30.12.37 წ.

## **პერტია ალექსანდრა ისილორას ქა - სტუდენტი**

დაბ. 1914წ. სენაკის მაზრის სოფ. ნოქალაქევში. ალკა-ის წევრი 1930-37 წწ. გარიცხეს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეზუთე კურსის სტუდენტი. დააპატიმრეს 1937 წლის 4 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო სტუდენტური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, რომელშიც 1936 წელს ჩაითრია ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მისი დავალებით სამედიცინო ინსტიტუტში ეწეოდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 13410, ოქმი № 79-3, 31.12.37, ფ. 72).

## **პეტროსოვი არუთინ აპეტიკის ქა - ფერშალი**

დაბ. ბაქოში. 1928-38 წლებში კპ(ბ)-ის წევრი (გარიცხული პოლკში პოლიტიკური მუშაობის ჩაშლისთვის). დაპატიმრებამდე იყო რკინიგზის მეათე პოლკის სამხედრო კომისარი.

ბრალად ედებოდა, რომ;

- “1. იყო კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული, დივერსიულ-მაკინებლური ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934 წლის პირველ დეკემბერს განახორციელეს კიროვის მკვლელობა და შემდეგ, 1934-37 წლებში, ამზადებდნენ ტერაქტებს კპ(ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.
2. შედიოდა რკინიგზის მეათე პოლკის კონტრრევოლუციურ სამხედრო ორგანიზაციაში, ეწეოდა მაკინებლობას ჯარისკაცთა მომზადების საქმეში წითელი არმიის ძლიერების ძირის გამოთხ-



რის მიზნით.

3. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას მეათე პოლკის პოლიტმუშაობაში.
4. ორგანიზაციაში გადაიბირა მარა მარქარიანი” (მომხსენებელი შუტოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წ. 17 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) განესაზღვრა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით. განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წ. 20 იანვარს (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 12808 ოქმი № 83, 17.01.38, ფ. 70).

### **პიპოვაროვი იოსებ სოლომონის ძე – ბაქტერიოლოგი**

დაბ. 1890წ. თბილისში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ბათუმის ბაქტერიოლოგიური ლაბორტორიის გამგედ. დააპატიმრეს 1938 წლის 17 აპრილს.

როგორც კონტრევოლუციური ჯაშუშური ორგანიზაციის წევრს, ევალეობდა ჯაშუშური ინფორმაციის მიღება და გადაცემა, რაშიც ელიაეასგან წელიწადში იღებდა სამი ათას მანეთს. თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938წ. 11 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 8680, ოქმი № 122, 11.10.38, ფ. 192).

### **პლინსეცკი გრიგოლ დავითის ძე – ექიმი**

დაბ. 1893წ. ბათუმში, სკკპ-ის წევრი 1917 წლიდან, პენსიონერი. დააპატიმრეს 1936 წლის 29 ოქტომბერს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 და 202-ე (ასაფეთქებელი ნივთიერების ან ჭურვის, სასროლი და ცივი იარაღის ნებადაურთველად დამზადება, შენახვა, შესყიდვა და გასაღება) მუხლებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.



დაბ. 1882წ. ყარსში, უპარტიო, ცოლშვილიანი. იზრდებოდა სასულიერო პირის (მართლმადიდებლის) მრავალშვილიან ოჯახში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს. საშუალო განათლება მიიღო ნოვოჩერკასკში. 1912 წელს დაამთავრა ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, შემდეგ მუშაობდა პიატიგორსკში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა ზემო ავჭალის პიდროელექტროსადგურის მშენებელთა საავადმყოფოს, შემდეგ მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო საავადმყოფოში და იმავედროულად ხელმძღვანელობდა რკინიგზის ტროპიკულ დისპანსერს. 1937 წელს გადაიყვანეს მოსკოვში, სადაც დააპატიმრეს თბილისიდან გაგზავნილი თხოვნით 1938

წელს.

დაპატიმრებამდე მუშაობდა სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის საექიმო-სანიტარული სამსახურის სამალარიო ჯგუფის უფროსად. დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გადმოიყვანეს თბილისში.

ბრალად ედებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის სისტემაში მოქმედი დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრობა.

ახლო ნათესავებიდან რეპრესირებული იყვნენ მისი სამი ძმა, სიძე და ძმისშვილი. 1922 წელს თვითონაც დაპატიმრებული და გასახლებული იყო ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის (მომხსენებელი კისლევისკი).

საქართველოს შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერეთა (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 17450, ოქმი № 122, 11.10.38, ფ. 233).

განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წლის 13 ოქტომბერს.

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - ოლღა კოროლინა და ქალ-ვაჟი - ელზა და ნიკოლოზი, შემდგომ ფიზიკოსები.

## პოლიტოვი ლევან ნიკოლოზის ძე - ექიმი

დაბ. 1906წ. თბილისში. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (ქართული ნაკადი). დაპატიმრებამდე მსახურობდა ექიმად ქართულ ბატალიონში. დაპატიმრეს 1937 წელს.

ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, სამხედრო დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრობა 1936 წლიდან. ორგანიზაციაში თითქოს ჩათრეული იყო ავშაროვის (იხ.) მიერ, რომლის დავალებითაც ეწეოდა კონტრრევოლუციურ-მავნებლურ მუშაობას 21-ე საინჟინრო ბატალიონის კვების ბლოკის სისტემაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14244, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 118). განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1938წ. 30 აპრილს.

ოჯახისათვის ნამდვილი განაჩენი არ უცნობებიათ (აცნობეს, რომ მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიმოწერის უფლების გარეშე. 1953წ. კი შეატყობინეს, რომ გარდაიცვალა 1947 წელს ათეროსკლეროზით).

ლევან პოლიტოვის დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე დააპატიმრეს მისი მამა - ნიკოლოზი და ნიკოლოზის ძმები: გრიგოლი - ექიმი და კონსტანტინე - სასულიერო პირი. ლევან პოლიტოვის ქალიშვილის, ინჟინერ ლარისა პოლიტოვი-გურგენიძის გადმოცემით, ლევანი ოჯახით ცხოვრობდა სიმამრთან - ივანე შულგასთან. დაპატიმრების დამეს გაჩხრიკეს ბინა და, ფაქტობრივად, აღწერეს ი. შულგას კუთვნილი ქონება. იმავე საღამოს მანქანებით გაიტანეს აღწერილი ნივთები, მათ შორის, მდიდარი ბიბლიოთეკა (ივანე შულგა იყო ლიტერატორი) როგორც შემდეგ გაირკვა. ბიბლიოთეკა არ შეუტანიათ აღწერის ოქმში.

ლ. პოლიტოვი რეაბილიტირებული იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1956 წლის 11 მაისს.



## პრისტმანი სიმონ

### მიხეილის ძე – ექიმი სტომატოლოგი

დაბ. 1875წ. ლატვიის ქალაქ ლაბაევაში. სსრკ მოქალაქე. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ამბულატორიაში.

წყაენებული ბრალდების მიხედვით: "იყო რა ანტისაბჭოურად განწყობილი, ჯაშუშობის მიზნით დაუკავშირდა ერთ-ერთი სახელმწიფოს დაზვერვას, პირადად ჰქონდა კავშირი უცხოეთის საკონსულოების თანამშრომლებთან, აგროვებდა და გადასცემდა ჯაშუშური ხასიათის ცნობებს, რომლებშიც აშუქებდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, განსაკუთრებით გერმანელების, პოლიტიკურ განწყობას, 1928 წლიდან იყო კონტრრევოლუციური ნაციონალური გერმანული ორგანიზაციის წევრი".

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 21 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (დაზუსტებული არ არის) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვეწა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 122.14, ოქმი № 69-1, 21.12.37, ფ. 106). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1937წ. 22 დეკემბერს.

## ჟორდანიას ვუკოლ (კოკი)

### ფარნაოზის ძე – ექიმი

დაბ. 1894წ. ლანჩხუთში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ლანჩხუთის საავადმყოფოს გამგედ. დაპატიმრეს 1938 წლის 5 თებერვალს.

ბრალად ედებოდა, რომ "წარმოდგება ყოფილ აზნაურ-მემამულეთაგან, არის კონტრრევოლუციონერ ნოე ჟორდანიას ახლო ნათესავი, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა დაპატიმრებამდე. იყო რა უკმაყოფილო საბჭოთა ხელისუფლებით, დაიწყო მავნებლური საქმიანობა ჯანდაცვის სისტემაში. მისი მიზეზით 1937 წელს ლანჩხუთის საავადმყოფოში გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის რამდენიმე წევრი, კოლმეურნეობის წევრები, სტახანოველები და სხვები. შეგნებულად ჩააგდო ჯარში ახალგაზსაწვევებთან მუშაობის საქმე. კოლმეურნეებთან ეწეოდა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ აგიტაციას".

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938წ. 13 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა 10 წლით გასახლება (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 26817, ოქმი № 100, 13.03.38, ფ. 36.).

## ჟორდანიას იასონ ისიდორეს ძე - ექიმი

დაბ. 1881წ. სენაკში, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ყოფილი წევრი. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოფ. გეგეჭკორში პოლიკლინიკის გამგედ.

ბრალად ედებოდა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა (მაშინ პატიმრობიდან გათავისუფლდა საშა გეგეჭკორის დახმარებით) და კავშირი "პოლიტბანდიტ" გეგელიასთან (1930წ.), რისთვისაც ცოტა ხნით იყო კიდევ დაპატიმრებული. 1937 წლის აგვისტოში, როდესაც იწვა საავადმყოფოში სამკურნალოდ, ავადმყოფებში ლაპარაკობდა, რომ გლეხებს არ უყვართ კოლმეურნეობები და იქ მუშაობა არ მიაჩნიათ საკუთარ საქმედ, რომ კოლმეურნეობების ჩამოყალიბების შემდეგ ცხოვრების დონე დაეცა, რომ მთავრობის რეპრესიებს მოჰყვება მოსახლეობის საპასუხო ქმედება და რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს კარგი დაზვერვის საშუალებით ეცოდინებათ ჩვენთან ხალხის დაზვერვის შესახებ და ამიტომ განეწყობიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 31 დეკემბრის დადგენილებით ი. ჟორდანიას საქმე შემდგომი განხილვისათვის გადაეცა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეც კოლეგიას (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 17970, ოქმი № 79-1, 31.12.37, ფ. 223).

სპეცკოლეგიის 1939 წლის 21 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-58-17) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. ეტაპირებული იყო ვოლოგდაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

## ჟორდანიას იასონ იასონის ძე - სტუდენტი

დაბ. 1917წ. მარტვილში, უცოლშვილო, ალკა-ის ყოფილი წევრი. გარიცხეს აღძრული საქმის გამო. დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დააპატიმრეს 1938 წლის 3 ივლისს.

ბრალად ედებოდა, რომ 1930 წელს (14 წლის ასაკში) იყო ბათუმის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის "ახალგაზრდა მარქსისტების" აქტიური წევრი, რომ ამზადებდა ტერორისტულ აქტებს კპ(ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციური შინაარსის პროკლამაციების შედგენაში, გამრავლებასა და ბათუმში მათ გავრცელებაში. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ოვია-ნი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-8, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა იასონი 1938 წელს დახვერტეს 1930 წელს 14 წლის ასაკში ჩადენილი ქმედებისთვის. 1955 წელს "საქმის" გამომძიებელმა ოვიანმა მომზდარი აღიარა და უწოდა სამწუხარო გაუგებრობა (იმავე "გაუგებრობით" იასონთან ერთად დახვერტეს მისი ორი, ასევე არასრულწლოვანი მეგობარი (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 15809, ოქმი № 121, 10.10.38, ფ. 122).

## ჟორჯოლიანი ლოლა ენუქის ასული - ექთანი



დაბ. 1918წ. სამტრედიაში. 1940 წელს დაამთავრა ქუთაისის საფერშლო-სამეანო სასწავლებელი და დაიწყო მუშაობა სპეციალობით. 1941 წლის 23 ივნისს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და ჩარიცხეს 116-ე მოძრავ საველე ჰოსპიტალში მედდად. 1942 წლის 15 მაისს ქერჩის მიდამოში ჩავარდა ტყვედ. ტყვეობაში იმყოფებოდა 1945 წლამდე. სამშობლოში დაბრუნდა 1945 წლის ნოემბერში და მუშაობდა სპეციალობით. დააპატიმრეს 1949 წლის 7 დე-

კემბერს ქუთაისში.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩინა დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმი 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით, მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (N 1206-65), ჟორჟოლიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე N 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ უკანასკნელი 15 წელი მუშაობდა თბილისში ვაკის კულტურისა და დასვენების პარკში ექთნად.

## რამიშვილი ეპრაქსია (მაყვალა) ნიკოლოზის ასული

- ექიმი

დაბ. 1901წ. თბილისში, უპარტიო. თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი - დაამთავრა 1928 წელს. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში რენტგენოლოგად. დაპატიმრეს 1946 წლის 26 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო არალეგალური ორგანიზაციის წევრი და ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას მწერალ ლევან გოთუასთან ერთად, რომლის დავალებით ორგანიზაციის წევრი ნინა ყარანგოზიშვილი დააკავშირა უცხოეთიდან არა-



ლევალურად ჩამოსულ პიროვნებასთან (ნინა ყარანგოზიშვილი – თბილისის უნივერსიტეტის საქმის მწარმოებელი, რომელსაც წაუყენეს ბრალდება, რომ თითქოს მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეუდგა არალევალური ნაციონალურ-დემოკრატიული, ფაშისტური (!) ყაიდის ორგანიზაციის ჩამოყალიბებას).

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1947 წლის 14 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11), ჯგუფის რვა წევრთან ერთად (ლ. გოთუა, ნ. ყარანგოზიშვილი, ი. სარჯველაძე, ნ. ბულეიშვილი ი. ბეწუკელი, გ. ლალიაშვილი, გ. ხუციშვილი, ი. გუბელაძე) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით. გამოძიების დროს რამიშვილისა და ჯგუფის სხვა წევრების მიმართ (მათ შორის ლევან გოთუას მიმართ) იყენებდნენ მძიმე ფიზიკურ ზემოქმედებას, რასაც ადასტურებენ იმ დროს შინაგან ციხეში მომუშავე ექთანი ე. მახარაძე და ზედამხედველი ე. ა. დოცენკო.

მ. რამიშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო (უიცსა, ფონდი 498, ან 4, საქმე № 2064, გვ. 33-43).

ქალბატონმა მაყვალამ სასჯელი ვერ მოიხადა. გარდაიცვალა გადასახლებაში ეტაპირების დროს.

მ. რამიშვილი ადრეც იყო რეპრესირებული – 1924 და 1930 წლებში. პირველად დასჯილი იყო ერთი წლით, ხოლო 1930 წლის ნოემბერში 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. უკვე გადასახლებაში კი სსრკ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ სასჯელი გაუხანგრძლივდა სამი წლით. სასჯელს იხდიდა ციმბირის სხვადასხვა ბანაკში, სადაც მუშაობდა ექიმად. ბოლო სამი წელი გაატარა ნარიმში, ე. წ. თავისუფალ გადასახლებაში ო. მესხთან, ლ. გოთუასთან და სხვა ქართველებთან ერთად (საარქივო საქმე № 2749-58).

## რამიშვილი ივანე

### რაჭდენის ძე – ექიმი

დაბ. 1903წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. დიდ ვანში, უპარტიო. დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუკისციხეში. დაპატიმრეს 1937 წლის 14 აპრილს.



საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა გასახლება 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 2111, ოქმი № 22.04.10, ფ. 77), (მომხსენებელი მადრაძე).



სასჯელს იხდიდა კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საიდანაც დაბრუნდა 1947 წელს, მაგრამ დიდხანს თავისუფლად ცხოვრება არ აცალეს და 1949 წლის 9 მარტს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით გაასახლეს კრასნოიარსკის მხარეში, სადაც მუშაობდა სპეციალობით. 1959 წელს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო (საარქივო საქმე № 21125).

დაბრუნდა საქართველოში 1961 წელს. ცხოვრობდა ბათუმში. დაპატიმრებამდე ჰყავდა სამი შვილი: მერი - შემდგომ კავშირგაბმულობის ინჟინერი, ლილი - შემდგომ ინჟინერი, ბერდი - შემდგომ მძღოლი, გადასახლებაში შეეძინა ზურაბი - შემდგომ აგრონომი.

გარდაიცვალა ი. რამიშვილი 1967 წელს.

## რამიშვილი ოლღა გიორგის ასული

დაბ. 1900წ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. დიდ ვანში, კპ(ბ)-ის ყოფილი წევრი, გათხოვილი, საშუალო განათლებით, დაპატიმრებამდე მუშაობდა ქუთაისის აფთიაქში რეცეპტარად.

როგორც კპ(ბ)-ის წევრს, ბრალად ედებოდა კავშირი კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან, მათი შეხედულებების გაზიარება და ურთიერთობა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის გასახლებულ ძმასთან (მომხსენებელი მელაძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 8 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 16745, ოქმი № 10, 08.09.37).



დაბ. 1897წ. ხონში, ცოლშვილიანი, უპარტიო (ყოფილი მენშევიკი). დაწყებითი განათლება მიიღო ხონში, შემდეგ დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია. პირველი მსოფლიო ომის დროს გაწვეული იყო მოქმედ არმიაში - ირანში, საიდანაც დემობილიზაციის შემდეგ თან წამოიყვანა ობოლი ბიჭი, იშვილა და ზრდიდა თავის ოჯახში. შემდეგ უკვე დავაჟკაცებული სერგო ნოეს ძე რატინი თავად გახდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მაგრამ ამჯერად ბედმა

ადარ გაუღიმა და დაიღუპა ფრონტზე, თუმც მანამდე მოასწრო ოჯახის შექმნა. უკვე პირველ მსოფლიო ომგამოვლილმა ნოე რატინმა სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1928 წელს. მუშაობდა ჯერ ნატახტარში, შემდეგ კი - ხონში, სადაც დააპატიმრეს კიდევ 1937 წლის 5 აპრილს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური მკენებლური ორგანიზაციის წევრი, რომელშიც ჩაითრია ხონის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ნადარეიშვილმა. ნოე რატინმა, ისარგებლა რა თავისი თანამდებობით, რამდენიმე თვის განმავლობაში ხელი შეუწყო ვ. ნადარეიშვილს დაავადების სიმულაციაში, ამ მიზნით ამლევედა ყალბ სამედიცინო ცნობებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-10, 58-11) მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 16893, ოქმი № 11, 09.09.37, ფ. 53).

ოჯახის წევრების გადმოცემით, სასჯელს იხდიდა კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1947 წ.) მუშაობდა წულუკიძეში შრომა-გასწორების ბანაკში და სპორტულ სკოლაში ექიმად. 1954 წელს თბილისის პედაგოგიის ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გავლის შემდეგ, წულუკიძეში დაბრუნებული, სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ბავშვთა საავადმყოფოში პედატრად. გამოირჩეოდა ავადმყოფების მიმართ გულისხმიერებით (ხელმოკლე ავადმყოფებს ეხმარებოდა ფინანსურადაც).

დაპატიმრების დროს ჰყავდა ორი ქალიშვილი: ლილი - შემდგომში ფიზიკოსი და მზია - შემდგომში ინჟინერი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ შეეძინა ვაჟი - ზურაბი - შემდგომში ექიმი.

რეაბილიტირებული იყო 1995 წლის 10 აგვისტოს. გარდაიცვალა 1970 წელს.

## რეიტმანი ბელა

### კონსტანტინეს ასული - ექიმი

დაბ. 1998წ. თბილისში, უპარტიო, ქმარშვილიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის მეორე გაერთიანებულ დისპანსერში ყელ-ყურ-ცხვირის ექიმად. დაპატიმრეს 1938 წლის 23 მაისს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური, მენშევიკური, სიონისტური ორგანიზაციის წევრი. ბრალდება ეყრდნობოდა მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებას, რომლითაც ბ. რეიტმანის ბინაზე თითქოს ტარდებოდა დასახელებული ორგანიზაციის არალეგალური კრებები. დაკითხვაზე ბ. რეიტმანმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მისი ჩვენებით, იგი 1919 წლიდან იყო წევრი ებრაული სრულიად ლეგალური ორგანიზაციისა "მირიამი", რომლის ღია შეკრებებზე კითხულობდნენ შოლომ ალეიხემისა და სხვათა ნაწარმოებებს და არავითარ პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწეოდნენ.

ბ. რეიტმანის დაპატიმრებას წინ უძღოდა მისი მეუღლის ის-მაილ იობიძის დაპატიმრება.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საარქივო საქმე № 20169-38. უიცსა ფონდი 498. ან. 4, საქმე 5506, გვ. 34) სასჯელს იხდიდა კარელიაში (1938-41 წწ.). გორკის ოლქში (1941-44 წწ.) და ვლადივოსტოკის მიდამოებში. კარელიაში დედის სანახავად სრულიად დამოუკიდებლად ჩავიდა მისი 11 წლის (!) ვაჟი ლეონიდე.

ბ.რეიტმანის მეუღლე, ისმაილ იობიძე (ლეონიდ იობიძის გადმოცემით), იყო კომუნისტური პარტიის წევრი 1904 წლიდან. 30-იან წლებში მუშაობდა საქართველოს ცენტრალური არქივის მმართველად, საიდანაც გადაიყვანეს ფინანსთა კომისარიატში, ხოლო შემდეგ

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სავაჭრო პალატის თბილისის ფილიალის მმართველად (ახლად დაპატიმრებული

პაპულია ორჯონიკიძის – სერგო ორჯონიკიძის ძმის – ნაცვლად). 1937 წლის 6 ნოემბერს დააპატიმრეს და დახვრიტეს იმავე წლის 30 დეკემბერს.

ბ. რეიტმანი დაბრუნდა საქართველოში 1946 წელს როდესაც მატარებელი მიუახლოვდა ტუაფსეს, იგონებს თავად რეიტმანი (ჟურნალი "OKHA", 09.12.99) და პორიზონტზე გამოჩნდა ზღვა, მე ვერ დავუჯერე საკუთარ თავს... ვიდექი და ვტიროდი, არ მჯეროდა, რომ დიდი ხნის ტანჯვისა და ხეტიალის შემდეგ ვნახავდი საქართველოს ცას, რომელსაც ასე უიმედოდ ვეთხოვებოდი 1938 წლის ოქტომბერში. განა მაშინ შემემძლო მეფიქრა, რომ კიდევ ვნახავდი ჩემს მშობლიურ თბილისს, შვილს, დას და კვლავ ვიქნებოდი თავისუფალი".

გარდაიცვალა ბ. რეიტმანი-იობიძისა 1992 წელს თბილისში. მისი ვაჟი ლეონიდე საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში.

## რობაქიძე თამარ ივანეს ასული - ექიმი



დაბ. 1899წ. თბილისში, უპარტიო, გათხოვილი, უშვილო. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, ენდისპანსერში, დააპატიმრეს 1938 წლის 8 იანვარს.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო პოლონეთის დაზვერვის აგენტი.
2. ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას პოლონეთის დაზვერვის სასარგებლოდ.
3. ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას" (მომხსენებელი ჯვარშიევილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 8 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14155, ოქმი №104, 29.03.38, ფ. 78).

ქალბატონი თამარის ძმისშვილის, ნინო რობაქიძის გადმოცემით, თამარი სასჯელს იხდიდა მაგადანის ოლქში, სადაც მუშაობდა ექიმად. ბანაკის უფროსის შუამდგომლობით სასჯელის ვადა შეუმცირეს ორი წლით. სამშობლოში დაბრუნდა 1946 წელს. რადგან თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, მუშაობა დაიწყო სამტრედიისში. თბილისში დაბრუნდა მხოლოდ 1952 წელს და გარდაცვალებამდე

მუშაობდა ვენდისპანსერში.

გარდაიცვალა 1965 წელს. რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## **რჩაულიშვილი - დიდიქა თინა ვლადიმერის ასული - ექიმი**

დაბ. 1911წ. შორაპნის მაზრის სოფ. დიდ ჯიხაიშში. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის კიროვის სახ. რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებაში. დაპატიმრეს 1937 წლის 27 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. არის პოლონეთის დაზვერვის აგენტი.
2. ეწეოდა ჯამუშურ საქმიანობას პოლონეთის დაზვერვის სასარგებლოდ.
3. ჯამუშური საქმიანობისთვის იღებდა ფულად გასამრჯელოს" (მომხსენებელი ჯვარშიევილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 8 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 13916, ოქმი № 98, 08.03.38, ფ. 87).

## **საბაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1885წ. ოზურგეთში, ცოლიანი, კ(ბ) ყოფილი წევრი (1920 წლიდან), დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში, კეცხოველის ქუჩაზე, დაპატიმრების დროს არ მუშაობდა.

ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ტროცკისტული საქმიანობა. ამ ბრალდების საფუძველზე, სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1936 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

მ. საბაშვილის დაპატიმრების მიზეზი გამხდარა ქობულოვის მიერ 1936 წლის 3 ნოემბერს ხელმოწერილი ცნობა, რომლითაც

ბრალდებოდა კონტრრევოლუციური საქმიანობა, რაც გამოიხატებოდა ყოფილი ტროცკისტებისათვის მატერიალურ დახმარებასა და მათთვის ტროცკისტული ლიტერატურის გამრავლებისთვის ხელშეწყობაში. თითქოს ამ მიზნით ათხოვა მან თავისი საბეჭდი მანქანა ორგანიზაციის წევრებს.

მ. საბაშვილი დაკითხვებზე კატეგორიულად უარყოფდა წარდგენილ ბრალდებებს. მის საგამოძიებო საქმეში ჩართულია სხვა საქმის გამოძიების დროს ბრალდებულთა მიერ მიცემული ჩვენებები, რომლებშიც არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ არის დასახელებული. გამოთქმულია მხოლოდ ვარაუდები. დაკითხული სამი ბრალდებულის ჩვენებები ზოგჯერ საპირისპიროა. საქმეში არ არის ტროცკისტული ხასიათის თუნდაც ერთი დაბეჭდილი ფურცელი სათანადო ექსპერტიზის აქტით.

გარდა აღნიშნულისა, მ. საბაშვილის საქმეში ჩართულია რაიონის პროპაგანდისტების მოსამზადებელი კურსის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ავტორი მიუთითებს მ. საბაშვილის გამონათქვამზე, რომ ლენინი იყო სტალინზე თავმდაბალი. ამ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე 1936 წლის 17 მარტს იგი გარიცხეს პარტიიდან და საქმე გადასცეს საგამოძიებო ორგანოებს (უიცსა, ფონდი 498, ან. 4, საქმე № 5548, გვ 12).

## საბაშვილი ტარასი ივლიანეს ძე ექიმი



დაბ. 1998წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ჭალასაყადარში, ცოლშვილიანი. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე. 13 წლის ასაკში ნათესავმა ექიმმა-სტომატოლოგმა გადაიყვანა თბილისში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში. დაამთავრა კიევის სამედიცინო ინსტიტუტი. ცოტა ხანს მუშაობდა იქვე.

ოჯახის წევრების გადმოცემით, დაპატიმრების მიზეზი გამხდარა რეპრესირებული მეგობრის ოჯახისთვის გაწეული დახმარება და გაჭირვებაში ჩავარდნილი მეგობრის მეუღლის მიერ ხმამაღლა გამოთქმული უკმაყოფილება არსებული მდგომარეობით.

დაპატიმრეს 1936 წლის ზაფხულში თბილისში.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1936 წლის 23 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საარქ. საქმე № პრ. 552) რეაბილიტირებული იყო 1989 წელს.

## სამხარაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე - ექიმი

დაბ. 1884წ. გორში. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ბათუმში, ტელმანის ქუჩაზე. ოფიციალური მონაცემებით " 1914-17 წლებში მსახურობდა მეფის არმიამი, რომელშიც გაწვეული იყო მობილიზაციით. არ მიეკუთვნებოდა არც ერთ პარტიას. ნასამართლვე ან ძიებაში არ ყოფილა. ქვრივი, ჰყავს ორი შვილი, რომლებიც სწავლობენ ლენინგრადში".

ბრალად ედებოდა, რომ 1936 წლიდან "იყო მონაწილე ორგანიზაციისა "საქართველოს ნაციონალური პარტია", რომელშიც გააერთიანეს ამ ორგანიზაციის წევრებმა მჭედლიძემ და ქიქავამ. ა. სამხარაძე ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებს უთმობდა თავის ბინას შეკრებებისათვის, რომლებზეც იხილებოდა კონტრრევოლუციური საკითხები და ხდებოდა ახალი პიროვნებების დამუშავება ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად". თავი დამნაშავედ არ ცნო, მაგრამ იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ეზიაშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი. საგამომიებო საქმე № 35520, ოქმი № 89, 14.02.38, გვ. 17).

## სარაჯევი დავით ივანეს ძე - ექიმი

დაბ. 1900წ. თბილისში, უპარტო. დაპატიმრებამდე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. დაპატიმრეს 1931 წლის 30 აპრილს.

ა/კ ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასამართლო კოლეგიის 1931 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-4,

## სასოქია ტარეზა თედორეს ასული - ექიმი



დაბ. 1902წ. სოხუმის მაზრის სოფ. ბაღმა-რანში. საშუალო განათლება მიიღო სოხუმში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტე-ტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა და-იწყო თბილისის ტროიკულ დაავადებათა ინს-ტიტუტში. შემდეგ, დაპატიმრებამდე, მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავ-ადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში. დააპა-ტიმრეს 1937 წლის 22 ოქტომბერს. (მის და-პატიმრებას წინ უძღოდა მეუღლის - მი-წათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის - ვიქტორ გვარამიას დაპატიმრება. გაასამართლა საქ. სსრ უ/ს სამ-ხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ 30 სექტემბერს და 58-ე მუხ-ლით (58-10, 58-11) მიუსაჯა დახვრეტა, რომელიც აღსრულდა იმა-ვე დღეს).

მშობლების დაპატიმრების დეტალებს იხსენებს ქალბატონი რუსუდან გვარამია "... ძილში რაღაც ხმაური შემომესმა. გავიღვიძე და ვხედავ - მთელი ჩვენი საძილე ოთახი არეულია, ყველაფერი თავ-დაყირაა, ვიღაც ორ კაცს ჩემი საწოლის ქვეშიდან ნაძვის ხის სა-თამაშოებით სავსე ჩემოდანი გამოუწევია და შიგ რაღაცას ეძებენ. ჩემი პირველი რეაქცია ამ ფაქტით აღშფოთება იყო და შევუტიე: "რატომ იქექებით ჩემი ნაძვის ხის სათამაშოებში?!" შემდეგ მივი-ხედ-მოვიხედე და დავინახე, რომ დედასა და მამას ერთმანეთის გვერ-დით ხელები უკან დაუწყვიათ და კედელს მიყრდნობიან. თვალში მომხვდა მათი საოცრად გაფითრებული სახეები და უცნაური გამო-მეტყველება. ძალიან მძიმე სანახავეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ისევ დავიძინე... დილით, გარიჟრაჟზე, დედა მალვიძებს და მეუბნება: მამა მივლინებაში მიდის და გახედეო. აივანზე გავედით და გადავი-ხედეთ. მანქანაში მამა და ვიღაც კაცები სხდებოდნენ. მამამ ერთხელ ამოიხედა ჩვენკენ და მერე ელვისებური სისწრაფით შევიდა მანქა-ნაში. ამით ყველაფერი გათავდა.

მეორედაც ასევე, ოქტომბრის შუა რიცხვებში საწოლ ოთახში



ჩოჩქოლმა გამადვიბა (დანარჩენი ოთახები უკვე ჩამორთმეული გექონდა). ოთახში ისევ ყველაფერი არეული იყო... დედა რომ გაყავდათ, გავიგონე, როგორ უთხრა იმ კაცებს: ჩემს დასთან წაიყვანეთ. ორმა შინსახკომელმა ჩამისვეს თავისთან ერთად დიდი მანქანის კაბინაში და დეიდაჩემისკენ გავემართეთ. შევედით ეზოში და მათ იმ დილაუთენია ხმამაღლა დაიწყეს ყვირილი: "გურგენიძე!"

გადმოიხედეს დეიდაჩემმა და ბიძაჩემმა, მათი სახეები არ დამავიწყდება. მალე ყველაფერში გავერკვიე..."

სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 4 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

სასჯელს იხდიდა მორდოვეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დასახლება იავასში (საფოსტო ყუთი № 250/5), სადაც მუშაობდა თერაპევტად და კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგედ. მასთან ერთად მუშაობდა პატიმარი, ექიმი-სტომატოლოგი თბილისიდან თამარ დიდებაშვილი, ერთობ სიმპათიური და გულისხმიერი ადამიანი. კეთილი გულისა და პროფესიის წყალობით, მათ მრავალ პატიმარს (და ერთმანეთსაც) შეუმსუბუქეს მძიმე ხვედრი, ზოგიერთს კი სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ამ ქალბატონების მეგობრობა გაგრძელდა საქართველოშიც – სიცოცხლის ბოლომდე.

დაბრუნდა სამშობლოში ქალბატონი ტერეზა 1943 წელს. ცხოვრობდა სოხუმში, მუშაობდა სამალარიო სადგურში და ქალაქის მეორე საავადმყოფოს იზოლატორში პარტახტიანი ტიფით დაავადებული ავადმყოფებისათვის. მალე თვითონაც გახდა ავად პარტახტიანი ტიფით, მაგრამ გადარჩა. ომის დამთავრების შემდეგ ქალიშვილთან ერთად დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ჯანდაცვის სამინისტროს ეპიდსაწინააღმდეგო სამმართველოს სამალარიო განყოფილებაში. მუშაობდა აგრეთვე სანეპიდსადგურში, შემდეგ, პენსიაზე გასვლამდე, განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა განყოფილებაში ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგედ.

ისევ ქალბატონ რუსუდან გვარამიას მოგონებებიდან: "მიუხედავად გამოვლილი მძიმე ცხოვრებისა, დედა დაბოლმილი პიროვნება არ იყო. პირიქით, კაცთმოყვარე და ხალისიანი იყო. ამ მხრივ იგი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ასეთები იყვნენ მასთან ერთად გადასახლებაში ნამყოფი სხვა ქალებიც, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე თამარ დიდებაშვილთან. მათთან ყოფნა ძალიან სასიამოვნო იყო, მსუბუქ, კარგ ატმოსფეროს ქმნიდნენ, ხუმრობდნენ. მათ შორის, ამ მხრივ, გამოირჩეოდა თამარ დიდებაშვილი, არაჩვეულებრი-

ვი პიროვნება. სახე მუდამ უღიმოდა და სიკეთეს აფრქვევდა".

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 3 თებერვლის № 199/6 განჩინებით საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

ტ. სახოკია გარდაიცვალა 1988 წელს.

## საჯაია კალე გიორგის ძე – ექიმი

დაბ. 1895წ. ხობში, კპ(ბ) წევრი 1931-37 წწ. გარიცხული იყო კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. დაპატიმრებამდე იყო თბილისის მეორე საავადმყოფოს დირექტორი.

ძიების მტკიცებით, კ. საჯაია იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და დაკავშირებული იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ გამომჩენილ წევრთან – შამშე ლეჟავასთან. იბირებდა ხალხს ორგანიზაციაში მუშაობისთვის, ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას წითელი ჯვრის სისტემაში (მომხსენებელი თვალჭრელიძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის 58ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვეწა, პირადი ქონების კონფისკაციით. (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 10788, ოქმი № 59, 04.12.37, ფ. 32). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1937 წლის 11 დეკემბერს.

## სამარჯიევი ივანე გრიგოლის ძე – ექიმი

დაბ. 1890წ. ბათუმში, უპარტიო, ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 1914 წელს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის პირველი სახალხო კომისარი (1921-28წწ.).

გამომიების მტკიცებით, სემერჯიევი "იყო რა კონტრრევოლუციური, ტროცკისტული "ლაკობას" ორგანიზაციის წევრი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონტრრევოლუციონერ ლაკობასთან, ავრცელებდა კონტრრევოლუციურ პროვოკაციულ მონაჭორებს, რითაც ცდილობდა საქართველოს პარტსაბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციას, ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, თითქოს ლაკობა არ მომკვდარა თავისი სიკვდილით. მოწმეთა ჩვენებებით იმხილება როგორც "ლაკობას" ორგანიზაციის წევრი" (მომხსენებელი პეტროსიანი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 16576, ოქმი № 45, 13.11.37, ფ. 16).

## სვანიძე სემინარ სარდიონის ძე – ფარმაცევტი

დაბ. 1907წ. ცაგერის რაიონის სოფ. ლაილაში, ალკკ ყოფილი წევრი, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით – ფარმაკოქიმიკოსი, დაპატიმრებამდე მუშაობდა ფარმაცევტული ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრაზე ასისტენტად.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის აქტიური წევრი და ეწეოდა ძირგამომხრელ საქმიანობას. იცოდა ორგანიზაციაში შეიარაღებული აჯანყების მზადებისა და ორგანიზაციის წევრების მიერ განხორციელებული ძირგამომხრელი მავნებლური საქმიანობის შესახებ (მომხსენებელი ლაზარევი).

ს. სვანიძის დაპატიმრების საფუძველი გამხდარა ქობულოვის მიერ ხელმოწერილი ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში შესული მასალებით, სვანიძე იმხილება კონტრრევოლუციურ საქმიანობაში. საგამოძიებო საქმის მიხედვით, სვანიძე მემარჯვენეთა ორგანიზაციაში თითქოს გაუწევრიანებია ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ამბერკი გოგიბერიძეს, რომლის დავალებითაც ორგანიზაციაში თავად სვანიძემ გააწევრიანა ოთხი თანამშრომელი.

ა. გოგიბერიძის პირადი საქმიდან კი ირკვევა, რომ მას ს. სვანიძე ორგანიზაციაში არ გაუწევრიანებია და ორგანიზაციაში წევრების გადაბირების შესახებ ჩვენება საერთოდ არ მიუცია (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქმე 7826, გვ. 9).

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15821, ოქმი № 121, 10.10.38, ფ. 147). განაჩენი მოყვანილი იყო



სისრულეში 1938 წლის 11 ოქტომბერს.

დაპატიმრების შემდეგ სვანიძეს დარჩა მეუღლე - მარიამ რატიშვილი და ორი შვილი - იზა (11 თვის) და ლუი (2 წლის).

## სიხარულიძე მარიამ

ლაზარეს ასული - კბილის ექიმი

დაბ. 1900წ. ბათუმში, დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზია, შემდეგ - თბილისის სტომატოლოგიური სასწავლებელი, ე. წ. კბილის საექიმო სკოლა. მუშაობდა სხვადასხვა სტომატოლოგიურ დაწესებულებაში. დააპატიმრეს თბილისში 1937 წლის დეკემბერში.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 28 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (საგამოძიებო საქმე № 3რ-2654).

1937 წელს დაპატიმრებული და დახვრეტილი იყო ქ-ნი მარიამის მეუღლე, სიხარულიძე თომა იაკობის ძე - საქართველოს დეპუშათა სააგენტოს დირექტორი, მანამდე გაზეთების "ფუხარა" და "მუშას" რედაქტორი.

დაპატიმრების დროს ჰყავდა ორი შვილი: რუსუდანი - შემდგომში ჟურნალისტი და გალაქტიონი - შემდგომში თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი.

## სოსელია გიორგი

სიმონის ქე - ექიმი



დაბ. 1940წ. თბილისში, ალკკ-ის წევრი (გარიცხული იყო აღძრული საქმის გამო). დაპატიმრებამდე ბათუმის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, შემდგომ ექიმი-ენდოკრინოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. დააპატიმრეს ბათუმში, 1955 წლის სექტემბერში და იმავე წლის ნოემბერში აჭარის უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-21 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით (აჭა-

რის ასს რესპუბლიკის პროკურატურა, საქმე № 496, 28.10.55.)

ამ საქმის დეტალებს გადმოგვცემს თავად გ. სოსელია:

"1954 წელს ბათუმში ბალის ქუჩაზე მცხოვრებმა ბიჭებმა გადავწყვიტეთ შეგვექმნა ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს რუსეთის უღლისგან გაათავისუფლებდა. პირველად ექვსნი ვიყავით, შემდეგ დავრჩით ოთხნი: იური გიგინეიშვილი, ძმები - ბადრი და გივი ახვლედიანები და მე. დავიწყეთ საიდუმლო კრებების ჩატარება. საქმიანობის საწყის ეტაპზე გადავწყვიტეთ პროკლამაციების გავრცელება.

მე რეპრესირებული ოჯახიდან ვიყავი - 1937 წელს დახვრეტილი იყო დედის სამი ბიძა, მისი ძმა კი - გადასახლებული. მამაჩემი სამჯერ იყო გადასახლებული ციმბირში.

პროკლამაციის ტექსტი შევადგინე მე და გავაცანი ყველვის წევრებს. გადაწერა-გამრავლება დავავალეთ გიგინეიშვილს, რომელსაც კარგი კალიგრაფია ჰქონდა. სექტემბრის დასაწყისში 11 პროკლამაციიდან 4 გავაკარით ბაზართან, ავტობუსის გაჩერებაზე და კინოთეატრთან. როცა შევამჩნიეთ მილიციელები, დანარჩენი პროკლამაციები ქუჩაში მიმოვფანტეთ და გავიქეციეთ სახლებში. გავიდა თითქმის ერთი წელი და ეს ამბავი არ გამომჟღავნებულა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გამომიძახეს კომკავშირის საქალაქო კომიტეტში და მითხრეს, რომ უნდა წავსულიყავი აჭარის უშიშროების სამინისტროს არქივში, სადაც მომცემდნენ მასალებს ბათუმში სტალინის მოღვაწეობის შესახებ და მე უნდა მომემზადებინა მოხსენება.

აჭარის სუკის შენობაში დამსვეს ერთ დიდ ოთახში მაგიდასთან. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა პოლკოვნიკი (რუსი ეროვნების, ქართული არ იცოდა) და მითხრა - აბა, თქვი, აქ რატომ მოგიყვანეს? როცა პასუხი ვერ მიიღო, განაგრძო: დანაშაულზე ხარ დაკავებული, ყველაფერი გაიხსენე და მომახსენეო. მე ხმაამოუღებლად ვიჯექი რამდენიმე საათი და როდესაც "ვერ გავიხსენე," რაზე ვიყავი აქ, შემომიტანეს ჩვენი პროკლამაცია მინაწერით "ტექსტი შეადგინა სოსელიამ, გადავწერე მე - ი. გიგინეიშვილმა". ცხადი იყო - ყველაფერი იცოდნენ. დამალვას აზრი არ ჰქონდა და მეც ვაღიარე, მაგრამ ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ. დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ საქმეში ჩარეული იყვნენ უფროსებიც. დაკითხვები გრძელდებოდა თვეზე მეტ ხანს. წამებას და ცემას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ დიდი იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა, მძიმე იყო საკანში მარტო ყოფნა, დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტელი დაკითხვები სხვადასხვა გამომძიებელთან.

მალე თბილისიდან ჩამოვიდა "კგბ"-ს შეფი ინაური და ცკ-ს რო-

მელილაც მდივანი (გვარი არ მახსოვს). ინაური გამესაუბრა დედასთან ერთად, გაიხსენა მამაჩემი. დედას ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა ჩემს აღზრდაზე გავლენა ჰქონოდა მამაჩემის საქმიანობას. დედამ უპასუხა, რომ მე მამა არ მახსოვს (ერთი წლისაც არ ვიყავი, როდესაც მამა დაიღუპა).

“- შვილო, წიგნებს ბევრს კითხულობ?” - მკითხა ინაურმა.

- დიახ, ბევრს ვკითხულობ, - ვუპასუხე მე. დამიყვავა და შემპირდა, რომ მალე გამიშვებდნენ და პასუხისგებაში არ მიმცემდნენ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაკითხვაზე აღშფოთებულმა გამომძიებელმა ყვირილით მითხრა: "ეს რა ჰქენით?! რა ჩაიდინეთ?! როგორ მოგვჭყერით თავი! გუშინ მოსკოვმა გაიგო ჩვენი სირცხვილი. თქვენი ბედი, რომ სტალინი აღარ არის, ბერია და რუხაძე კი დახვრეტილები არიან, თორემ თუ არ დაგხვრეტდნენ, 10 წლით მაინც ციმბირს უკან მოგატოვებინებდნენ”.

მესამე დღეს გამოგვიცხადეს, რომ მიგვეცეს პასუხისგებაში მუხლით 58-21. სასამართლო მიმდინარეობდა რამდენიმე დღის განმავლობაში. განაჩენი ასეთი იყო: გ. სოსელიას და ი. გიგინეიშვილს თავისუფლების აღკვეთა ორ-ორი წლით, სასჯელის მოხდით მოზარდთა კოლონიაში, ძმებს ახვლედიანებს - თითო-თითო წელი.

იმ პერიოდში დეიდაჩემი თამარ ანდლულაძე მწერალთა კავშირში მუშაობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ მწერლებთან. მისი თხოვნით მწერლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი განთავისუფლების საქმეში. განსაკუთრებით - ბესო ჟღენტმა, რეზო ჯაფარიძემ, ირაკლი აბაშიძემ და გოგლა ლეონიძემ, რომლებიც რამდენჯერმე იყვნენ მჟავანაძესა და ინაურთან. ამან შედეგი გამოიღო: საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენი და მოგვისაჯა სამ-სამი წელი პირობით.

მე ბათუმიდან გადმომიყვანეს თბილისში და ვიზრდებოდი დეიდასთან. დავამთავრე 51-ე საშუალო სკოლა და ჩავირიცხე სამედიცინო ინსტიტუტში. მოგვიანებით მქონდა რამდენიმე შემოთავაზება სხვადასხვა ანტისაბჭოთა ჯგუფში გაწევრიანებისა, მაგრამ მე უარი განვაცხადე იმ მოსაზრებით, რომ აღიარებისა და ბოდიშის მოხდის შემდეგ ამის მორალური უფლება არ მქონდა”.

წარმოგიდგენთ 15 წლის ყმაწვილის მიერ შედგენილ პროკლამაციას:

*"ქართველო ხალხო!*

*გაფრთხილდით, გონს მოდით, შეხედეთ თქვენს მდგომარეობას. ერთი წუთით მოიშორეთ ის შხამიანი ფიქრები, რომლებიც*

თქვენს გონებას თავისუფალ გასაქანს არ აძლევენ. დაუსვით თქვენ თავს კითხვა:

რა მოგველის? – რა მოელის ჩვენს სამშობლოს?

საქართველოს ასეთ ვითარებაში გარუსება მოელის, ამას ყოველი თქვენთაგანი დაინახავს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნუ მივცემთ გარეშეს ნებას ფეხქვეშ გათელოს ჩვენი კულტურა, ჩვენი ტრადიციები, ჩვენი ადათ-წესები და მშობლიური ენა.

ქართველო მშრომელებო! გამოიღვიძეთ, დაფიქრდით და განსაჯეთ ჩვენი მომავალი.

ნუ დაგაკვიწყლებათ, კარგს არაფერს მოგვიტანს რუსების ასეთი გათავხედება”.

## სოსიანი სერგო გიორგის ძე – ექიმი

დაბ. 1891წ. თბილისში, ცოლშვილიანი, რსდრპ წევრი 1908-14 წწ. გაირიცხა ხელახალი რეგისტრაციის დროს, აღადგინეს 1917 წლიდან. დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს უფროსად.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო წევრი კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული, ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციისა, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომ წლებში ამზადებდნენ ტერაქტებს კპ(ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

2. ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ საქმიანობას საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში.

იმზილებოდა ორი მოწმის ჩვენებებით (მომხსენებელი კერვალიშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ა, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14676, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 123). განაჩენი აღსრულდა 1938 წლის 30 აპრილს.

# სხირტლაძე ივანე ხარეზას ძე - ექიმი



დაბ. 1894წ რაჭის მაზრის სოფ. მრავალ-  
ძალში (მთისკალთა). 1914 წელს დაამთავრა  
თბილისის ქართული გიმნაზია და ჩაირიცხა პე-  
ტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური  
ენების ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლა ვერ და-  
ასრულა - 1916 წელს გაიწვიეს მოქმედ არმი-  
აში და 1917 წლამდე იმყოფებოდა საომარი  
მოქმედების სხვადასხვა ფრონტზე. დემობილი-  
ზაციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და 1919  
წლიდან სწავლა დაიწყო თბილისის უნივერსი-  
ტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1922 წლი-  
დან გადავიდა ღონის როსტოვში, რომლის უნივერსიტეტის სამედი-  
ცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ - 1923 წელს, დატოვეს  
ფსიქიატრიის კათედრაზე ორდინატორად. 1924 წელს დანიშნეს ნო-  
ვოჩერკასკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად, საიდა-  
ნაც, კვლითი საქმიანობისასამაღლებლად, გაგზავნეს ლენინგრადში პროფ.  
ბეხტერევის კლინიკაში.

საქართველოში დაბრუნდა 1927 წელს. იმავე წელს დაინიშნა  
სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად, ერთი წლის  
შემდეგ კი გადაიყვანეს ქუთაისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს  
მთავარ ექიმად. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა  
ქუთაისში. 1933 წელს ი. სხირტლაძის ინიციატივით გაიხსნა სარა-  
იონოთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი (ამჟამად მისი  
სახელობის), ქუთაისის გარეუბანში - ჭონში კი აშენდა კოლონიუ-  
რი ტიპის ფსიქიატრიული საავადმყოფო, რომლის მშენებლობაში ბა-  
ტონი ივანე თანამშრომლებსა და ავადმყოფებთან ერთად პირადად  
იღებდა აქტიურ მონაწილეობას. საავადმყოფოსთვის გამოყოფილ ორ-  
მოც ჰექტარამდე მიწის ნაკვეთზე მოეწყო სააგურე, საკრამიტე, სა-  
დურგლო და საზოგადოებრივი საამქროები, სადაც მუშაობდნენ შრომისუ-  
ნარიანი ავადმყოფები. იქვე შეიქმნა მეფრინველეობისა და მესაქონ-  
ლეობის მცირე ფერმები, მოჰყავდათ ბოსტნეული. ამ გზით მიღებუ-  
ლი შემოსავალი მთლიანად ხმარდებოდა ავადმყოფებს, და საავადმ-  
ყოფოს.

ბატონმა ივანემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სამე-  
დიცინო (სამეანო-საფერმლო) სასწავლებლის დაარსებაში. იქვე მოღ-  
ვაწეობდა კიდევ პედაგოგად. გარდა ამისა, ქუთაისის პედაგოგიურ



ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ბავშვთა ფსიქოპათოლოგიის საკითხებზე. უაღრესად ერუდირებული, ლიტერატურისა და ხელოვნების კარგი მცოდნე, მონაწილეობდა ქუთაისის კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

როგორც დასავლეთ საქართველოს მთავარ ფსიქიატრს, ი. სხირტლაძეს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათუმის ფსიქონევროლოგიური დისპანსერიის დაარსებასა და მთლიანად დასავლეთ საქართველოში ფსიქიატრიული სამსახურის ჩამოყალიბებაში.

ნაყოფიერი და შემოქმედებითი ცხოვრება დიდხანს არ აცალეს - 1937 წლის 27 ნოემბერს დააპატიმრეს და ბრალად დასდეს, რომ: "იყო სოციალ-ფედერალისტების კონტრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და როგორც მეფისა და მენშევიკური არმიების ყოფილი პოდპოლკოვნიკი, მონაწილეობდა წითლების წინააღმდეგ ბრძოლებში და ღუშეთში ბოლშევიკური აჯანყების ჩახშობაში. იყო რა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი, განსაკუთრებულად ზრუნავდა კონტრევოლუციონერ ტროცკისტ ავადმყოფებზე".

ამ ბრალდებით საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებულმა სამეულმა, 1937 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 27199, ოქმი № 69, 21.12.37., ფ. 24.)

ი. სხირტლაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად გამოყენებული იყო აგენტების - "ჩაფი" და "რევოლუციონერი" - საიდუმლო მოხსენებები (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქმე 3731).

სასჯელს იხდიდა ივანოვოს, კოვროვის, ვიატკის, დოლინკას, ყარაგანდის ბანაკებში, რომლებშიც მუშაობდა სპეციალობით. კეთილსა და ყურადღებიან ექიმს პატიმრები "მზრუნველ პაპას" ეძახდნენ. ბევრს დაეხმარა, ბევრს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, თავად კი მძიმედ დაავადდა. ბატონი ივანეს განცდებზე, მის სულიერ მდგომარეობასა და პოეტურ ბუნებაზე წარმოდგენას გვიქმნის გადასახლებიდან მეუღლისთვის გამოგზავნილი ლექსად დაწერილი წერილი: "Не пиши мне о чувствах и ласках

**Дай уснуть - не буди, не буди!"**

დაპატიმრების დროს ბატონ ივანეს ჰყავდა მეუღლე - ქალბატონი ელენე ყიფიანი - ექიმი-სტომატოლოგი და ორი შვილი: ეთერი - შემდგომ ექიმი-ფსიქიატრი და არმაზი - შემდგომ ექიმი-სტომატოლოგი.

მამის დაპატიმრების დეტალებს, ოჯახის შემდგომ ბედს და ბატონი ვანოს გადასახლებიდან დაბრუნებას იხსენებს მისი ვაჟიშვილი

არმაზი გაზეთ "ქუთაისში" (1993 წლის სექტემბერი) გამოქვეყნებულ წერილში "მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი". ფრაგმენტები ამ წერილიდან: "...ტელეფონის ზარი უშიშროებიდან იყო. მამას საჩქაროდ შინსახკომში იბარებდნენ. ის ეტლში ჩაჯდა. უშიშროების შენობაში შესვლის წინ მეეტლეს სთხოვა, დალოდებოდა. კარგა ხნის შემდეგ გამოვიდა და მეეტლე უკან გამოისტუმრა.

ჩვენ, ოჯახის წევრებმა, თავზე დატრიალებული უბედურების შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდით. ბავშვები ეზოში არხეინად ვთამაშობდით. მალე დედაც მოვიდა სამსახურიდან. ამ დროს ჩვენს სახლთან მანქანა გაჩერდა და სამი კაცი ჩამოვიდა, ერთი ჩემი ამხანაგის მამა იყო, ორნი, ალბათ, მამას ნაცნობები თუ არიან-მეთქი, ვიფიქრე და თვითონ გავუძეხი სადარბაზოსკენ. ახალმოსულებმა დედას ორდერი წარუდგინეს და უმალ ბინის ჩხრეკას შეუდგნენ. ამხანაგის მამა იჯდა თავჩალუნული და ჩხრეკაში არ მონაწილეობდა. ორი უცნობი მამაკაცი კი ძალიან აქტიურად ჩაება "საქმიანობაში". ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ, სინჯავდნენ, ერთმანეთში ურევდნენ, ძირს ფანტავდნენ. პარკებში ყრიდნენ მამის ნაწერებს, საბუთებს, წიგნებს, სურათებს...

ბინის გაჩხრეკის შემდეგ ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, როცა თავიანთი ვიზიტით ახალმა დაუპატიჟებელმა ე.წ. "აღმწერლებმა" გაგვაბედნიერეს. სათითაოდ აღწერეს მთელი ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება - საწერი მაგიდა, კარადები, კომოდი, როიალი, ნოხი და ა.შ. ყველაფერი ერთი საათის განმავლობაში სახლიდან გაიტანეს, ერთი დიდი ოთახი სავსებით გაგვათავისუფლებინეს, ჩამორთმეულად გამოაცხადეს და დაკეტეს...

დედას ძალიან უჭირდა ორი ბავშვის რჩენა, განსაკუთრებით ომის წლებში, უსახსრობის გამო ბევრჯერ მშვირები დაეწოლილვართ, სხვა გაჭირვებაც ბევრი გვინახავს, თუმცა არც კეთილი ხალხის ყურადღება მოგვკლებია. ტროცკისტებისა და "ხალხის მტრების" ოჯახებთან ურთიერთობას გარკვეული შიშის გამო მაშინ ყველა გაურბოდა, მაგრამ ჩვენს ოჯახს ეს თითქმის არ განუცდია. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით ქუთაისის ექიმთა საზოგადოების მორალურ თუ მატერიალურ მხარდაჭერას. ნუ გეშინიათ, ვანო მალე ჩამოვაო, გვაიმედებდნენ. განსაკუთრებით ჩამრჩა გულში ექიმების გ. ლორთქიფანიძის, ა. გოგოლაშვილისა და სხვათა გულითადი დამოკიდებულება. მახსოვს, იმ ხანებში ჩვენთან რიგრიგობით ღამეს ათევდნენ ნათესავები, მამას მეგობრები, მეზობლები, რათა დედას დაპატიმრების შემთხვევაში ბავშვებზე უპატრონოდ არ დავრჩენილიყავით და არ შეგვმინებოდა. ასეთი საქციელი იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო".

ასე გაიარა ათმა წელმა. მოახლოვდა ბატონი ვანოს გათავისუფლების დრო, მაგრამ მას, ამ დროს უკვე მძიმე ავადმყოფს, დამოუკიდებლად არ შეეძლო შინ დაბრუნება. მამის ჩამოსაყვანად შორეულ გზას დაადგა ჯერ კიდევ გამოუცდელი არმაზი. 1948 წლის 1 იანვარს მამა-შვილი დაბრუნდა ქუთაისში. სადგურზე უამრავი ხალხი დახვდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა საზოგადოების დამოკიდებულება ამ კეთილი, რაინდული ბუნების ადამიანის მიმართ.

გარდაიცვალა ბატონი ივანე 1948 წლის 11 მარტს. რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## **ტაბიძე მოსა ექვთიმეს ძე – ფერშალი**

დაბ. 1885წ. ხონის რაიონში, საშუალო განათლებით, ცოლშვილიანი, დაპატიმრებამდე მუშაობდა წულუკიძის რაიონულ საავადმყოფოში ფერშლად, დააპატიმრეს 1937 წლის აგვისტოში.

მ. ტაბიძისა და კიდევ 10 სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა დაპატიმრების საბაბად გამხდარა სხვა საქმის გამოძიების დროს ბრალდებულის მიერ 1937 წლის 3 აგვისტოს მიცემული ჩვენება.

მ. ტაბიძეს, ისევე როგორც ჯგუფის სხვა წევრებს, ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი და ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 26938, ოქმი №51, 21.11.37, ფ. 93).

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## **ტირ-ბრიგორიანი გიორგი დავითის ძე – ექიმი**

დაბ. 1897წ. სანკტ-პეტერბურგში. საბჭოთა ჯარში მსახურობდა 1919 წლიდან. დაპატიმრებამდე იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის უფროსის თანაშემწე, მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, ჯამუშურ სამხედრო ორგანიზაციაში, რომლის

წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომ – 1934-1937 წწ. ამზადებდნენ ტერაქტებს კპ(ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. გამოძიების აზრით, იყო რა ორგანიზაციის აქტიური წევრი, ცდილობდა გადაეხირობინა ორგანიზაციაში სამუშაოდ ახალი წევრები. გადაიბირა კიდეც ერთი (!) კაცი. ეწეოდა მავნებლურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ა/კ სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის სისტემაში, რითაც ცდილობდა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის შესუსტებას (!). ორგანიზაციის სხვა წევრთან ერთად ცდილობდა სამობილიზაციო საქმის ჩაშლას (მომხსენებელი კერვალიშვილი).

იმხილებოდა ერთი მოწმის ჩვენებით.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) განესაზღვრა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერვა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15815, ოქმი № 120, 09.10.38, ფ. 73).

## ტროციზმი კავლე მიხეილის ქა – ექიმი

დაბ. 1900წ. ივანოვოს ოლქში, კპ(ბ) წევრი, საბჭოთა არმიაში მსახურობდა 1921 წლიდან. დაპატიმრებამდე ასრულებდა ა/კ სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის უფროსის მოვალეობას. მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, ჯამუშურ სამხედრო ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც განახორციელეს კიროვის მკვლელობა და შემდგომ ამზადებდნენ ახალ ტერაქტებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.
2. იყო რა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი, ეწეოდა მავნებლურ, ძირგამომთხრელ საქმიანობას საბჭოთა არმიის ძლიერების შესასუსტებლად და საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.
3. ორგანიზაციის დავალებით ა/კ სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის სისტემაში ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ საქმიანობას”.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა. თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15838, ოქმი № 120, 09.10.38, ფ. 76).

## **ტუმაზოვი ვალენტინ ივანეს ძე – ექიმი**

დაბ. 1895წ. სარატოვში, უპარტიო, ცოლშვილიანი, მეფის არმიის ექიმის შვილი, დაპატიმრებამდე მსახურობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რკინიგზის 61-ე პოლკის უფროს ექიმად. მცხოვრები თბილისში, ნარიყალას ქ. №2. დაპატიმრეს 1937 წლის 18 ნოემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ 1926 წელს სარატოვში შევიდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და იღებდა აქტიურ მონაწილეობას ძირგამომთხრელ კონტრრევოლუციურ-მავნებლურ საქმიანობაში. სამხედრო ნაწილებში ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10943, ოქმი № 59, 04.12.37, ფ. 84). განაჩენი აღასრულეს 11 დეკემბერს.

## **ტურქელაძე მიხეილ ერმალოს ძე – ექიმი**

დაბ. 1901წ. ქუთაისში, სამხედრო მოსამსახურე, უპარტიო. 1918 წელს 3 თვის განმავლობაში მსახურობდა რიგითად მენშვეიკურ არმიაში. 1923 წლიდან კი დაპატიმრების დღემდე – წითელ არმიაში. დაპატიმრების დროს იყო ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის უფროსი, მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ 1936 წლიდან იყო წევრი ა/კ სამხედრო ოლქის სანიტარულ სამსახურში არსებული არალეგალური, კონტრრევოლუციური, მავნებლური სამხედრო ორგანიზაციისა და ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას. ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის – შტენგელის (იხ.) მითითებით დავალებული ჰქონდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიზიდვა. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ასლანოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 36971, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 180). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 30.04.38წ.

## **ტყეხელაშვილი გერმანე სოლომონის ძე – სტუდენტი**

დაბ. 1904წ. ვანის რაიონში, კპ(ბ) ყოფილი წევრი, დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

წაყენებული ბრალდების მიხედვით:

"გ. ტყეშელაშვილი შინსახკომის ორგანოების მიერ სამჯერ იყო დაპატიმრებული: პირველად 1926 წელს მენშევიკური საქმიანობისთვის, მეორედ, 1929 წელს, მცდელობისათვის კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის დავალებით შეექმნა ორგანიზაცია მეორე საარტილერიო ლეგიონში.

ამჟამად ბრალად ედება, რომ არის კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ტერორისტული ორგანიზაციის წევრი, რომელშიც 1936 წელს გადაიბირა ხალხის მტერმა კლიმენტი ცომაიამ და რომლის დავალებითაც ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას სტუდენტებში უკმაყოფილოთა გამოვლენისა და შემდგომ მათი ორგანიზაციაში ჩაბმის მიზნით" (მომხსენებელი კეკელია).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15578, ოქმი № 116, 14.16.38, ფ. 8.).

განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წლის 15 ივნისს.

## **უზლანარი აზრამ ეფიმიძე ძე – ექიმი**

დაბ. 1895წ. თბილისში. დაპატიმრებამდე მსახურობდა ა/კ სამხედრო ოლქის რკინიგზის მეათე პოლკის ექიმად. მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომ წლებში ამზადებდნენ ტერაქტებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.
2. შედიოდა კონტრრევოლუციურ, სამხედრო მავნებლურ ორგანიზაციაში.
3. 1936 წლის ბოლოდან პერიოდულად ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას „პოლკის სანიტარული მომსახურების სფეროში“ (მომხსენებელი დუდკინი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) განესაზღვრა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 13585, ოქმი № 76, 28.12.37, ფ. 88).

განაჩენი აღსრულდა 1938 წლის 2 იანვარს.

## ურუშაქა ამბარკი

### ძრისტიჟორის ქა - ფარმაცევტი

დაბ. 1894წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ლიხაურში. სკოლაში სწავლობდა იქვე, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისში ფარმაცევტულ სასწავლებელში. დამთავრების შემდეგ სპეციალობით არ უმუშავია.

ახალგაზრდობიდან გაიტაცა რევოლუციურმა იდეებმა და აქტიურად ჩაება კიდეც რევოლუციურ მოძრაობაში. 1908 წელს შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. 1908-13 წლებში ეწეოდა პარტიულ მუშაობას სამტრედიასა და ოზურგეთის მაზრაში. პირველი მსოფლიო ომის დროს



გაიწვიეს მოქმედ არმიაში. მსახურობდა ბაქოში, შემდეგ ირანში, საიდანაც 1916 წელს გადაიყვანეს სოხუმში. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, აირჩიეს სოხუმის გარნიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. 1918 წელს ა/კ ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფერენციაზე აირჩიეს რსდრპ(ბ) დასავლეთ ა/კ კომიტეტის წევრად, იმავე წლის აპრილში კი - აფხა-

ზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ. 1919-20 წლებში სამჯერ იყო დაპატიმრებული მენშევიკური ხელისუფლების მიერ. ბოლოს გათავისუფლდა 1921 წლის მარტში.

საქართველოში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იყო აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დასავლეთ საქართველოს ტრიბუნალის თავმჯდომარე. თბილისში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის – მედსანშრომის დამფუძნებელი კრების მუშაობაში. კრებამ ურუშაძე აირჩია მედიკოსთა პირველი პროფესიული კავშირის გამგეობის წევრად (მასთან ერთად იყვნენ არჩეული: გ. ვაწაძე, ს. ჯუღელი, გ. ლოღობერიძე, გ. პონდოვი, ი. ფრანგულიანი და სხვები. სულ – 20 წევრი).

ურუშაძის აქტიური მოღვაწეობა შეწყდა 1937 წელს. დაპატიმრებამდე მუშაობდა თელავში, მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტის ფილიალში.

1937 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11), მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერვა, პირადი ქონების კონფისკაციით (საგამოძიებო საქმე № 9363, საარქივო საქმე № 9307).

1937 წლის ოქტომბერში დაპატიმრეს ა. ურუშაძის მეუღლე ქ. ანა ჩიტაშვილი და როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრი გადაასახლეს მორდოვეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – პოტამში. დაბრუნდა გადასახლებიდან 1946 წელს.

ბატონი ამბერკის დაპატიმრების შემდეგ ოჯახი (მეუღლე და ქალიშვილი ნათელა) გამოასახლეს ბინიდან და ავეჯი გამოყარეს ქუჩაში. შეასახლეს ერთსართულიანი სახლის ერთ პატარა ოთახში.

დაპატიმრების დროს ურუშაძეს ჰყავდა სამი ქალიშვილი: ანგელინა – შემდგომში ეკონომისტი, თამარი – შემდგომში ფილოლოგი და ნათელა – შემდგომში ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი, პროფესორი.

რეაბილიტირებული იყო ა. ურუშაძე 1957 წელს.

## **ფერიხგარი რაინგოლდ ეპანუილის ქე – ექიმი**

დაბ. 1893წ. ლუქსემბურგში (ახლანდელი ბოლნისი), სსრკ-ის მოქალაქე, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ბოლნისის საავადმყოფოში ექიმად.



ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური, დივერსიულ-ჯაშუშური ორგანიზაციის აქტიური წევრი და ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად მოსახლეობას ამზადებდა შეიარაღებული აჯანყებისთვის. ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ და ამისთვის იღებდა ფულად გასამრჯელოს. ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიზიდვას. კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დაპატიმრებული იყო 1931 წელსაც.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-2, 58-6, 58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 34026, ოქმი № 7, 28.12.37, ფ. 127). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 1938 წლის 15 იანვარს.

## ფირალიშვილი ბიორგი ვასილის ძე – ექიმი

დაბ. 1917წ. ფოთში, უპარტიო. დააპატიმრეს გერმანიაში, ქალაქ გრაიხსვალდში 1945 წელს.

ბრალად ედებოდა, რომ 1942 წელს ტყვედ ჩაეარდნის შემდეგ თანამშრომლობდა გერმანელებთან როგორც თარჯიმანი და მოსახლეობაში ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.

1945 წლის ნოემბერში გაასამართლა ა/კ სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (საარქივო საქმე № 1637-60).

სასჯელს იხდიდა პენროაზე, შემდეგ – ყაზახეთში ჯეზკაზგანის შრომა-გასწორების ბანაკში, სადაც ყოფილი პატიმრების გადმოცემით, მუშაობდა რა ექიმად, დიდ დახმარებას უწევდა მათ.

გაათავისუფლეს 1955 წლის 25 ნოემბერს (ცნობა გათავისუფლების შესახებ გაცემულია ჯამბულის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ). დაბრუნდა საქართველოში იმავე წელს და გარდაცვალებამდე, 1999 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში ექიმად.



## ფირფორვი ალექსანდრე იაკოვის ძე - ექიმი

დაბ. 1898წ. თბილისში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ბაქოს რკინიგზის ერთიან დისპანსერში ექიმად. დაპატიმრეს 1938 წლის 29 იანვარს.

ბრალად ედებოდა, რომ ირიცხებოდა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, დივერსიულ-მაკინებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომში, ტრანსპორტის სისტემაში, ამზადებდნენ მასიურ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას. ამასთან ფირფორვი, ორგანიზაციის წევრების როზენცვიგისა და ვანშტიინის მითითებებით ეწეოდა ძირგამომთხრელ, მაკინებლურ საქმიანობას ბაქოს დისპანსერში და ხელს უშლიდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების გატარებას სამედიცინო მომსახურების სფეროში (მომხსენებელი ხეჩუმოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 67-სსგ, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 159).

## ფოსი პავლე იულის ძე - ექიმი

დაბ. 1876წ. სანკტ-პეტერბურგში, მცხოვრები ქობულეთში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ქობულეთის სანატორიუმში ექიმად.

დაპატიმრების დროს ბრალად ედებოდა, რომ სანატორიუმის თანამშრომლებში ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, იცავდა და აქებდა სამშობლოს მოღალატეებსა და მტრებს.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 32313, ოქმი № 67-2, 15.12.37, ფ. 51).

## ქავთარაძე ვლადიმერ გიორგის ძე - ექიმი

დაბ. 1897წ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგაში, ყოფილი სოციალ-ფედერალისტი, მცხოვრები გაგრაში, დაპატიმრებამდე იყო გაგრის ტროპიკული სადგურის გამგე. დაპატიმრეს 1937 წლის 31 აგვისტოს.

ბრალად ედებოდა, რომ ჰქონდა ურთიერთობა ყოფილ თავადებთან და აზნაურებთან, რომ აკრიტიკებდა და აკინებდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს. აქებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირში საყოველთაო მონობაა, იქ კი პატივს სცემენ პიროვნებასა და კერძო საკუთრებას. თვლიდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დროებითი მოვლენაა და დაინგრევა ომის გამოცხადებისთანავე, შემდეგ კი აეწყობა ნორმალური ცხოვრება. სტალინურ კონსტიტუციას თვლიდა მკვდრადშობილად და ქალაქის დოკუმენტად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

განაჩენის გამოტანის დროს გათვალისწინებული იყო ისიც, რომ მისი მამა იყო დადიანების მამულის მმართველი, რომელიც დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის. მისი ბიძა, ალექსანდრე, ასევე მონაწილე აჯანყებისა, დახვრიტეს ზუგდიდის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მკვლელობისათვის 1929 წელს (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 26462, ოქმი № 33, 14.10.37, ფ. 109).

## ქარუმიძე კონსტანტინე გიორგის ძე - ფერმალი

დაბ. 1892წ. გორის მაზრის სოფ. თორტიზაში, საშუალო განათლებით, ცოლშვილიანი, უპარტიო (ყოფილი მენშევიკი), დაპატიმრებამდე მუშაობდა ლენინგორის რაიონის სოფ. წინაღარში ექიმად.

ბრალად ედებოდა, რომ იყო არალეგალური, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, რომელშიც ჩაითრია სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის სახალხო კომისარმა ხუგაევმა, რომ გლეხებში ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და კავშირი ჰქონდა ბერლინში ემიგრაციაში მყოფ ძმასთან (მომხსენებელი გაგუა).

პირველად დაპატიმრეს 1924 წელს აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის და გაასახლეს საქართველოდან (უიცსა, ფონდი

498, ან. 4, ს. № 7351, გვ. 4).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 2 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 34641, ოქმი № 93-1, 02.03.38, ფ. 17).

კ. ქარუმიძის დისშვილის, ქალბატონ ელისაბედ გარსევანიშვილის გადმოცემით, კონსტანტინემ განათლება მიიღო ოდესაში. დაამთავრა ოდესის სამედიცინო სასწავლებელი. საქართველოში დაბრუნებულმა ცოლად შეირთო ვაჟა ფშაველას ძმის – თედოს ქალიშვილი ნინო. 1921 წელს თედოს სოფ. ხელთუბანში, საკუთარ სახლში, გამოუყვია ოთახები საექიმო პუნქტისა და აფთიაქის გასახსნელად და ექიმად თავისი სიძე, კოტე მიუწვევია. კოტე ექიმი (სოფელში ასე ეძახდნენ) ავადმყოფებს წამალს ხშირად თვითონ უმზადებდა პუნქტში გახსნილ აფთიაქში. ხელთუბნის გარდა კიდევ რამდენიმე სოფელს ემსახურებოდა. ავადმყოფების მოსანახულებლად სოფლებში ცხენით დადიოდა, ხშირად ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა და ზოგჯერ ღამით ავადმყოფთან რჩებოდა. ამის გამო მისი დაპატიმრების ამბავი ნათესავებმა დროულად ვერც კი გაიგეს.

ქ-ნ ნინოსა და ბატონ კოტეს დარჩათ ორი შვილი – თედო და ციცა – შემდგომში მეტალურგები.

## **ქარცივაძე თედორე მაქსიმეს ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1873წ. ოზურგეთში, უპარტიო, ყოფილი მენშევიკი, განათლება უმაღლესი, ცოლშვილიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა და ცხოვრობდა გორში. დააპატიმრეს 1937 წელს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, რომელშიც ჩაითრია ნიკოლოზ ქარცივაძემ და ითვლებოდა ორგანიზაციის წარმომადგენლად გორის რაიონში, სადაც ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.

პირველად დააპატიმრეს 1932 წელს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მისჯილი ჰქონდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა როსტოვის ოლქში. გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნდა 1936 წელს (მომხსენებელი იასამანოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან

არსებული სამეულის 1937 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11), მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 17099, ოქმი № 49-3, 19.11.37, ფ. 26).  
რეაბილიტირებული იყო 1960 წელს.

## ქაჩლიშვილი ნიკოლოზ ისააკის ძე - ექიმი

დაბ. 1914წ. გურჯაანში, უპარტიო.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1952 წლის 21 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხლით (საარქივო საქმე № 7225).

ქაჩლიშვილი დამნაშავედ იყო ცნობილი იმის გამო, რომ 1942 წელს, ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, შევიდა გერმანიის ჯარში ჩამოყალიბებულ "ქართულ ნაციონალურ ლეგიონში", სადაც მიიღო სამხედრო ფიცი, რის შემდეგაც დანიშნული იყო იმავე ბატალიონის ექიმად. 1942 წლის ოქტომბერში გაგზავნეს დერბენცში თარჯიმანთა მოსამზადებელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დააბრუნეს ქართულ ლეგიონში, სადაც მუშაობდა ექიმად და თარჯიმნად. 1943 წლის დასაწყისში სამუშაოდ გადაიყვანეს გერმანულ ლაზარეთში ქირურგად. იმავე წელს გაგზავნეს ხარკოვში როგორც ბატალიონის უფროსი ექიმი. წლის ბოლოს ავადმყოფობის გამო მოათავსეს გერმანულ ლაზარეთში, რომელიც გადაგზავნეს იტალიაში. გამოჯანმრთელების შემდეგ, იმავე ლაზარეთში დანიშნეს ქირურგად, სადაც იმსახურა 1945 წლის მაისამდე). (უიცსა, ფონდი 498, ანაწ. 4, საქმე № 3218).

საბჭოთა ხელისუფლების მიერ უარი ეთქვა რეაბილიტაციაზე.

## ქიქავა ანა ათანასეს ასული

დაბ. 1899წ. სენაკის მაზრის სოფ. ლიხანდრიოში, კპ(ბ) ყოფილი წევრი (გარიცხული დაპატიმრების გამო), დაწყებითი განათლებით. დაპატიმრებამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს დირექტორად.

ბრალად ედებოდა, რომ "სამი წლის განმავლობაში იცოდა კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ტერორისტული ორგანიზაციის

არსებობის შესახებ და იზიარებდა ამ ორგანიზაციის წევრთა შეხედულებებს”.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-12, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერეთა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 21969, ოქმი № 36, 16.10.37., ფ. 48.).

განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 1937 წლის 30 ოქტომბერს.

## ქობალია ილარიონ ფილიპონის ძე - ექიმი

დაბ. 1897წ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ქორცხელში. დაპატიმრებამდე მუშაობდა იქვე საექიმო პუნქტის გამგედ. ყოფილი მენშევიკი. რევოლუციამდე მსახურობდა მეფის არმიაში, შემდეგ - საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გვარდიაში, მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთში წარმოებულ დამსჯელ ოპერაციებში - ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ რაზმს, ეწეოდა აქტიურ ბრძოლას იატაკქვეშა კომუნისტების წინააღმდეგ, იყო 1924 წლის აჯანყების მონაწილე. 1930 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის მიესაჯა 3 წლით გასახლება. 1934 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ სისტემატურად ატარებდა ანტისაბჭოთა აგიტაციას. ცდილობდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების დისკრედიტაციას. ბრალად წაუყენეს აგრეთვე შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებასთან ორპირული ურთიერთობა და კავშირი ხალხის მტერ წურწუმიასთან.

თავი დამნაშავედ ცნო ნაწილობრივ. იმხილებოდა ოთხი მოწმის ჩვენებით (მომხსენებელი კაკუჩაია).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერეთა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 30930, ოქმი № 65-3, 13.12.37, ფ. 28).

## ქორიკე ოლღა ზესარიონის ასული

დაბ. 1891წ. სამტრედიის რაიონის სოფ. აბაშაში. გაუთხოვარი, უპარტიო, დაწყებითი განათლებით. დაპატიმრებამდე თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს აფთიაქის თანამშრომელი.

წყაენებული ბრალდების მიხედვით, იყო რა უკმაყოფილო საბჭოთა ხელისუფლებით, სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს სამტრედიის რაიონში გლეხების სავალალო მდგომარეობის შესახებ. მისი უკმაყოფილება კი გამოწვეული იყო დედის, ძმისა და ორი დის გადასახლებით ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის.

დაპატიმრეს 1937 წლის 12 დეკემბერს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 237771, ოქმი № 73, 25.12.37).

## ქონიაშვილი ილია

ინიღორეს ძე - ექიმი

დაბ. 1898წ. შორაპნის მაზრის სოფ. სიქთარვაში, 1922წ. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა ჯანდაცვის ორგანიზატორად, იყო თბილისის ქალაქის აღმასკომის ჯანდაცვის განყოფილების გამგე, 1937 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრის გამგედ (მუშაობდა 1937წ. ბოლომდე). დოცენტი, 1935 წ-დან დაპატიმრებამდე იყო თბილისის სახელმწიფო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი (პირველი). კპ(ბ) წევრი 1918 წ-დან (გარიცხული დაპატიმრების გამო).



ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის აქტიური წევრი, იყო ორგანიზაციის დივერსიულ-ტერორისტული მოქმედების საქმის კურსში, თავად კი ეწეოდა მკენებლურ საქმიანობას ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სისტემაში (მომხსენებელი პარამონოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან

არსებული სამეულის 1938 წლის 21 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15471, ოქმი № 117, 21.06.38, ფ. 54). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში იმავე დღეს.

## **ქუთათელაძე ილია პავლეს ძე - ფარმაცევტი**

დაბ. 1899წ. ხონში, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა შირაქის საბჭოთა მეურნეობაში აფთიაქის გამგედ. დააპატიმრეს 30.08.37წ.

ბრალად ედებოდა, რომ 1936 წელს ჩათრეული იყო კონტრრევოლუციურ-მავნებლურ ორგანიზაციაში საბჭოთა მეურნეობის საგემომო განყოფილების ყოფილი უფროსის მიერ და მისი დავალებით არ ამარაგებდა აფთიაქს საჭირო მედიკამენტებით. გარდა ამისა, ზშირად დიდი ხნით არ ცხადდებოდა სამსახურში, რის გამოც მეურნეობის თანამშრომლებს არ შეეძლოთ დროულად შეეძინათ საჭირო წამლები. ორგანიზაციაში გააწევრიანა ორი პიროვნება და აძლევდა მათ მავნებლურ დავალებებს.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-9, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 22586, ოქმი № 48-2, 17.11.37, ფ. 147).

## **ლაგაშიძე-ჯუღელი თამარ ტიმოთის ასული - ექიმი-სტომატოლოგი**

დაბ. 1896წ. მცხოვრები გურჯაანში. დააპატიმრეს 1938 წლის 5 მარტს.

ბრალად ედებოდა, რომ იცოდა გურჯაანის რაიონში მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობის შესახებ და არ შეატყობინა ხელისუფლებას, ავიწროებდა ახალგაზრდა ექიმებს, სტუმრად ყოფნის დროს ბელადის მისამართით გამოთქვა შეურაცხმყოფელი სიტყვები. გარდა ამისა, კავშირი ჰქონდა ირანში მცხოვრებ მულთან, ნიუ-იორკში მცხოვრებ ბიძაშვილთან და ქმრის დეიდასთან პარიზში.



საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-12), მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე №33036, ოქმი №100-1, 13.03.38, ფ.139).

დაპატიმრების დროს ქალბატონ თამარს ჰყავდა ქალიშვილი მზია ჯუღელი - შემდგომში პირველი ქართველი ქალი ოლიმპიური ჩემპიონი. მძიმე მოსაგონრად დარჩა პატარა მზიას დედის დაპატიმრება: "მე დედამ კი არ გამაღვიძა, მოსულებმა პირდაპირ ლოგინიდან წამომადგეს. დედა წაიყვანეს. მე სასტუმროში გადაუყვანივარ, როგორ - არ მახსოვს, უგონოდ ვიყავი სტრესისგან. თვალები რომ გავახილე, თავზე მადგნენ შალვა ბოსტაშვილი და მეზობელი სონია დარაბეგოვა".

ქალბატონი სონია დარაბეგოვას (დარბაიძე) თხოვნით, ბავშვი თამარის მშობლებმა სასწავლო წლის დამთავრებამდე დატოვეს გურჯაანში. "დარაბეგოვებს ოთხი შვილი ჰყავდათ: ირინა - ჩემი კლასელი, ალბერტი, შურა და გუგული" (ბარაქალა თქვენს ქალობას, ქალბატონო სონია, დიდი და უსაზღვროდ კეთილი გული გქონიათ! (ავტ.).

ომის წლები თბილისში, დედის მშობლებთან გაატარა. დადგა 1945 წელი. მზია, იმ დროს უკვე ცნობილი სპორტსმენი, მოსკოვში წაიყვანეს შეჯიბრებაზე, სადაც, ბატონების გიორგი მერკვილაძისა და არჩილ ბაქრაძის დახმარებით, შეხვდა საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს ვიშინსკის. ისევ ქალბატონი მზიას მოგონებიდან: "უკვე დარიგებული ვყავდი ჩვენებს, რა და როგორ მეთქვა. შევდივარ ვრცელ კაბინეტში. პროკურორი ღიმილით მეგებება. მესაუბრება სპორტზე, ჩემს წარმატებაზე. მერე სიტყვა მშობლებზე თავად ჩამომიგდო. მკითხა, როდის დააპატიმრესო. მეუბნება: მამა დახურულ ბანაკშია, დედა - ღია ბანაკში, მისამართს მოგცემთო. მომცეს (იცრუა გენერალურმა პროკურორმა - კარგად იცოდა, რომ მზიას მამა - ნიკოლოზ ჯუღელი, უკვე დახვერტილი იყო (ავტ.).

შემდეგ იყო დედა-შვილის შეხვედრა ბანაკში ვოლოგდის ოლქში, საიდანაც ქალბატონი თამარი გათავისუფლდა 1948 წელს და დაბრუნდა საქართველოში, თბილისში (დაწვრილებით ამ შეხვედრის შესახებ იხ. თ. გაჩეჩილაძე "პირველი ქართველი ქალი ოლიმპზე" თბ. 2002 წ). თბილისში დიდხანს არ უცხოვრია, ხელახალი რეპრესიის შიშით, გადავიდა თიანეთში, სადაც მუშაობდა სპეციალობით.

## ღვინიაშვილი ვასილ გიორგის ძე

დაბ. 1901წ. გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევში, კპ(ბ) ყოფილი წევრი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ქუთაისის სამხედრო პოსპიტალში კომისრად.

ბრალად ედებოდა, რომ 1929 წლიდან იყო არალეგალური, კონტრრევოლუციური, ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი, რომლის წევრებსაც მიზნად ჰქონდათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ერთი ფაშისტური სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ. ორგანიზაციის წევრები ეწოდნენ მავნებლურ საქმიანობას საბჭოთა არმიის ძლიერების შესასუსტებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-8, 58-11), მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 36972, ოქმი № 110, 28.04.38., ფ. 83).

## ღლონტი ალექსანდრე (ბიჭიკო) მიხეილის ძე – ფარმაცევტი

დაბ. 1894წ. ოზურგეთში, მცხოვრები იქვე, ყოფილი მენშევიკი, 1932 წლიდან კპ(ბ) წევრი, დააპატიმრეს 1937 წლის 27 ივლისს.


გამოძიება ეყრდნობოდა ერთი მოწმის ჩვენებას, რომლის მიხედვითაც ა. ღლონტი იყო წევრი ტროცკისტული ორგანიზაციისა. გარდა ამისა, ბრალდებაში აღნიშნული იყო, რომ იგი 1923 წელს დაპატიმრებული იყო მენშევიკურ ორგანიზაციაში არალეგალური საქმიანობისათვის და პატიმრობაში გაატარა 20 დღე (მომხსენებელი გიორგობიანი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 16794, ოქმი № 77, 29.12.37, ფ. 208).

## ლოღელიანი ლავრენტი ყარაშანის ძე - პროვიზორი

დაბ. 1876წ. რაჭის მაზრის სოფ. ჭრებალოში. უმაღლესი განათლებით (დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი), დაპატიმრებამდე მუშაობდა ჭრებალოში აფთიაქის გამგედ, უპარტიო. დაპატიმრეს 1937 წლის 9 დეკემბერს. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1938 წლის 8 ივნისის განჩინებით სასჯელი განესაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით.

საქართველის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის 2 მარტის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმე ლოღელიანის მიმართ შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო (საარქივო საქმე № 41700).



## ყარიშოვი ნიკოლოზ გერასიძის ძე - ექიმი

დაბ. 1896წ. უპარტიო, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის სამალარიო ტროპიკული სადგურის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. დაპატიმრეს 1937 წლის 16 დეკემბერს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 2 ფელისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით. სასჯელს იხდიდა ვლადივოსტოკში. გარდაიცვალა იქვე, 1938 წლის 8 ნოემბერს (საარქივო საქმე № 28011).

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს 1956 წლის 10 ოქტომბრის № 1664 განჩინებით სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.



დაპატიმრების დროს ბატონ ნიკოლოზს ჰყავდა მეუღლე – მარიამ ციციშვილი და ორი შვილი: მარგარიტა – შემდგომში პედაგოგი და ვიქტორი – შემდგომში ინჟინერი.

ბატონი ვიქტორის გადმოცემით, მამის დაპატიმრების შემდეგ ოჯახს მხარში ამოუდგნენ და ბავშვების გაზრდაში დიდი როლი ითამაშეს ნიკოლოზის დედამ – ანა ბარნოვა (ცნობილი მწერლის ვასილ ბარნოვის და) და მარიამ ციციშვილის ძმამ და ბიძაშვილმა მიხეილ და ნიკოლოზ ციციშვილებმა.

## **შაიშაელაშვილი იოსებ (სოსო) ილიას ძე – ექიმი**

დაბ. 1923წ. ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში. დაპატიმრებამდე მსახურობდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში. დააპატიმრეს იქვე, 1942 წ.

გაასამართლა ა/კ სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 16 ივნისს და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (საგამოძიებო საქმე № 2025, საარქივო საქმე № 12230-59).

## **შანიძე ვლადიმერ ბესარიონის ძე**

დაბ. 1894წ. უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო უშიშროების სანიტარული სამმართველოს უფროსად.

"გამოძიების მასალებით იმხილება, რომ იყო კონტრრევოლუციური შეთქმულების წევრი, ეწეოდა ინტენსიურ ძირგამომთხრელ მუშაობას და იყო საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივანზე ბერიაზე ტერაქტის მოწყობის საქმის კურსში.

თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილება მოწმეთა ჩვენებებით" (მომხსენებელი ღარიბოვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 3 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14394, ოქმი № 95, 03.03.38, ფ. 4). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წლის 15 მარტს.

## შარაშიქა ზაქარია ერმალოს ქე - ექიმი

დაბ. 1903წ. ოზურგეთის მაზრაში. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა ბათუმში ექიმ-ონკოლოგად.

ბრალად ედებოდა, რომ: "იყო რა ანტისაბჭოურად განწყობილი, გადაიბირეს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში საქმიანობისთვის.

აკრიტიკებდა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხში და ამბობდა, რომ კოლექტივიზაცია სოფლის მეურნეობას გაანადგურებს.

აქებდა ნ. ჟორდანიას, თვლიდა მას ღიდ რევოლუციონერად და ღიდ პიროვნებად.

ემიგრაციაში ჰყავს ბიძაშვილი, რომელთანაც აქვს მიმოწერა.

როგორც საავადმყოფოს გამგე, ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას - აგონიაში მყოფ ავადმყოფებს საავადმყოფოდან წერდა ბინაზე, რითაც ძალაუდა საავადმყოფოში სიკვდილიანობის ნამდვილ პროცენტულ მაჩვენებელს" (მომხსენებელი გასიუვი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 20 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № ს33432, ოქმი № 107, 20.04.38, ფ. 27).

## შანდინაროვი ლეონ

### ალექსანდრეს ქე - ექიმი

დაბ. 1886წ. თბილისში, უპარტიო, დაპატიმრებამდე იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საექიმო-სანიტარული კომისიის პირველი განყოფილების უფროსი, პირველი რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

ა) მიეკუთვნებოდა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, ჯამუშურ სამხედრო ორგანიზაციას.

ბ) ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ საქმიანობას ა/კ სამხედრო ოლქის სანიტარული სამსახურის სისტემაში".

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 21 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირა-

დი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15177, ოქმი № 117, 21.06.38, ფ. 126). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 22.06.1938 წ.

## **შაღენაგოვსკი ინოკენტი იოსების ძე – პროვიზორი**

დაბ. 1861წ. ვარშავის გუბერნიაში, უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა ბათუმში პროვიზორად. დააპატიმრეს იქვე, 1931 წლის 18 იანვარს.

ამიერკავკასიის ფედერაციის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს 1932 წლის 9 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-6, 58-13) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით (საარქივო საქმე № 3446-58).

## **შენგელაია ვახტანგ თადეოზის ძე – ექიმი**



დაბ. 1914წ. ქუთაისში. უპარტიო, დაპატიმრების დროს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი (მანამდე დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი). დააპატიმრეს თბილისში 1946 წლის 1 მაისს.

გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ და 1946 წლის 24 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-12) მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საგამოძიებო საქმე № 331, საარქივო საქმე № 20062-60).

სასჯელს იხდიდა სვერდლოვსკის ოლქში, ვერხოტურის რაიონში № აბ-2 ბანაკში, სადაც, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი, მუშაობდა ექიმად. იქვე შექმნა ოჯახი – დაქორწინდა ლიუდმილა გერხარტ-ფარხიტინოვაზე, რომელთანაც 1949 წელს შეეძინა ვაჟი – თადეოზი. 1951 წელს, როდესაც ბავშვს უს-

რულდებოდა 2 წელი, ბანაკში ჩავიდა ვახტანგის მამა – თადეოზ შენგელაია, იშვილა უმცროსი თადეოზი და წამოიყვანა საქართველოში.

ბატონი ვახტანგი დაბრუნდა საქართველოში 1954 წელს და სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ფსიქიატრად თბილისის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში.

1956 წლის 18 ნოემბერს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს № 41 დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმე ვ.შენგელაიას მიმართ შეწყდა 58-10 მუხლის ნაწილში დანაშაულის არარსებობის გამო, ხოლო 58-12 ნაწილში განაჩენი დარჩა ძალაში და სასჯელის ვადა შეუმცირდა 5 წლამდე. გათავისუფლდა პატიმრობიდან ნასამართლობის მოხსნით.

გარდაიცვალა ვ.შენგელაია 1983 წელს.

## **შენგელაია (გერხარდტ-ჟარხიტინოვა) ლუდმილა მათის ასული – ექთანი**

დაბ. 1923წ. უკრაინაში, ქალაქ ნიკოლაევში. საშუალო განათლებით. უპარტიო. 1941 წელს, გერმანიის მიერ უკრაინის ოკუპაციის შემდეგ, გაგზავნილი იყო გერმანიაში სამუშაოდ. 1945 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში რეპატრიაციის შემდეგ დააპატიმრეს. 1946 წლის 5 ნოემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო ტრიბუნალის მიერ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

სასჯელს იხდიდა სვერდლოვსკის ოლქში, ვერხოტურის № აბ-239 ბანაკში, სადაც მუშაობდა ექთნად. იქვე შექმნა ოჯახი. იქორწინა პოლიტპატიმარ ვახტანგ შენგელაიასთან. 1949 წელს შეეძინა ვაჟი თადეოზი.

გათავისუფლდა ქ-ნი ლუდმილა 1955 წელს და საცხოვრებლად ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ელოდებოდნენ მეუღლე და პატარა თადეოზი (ამჟამად ფიზიკოსი). შემდეგ შეეძინათ ქალიშვილი ნათელა – ამჟამად ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.



## შინაგადასახლება კატეგორია - ფერმალი

დაბ. 1885წ. ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჭალაში. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოფ. ნაკიანოს საფერშლო პუნქტის გამგედ. დაპატიმრეს 1937 წლის ივლისში.

ბრალად ედებოდა, რომ ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გამოთქვამდა უკმაყოფილებას ბ. მდივანის, მ. ტოროშელიძისა და სხვათა მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების გამო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 30301, ოქმი № 68, 16.12.37, ფ. 132).

## შარბუკი ალექსანდრე გრიგოლის ძე - ექიმი

დაბ. 1899წ. მოსკოვში, კპ(ბ) წევრი 1921 წლიდან, წითელ არმიას მსახურობდა 1921 წლიდან. დაპატიმრებამდე იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ეშერის სანატორიუმის უფროსი, მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ მიეკუთვნებოდა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ, ჯაშუშურ სამხედრო ორგანიზაციას, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომში ამზადებდნენ ტერაქტებს კპ(ბ)-ის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ორგანიზაციის დაეალებით ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა არმიის ძლიერების დასაქვეითებლად (მომხსენებელი კერვალისვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 15884, ოქმი № 120, 09.10.38, ფ. 89).



## შიპიციანი ვასილი სერგოზი ქა - ფარმაცევტი

დაბ. 1899წ. თბილისში, უპარტიო, დაპა-  
ტიმრებამდე იყო ამიერკავკასიის სამხედრო  
ოლქის სანიტარული სამსახურის მეოთხე გან-  
ყოფილების უფროსი. დააპატიმრეს თბილისში,  
1937 წლის 17 თებერვალს.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო კონტრრევოლუციური, ტროცკის-  
ტულ-ტერორისტული, ჯაშუშური სამხედრო  
ორგანიზაციის წევრი.

2. ა/კ სამხედრო ოლქის სანიტარული სამ-  
სახურის სისტემაში ეწეოდა კონტრრევოლუცი-  
ურ, მავნებლურ საქმიანობას წითელი არმიისა და მთლიანად საბჭო-  
თა კავშირის თავდაცვის ძლიერების ძირის გამოსათხრელად. იმზი-  
ლებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი რიაბოვი).

ს ქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან  
არსებული სამეულის 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით, სა-  
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ,  
58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეწა, პი-  
რადი ქონეის კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე №  
14672, ოქმი № 110, 28.04.38, ფ. 144).

რეაბილიტირებული იყო 1956 წლის 4 მარტს.

დაპატიმრების დროს ვ. შიპიციანს ჰყავდა ორი შვილი: ავიეტა -  
შემდგომში ინჟინერი და ანატოლი - შემდგომში ტოპოგრაფი. ქ-ნი  
ავიეტას გადმოცემით, მისმა მამამ თბილისში დაამთავრა რეალური  
სასწავლებელი, მღეროდა სამხედრო-საკათედრო ტაძრის გუნდში, და  
მრავალი მისი თანატოლის მსგავსად, ოცნებობდა სამხედრო სამსა-  
ხურზე. ოცნება შეისრულა კიდეც... პირველი მსოფლიო ომის დროს,  
16 წლისა, გაიპარა ფრონტზე, სადაც მსახურობდა სანიტრად.  
ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ დაამთავრა თბილისის საფერშლო  
ფარმაცევტული კურსები და დაიწყო მუშაობა ა/კ სამხედრო ოლქის  
სანიტარულ ნაწილში. მოგვიანებით სასწავლებლად გაემგზავრა ლე-  
ნინგრადში, სადაც დაამთავრა სამხედრო სამედიცინო აკადემია, დაბ-  
რუნდა მშობლიურ თბილისში და განაგრძო მუშაობა ა/კ სამხედრო  
ოლქის სანიტარულ ნაწილში.



## შმალიუკი სტაფანე ვასილის ძე – ფერმალი

დაბ. 1896წ. ყუბანში, უპარტიო, განათლება საშუალო სამედიცინო. დაპატიმრებამდე მუშაობდა აფხაზეთში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანაზე ფერმლად.

ბრალად ედებოდა, რომ შედიოდა კონტრრევოლუციურ, მავნებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებს მიზნად ჰქონდათ დასახული ტერაქტების განხორციელება პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ, ჯაშუშობა, დივერსიული აქტების მოწყობა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყებით. თავად შმალიუკი ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას სასწრაფო დახმარების პუნქტში, სადაც ავადმყოფებს უწევდა არაკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას. მის მავნებლურ საქმიანობას ემსხვერპლა რამდენიმე ადამიანი.

პირველად შმალიუკი დაპატიმრებული იყო 1930 წელს და სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მისჯილი ჰქონდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (მომხსენებელი კორვანო-პულო).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 13 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 35052, ოქმი № 100-2, 13.03.38, ფ. 104). განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 07.05.38წ.

## შონია გიორგი ვასილის ძე – ფერმალი

დაბ. 1902წ. წალენჯიხის რაიონის სოფ. ფახულანში. დაპატიმრეს იქვე, 1931 წლის 15 აგვისტოს.

საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებული სათათბიროს 1932 წლის 26 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) გაასახლეს ციმბირში 3 წლით.

## **შოტი ელენე კონსტანტინეა** **ასული - ექთანი**

დაბ. 1912წ. გორში, საშუალო განათლებით. უპარტიო. დაპატიმრებული იყო ორჯერ - 1937წ. და 1952წ. დაწყებითი განათლება მიიღო გორში. 1931 წელს სწავლა განაგრძო სამარყანდის სამედიცინო სასწავლებელში, სადაც გადასახლებული იყო მისი მამა კონსტანტინე. იქვე, სამარყანდში როგორც ექთანი მონაწილეობდა ყვავილის ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებში. 1934 წელს დაბრუნდა საქართველოში, რადგან მისი მამა სამარყანდიდან გადასახლეს ჩრდილოეთში - კუნძულ სოლოვიკიზე.



თბილისში დაბრუნებული მუშაობდა საეაჭრო ქსელში. დაპატიმრეს 1937 წელს და იმავე წლის 15 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (საგამოძიებო საქმე № 10070, საარქივო საქმე № 8486-37). სასჯელს იხდიდა გორკის ოლქში (დასახლება სუხოი ბეზვოდნაია, ბანაკი № 48), სადაც მუშაობდა ექთნად. გათავისუფლდა 1947 წელს და საცხოვრებლად გადავიდა მახჩაყლაში, სადაც იმ დროს სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა მისი და. მუშაობდა საბავშვო ბაღში ექთნად. 1952 წელს კვლავ დაპატიმრეს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1952 წლის 5 აპრილის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) გადასახლეს მუდმივად საცხოვრებლად ყაზახეთში - ჯამბულის ოლქში (საარქივო საქმე № 8486-38). გაათავისუფლეს 1954წ. რეაბილიტირებული იყო 1956 წელს. გარდაიცვალა 1982წ.

## **შოტი კონსტანტინე** **პეტრეს ძე - ფერმალი**

დაბ. 1879წ. პოლონეთში, ცოლშვილიანი, კომუნისტური პარტიის წევრი 1904 წლიდან. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, მაუდ-კამეოლის ფაბრიკის დირექტორად. დაპატიმრეს 1928 წელს. მომდევნო წლის 17 იანვარს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტი-



კური სამმართველოს კოლეგიის მიერ, როგორც კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრს და სოციალურად მავნე ელემენტს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით (საგამოძიებო საქმე № 5691, საარქივო საქმე № 672-56).

სასჯელს იხდიდა უზბეკეთში - სამარყანდში, სადაც 1932 წ-მდე მუშაობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ფერშლად (მასთან პერიოდულად ჩადიოდნენ მეუღლე - ევა მამულაშვილი და შვილები - ხუთი ქალიშვილი). 1932 წლის ბოლოს გადაიყვანეს ბაშკირეთში, უფასთან ახლოს, სადაც კვლავ ჩააკითხა ოჯახმა. ბაშკირეთიდან გადაასახლეს კუნძულ სოლოვკიზე, საიდანაც ს. ორჯონიკიძის დახმარებით გადაიყვანეს ასტრახანში, ე. წ. თავისუფალ დასახლებაში. მუშაობდა პროფესიით. კ. შოტის უმცროსი ქალიშვილის ნინელის გადმოცემით, იგი 1937 წელს კვლავ დაპატიმრეს და გადაასახლეს ვორკუტაში, სადაც 1938 წლის 1 მარტს დახვრიტეს. რეაბილიტირებული იყო 1989წ.

საქართველოში შოტი პირველად ჩამოვიდა 1901 წელს, როდესაც მსახურობდა რუსულ ჯარში. საქართველოშივე მიიღო სპეციალური განათლება - 1906წ. დაამთავრა საფერშლო სასწავლებელი. სწავლის დროს დაუახლოვდა სერგო ორჯონიკიძეს და შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას. დაპატიმრებული იყო და სასჯელს იხდიდა მეტეხის ციხეში. 1921წ-დან მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ პარტიულ და სამეურნეო თანამდებობაზე.

## შტინგელი დავით სოლომონის ძე - ექიმი

დაბ. 1894წ. თბილისში, უპარტიო, დაპატიმრებამდე იყო ა/კ სამხედრო ოლქის სანეპიდლაბორატორიის უფროსი, მეორე რანგის სამხედრო ექიმი.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო საქართველოში განლაგებული ა/კ სამხედრო ოლქის ნაწილებში მოქმედი კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტიერორისტული, ჯაშუშური სამხედრო ორგანიზაციის წევრი.
2. ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა აქტიურ დივერსიულ-მავნებლურ ბაქტერიოლოგიური და ეპიდემიური ხასიათის საქმიანო-

ბას” (მომხსენებელი ვასილენკო).

საქართველოს სსრ შს სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-7, 58-8, 58-9, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10700, ოქმი № 58, 03.12.37, ფ. 75). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წლის 7 მაისს.

## **შურღანია ვლადიმერ მაქსიმეს ძე – სტუდენტი**

დაბ. 1905წ. სენაკის მაზრის სოფ. ზანაში, დაპატიმრებამდე სწავლობდა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში მეხუთე კურსზე. დააპატიმრეს 1938 წლის 11 თებერვალს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო არალეგალური, კონტრრევოლუციური, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას. ეწეოდა აქტიურ კონტრრევოლუციურ მუშაობას სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს შორის (მომხსენებელი კოვალჩუკი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 3 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14110, ოქმი №95, 03.03.38, ფ. 71).

განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 1938 წლის 4 მარტს.

## **ჩარბეიშვილი ვლადიმერ სპირიდონის ძე – ფარმაცევტი**

დაბ. 1883წ. ყოფილი მენშევიკი, საშუალო განათლებით.

ბრალად ედებოდა, რომ სისტემატურად ატარებდა კონტრრევოლუციურ, პროვოკაციულ საუბრებს, თხზავდა ანტისაბჭოთა ხასიათის ანეკდოტებს (მომხსენებელი ორბაიძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით, სა-

ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 16907, ოქმი № 11, 09.09.37, ფ. 21).

## **ჩიგოგიკა ვალერიან ნოას ქა - ექიმი**

დაბ. 1885წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ხიდისთავში. ცოლშვილიანი. მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრი.

ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ჯგუფის ხელმძღვანელობა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 2107, ოქმი № 22, 04.10.37, ფ. 27).

## **ჩიგოგიკა პარმან**

### **ნიკოლოზის ქა - ფარმაცევტი**



დაბ. 1888წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ახალშენში, უპარტიო, საშუალო განათლებით, დაპატიმრეს 1937 წლის 3 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა მჭიდრო კავშირი 1937 წლის აგვისტოს ბოლოს დაპატიმრებულ კონტრრევოლუციონერ ერმალო ჩიგოგიძესთან - საკუთარ ძმასთან, რომელთან ერთადაც ატარებდა ტროცკისტულ-მენშევიკური ხასიათის საუბრებს, ხოლო მეორე ძმასთან - პროკოფისთან ერთად გახდა წევრი სასაფლაოს ეკლესიასთან ჩამოყალიბებული ჯგუფისა, რომელსაც მიზნად

ქჟონდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. პროკოფი ეკლესიაში ღვთისმსახურებას ატარებდა ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებზე. დაპატიმრებული იყო 1937 წლის 7 დეკემბერს (მომხსენებელი ეზიამვილი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 32126, ოქმი № 68-1, 16.12.37, ფ. 102).

## ჩიტაიშვილი ევგენი მიხეილის ძე - ექიმი

დაბ. 1901წ. თბილისში, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში, მსახურობდა თბილისის სატანკო ნაწილში ექიმად. მესამე რანგის სამხედრო ექიმი. დაპატიმრეს 1937წ. 31 ივლისს თბილისში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937წ. 30 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეჭა. განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1937 წლის 30 სექტემბერს (საგამოძიებო საქმე № 9792, საარქივო საქმე № 9773).

1937წ. 13 აგვისტოს დახვეჭილი იყო მისი ძმა მიხეილი, ხოლო მეუღლე - ოლღა გიორგის ასული ჩიტაიშვილი 1938წ. 16 თებერვალს რვა წლით გადასახლეს არხანგელსკის ოლქში, საიდანაც დაბრუნდა 1945 წლის ნოემბერში.

## ჩუბაროვი იური კონსტანტინეს ძე - ექიმი

დაბ. 1893წ. თბილისში, ცოლშვილიანი, უპარტიო, დაპატიმრებამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანეპიდსადგურის ლაბორატორიაში.

ბრალად ედებოდა, რომ ა/კ სამხედრო ოლქის ნაწილებში ეწეოდა დივერსიულ-მავნებლურ საქმიანობას ეპიდემიოლოგიური მომსახურების სფეროში. თავი დამნაშავედ არ ცნო. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით (მომხსენებელი ვასილენკო).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-7, 58-9, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეჭა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 12268, ოქმი № 58, 03.12.37, ფ. 92).

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.



## რუზაროვა (პეინ) ანა თედორას ასული - ექთანი

დაბ. 1900წ. თბილისში. საშუალო სპეციალური განათლებით. დააპატიმრეს 1937 წლის 26 ნოემბერს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 16 თებერვლის დადგენილებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (საარქივო საქმე № 3117).

ოჯახის წევრების გადმოცემით, სასჯელს იხდიდა მორღოვეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - პოტამაში. საქართველოში დაბრუნდა 1949 წელს. მუშაობდა დმანისში, რენტგენოლოგიურ კაბინეტში. თბილისში დაბრუნდა 1954 წელს.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს. გარდაიცვალა 1968 წელს.



ფოტოგრაფია ბრ. აღმ. არქივში.

## რუზინიკა ტრიფონ ტეიზუხის ქე - ექიმი

დაბ. 1893წ. შორაპნის მაზრის სოფ. დილიკაურში, უპარტიო (სოციალ-ფედერალისტური პარტიის ყოფილი წევრი). დააპატიმრებამდე მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში უფროსის მოადგილედ სამკურნალო დარგში, მეორე რანგის სამხედრო ექიმში.

ბრალად ედებოდა, რომ:

1. იყო ა/კ სამხედრო ოლქის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ნაწილებში მოქმედი კონტრრევოლუციური, ტროცკისტულ-ტერორისტული, ჯაშუშური სამხედრო ორგანიზაციის წევრი.
2. ორგანიზაციის დავალებით თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას და აქტიურად ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიზიდვას. იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან





არსებული სამეულის 1938 წლის 3 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-1ბ, 58-7, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 13748, ოქმი № 95, 03.03.38, ფ. 218). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 1938 წლის 4 მარტს.

ოჯახის წევრების გადმოცემით, ტ. ჩუბინიძე დაიბადა მდიდარი გლეხის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და აკაკი წერეთლის რეკომენდაციით სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში. პარალელურად კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

მისი ქალიშვილის, ქ-ნ ლეილას მოგონებიდან: "22 დეკემბერს დღის 3 საათზე მამამ დარეკა სამსახურიდან – დამიგვიანდება, ლექციაზე მივდივარო. ცოტა ხნის შემდეგ სახლში მოვიდნენ უცნობები და დედას უთხრეს – თქვენი ქმრის ტანსაცმელი წამოიღეთ და წამოდიეთ... საღამოს იგივე ხალხი მოვიდა – ახლა ქალის ტანსაცმელი გაგვატანეთო. დედა მაშინ მესამე ბავშვს ელოდებოდა. იმავე საღამოს ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს. ეს იყო ხანგრძლივი პროცედურა. მამას აკურატულად დაწვობილი ნივთები ოთახში იყო მიმოფანტული. წიგნების ყდები დახეული, წვრილმანი ნივთები კი ჯიბეებში ჩაწვობილი. კარებში გაჩერებული რომ დამინახეს, შემომთავაზეს, რაც მოგწონს. აიღეო. ჩემი ძმისთვის ფერადი ფანქრები შევარჩიე, ჩემთვის კი სტალინის ბიუსტი. მოაყენეს მანქანა და დატვირთეს ჩვენი ავლადიდებით. დაგვიტოვეს საწოლები, მაგიდა და ორი სკამი. ერთის გარდა, ყველა ოთახი დალუქეს. მოგვიანებით სხვა ოჯახი შემოგვისახლეს.

ყოველდღე მე – ცხრა წლის ბავშვი, და მამიდა ორთაჭალის ციხის ჭიშკართან ვიდექით უზარმაზარ რიგში ე.წ. "პერედაჩის" შესაგზავნად. ხშირად დღის ბოლოს გვითხოვდნენ – ხვალ მოდიეთო.

ერთ ღამეს კარზე კაკუნი გავიგონეთ, დარწმუნებული ვიყავი, მეც და ჩემი ძმაც ციხეში მიყვადით. კარი გავაღეთ, კარებში კი დედა იდგა. დედას დაბრუნებიდან მეორე დღეს მამასთვის მიტანილი "პერედაჩა" აღარ მიიღეს. აქ აღარ არის და ვერც გეტყვით, სად წაიყვანესო... ამის შემდეგ დედამ მესამე ბავშვი მკვდარი გააჩინა. დედა 59 წლისა გარდაიცვალა. მძიმე შრომა უწევდა, რომ ჩვენთვის არაფერი მოეკლო – არც მოუკლია (ომის პერიოდში ჩვენ არც გვშიოდა და არც გვციოდა. შემდგომ ორივემ უმაღლესი დავამთავრეთ). მამას რეაბილიტაციას მოესწრო. გაუხარდა? ვერ გეტყვით. იქნებ მეორედ მოუკლეს ქმარი. მოგვიანებით, როცა მამას საქმის გაც-

ნობა შემოგვთავაზეს, თენგიზმა უარი თქვა: ნაცნობის გაწირული რომ იყოს, მის უდანაშაულო შვილს, ვაითუ, მამის ცოდვა ვერ ვაპატიო!

დაბოლოს! იმ ჯოჯოხეთურ დროში ბოროტებზე მეტი მაინც კეთილი ადამიანები იყვნენ, რომლებმაც უპატრონეს ათასობით ქვრივობოლს. რომ არა ამ ხალხის სიკეთე და თანადგომა, მსვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა“.

## ჩხატია დავით ალექსანდრეს ძე

დაბ. 1899წ. ხონში, საშუალო განათლებით, ცოლშვილიანი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების კბილის საპროტეზო ლაბორატორიის გამგედ. დაპატიმრეს 1937 წლის 29 ოქტომბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და ამ ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას.

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამომძიებო საქმე № 28583, ოქმი № 67-2, 15.12.37, ფ. 73).

## ცინცაძე გივი აგზროსის ძე - ექიმი



დაბ. 1923წ. თბილისში, უპარტიო, 1944 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. დაპატიმრებამდე მსახურობდა საბჭოთა ჯარში ექიმად. დაპატიმრეს 1945 წლის ივნისში ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ამ მიზნით გამოყოფილი თვითმფრინავით ჩაფრინდა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი თავდიშვილი, რომელმაც გაკვირვებული თანამებრძოლების თანდასწრებით გ. ცინცაძეს ჩამოაგლიჯა ოფიცრის სამხრეები და იმავე თვითმფრინავით გადმოიყვანა თბილისში.

ბრალად წაუყენეს, რომ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად (სულ 5 კაცი) ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და ამზადებდა შეიარაღე-

ბულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1945 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-2, 58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით (საგამოძიებო საქმე № 237, საარქივო საქმე № 86656).

"ჯგუფის" სხვა წევრებს მიესაჯათ: დ. მამულაშვილს 10 წელი, რამაზ კობიძესა და ლეო ბოლქვაძეს 8-8 წელი, ა. მარგველაშვილს 7 წელი.

ამ საქმის გამოძიების დეტალები აღწერილი აქვს რამაზ კობიძეს წიგნში "ციხიდან ციხეში" (თბილისი, 1992წ.), სადაც გ. ცინცაძის შესახებ აღნიშნავს: "...აქვე უნდა ვთქვა, რომ მარგველაშვილსაც და ცინცაძესაც, როგორც ძიების დროს, ისე სასამართლოზე, თავი ღირსეულად ეჭირათ და დღემდე არ ვიცი, მათ საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მაინც რა დანაშაული მიუძღოდათ".

სასჯელს იხდიდა კიროვის ოლქში, ვიატკის ბანაკებში, შემდეგ - კრასნოიარსკის მხარეში, სადაც ძირითადი სასჯელის მოხდის შემდეგ დაასახლეს მუღმივად საცხოვრებლად.

გ. ცინცაძის მეუღლის, ქ-ნი ელენეს გადმოცემით, ვიატკაში გივი, როგორც ექიმი, განაწესეს მკაცრი რეჟიმის ბანაკში, სადაც განსაკუთრებით ცუდი პირობები იყო. პატიმრები მძიმე ფიზიკური შრომისა და ცუდი კვების გამო ძლიერ დასუსტებულები იყვნენ. ერთ დღეს გვიმ სამუშაოდან გაათავისუფლა 100 პატიმარი და მოათავსა იქვე საავადმყოფოში, სადაც კვება უკეთესი იყო. ამით განრისხებულმა ბანაკის უფროსმა ვინოგრადოვმა კარცერში ამოაყოფინა თავი, მაგრამ რადგან ბანაკში სხვა ექიმი არ იყო, რამდენიმე დღის შემდეგ გამოუშვა. გვიმ კვლავ გაათავისუფლა შემდეგი 100 პატიმარი, შემდეგ, კიდევ და კიდევ. ვინოგრადოვი მალე შეეგუა ამას და შემდეგ კმაყოფილიც კი დარჩენილა, რადგან პატიმრები საავადმყოფოს შემდეგ უკეთესად მუშაობდნენ, უფრო მეტიც, ბოლოს ბატონ გივისა და ვინოგრადოვს შორის ერთგვარი მეგობრული ურთიერთობაც კი დამყარდა. ასე გავიდა მისჯილი 5 წელი. ერთ დღეს კი შეწუხებულმა ვინოგრადოვმა გივის გააცნო ცენტრიდან მიღებული წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ გ. ცინცაძე უნდა გადაიყვანონ კრასნოიარსკის მხარეში მუღმივად საცხოვრებლად. "გადასახლებიდან გადასახლების" შემდეგ ვინოგრადოვს მასთან კავშირი არ გაუწყვეტია. სანამ ცინცაძე ახალ საცხოვრებელ ადგილზე სამსახურში მოეწყობოდა და მოაგვარებდა ფინანსურ მხარეს, თავისი ხელფასიდან უგზავნიდა დანაზოგს.

ახალ "სამშობლოში" გაატარა 4 წელი. გაათავისუფლეს სტა-

ლინის გარდაცვალების შემდეგ და საქართველოში 1955წ. დაბრუნდა. მუშაობდა ქალაქის პირველ საავადმყოფოში, მე-17 პოლიკლინიკაში. ქალაქის მეორე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ და მეცხრე საავადმყოფოში მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაქორწინდა ქ-ნ ელენე დევიძეზე (ფილოლოგი), შეეძინათ ორი ვაჟი: ზაზა - ამჟამად ექიმი და ვაჟა - ამჟამად ინჟინერი.

რეაბილიტირებული იყო გ. ცინცაძე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1956 წელს. გარდაიცვალა 1996 წელს.

## ცინცაძე სერგო

კონსტანტინეს ძე - ექიმი



დაბ. 1900წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ბუკისციხეში. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1921წ. სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1928 წელს. მუშაობა დაიწყო ქუთაისის მეორე სამშობიარო სახლში. 1941 წლის 22 ივნისს გაიწვიეს ჯარში და ჩარიცხეს 55-ე მედიკურ-სანიტარულ ბატალიონში. 1941 წლის 6 სექტემბრამდე მისი ნაწილი იდგა ქუთაისში,

შემდეგ გადაიყვანეს უკრაინაში, სადაც 1941 წლის 8 ოქტომბერს ზაპოროჟიეს ოლქის სოფ. დიდი ტოკმაკის მიდამოებში ჩაეარდა ტყვედ. იმავე თვეში გერმანელებმა დანიშნეს ზაპოროჟიეს მესამე სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგად. ზაპოროჟიეში მუშაობის დროს სისტემატურად ეხმარებოდა ტყვეებს, მათ შორის, ქართველებს, რის გამოც მადლიერებით იხსენებდნენ სამშობლოში დაბრუნებულნი. 1943 წელს გადაიყვანეს ქალაქ მელიტოპოლის საავადმყოფოში სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების უფროსად. 1944 წლის 23 მარტს ტყვეობიდან გათავისუფლებული იყო საბჭოთა ჯარების მიერ და სათანადო მკაცრი შემოწმების შემდეგ ჩარიცხეს უკრაინის მესამე ფრონტის ერთ-ერთ ნაწილში. მალე ფრონტის სამხედრო საბჭომ აღუდგინა საბჭოთა ოფიცრის ყველა უფლება და დანიშნა N. 4316 მოძრავი ქირურგიული სპეცლექსპედიციის კონსპიტლის განყოფი-

ლების უფროსად. ამ თანამდებობაზე მსახურობდა დაპატიმრებამდე. დაპატიმრეს უნგრეთში, 1945 წლის ივნისში. 1946 წლის 25 იანვარს ოდესის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის მიერ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 54-1ბ მუხლით (სამშობლოს ღალატი) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით, 5 წლით სამოქალაქო უფლებების შეკვეცით, პირადი ქონების კონფისკაციით და სამედიცინო სამსახურის კაპიტნის წოდების ჩამორთმევით. ს. ცინცაძემ არ ცნო არც ერთი წაყენებული ბრალდება და მოითხოვა სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილების გადასინჯვა. ოდესის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, საქმის ხელმეორედ განხილვის შემდეგ, 1946 წლის 6 თებერვალს, განაჩენი დატოვა ძალაში. საქმის ხელახალი განხილვის დროს სხდომაზე მოწმეებად გამოვიდნენ ს. ცინცაძის ყოფილი უფროსი, რომელთანაც ჰქონდა სამსახურებრივი (აკადემიური) უთანხმოება, ექთანნი (ცინცაძის მიერ დათხოვილი განყოფილებიდან ცუდი მუშაობის გამო) და კიდევ ერთი ექთანნი, რომელმაც განაცხადა, რომ შემთხვევით გაიგო თუ როგორ თქვა ცინცაძემ, რომ "გერმანელები უკან იხევენ ტაქტიკური მოსაზრების გამო" (საგამოძიებო საქმე № 2680, საარქივო საქმე № 29258-80).

სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში. პატიმრობის დროს და გათავისუფლების შემდეგ გაბუდმებით ცდილობდა თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას, მაგრამ უშედეგოდ. გათავისუფლდა 1954 წელს ამნისტიის საფუძველზე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქუთაისის მეორე სამშობიარო სახლში.

გარდაიცვალა 1959 წელს.

დაპატიმრების დროს ჰყავდა მეუღლე - თამარ ხოტივარი-ცინცაძე და ორი ვაჟი: ვახტანგი - შემდგომში მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი და გურამი - შემდგომში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## **ცისკარიშვილი ანდრო ალექსანდრეს ძე - სტუდენტი**

დაბ. 1915წ. გურჯაანში, ალკა წევრი, დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი. დაპატიმრეს 1937 წლის 2 ივნისს.

გამოძიების მიერ ბრალად ედებოდა, რომ:

"1. იყო წევრი კონტრრევოლუციური, არალეგალური, ახალგაზ-



რდათა მენშევიკური ჯგუფისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება,

2. იღებდა მონაწილეობას კონტრრევოლუციურ საუბრებში და არა-

ლეგალურ შეკრებებზე ეცნობოდა მენშევიკურ ლიტერატურას, ე.ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-10, 58-11 მუხლებით“ (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 17465-60, გვ. 29).

საქმე 1937 წლის 29 სექტემბერს თავის დახურულ სხდომაზე განიხილა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ - თავმჯდომარე მატულევიჩი, წევრები - ზარიანოვი და ჟიგური (იმავე შემადგენლობამ განიხილა სტუდენტ ვარდანაშვილის საქმეც (ავტ.).

სხდომა გაიხსნა 13 საათსა და 20 წუთზე და დამთავრდა 13 საათსა და 40 წუთზე.

ა. ცისკარიშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-8, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 17465-60, გვ. 33).

სასჯელს იხდიდა ნორილსკში. გათავისუფლდა 1947 წლის 2 ივნისს და იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში. ჯერ ცხოვრობდა გურჯაანში, შემდეგ - თბილისში. როგორც მისი საარქივო-საგამოძიებო საქმიდან ირკვევა, კვლავ დააპატიმრეს 1948 წლის 4 სექტემბერს და იმავე წლის 4 ოქტომბერს მოკლული იყო თბილისის საქალაქო მილიციის თანამშრომლების მიერ. აღსანიშნავია, რომ საქმეში არ ჩანს არც დაპატიმრების მოტივი და არც მკვლელობის გარემოებანი.

## ციციშვილი არჩილ შალვას ძე - სტუდენტი

დაბ. 1916წ. საგარეჯოში. დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დააპატიმრეს 1937 წლის 5 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ შესული იყო საგარეჯოს მემარჯვენე-

თა კონტრრევოლუციურ, დივერსიულ-მაენებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებს მიზნად ჰქონდათ "საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა მთავრობის დამხობა შეიარაღებული აჯანყებისა და კპ(ბ)-ის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებზე ტერორის გზით". იმავე ბრალდებაშია აღნიშნული, რომ ციციშვილი ესწრებოდა ორგანიზაციის არალეგალურ კრებებს და იცოდა მისი საქმიანობა (მომხსენებელი კოჩიევი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 18071, ოქმი № 48-2, 17.01.37, ფ. 82).

## ციციშვილი ირაკლი

### დავითის ძე - ექიმი-პედიატრი

დაბ. 1922წ. თბილისში. საშუალო სკოლა დაამთავრა იქვე და განაგრძო სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1946 წელს. ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაპატიმრეს 1938 წლის 4 მაისს. დაპატიმრების დროს სწავლობდა თბილისის მე-18 სკოლის მერვე კლასში.

ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრად ყოფნა. ამ ბრალდებით გაასამართლეს 1938 წლის ოქტომბერ-ნოემბერში და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიუსაჯეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც იქვე, სასამართლო დარბაზში გაუნახვერეს როგორც არასრულწლოვანს.

სასჯელს იხდიდა თბილისის ციხეში. გაათავისუფლეს 1939 წლის 15 აგვისტოს.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ მისმა მეზობელმა ირაკლი (კაკლი) ნიშნიანიძემ 1937 წლის მარტში შესთავაზა ორგანიზაციის შექმნა, რაზეც 15 წლის ირაკლი ციციშვილი დათანხმდა. მოგვიანებით შეუერთდნენ ირაკლი ბაღრიაშვილი და ირაკლი (თუშო) აბაშიძე. ორგანიზაციას "ოთხი ერეკლეს კავშირი" დაარქვეს და შეუდგნენ "საქმიანობას": კითხულობდნენ ლიტერატურას, ეცნობოდნენ ქარ-



თველ პატრიოტთა ღვაწლს, საუბრობდნენ ბოლშევიკების მიერ ჩადენილ უსამართლობებზე, ოცნებობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე. მალე ოთხეულს შეუერთდნენ ვალერი პეცოვი და მურმან ხუნწარია. 1938 წლის აპრილის ბოლოს მიხვდნენ, რომ უთვალთვალებდნენ და გადაწყვიტეს ბათუმში ჩასვლა და იქიდან თურქეთში გაქცევა. დათქვეს შეხვედრის ადგილი და დრო, მაგრამ ექსი წვერიდან გამოცხადდნენ ორნი - ირაკლი-კაკლი ნიშნიანიძე და ირაკლი ციციშვილი. "გაქცევა" დამთავრდა იმით, რომ მშობლებმა იპოვეს და სახლებში დააბრუნეს. სულ მალე, 1938 წლის 4 მაისს ღამით დააპატიმრეს ოთხივე ირაკლი. ციციშვილის დასაპატიმრებლად მივიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სამი "მია" და უთხრა. რომ წაჰყოლოდა რაღაც აუცილებელი ბარგით. დედა კი დაამშვიდეს: დაკითხვენ და მალე დავაბრუნებთო. მიიყვანეს შევჩენკოს ქუჩაზე (ე. წ. შინაგან ციხეში) და მოათავსეს სარდაფის პატარა საკანში, სადაც მისთვის ადგილი აღმოჩნდა მხოლოდ მაგიდის ქვეშ. პირველ დაკითხვაზე წაიყვანეს მეხუთე დღეს. არ უცემიათ, მაგრამ აჩვენეს, თუ როგორ სცემდნენ სხვებს. გამომძიებელმა თითებს შორის ჩაუდო რევოლვერის მასრები და მოუჭირა ხელი, ჯერ ფრთხილად, შემდეგ უფრო მეტად და თან ეკითხებოდა: გტკივა? კიდევ უფრო მოგიჭირო, თუ იტყვი ყველაფერს? სათქმელი კი ბევრი არაფერი ჰქონდა.

საკანში ჰყავდათ სამი თვე, გამოძიების დასრულებამდე. მისი დამთავრების შემდეგ ხელი მოაწერინეს ოქმზე და გადაიყვანეს ორთაჭალის ციხეში, სადაც მოხვდა დიდ საკანში, რომელშიც 70-მდე პატიმარი იმყოფებოდა. სასამართლო შედგა ოქტომბრის ბოლოს, უმაღლესი სასამართლოს შენობაში. პროცესზე დასწრების ნება დართეს მხოლოდ ორ-ორ ნათესავს. სასამართლოს სხდომას არ დასწრებია არც ერთის მამა - ოთხივე დაპატიმრებული იყო. სხდომაზე არ გამოუძახებიათ მოწმეები, არ იცავდნენ ადვოკატები.

სასამართლოს შემდეგ ბიჭები, გარდა ბადრიაშვილისა, მოათავსეს ერთ საკანში. ბადრიაშვილი მოხვდა ციხის საავადმყოფოში, სადაც დაიღუპა ტუბერკულოზით.

ბევრი, ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა დედის თავგანწირვაზე. მხოლოდ ასე თუ შეფასდება ირაკლი ციციშვილის დედის - ქალბატონ ნინო ვაშაკიძის საქციელი. პოლიტპატიმრის მეუღლე, რომელსაც თავად ემუქრებოდა პატიმრობა, ჩავიდა მოსკოვში და კრემლთან ხალხის კეთილდღეობაზე საზრუნავად სამსახურში მიმავალ სსრკ გენერალური პროკურორის ვიშინსკის მანქანას ჩაუვარდა. ვიშინსკიც კი იმდენად შეაშფოთა ამ საქციელმა, რომ ქალი მანქანაში ჩაისვა. ქალბატონმა ნინომ უამბო ბიჭების ამბავი და სთხო-



ვა საქმეში გარკვევა. მალე თბილისში განახლდა "საქმის" გამოძიება, რისთვისაც ბიჭები კვლავ დააბრუნეს უშიშროების იზოლატორში და გარკვეული პროცედურების შემდეგ გაათავისუფლეს. ირაკლი ციციშვილი გამოუშვეს 1939 წლის 15 აგვისტოს. ტრაგიკული იყო 16 აგვისტოს გაათავისუფლებული თუშო აბაშიძის ხვედრი - უკვე მძიმე ავადმყოფი გარდაიცვალა გაათავისუფლებიდან მეორე დღეს.

საინტერესო და მოუსვენარი ცხოვრების გზა განვლო ირაკლი ციციშვილმა. პროფესიად ბავშვების მკურნალობა აირჩია და დღესაც უკვე პროფესორი, ენერგიულად ემსახურება ამ საქმეს. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

## ცომაია კლიმენტი გენსარიონის ძე - ექიმი

დაბ. 1894წ. სენაკის მაზრის სოფ. კაპანაში. 1911 წელს დამთავრა ფოთის საქალაქო სასწავლებელი და აფთიაქარის მოწაფის წოდების მისაღებად სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. მუშაობა დაიწყო აბაშის აფთიაქში. 1915 წლიდან სამუშაოდ გადავიდა თბილისში. სადაც ფარმაცევტთა გაფიცვაში მონაწილეობისათვის 1916 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს დონის როსტოვში. 1919 წელს კ. ცომაია ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა 1924 წელს. სტუდენტობის დროს, 1920 წელს შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 1921 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტი, დანიშნეს თბილისის სამაზრო რეკომში სასურსათო სამმართველოს კომისრის მოადგილედ. იმავე წელს აირჩიეს მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად, 1923 წელს კი დანიშნეს საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული საქდაზღვევის კომიტეტის თავმჯდომარედ. სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა შინაგან სნეულებათა კლინიკაში ორდინატორად. 1927-29 წლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული იყო ბერლინის, ვენისა და ჰამბურგის შინაგან სნეულებათა კლინიკებში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დანიშნეს ქალაქის პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ, შემდეგ, მთავარ ექიმად. ამ თანამდებობებზე მოღვაწეობასთან ერთად იგი ინტენსიურად მუშაობდა პროფ. შ. მიქელაძის კლინიკაში, სადაც მისი



უშუალო ხელმძღვანელობით შეასრულა ექვსი სამეცნიერო შრომა. 1932 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1932-33 სასწავლო წელს პირველი თერაპიული განყოფილების ბაზაზე კ. ცომაიას ინიციატივით გაიხსნა პედაგოგიური ფაკულტეტის შინაგან სწავლებათა დი-აგნოსტიკის კათედრა, რომლის გამგეც თვითონვე იყო. 1934 წელს ინიშნება საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ.

1935 წელს საქართველოს სსრ ჯანსაზღვრებელთა უმაღ-ლესმა საკვალეფიკაციო კომისიამ კ. ცომაიას დაცვის გარეშე მია-ნიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო იმავე წლის ივლისში - პროფესორის წოდება. 1936 წლის 10 იანვარს კ. ცომაია ინიშნება თბილისის სახელმწიფო სამედიცი-ნო ინსტიტუტის დირექტორად. 1936 წელსვე იცავს სადოქტორო დისერტაციას.

მისი სამეცნიერო კონსულტანტები იყვნენ პროფესორები: შ. მი-ქელაძე, ვ. ჟღენტი და ვ. ვორონინი. სათანადო მასალის შეგროვე-ბაში დიდად შეუწყო ხელი ტუბინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ი. აბაკელიამ. კ. ცომაიას სამეცნიერო მუშაობაში სწორედ ტუბერკუ-ლოზის საკითხს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი.

კლიმენტე ცომაიას ერთობ ენერგიული საექიმო, პედაგოგიური და საორგანიზაციო საქმიანობა უეცრად შეწყდა 1937 წლის 29 ივ-ლისიდან, როდესაც იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ლ. ბერიას უშუალო მითითებით. და-პატიმრების დეტალებს, კ. ცომაიას მეუღლის ქ-ნ ქეთევანის გადმო-ცემით, იხსენებს მათი შვილობილი ქალბატონი ლალი კანდელაკი: "1937 წლის ივლისის ერთ დილას ცომაიას ბინას მიადგნენ სრული-ად უცნობი ადამიანები. როცა მასპინძელს მისვლის მიზეზი უთხრეს, მან მშვიდად გამოთქვა ეჭვი, რომ იგი ეშლებათ მისი სახელისა და გვარის სხვა პიროვნებაში. როდესაც ამგვარმა არგუმენტმა არ გაჭ-რა, კლიმენტემ სწრაფად მიაწოდა მეუღლეს პირსახოცი, რომელიც ხელში ეკავა და სიტყვებით "მახაცია (მეუღლეს ასე მიმართავდა ში-ნაურულად), შეცდომას ადგილზე გავარკვევ და ახლავე დავბრუნდე-ბიო" და გაჰყვა უცნობებს.

ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ კ. ცომაიას შემდგომ ტრაგიკულ ბედს. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში შემონახულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკუ-რორის თანამშრომლის მაიორ მასლოვის 1955 წელს შედგენილი მოხ-სენებითი ბარათი კ. ცომაიას საგამომიებო საქმის (№ 39978) ხელა-ხალი შესწავლის შედეგების შესახებ (საარქივო საქმე № 28888-68).

მოხსენებითი ბარათის მიხედვით, დაპატიმრების შემდეგ, კ. ცო-მაია თავდაპირველად უარყოფდა ყოველგვარ ბრალდებას მისი კონ-

ტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობის შესახებ და თავს დამნაშავედ არ თვლიდა. 1937 წლის 2 აგვისტოს გოგლიძისთვის გაგზავნილ ამგვარი შინაარსის განცხადებაზე გოგლიძემ წააწერა: "ამხ. ქობულოვს. ამბობენ, იგი იღებს განცვიფრებულ სახეს მის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ტოვებს არაკეთილსინდისიერი ადამიანის შთაბეჭდილებას. 03.08.37". იმავე განცხადებაზეა ქობულოვის რეზოლუციაც, რომელიც მიმართავს ცომაიას საქმის გამომძიებელს ოვიანს - "დააწეით მაგრად და მიაღწიეთ აღიარებას. 09.08.37." (აქვე უნდა განიშარტოს ჟარგონი "დააწეით მაგრად". შსს-ის კომისარიატის ყოფილი საკმაოდ დიდი თანამდებობის თანამშრომლის ს. დავლიანიძის მიერ 1955 წლის 10 ნოემბერს მის დაკითხვაზე ჟარგონი განმარტებული იყო როგორც მითითება პატიმრის ცემის შესახებ). როგორც საქმიდან ჩანს, გამომძიებელი ისე მაგრად ვერ "დააწეა" ეჭვმიტანილს, რადგან პატიმრის მიერ 1937 წლის 11 აგვისტოს ბერიას სახელზე გაგზავნილ განცხადებაში იგი კვლავ არ თვლიდა თავს დამნაშავედ. ამ განცხადებაზე უკვე "განრისხებული" ქობულოვის მკაცრი რეზოლუციაა: "ოვიანო, ცომაიასთან მუშაობთ ცუდად. მომელაპარაკეთ ". გამომძიებლის მდგომარეობა კიდევ უფრო "დაამძიმა" 15 აგვისტოს გაზეთ "კომუნისტში" გამოქვეყნებულმა წერილმა "სახალხო ჯანმრთელობა", რომლის მიხედვითაც "...ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი სახალხო კომისარი, ფაშისტთა საზიზლარი შიკრიკი მამალაძე და გარეწარი ცომაია შეეცადნენ ყურადღება არ მიექციათ საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის ლ. პ. ბერიას ბრძნული მითითებებისთვის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე". უნდა ვივარაუდოთ, რომ "დაწოლა" მკვეთრად გაძლიერდა, რადგან სულ რაღაც ორ დღეში, 17 აგვისტოს, ცომაიამ "აღიარა" კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობაც და 1926 წელს 83-ის პლატფორმაზე ხელმოწერაც. გარდა ამისა, თითქოს აღიარა, რომ მისი დანაშაულებრივი მოქმედება მიმართული იყო სამედიცინო ქალაქის, როგორც სამედიცინო კადრების სამჭედლოს მშენებლობის ჩასაშლელად, რომ მას შემდეგ რაც თვითონ, ცომაია, "ჩაითრიეს" კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, თავადაც ცდილობდა და ზოგჯერ ახერხებდა კიდევ ახალგაზრდა ექიმებისა და სტუდენტების "ჩათრევას" მავნებლური საქმეების საკეთებლად.

კ. ცომაიას საქმეს თან ერთვის ვინმე ცინცაძის 21.12.36 წლის ჩვენებები, რომლითაც დასტურდება კ. ცომაიას კავშირი ტროცკისტებთან და ვინმე გოგიბერიძის ჩვენებები, რომლებიც მოუთითებენ ცომაიას კავშირზე "ნაციონალ-უკლონისტებთან". როგორც შემდეგ, 1955 წელს გაირკვა, ცინცაძეს არავითარი ჩვენებები ცომაიას შესახებ არ მიუცია, უფრო მეტიც, ცინცაძის საგამომიებო საქმეში ცო-

მაიას გვარი საერთოდ არ არის ნახსენები. გოგიბერიძის საქმის შემოწმების შედეგად კი (ასევე 1955 წელს) დადგინდა, რომ ძიების დროს იგი უარყოფდა ყოველგვარ კონტრრევოლუციურ კავშირს ცომაიასთან და რომ მისთვის არაფერი იყო ცნობილი ცომაიას ტროცკისტული საქმიანობის შესახებ (საარქივო საქმე № 28888-66, გვ. 180-186).

შემორჩენილია აგრეთვე ანონიმური წერილი, რომლითაც ავტორი იტყობინება, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ზოგიერთი ექიმი ეწევა მავნებლურ საქმიანობას. წერილზე არის ქობულაძის რეზოლუცია: " ამხანაგო ოვიან! შეამოწმეთ და საერთოდ დააწეკით ცომაიას ექიმებში უცილობლად არსებული მავნებლური ორგანიზაციის გამოსავლენად. 03.08.37".

სხვა მტკიცებები ცომაიას საქმეში არ არის.

ძიების დროს კ. ცომაია 15-ჯერ იყო გამოძახებული დაკითხვაზე, საქმეში კი დაკითხვის მხოლოდ სამი ოქმია.

აღსანიშნავია, რომ ცომაიას დაკითხვები გრძელდებოდა მის მიერ დანაშაულის აღიარების შემდეგაც. როგორც ჩანს, "მაგრად დაწოლით", რადგან 1937 წლის 18 სექტემბრის დაკითხვაზე ცომაია ცუდად გახდა და ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა 22 სექტემბერს გადაეყვანა ციხის საავადმყოფოში, სადაც 24 სექტემბერს გარდაიცვალა. ავადმყოფობის ისტორიაში გაფორმებულია დიაგნოზი: ჯირკვლების ანთება (ყბაყურა), მიოკარდიტი, საყოველთაო კონტუზია. ამ საკითხთან დაკავშირებით 1955 წელს დაკითხული ექიმების ჩვენებებით ირკვევა, რომ კ. ცომაია საავადმყოფოში მიიყვანეს მძიმედ ნაცემი, ძლიერი დისტროფიით, სხეულის ორი მესამედის დაჟეჟილობით. ამის გამო არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება და ძალიან უჭირდა პირის გაღება, მთელი მუცელი ჰქონდა მტიკვნეული, კანი ძლიერ ფერმკრთალი, გულის ტონები მოყრუებული, პულსი სუსტი აუსების (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10, ტომი № 3, გვ. 37-39).

ოჯახს კ.ცომაიას გარდაცვალების შესახებ არაფერი შეატყობინეს. მეუღლის, ქალბატონ ქეთევან ფხაკაძის (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე) ყოველი მცდელობა გაეგო მეუღლის ამბავი, უშედეგოდ მთავრდებოდა. ვილაცამ, მხოლოდ არაოფიციალურად, გაანდო, რომ ბატონი კლიმენტი ცოცხალი არ არის - არ დაიჯერა. სიცოცხლის ბოლომდე - 40 წელი ელოდებოდა და იმედს არ კარგავდა.

## წერათელი ნინო ვარლამის ასული - ექიმი

დაბ. 1901წ. შორაპნის მაზრის სოფ. ითხ-  
ვისში. უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა  
ქუთაისის პოლიკლინიკაში სეროლოგად, შეთავ-  
სებით საკონსერვო ქარხანაში, ასევე - სერო-  
ლოგად. დაპატიმრეს ქუთაისში, 1937 წელს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალ-  
ხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებუ-  
ლი სათათბიროს 1938 წლის 10 იანვრის დად-  
გენილებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8  
წლით, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში  
მოხდით (საგამოძიებო საქმე № 27180, საარქი-  
ვო საქმე № 40521).

ქალბატონი ნინოს დაპატიმრებას წინ უძღოდა მისი მეუღლის  
მიხეილ ცხადაძის - საინჟინრო ლეგიონის ოფიცრის - დაპატიმრე-  
ბა, რომელსაც 58-1ბ მუხლით მისჯილი ჰქონდა სასჯელის უმაღლე-  
სი ზომა - დახვრეტა. ოჯახმა განაჩენის აღსრულების შესახებ ცნო-  
ბა ვერ მიიღო ვერც მისი რეაბილიტაციის შემდეგ. თითქოს არსე-  
ბობდნენ თვითმხილველები, რომელთა გადმოცემითაც, მ. ცხადაძე  
მუშაობდა შუა აზიაში რომელიღაც სამხედრო ობიექტზე.

ქ-ნი ნინო სასჯელს იხდიდა ხაბაროვსკში და ამურის ქ. ნიკო-  
ლაევსკში, სადაც მუშაობდა მის მიერვე შექმნილ ლაბორატორიებ-  
ში.

საქართველოში დაბრუნდა 1945 წელს და მუშაობა დაიწყო ზეს-  
ტაფონის ქალაქის პოლიკლინიკაში, შეთავსებით - ფეროშენანობ-  
თა ქარხნის საავადმყოფოსა და ჩაქვის საცდელ ლაბორატორიასთან.

დაპატიმრების დროს ნ. წერეთელს ჰყავდა ორი შვილი: მარიამ  
ცხადაძე - შემდგომში ექიმი და გიორგი ცხადაძე - შემდგომში ინ-  
ჟინერ-ელექტრიკოსი.

რეაბილიტირებული იყო 1957 წელს. გარდაიცვალა 1989 წელს.

## წეროქა დავით ივანეს ძე - სტუდენტი

დაბ. 1915წ. ოზურგეთში. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის  
სტუდენტი.

ბრალად ედებოდა, რომ ეწეოდა კონტრრევოლუციურ, არალეგა-  
ლურ მენშევიკურ საქმიანობას. იყო დ. ვარდანაშვილის (სამედიცინო



ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტის) არალეგალური ჯგუფის წევრი. ატარებდა საუბრებს საქართველოში მენშევიკური ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამ. საქმე № 9241, ოქმი № 22, 28.09.37, ფ. 26).

## **წულუკიკა ალექსანდრა კალისტრატის ქე - სტუდენტი**

დაბ. 1916წ. ალკკ ყოფილი წევრი, დაპატიმრებამდე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დაპატიმრეს 1938 წლის 25 იანვარს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონრეევოლუციური ორგანიზაციის წევრი და მონაწილეობდა კრებებში, რომლებზედაც აკრიტიკებდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელნმძღვანელებს. იცოდა მამის კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ (მომხსენებელი ლაზარევი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 25921, ოქმი № 101, 14.13.38., ფ. 38).

## **წულუკიკა-ქეზაკე ნინო ნიკოლოზის ასული - ექთანი**



დაბ. 1905წ. ხონში. საშუალო სპეციალური განათლებით. დაპატიმრეს 1937 წლის ნოემბერში.

იზრდებოდა გორში და ხაშურში დეიდასთან, რომელმაც წაიყვანა 15 წლის ასაკში დაობლების შემდეგ. 1925 წელს დაამთავრა გორის სამედიცინო სასწავლებელი. მალე შექმნა ოჯახი და შეეძინა სამი შვილი: ნინელი - შემდგომში ბიბლიოთეკარი, ნეტა - შემდგომში აგრონო-

მი და ნოდარი - შემდგომში ეკონომისტი. 1937 წლის დასაწყისში დააპატიმრეს ქალბატონი ნინოს მეუღლე ალექსანდრე ქებაძე - კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი, რომელსაც იმავე წლის ბოლოს მიუსაჯეს დახვრეტა.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საგამოძიებო საქმე № 12018, საარქივო საქმე № 40846).

სასჯელს ქალბატონი ნინო იხდიდა კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ბანაკის საავადმყოფოში მუშაობდა ექთნად. ოჯახმა დიდხანს არაფერი იცოდა მის შესახებ, მხოლოდ 1941 წლიდან დართეს მიმოწერის ნება. გათავისუფლდა და დაბრუნდა საქართველოში 1945 წელს, თბილისში ცხოვრების უფლების აკრძალვით. 1953 წლამდე მუშაობდა მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონებში. თბილისში დაბრუნებული გარდაცვალებამდე მუშაობდა მეცამეტე პოლიკლინიკაში.

რეაბილიტირებული იყო 1957 წელს.

## ჭავჭავანიძე ბარბარე

### ღიმიტრის ასული - ფარმაცევტი

დაბ. 1905წ. ხონში. დააპატიმრების დროს იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დააპატიმრეს 1937 წელს და იმავე წლის 16 დეკემბერს, როგორც სოციალურად მავნე ელემენტს, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით, მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 2700).

როგორც ქ-ნი ბარბარე აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში, საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში (დაამთავრა 1921 წელს), 1931 წელს დაასრულა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო თბილისის ვენდისპანსერიის აფთიაქში. 1934 წელს სწავლა განარგძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, საიდანაც გარიცხეს 1937 წელს



მეუღლის – სამხედრო მოსამსახურის – მიხეილ ჭავჭავანიძის დაპატიმრების გამო. 1937 წლის ბოლოს გადაასახლეს აკმოლინსკში, სადაც დაყო 3 წელიწადი (მუშაობდა მქარგავად). 1941 წელს გადაიყვანეს ურალში, აზანკის სან-ქალაქში. მუშაობდა უფროსი ექთნის თანამდებობაზე და პერიოდულად ასრულებდა ექიმის მოვალეობასაც. გათავისუფლების შემდეგ კიდევ 11 თვე იმუშავა აზანკაში. დაბრუნდა საქართველოში 1946 წელს. მუშაობდა თბილისსა და ბათუმში.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს. გარდაიცვალა 1981 წელს.

დაპატიმრების დროს ჰყავდა ორი ქალიშვილი: ლამარა – შემდგომ ექიმი და სუზანა – შემდგომ ბიოლოგი-ვირუსოლოგი.

## **ჭანტურიძე ნინა ბარამის ასული - ექთანი**

დაბ. 1911წ. შორაპნის მაზრის სოფ. ქვედა საზანოში. დაპატიმრებამდე მუშაობდა სოფ. ქვედა საზანოს საავადმყოფოში ექთნად. დაპატიმრეს 1949 წლის 17 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩინა დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდადებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№ 1206-65), ჭანტურიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე №5, ტომი 13, ფ.147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.



## **ჭაიშვილი იოსებ იულონის ძე - ექიმი**

დაბ. 1890წ. აბაშის რაიონში. უპარტიო, დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში, ქალაქის მეოთხე პოლიკლინიკის ღირექტორად. დაპატიმრეს 1937 წლის 28 სექტემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ სისტემატურად ატარებდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და...!

"მიიღო რა კომკავშირელი შავლიაშვილისგან გაზეთი ბელადის დამახინჯებული პორტრეტით, ჭეიშვილმა არაფერი გააკეთა ხალხის იმ მტრის გამოსაქვეყნად, რომელმაც დაამახინჯა ბელადის პორტრეტი; პირიქით, თავისი უპასუხისმგებლო საქციელით და არასაბჭოთა მოქმედებით სათანადო ორგანოებს არ მისცა საშუალება გამოეკვინათ ხალხის მტერი" (მომხსენებელი ოვიანი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 10746, ოქმი № 87, 08.02.38, ფ. 151).

## **ჭაიშვილი ნინა**

### **სოლომონის ასული - ფარმაცევტი**

დაბ. 1913წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ასკანაში. გასახლებამდე მუშაობდა ასკანის აფთიაქის გამგედ.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1952 წლის 5 აპრილის დადგენილებით გასახლებული იყო ყაზახეთის რესპუბლიკაში სპეცდასახლებაში.

გაათავისუფლეს 1955 წელს (საარქივო საქმე № 5907-56).

## **ჭალიძე ევგენია პეტრის ასული - ექთანი**

დაბ. 1922წ. ამბროლაურის რაიონში. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის მე-14 პოლიკლინიკაში ექთნად, დაპატიმრეს 1949 წლის 5 ნოემბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს,

ტყვედ ნამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი ძალაში დატოვა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მაისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდადებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№ 1206-65), ჭელიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი, საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## ჭოლაძე მიხეილ ისიდორეს ძე

დაბ. 1905წ. კომუნისტური პარტიის წევრი 1929 წლიდან. გარიცხული დაპატიმრებასთან დაკავშირებით. უმაღლესი განათლებით. დაპატიმრებამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და ეწეოდა მიმართულ კონტრრევოლუციურ აგიტაციას პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ. ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიზიდვას (მომხსენებელი ლაზარევი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 15692, ოქმი № 116, 14.06.38, ფ. 5). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 1938 წლის 15 ივნისს.

## ხარაბაქი ჭუჭულა ალექსის ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1896წ. ბაღდათის რაიონის სოფ. ქვემო დიშში, საშუალო განათლებით, ყოფილი თეთრგვარდიელი. დაპატიმრებამდე მუშაობდა ბაღდათის რაიონის სოფ. ზეგანში აფთიაქის გამგედ. დაპატიმრეს 1937 წლის 14 დეკემბერს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციური, ფაშისტური ორგანიზაციის წევრი და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელების დავებით ეწეოდა აქტიურ კონტრრევოლუციურ საქმიანობას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 20455, ოქმი № 79-4, 31.12.37, ფ. 53).

## ხასია ალექსი ილიას ძე - მოსწავლე

დაბ. 1919წ. ოჩამჩირის რაიონის სოფ. ილორში, უპარტიო, მცხოვრები სოხუმში, სწავლობდა იქვე საფერშლო სკოლაში. დაპატიმრეს 29.04.37წ.

ბრალად ედებოდა, რომ ავრცელებდა კონტრრევოლუციურ პროვოკაციულ ჭორებს საქართველოსა და აფხაზეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებზე და გამოთქვამდა კონტრრევოლუციურ შოვინისტურ აზრებს (მომხსენებელი ვადიანი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 20300, ოქმი № 1, 11.08.37, ფ. 119).

## ხელაქი დავით ივანეს ძე - ექიმი

დაბ. 1906წ. თიანეთში. დაპატიმრებამდე მუშაობდა თიანეთის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და სოფელში ეწეოდა აქტიურ კონტრრევოლუციურ საქმიანობას. ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის

დავალებით ავადმყოფებში ხელოვნურად იწვევდა უკმაყოფილებას.

კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დაპატიმრებული იყვნენ მისი მამა და ძმა (მომხსენებელი გუტიკაშვილი).

საქართველოს სსრ შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 17 თებერვლის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეჭა, პირადი ქონების კონფისკაციით (სუსის არქივი. საგამოძიებო საქმე № 8877, ოქმი № 91, 17.02.38, ფ. 7). განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი 22.03.38.

## სვადელიძე გივი (გოლა)

ვლადიმერის ძე - ექიმი-ფიზიოლოგი



დაბ. 1920წ. თბილისში. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, 1938 წელს დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის სამკურნალო ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა 1942 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თელეთ-კუმისის საექიმო ამბულატორიის გამგედ. 1943-45 წლებში იყო ჯანდაცვის სახალხო კომისარიატთან არსებული გასამხედროებული ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის სამედიცინო-სანიტარული სამ-

სახურის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი. 1945-47 წლებში იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი. შემდეგ, ყაზახეთში გასახლებაამდე, მუშაობდა ფარმაკოქიმიის ს/კ ინსტიტუტის წამალთა ბიოლოგიური შეფასების განყოფილების მეცნიერ თანამშრომლად.

1951 წლის 26 დეკემბერს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით ოჯახთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში. გადასახლების მიზეზი გამხდარა მისი დედის - ქალბატონ ოლღა (ოლია) ბერიშვილის პარიზში მცხოვრები ახლო ნათესავები ძმა მამია ბერიშვილი და ბიძაშვილი აკაკი ნოეს ძე რამიშვილი.

ყაზახეთში ოჯახი დაასახლეს სამხრეთ ყაზახეთის ოლქში, ჯერ დაბა აბაი-ბაზარში, შემდეგ სარიაგაჩში, სადაც მუშაობდა ექიმად ადგილობრივ სანეპიდსადგურში (დაწერილებით ოჯახის გასახლებისა და ყაზახეთში ცხოვრების პირობების შესახებ იხ. გ. ხვედელი-

ძის მეუღლის, ქალბატონ ლეილა მესხის მოგონებები).

ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თბილისში სამედიცინო და პედაგოგიურ სასწავლებლებში, 1955 წლიდან კი, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე დოცენტად. 1956-62 წლებში მუშაობდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ს/კ ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა მის მიერ ორგანიზებულ პათოფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული ანესთეზიოლოგიის ლაბორატორიას. შემდეგ, 1997 წლამდე, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური ს/კ ლაბორატორიის პათოფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული თერაპიის განყოფილების გამგედ. გამოქვეყნებული აქვს ოთხი მონოგრაფია და ორასამდე სამეცნიერო შრომა, აქვს ერთი გამოგონება (ბურთულებიანი ოქსიგენატორი), იყო სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ამჟამად საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრია.

რეაბილიტირებული იყო 1955წ.

## ხიდაშელი როსტომ მიხეილის ძე - ექიმი

დაბ. 1922წ. ზესტაფონის რაიონის სოფ. მეორე სვირში. ალკკ წევრი. დაპატიმრებამდე სწავლობდა თბილისის სამედიცინო სასწავლებელში. დააპატიმრეს 1939 წლის 27 ივლისს.

გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1939წ. 29 ნოემბერს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10 პირველი ნაწილი, 58-11) მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით (საარქივო საქმე № 29817).

რ. ხიდაშელი დამნაშავედ ცნეს იმის გამო, რომ არეშიძესთან ერთად შექმნა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელშიც შემდეგ გააერთიანეს ა. მეგულაშვილი, ა. ბერიაშვილი, გ. მჭედლიშვილი. არ გაწევრიანდა ლომაძე, რომელსაც ასევე შესთავაზეს ორგანიზაციაში მუშაობა. ჯგუფის წევრები აღგენდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის პროკლამაციებს და გზავნიდნენ საქართველოს სხვადასხვა



კუთხეში. ორგანიზაციის შექმნიდან ცხრა თვის შემდეგ, რ. ხიდაშელის გადმოცემით, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გასცა საიდუმლო და უშიშროების ორგანოს გადასცა სათანადო მასალა. ასეთ პიროვნებად ხიდაშელი თვლის ა. ბერიაშვილს, რომლის შესახებაც 1999წ. გულისტკივილით წერდა გაზეთში "მესამე ნაპირი" (№ 23, 1999წ.).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ 1939 წლის 29 ნოემბერს დამნაშავედ ცნო ხიდაშელი, არეშიძე და ლომაძე. მათგან ხიდაშელი და არეშიძე 58-ე მუხლით (58-10, 58-11) გათვალისწინებული დანაშაულისათვის და ორივეს მიუსაჯა 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ლომაძეს დანაშაულის დაფარვისათვის მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. ხიდაშელი სასჯელს იხდიდა კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საიდანაც სცადა გაქცევა, მაგრამ თვე-ნახევრის შემდეგ შეიპყრეს და სასჯელი გაუხანგრძლივეს სამი წლით. გარდა ამისა, მოათავსეს ე. წ. "ბურში"- გაძლიერებული რეჟიმის ბარაკში. თერთმეტი თვის შემდეგ მისი ჯანმრთელობა იმდენად შეირყა, რომ გადაიყვანეს ბანაკის საავადმყოფოში. მდგომარეობის მკირედი გაუმჯობესების შემდეგ კვლავ აპირებდნენ მკაცრი რეჟიმის ბარაკში გადაყვანას, მაგრამ პატიმარი ექიმ, მაკეივის შუამდგომლობით დანიშნეს ფერშლად თერაპიულ და ვენეროლოგიურ განყოფილებებში.

1943 წელს რამდენიმე ბანაკისთვის გაიხსნა სტაციონარი 2800 საწოლით, რომელთანაც ჩამოყალიბდა სამედიცინო ინსტიტუტი არასრული სამედიცინო განათლების მქონე პირთათვის. პედაგოგებად მუშაობდნენ პატიმარი ექიმები, მათ შორის 19 პროფესორი. ინსტიტუტში ჩარიცხულთა შორის იყო ხიდაშელიც. სწავლა დაიწყო მესამე კურსიდან. მეცადინეობები ტარდებოდა "სამუშაო საათების" შემდეგ... 1946 წელს საკმაოდ მკაცრი სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, რ. ხიდაშელი, უკვე როგორც ექიმი, გადაიყვანეს ბანაკში ჰეჩორაზე, საიდანაც გათავისუფლდა 1948 წლის დასაწყისში. დაბრუნდა საქართველოში იმავე წელს, მაგრამ 15 ნოემბერს კვლავ დააპატიმრეს და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით მუდმივად საცხოვრებლად გაასახლეს კრასნოიარსკის მხარეში (იგარკაში). 1957 წელს, მეორედ გათავისუფლების შემდეგ, კვლავ დაბრუნდა საქართველოში (თბილისში ცხოვრების აკრძალვით), მაგრამ გრძნობდა რა სათანადო ორგანოების მუდმივ მეთვალყურეობას, ახლად შერთულ მუდღესთან ერთად საბუშაოდ წავიდა შუა აზიაში. საქართველოში, უკვე საბუღალბოდ, დაბრუნდა 1962 წელს. ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს თბილისში.

## ხითაროვი ალექსანდრე ბავლარის ძე - ექიმი

დაბ. 1883წ. იზრდებოდა თელავში, ვაჭრის ოჯახში. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ხარკოვში სადაც დაქორწინდა სტუდენტ მარგარიტა ვაჩნაძეზე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასახლდნენ და მუშაობა დაიწყეს თელავში. 1928 წელს გადავიდნენ თბილისში, სადაც შეეძინათ ორი შვილი: ქეთევანი - მომავალში პათანატომი და დემნა - მომავალში მათემატიკოსი. ტრაგიკული იყო დემნასთვის მამის დაპატიმრება. 1937 წლის ზაფხულში იგი მამამ წაიყვანა პიონერთა ბანაკში, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. 23 ივლისს, როდესაც დემნა სხვა ბავშვებთან ერთად ფეხბურთის თამაშიდან დაბრუნდა ბანაკში, უთხრეს, რომ მისი მამა დაპატიმრეს და სულ ცოტა ხნის წინ წაიყვანეს ეტლით. ბავშვი გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია, მხოლოდ თვალი მოჰკრა სწრაფად მიმავალ ეტლს, რომელსაც მიჰყავდა მისი მამა - როგორც აღმოჩნდა, სამუდამოდ.



ა. ხითაროვს, როგორც მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრს, ბრალად ედებოდა თავის ყოფილ პარტიელებთან კავშირი და შილდის არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. დაპატიმრების მიზეზი გამხდარა სხვა საქმის ძიების დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენება, რომელმაც თითქოს აღიარა, რომ კავშირი ჰქონდა ხითაროვთან.

ხითაროვმა თავი დამნაშავედ არ ცნო (უიცსა ფონდი, 498, ან. 4, საქმე № 5913).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11), მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით. (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 9817, ოქმი № 22, 04.10.37. ფ. 4).

განაჩენი აღსრულდა მისი გამოტანიდან მეორე დღეს - 04.12.37.

## სორომანსკი გაბრიელ ივანეს ძე - ექიმი

დაბ. 1890წ. სოფ. ჩინიეთში, ქართველი, კპ(ბ) წევრი 1926 წლიდან, გარიცხული 1937 წელს. დაპატიმრებამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკურორტო სამმართველოს უფროსად.

ბრალად ედებოდა, რომ იყო კონტრრევოლუციურ, ტროცკისტული, ტერორისტულ-დივერსიულ, მავნებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს კიროვი და შემდგომში ამზადებდნენ ტერაქტებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას ინფექციური დაავადებების გავრცელებისთვის, ცდილობდა სასმელი წყლის გაბინძურებას ნაწლავური და ტიფის ჩხირებით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-7, 58-8, 58-11) განესაზღვრა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 23479, ოქმი № 44, 10.11.37, ფ. 29). განაჩენი მოყვანილი იყო სისრულეში 11.11.37 წ.

## სოფერია არონ ბესარიონის ძე - ექიმი



დაბ. 1894წ. ოზურგეთის მაზრის დ. ლანჩხუთში. კპ(ბ) წევრი 1928წ-დან. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე, სწავლობდა იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, შემდეგ გადავიდა თბილისში და დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში, რომლის დამთავრების შემდეგ გახდა ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. იყო თეატრის დირექტორი, შემდეგ გადაიყვანეს

კონსერვატორიის დირექტორად (რექტორად), სადაც მისი ინიციატივით გაიხსნა ყელ-ყურ-ცხვირის კაბინეტი. კონსერვატორიაში მუშაობდა დაპატიმრებამდე - 1938 წლის 26 ივლისამდე.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელშიც გადაბიძრა ი. ქოჩიაშვილმა. ამ ბრალდების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობოდა მხოლოდ ხო-



ფერიას აღიარებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1939წ. 5 აპრილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. 1956 წ. დეკემბერში მისი საქმის (№ 134) ხელახალი განხილვის დროს ა/კ სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის უფროსი გამომძიებლის კ. ვისკოვის მიერ დადგინდა, რომ ი. ქოჩიაშვილს ა. ხოფერიას ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ ჩვენება არ მოუცია და საერთოდ მასთან ასეთი საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონია. საქმეს თან ერთვის ი. ქოჩიაშვილის დაკითხვის ოქმის ასლი, რომლითაც დასტურდება ზემოთ აღნიშნული. სასჯელს ა. ხოფერია იხდიდა ამურის კომსომოლსკში, სადაც მუშაობდა სააგადმყოფოში ექიმად. იქვე შეხვდა ქირურგ ვასო ყურულაშვილს და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილ სტუდენტებს ბათუმიდან როსტომ ქოქავასა და ჭოლა კილაძეს.

დაბრუნდა ა. ხოფერია საქართველოში 1947 წელს და რადგან თბილისში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება არ ჰქონდა, მუშაობა დაიწყო თეთრწყაროში ოტორინოლარინგოლოგად, მუშაობდა თელავში, შემდეგ - ქუთაისში - მუსიკალური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში. რეაბილიტაციის შემდეგ თბილისში ა. ბალანჩივაძის სახ. მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგად.

რეაბილიტირებული იყო 1956წ. გარდაიცვალა 1974წ.

დაპატიმრებამდე ჰყავდა ქალიშვილი თინა - შემდგომში ექიმი, გადასახლებაში შეეძინა ქალიშვილი იზა - ამჟამად მუსიკათმცოდნე.

## ხურცია ელენე ლევანის ასული - ექთანი

დაბ. 1922წ. სენაკის მაზრის სოფ. მენჯეხში. დაპატიმრებამდე მუშაობდა კურორტ მენჯეში ექთნად. დაპატიმრეს 1949 წლის 25 ოქტომბერს.

1950 წლის 21 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, როგორც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, ტყვედ წამყოფს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ბ მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1950 წლის 31 მაისს განაჩენი დატოვა ძალაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1956 წლის 24 მა-

ისის დადგენილებით მას და მასთან ერთად მსჯავრდებულ 14 ექთანს სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე. ვინაიდან აღნიშნული სასჯელის ვადა მოხდილი ჰქონდა, იმავე წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

1965 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით (№ 1206-65), ზურციას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებული იყო (სუსის არქივი. საარქივო საქმე № 5, ტომი 13, ფ. 147-149).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1950 წელს წაყენებული ბრალდების შესახებ იხ. გიორგობიანი ა.ი.

## **ხუჭუა ოლღა ვასილის ასული - ფარმაცევტი**

დაბ. 1908წ. თბილისში. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. დააპატიმრეს 1931 წლის 30 აპრილს.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასამართლო კოლეგიის 1932 წლის 27 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 27146-62).

## **ჯავახაძე პოლინა გაბრიელის ასული - ექთანი**

დაბ. 1904წ. სოხუმის მაზრის სოფ. ფსირცხაში. საშუალო განათლებით. დაპატიმრების დროს მუშაობდა ქალაქის საავადმყოფოში ექთნად. დააპატიმრეს თბილისში, 1937 წლის დეკემბერში (იმავე წელს დაპატიმრებული იყო მისი მეუღლე ჯავახაძე გრიგოლი).

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1937 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (საარქივო საქმე № 7439). სასჯელს იხდიდა კიროვის ოლქში. საქართველოში დაბრუნდა 1944 წელს. კვლავ მუშაობდა სოხუმში ექთნად.

გარდაიცვალა 1986 წ.

რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.



ქალბატონი ნაზის გადმოცემით, ს. ჯალალანიამ 1916 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ფოთში, შემდეგ ქუთაისში - სამხედრო ჰოსპიტალის მთავარ ექიმად. 1932 წელს გარდაეცვალა მეუღლე ვერა ბახტაძე. რის გამოც სამუშაოდ და საცხოვრებლად გადავიდა ხონში (წულუკიძე), სადაც ცხოვრობდნენ მისი და მეუღლის მშობლები და ნათესავეები.

ემოციურად იხსენებს ქალბატონი ნაზი მამას დაპატიმრებას: "დასაწოლად ვემზადებოდით, რომ ვილატამ კარზე დააკაკუნა. შეკითხვაზე, თუ ვინ იყვნენ, თქვეს, შინსახკომოდან ვართო. მამა მაშინვე მიხვდა, რისთვისაც მოვიდნენ... ხანგრძლივი ჩხრეკის შემდეგ უთხრეს, ჩაიცივი და წამოდიო, მალე დაგაბრუნებთო. მამა შემოვიდა ჩვენთან, ჩამოვდა იმ საწოლზე, რომელზეც იწვა პატარა ძმა. ჩვენ ავტირდით, უმცროსსაც გაეღვიძა და ისიც ატირდა. ასე ტირილსა და საცოდაობაში წაიყვანეს.

ყოველდღე ველოდით, ვუნახავდით ხილს, საჭმელს. მამა კი არ ჩანდა... ერთხელ მოიტანეს ამბავი, რომ პატიმრები თბილისში გადაჰყავდათ. იმედით აივსნენ ადამიანები, ვნახავთ და გადავცემთ საჭმელს, ტანსაცმელს, ფულსო. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ციხესთან... გააღეს თუ არა ჭიშკარი. მანქანები საშინელი სიჩქარით გააქროლეს. ხალხი ყვიროდა, ეძახდა თავისიანებს... მანქანები არ შეუჩერებიათ. ჭირისუფლებს ისლა დარჩენოდათ, რომ პირდაპირ მანქანებში ესროლათ ამანათები იმ იმედით, რომ პატიმრებს რაღაც მაინც შეხვდებოდათ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბევრი რამ მანქანის მეორე მხარეს მიწაზე ჩამოიყარა.

დიდხანს გვქონდა მამას დაბრუნების იმედი. მე სისტემატურად ვგზავნიდი განცხადებებს სათანადო ორგანოებში და ვითხოვდი ეცნობებინათ მისი ადგილსამყოფელი. პასუხად მწერდნენ - მამათქვენი ცოცხალია, გადასახლებულია შორეულ აღმოსავლეთში 10 წლით და წერილის მოწერის უფლება არა აქვსო...

1955წ-მდე ჩვენ რეპრესირებულთა საერთო ტრაგიკულ ბედს ვიზიარებდით, ვიდრე რეაბილიტაციის შესახებ უწყება არ მივიღეთ, მაგრამ ძნელი სათქმელია, მოგვიტანა თუ არა სიმშვიდე ამ ფაქტმა. რამდენი უბედურება, რამდენი სიკვდილი, რამდენი ადამიანის გამრუდებული ბედი აიხსნა სულ რამდენიმე წინადადებით: "განაჩენი გამოტანილი იყო უსამართლოდ, ჯალალანია უდანაშაულოა წაყენებულ ბრალდებაში".

თუმცა ერთი რამ მაინც მაქვს სანუგეშოდ - კიდევ კარგი, მამაჩემი მსხვერპლი იყო და არა მკვლეელი".

## **ჯალალანია-მარშულოვა მარია ალექსანდრის ასული - ექთანი**

დაბ. 1908წ. მოსკოვში, უპარტიო. დააპატიმრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. დააპატიმრეს 1937 წლის 19 ოქტომბერს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 7 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11), მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. საგამოძიებო საქმე № 40876.

სასჯელს იხდიდა არხანგელსკის ოლქში. დაბრუნდა გადასახლებაიდან 1945 წელს და საცხოვრებლად დედასა და ქალიშვილთან ერთად გადავიდა პოლტავაში. საქართველოში დაბრუნდა 1947 წელს. ცხოვრობდა ახ. ლციხეში, შემდეგ - თბილისში.

რეაბილიტირებული იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1956 წლის 22 მაისს.

## **ჯანაგოვა ეკატერინე გიორგის ასული - ექიმი-ბაქტერიოლოგი**

დაბ. 1903წ. თბილისში, მცხ. მახარაძის ქ. № 9, გაუთხოვარი, უპარტიო. დააპატიმრების დროს მუშაობდა ბაქტერიოფაგის ინსტიტუტში. დააპატიმრეს 1937 წლის 21 აპრილს.

საგამოძიებო საქმის (№ 8658) მიხედვით ჯანაგოვას, როგორც კონტრრევოლუციური, დივერსიულ-შავნებლური ორგანიზაციის წევრს, ომის შემთხვევაში უნდა დაემზადებინა უხარისხო სტრუქტურა, რომელიც ხელს არ შეუწყობდა მებრძოლთა მკურნალობას და შეეძლო გამოეწვია დაჭრილთა სიკვდილი. მშვიდობის დროს კი ასეთ სტრუქტურაგს უნდა დაექვეითებინა სამოქალაქო მოსახლეობის შრომისუნარიანობა და ამით ძირი გამოეთხარა საბჭოთა მედიცინის ავტორიტეტისათვის.

ძიებამ "დაადგინა" ისიც, რომ ე. ჯანაგოვა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ, ტერორისტულ ორგანიზაციაში გადაიბირა ინგლისისა და საფრანგეთის დაზვერვათა რეზიდენტმა... პროფ. გ. ელიაევამ, რომლის დავალებითაც ეწეოდა დივერსიულ-შავნებლურ საქმიანობას "ბაქტერიოლოგიის დარგში". გარდა ამისა, ელიავას დავალებით ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად იბირებდა ნაციონალისტურად გან-

წყობილ პირებს სომხური ინტელიგენციიდან.

ე. ჯანაგოვა გაასამართლა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ თავის გამსვლელ დახურულ სხდომაზე თბილისში 1937 წლის 1 ოქტომბერს. სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით (თ-რე მატულ ვიჩი. წევრები - ზარიანოვი, ყიგური, მღივანი - კოსტენოვი) სხდომა გაიხსნა 12 საათზე და 15 წუთზე. მღივანმა მოახსენა, რომ ბრალდებული უკვე მოყვანილია სასამართლოში და რომ მოწმეები გამოძახებული არ ყოფილან.

თავმჯდომარის კითხვაზე, ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, ე. ჯანაგოვამ თითქოს განაცხადა, რომ აღიარებს თავის დანაშაულს. საბოლოო სიტყვაში კი სასამართლოს სთხოვა შეწყალება. კოლეგიის წევრთა სხვა ოთახში თათბირის შემდეგ გამოცხადდა განაჩენი: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-8, 58-9, 58-11) ეკატერინე გიორგის ას. ჯანაგოვას მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა, პირადი ქონების კონფისკაციით. აღნიშნული იყო ისიც, რომ განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სხდომა დასრულდა 15 წუთში. განაჩენი აღასრულეს იმავე დღეს - 1937 წლის 1 ოქტომბერს, რასაც აღასტურებს საქმეში ჩაკრული სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტის შველიოვის ხელმოწერილი სათანადო ცნობა.

## ჯანდირი არჩილ ნიკოლოზის ძე - ექიმი



დაბ. 1938წ. ფოთში. 1941 წლიდან, მამის ჯარში გაწვევის გამო, ოჯახი გადასახლდა თბილისში, სადაც 1956 წელს დაამთავრა 49-ე რუსული საშუალო სკოლა. მანამდე კი 1952-53 წლებში სწავლობდა ყაზახეთში, სადაც ოჯახთან ერთად გადასახლებული იყო 1951 წლის 26 დეკემბერს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის № 4893-2113 დადგენილების საფუძველზე, მამის - ნიკოლოზ ჯანდირის მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ყოფნის გამო. ცხოვრობდნენ ყაზახეთში, ყიზილ-ყუმის რაიონის დაბა ჩარდარში. 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ

ოჯახთან ერთად დაბრუნდა საქართველოში.

1961 წელს სწავლა დაიწყო სვერდლოვსკის სამედიცინო ინსტიტუტში, საიდანაც 1963 წელს გადავიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა 1967 წელს... და კვლავ ყაზახეთი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაანაწილეს ყაზახეთში, სადაც 2 წელი მუშაობდა ქირურგად.

თბილისში დაბრუნებულმა მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გულმკერდის ქირურგიის განყოფილებაში. 1970 წელს დაქორწინდა და შეეძინა ქალ-ვაჟი - ქეთევანი (ფსიქოლოგი) და ნიკოლოზი (ფიზიკოსი).

გარდაიცვალა 1975 წელს.

## **ჯანდიერი თამარ მამსიძის ასული - ექიმი**

დაბ. 1912წ. ბათუმში. საშუალო განათლება მიიღო იქვე. 1934 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ფოთში ქირურგად, სადაც შექმნა ოჯახი - იქორწინა ქირურგ ნიკოლოზ ჯანდიერთან. შეეძინათ ქალ-ვაჟი: არჩილი (1938წ.) და ქეთევანი (1940წ.). მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ივლისში, ნიკოლოზ ჯანდიერი გაიწვიეს ჯარში. ქალბატონი თამარი კი ბავშვებთან ერთად გადავიდა თბილისში. მუშაობდა ერთ-ერთი ევაკოპოსპიტალის ქირურგიული განყოფილების გამგედ, შემდეგ - სამედიცინო სამსახურის უფროსად. ევაკოპოსპიტლის დაშლის შემდეგ მუშაობა განაგრძო თბილისის ომის ინვალიდთა პოსპიტალში.

1951 წლის 26 დეკემბერს, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის № 4893-2113 დადგენილების საფუძველზე, შეუღლესა და ორ ბავშვთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში (მეუღლის ტყვედ ყოფნის გამო), სადაც თავდაპირველად ცხოვრობდნენ მიწურში. რამდენიმე თვის შემდეგ მეუღლესთან ერთად დაიწყო მუშაობა ყიზილ-ყუმის რაიონის დაბა ჩარდარის საავადმყოფოში. 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ნება დართეს



დაბრუნებულიყო საქართველოში.

თბილისში დაბრუნებული მუშაობდა რკინიგზის ბავშვთა პოლიკლინიკაში. რკინიგზის საავადმყოფოს ონკოლოგიურ კაბინეტში. 1974 წლიდან პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა რკინიგზის პოლიკლინიკაში ქირურგად.

## ჯანდღირი ნიკოლოზ რაჭდენის ძე – ექიმი



დაბ. 1898წ. სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეში. თბილისში დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1928 წელს მუშაობდა ლენინგრადში, ცნობილ ქირურგ ი. ჯანელიძესთან. 1931 წ. დანიშნეს ფოთის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ და სისხლის გადასხმის კაბინეტის ხელმძღვანელად. შემდეგ იყო საავადმყოფოსა და პორტის მთავარი ექიმი, იმავდროულად სამედიცინო სასწავლებელში ასწავლიდა ქირურგიას. 1934 წელს დაქორწინდა ექიმ თამარ უნგიაძეზე და შეეძინათ ორი შვილი –

არჩილი (იხ.) და ქეთევანი (იხ.).

1941წ. იენისში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. მსახურობდა სევასტოპოლში, საველე პოსპიტალში. საბჭოთა ჯარების მიერ სევასტოპოლის დატოვების შემდეგ მონაწილეობდა ბრძოლებში. მალე მძიმედ დაიჭრა და კონტუზირებული ტყვედ ჩავარდა. 1943 წლის ბოლოს სხვებთან ერთად გადაიყვანეს საფრანგეთში, სადაც მონაზვნების მიერ გახსნილ პოსპიტალში მუშაობდა ქირურგად (მუშაობა გაუადვილა ფრანგული ენის ცოდნამ). ომის ბოლოს კი მუშაობდა ისევ საფრანგეთში, მაგრამ საბჭოთა პოსპიტალში. სათანადო შემოწმებების (ე. წ. ფილტრაციის) შემდეგ დაბრუნდა საქართველოში 1946 წ. მუშაობდა ჯერ ომის ინვალიდთა პოსპიტალში, შემდეგ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე ასისტენტად.

1951 წლის 26 დეკემბერს, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის № 4893-2113 დადგენილებით, ოჯახის წევრებთან ერთად გადაასახლეს ყაზახეთში, ყიზილ-ყუმის რაიონის კოლმეურნეობა “პირველი მაისის” დასახლებაში. პირველი რამდენიმე თვე ძალიან გაუჭირდათ. თავს ირჩენდნენ საქართველოდან გაგზავნილი



ამანათებით. შემდეგ მეუღლესთან ერთად დაიწყო მუშაობა ყიზილ-ყუმის რაიონულ საავადმყოფოში. 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც შეეძლო საქართველოში დაბრუნება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუმალა ცნობა მისი გათავისუფლების შესახებ და კიდევ გარკვეული დრო ამუშავა ყიზილ-ყუმში.

თბილისში დაბრუნებულმა 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და კვლავ მუშაობდა კათედრაზე. გარდაიცვალა 1958 წ. რეპრესიების მსხვერპლად აღიარეს 1998 წელს.

## **ჯანდიარი ქეთევან ნიკოლოზის ასული** ციტოლოგი

დაბ. 1940წ ფოთში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის 52-ე საშუალო სკოლა. 1952-1953 წლებში სკოლაში სწავლობდა ყაზახეთში, სადაც ოჯახთან ერთად გადასახლეს ომის დროს მამას ტყვედ ყოფნის გამო. დაბრუნდა თბილისში სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის ივნისში. 1958-1964 წლებში სწავლობდა და დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, 1976 წელს კი დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1966 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად - ციტოლოგად.

ჰყავს ორი ქალიშვილი: თამარი (ექიმი) და ეკატერინე (მხატვარ-დიზაინერი)



## **ჯინორიქა იონა ნიკოლოზის ქე** - ექიმი

დაბ. 1884წ. სენაკის რაიონის სოფ. ნაფაკაურში, მცხოვრები ბათუმში, ჯაფარიძის ქუჩაზე. დაპატიმრებამდე მუშაობდა ბათუმის რკინიგზის პოლიკლინიკაში. დაპატიმრეს 1937 წლის 25 აგვისტოს სამტრედიაში.

ბრალად ედებოდა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო საინტარული სამსახურის ბათუმის ბავშვთა ბაგებში ბავშვების წითე-

ლათი მასობრივად დაავადების დროს შეგნებულად არ მიიღო სათანადო ღონისძიებები, რის შედეგადაც გარდაიცვალა ოთხი ბავშვი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალურ კოლეგიას (სუსის არქივი, საგამომიებო საქმე № 24116-სსგ. ოქმი № 37, 25.12.37, ფ. 262).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალური კოლეგიის 1939 წლის 5 აპრილის დადგენილებით, დაპატიმრებიდან 1 წლისა და 8 თვის შემდეგ საქმე შეწყდა წარმოებით.

## **ჯინჭარაქა თედორა არსენის ძე - პროვიზორი**

დაბ. 1883წ. ოზურგეთში. უმაღლესი განათლებით. დაპატიმრებამდე მსახურობდა დასავლეთ საქართველოში განლაგებული სასაზღვრო ჯარების სააფთიაქო სამმართველოს აფთიაქის მმართველად. დაპატიმრეს ქუთაისში, 1937 წლის 6 ნოემბერს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1938 წლის 19 მარტს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. სასჯელს იხდიდა ხაბაროვსკის მხარეში. მუშაობდა ლაზარეთში პროფესიით.

ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა ხაბაროვსკში, 1938 წლის აგვისტოში უბედური შემთხვევის გამო (ავარია). (საარქივო საქმე № 17566-58).

სსრკ უმაღლესი სასამართლოს განჩინებით საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო 1958 წლის 9 აპრილს.

## **ჯიქია ჭიჭიკო კირილეს ძე - ფერშალი**

დაბ. 1897წ. ზუგდიდში. დაპატიმრეს იქვე, 1937 წლის 14 ივლისს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-

11) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვეწა. პირადი ქონების კონფისკაციით (საარქივო საქმე № 9992-59).

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1937 წლის 30 დეკემბერს.

## **ზიძია ხარიტონ კირილეს ძე - სტუდენტი**

დაბ. 1903წ. ზუგდიდში, უპარტიო. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა თბილისში. სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტში.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი კონტრრევოლუციური, მენ-შევიკური ორგანიზაციისა და ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიზიდვას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 10 მარტის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10, 58-11) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14730, ოქმი № 99, 10.03.38, ფ. 18).

## **ჯორჯენაძე-მენაღარიშვილი ეკატარინა გენარეონის ასული - ექიმი**

დაბ. 1913წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩიბათში. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე. 1931 წელს დაამთავრა ლანჩხუთის ათწლედანი პედაგოგიური განხრით და მიენიჭა პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლის წოდება. 1933 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედატრიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1937 წელს. კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაამთავრა ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის პედატრიის სსკ ინსტიტუტთან არსებული კლინიკური ორდინატურა, შემდეგ კი - ასპირანტურა. 1944 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა პედატრიის სსკ ინსტიტუტში და ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოში, კითხულობდა ლექციებს სამედიცინო სასწავლებელში.

1949 წელს იქორწინა ათინოვენ მენაღარიშვილთან (იმ დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი, შემდგომ იმავე ინსტიტუტის პროფესორი). შეეძინა ქალიშვილი მანანა (შემდგომ ბიბლიო-ოგრაფ-ბიბლიოთეკარი), 1951 წელს ვაჟი ირაკლი (შემდგომ ექიმი, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი).

1951 წლის 26 დეკემბერს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1951 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით, ოჯახის წევრებთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში, ჯერ სამხრეთ ყაზახეთის ოლქის დაბა აბაი-ბაზარში, შემდეგ სარიაგაჩში. აბაი-ბაზარში შეეძინა მესამე შვილი - მამუკა (შემდგომ აგროქიმიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. გარდაიცვალა 1997 წელს).

ოჯახის გასახლებას მიზეზი გახდა ბატონ ათინოგენის ძმის - სარდიონის 1924 წლიდან საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნა. ოჯახთან ერთად გაასახლეს ბატონ ათინოგენის 87 წლის დედა - ქალბატონი ქრისტინე გუგუშვილი-მენაღარიშვილისა. იმავე მიზეზით ტყიბულიდან გადასახლეს ათინოგენის ძმისშვილის - ელგუჯა მენაღარიშვილის ოჯახი (ფეხმძიმე მეუღლე და ორი ქალიშვილი. მესამე შეეძინათ ყაზახეთში).

გადასახლებულ ოჯახთან კავშირი არ გაუწყვეტიათ ახლო ნათესავებს. ქალბატონი ეკატერინეს ძმა ბატონი არკადი სისტემატურად უგზავნიდა ამანათებს და გამამხნეველ წერილებს, მეორე ძმამ - ბატონმა ალექსადრემ (მეგობრებთან - ლ. ყანჩაველთან და კამალოვთან ერთად) ორჯერ ჩააკითხა ოჯახს ყაზახეთში, ზოლო მესამედ ჩავიდა მათ წამოსაყვანად. საქართველოში დაბრუნდნენ 1954 წლის დეკემბერში.

გარდაიცვალა ქალბატონი ეკატარინე 2000 წელს.

## ჯორჯიაკე ვახტანგ გიორგის ძე - ექიმი



დაბ. 1921 წლის 30 მაისს თბილისში, უპარტიო. დაპატიმრებამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დაპატიმრეს თბილისში, 1943 წლის 3 ნოემბერს. მასთან ერთად იმავე საქმეზე იყვნენ დაპატიმრებული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია "თეთრი გიორგის" სხვა წევრები: ჭაბუა ამირეჯიბი, ლევან აბდუშელიშვილი, შალვა სვანიძე, რომან სუტა, პავლე ხარანაული, გიორგი მაჭავარიანი, ამირან მორჩილაძე (იხ.), არჩილ წულუკიძე (ექიმი), გიორგი წულუკიძე, რევაზ

ტყავაძე, ლუკა ტყემალაძე, გიორგი იშხნელი, ლევან ნანეიშვილი და სხვ.

გაასამართლა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისა-

რიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1944 წლის 7 აპრილს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამო მიუსჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა (საარქივო საქმე № 24814-62).

სასჯელს იხდიდა ყარაგანდის შრომა-გასწორების ბანაკში. 1954 წლის 10 დეკემბერს გათავისუფლდა ამნისტიით. რეაბილიტირებული იყო 1959 წელს.

1957 წელს ყარაგანდის სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და იქვე განაგრძო მუშაობა ქირურგად. 1957 წელს დაქორწინდა იმავე ბანაკში მომუშავე ექიმ ალექსანდრა ისაკის ასულ ბედერზე. 1961 წელს შეეძინათ ქალიშვილი ლარისა, ამჟამად მხატვარ-მოდელიერი. დაბრუნდა საქართველოში ოჯახთან ერთად 1964 წელს და სიცოცხლის ბოლომდე - 1982 წლამდე, მუშაობდა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს საავადმყოფოში ქირურგად.

## **ჯორჯია ტატიანა ალექსანდრის ასული - ლაბორანტი**

დაბ. 1906წ. სიღნაღში. დაპატიმრებამდე მუშაობდა მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის საკონტროლო ლაბორატორიაში ლაბორანტად.

დაწყებითი განათლება მიიღო სიღნაღში, შემდეგ. 1927 წელს სწავლა განაგრძო თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1930 წ. ექთანი მეანის წოდებით და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ქალაქის პირველ საავადმყოფოში მეანად. მანამდე კი, 1924 წ. იქორ-



წინა სამხედრო კომისარ პეტრე მასლოვთან. მეუღლის პროფესიამ განსაზღვრა კიდევ მისი ცხოვრების წესი - ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის გამოცვლა. 1932-35 წლებში მუშაობდა ლენინაკანსა და ბაქოში, სადაც ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტში დაამთავრა ლაბორანტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რვათვიანი კურსი.

1936 წელს ოჯახი დაბრუნდა თბილისში და ქალბატონმა ტატიანამ მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში ლაბორანტის თანამდებობაზე, შემდეგ საქართველოს მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტში ლაბორანტად.

დაპატიმრეს 1937 წლის დეკემბერში. მანამდე დაპატიმრეს მი-

სი მუდღე პეტრე მასლოვი და როგორც სამშობლოს მოღალტეს, 1937 წლის 2 ოქტომბერს, 58-1ბ მუხლით, მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა. ქალბატონ ტატიანას კი სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულმა სათათბირომ, როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრს, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით (საარქივო საქმე № 17886).

სასჯელს იხდიდა ყაზახეთში (1937-41 წლები) და ვოლოგდის ოლქში (1941-46 წლები), სადაც მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საოლქო საავადმყოფოში ექიმ-ლაბორანტად.

საქართველოში დაბრუნდა 1947 წელს. მუშაობდა თბილისში ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ს/კ ინსტიტუტში ბიოქიმიის ლაბორატორიაში, გურჯაანში, თბილისის სანეპიდსადგურში.

დაპატიმრებამდე ქალბატონ ტატიანას ჰყავდა ვაჟი ივორ მასლოვი. გადასახლებაში შეეძინა ქალიშვილი იელიტა ჯორჯაძე.

ტ. ჯორჯაძე გარდაიცვალა 1994 წელს. რეაბილიტირებული იყო 1956 წელს.

## ჯუღელი ნიკოლოზ ბიორგის ძე - ექიმი

დაბ. 1891წ. მცხოვრები გურჯაანში, დააპატიმრეს იქვე, 1938 წლის 23 თებერვალს, უპარტიო.

ბრალად ედებოდა, რომ იყო მემარჯვენეთა ორგანიზაციის წევრი და "კავშირი ჰქონდა ირანთან, ამერიკასთან, საფრანგეთთან. მიიღო უცხოური ვალუტა - 1000 ფრანკი და 100 დოლარი. დევნიდა ახალგაზრდა ექიმებს. მიითვისა 4 კილო ქინინი. არის სოციალურად საშიში და მავნე ელემენტი" (მომხსენებელი მიქაუტაძე)..

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვერტა (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე №33027, ოქმი № 89, 14 11 38, ფ. 106).

დაპატიმრების დროს ბატონ ნიკოლოზს ჰყავდა მუდღე თამარ ღამბაშიძე, რომელიც დააპატიმრეს 1938 წლის 5 მარტს (იხ.) და ქალიშვილი მზია, მომავალში ოლიმპიური ჩემპიონი. სამუდამოდ დარჩა მეხსიერებაში პატარა მზიას 1938 წლის 23 თებერვალი, როდესაც ადრე დილით მათთან ოჯახში მივიდა სამი კაცი გურჯაანის "ჩეკას" უფროსის გოგი გედევანიშვილის ხელმძღვანელობით. "ღედამ გამაღვიძა. იმ სამი კაციდან ძია გოგი ვიცანი. რა ზღებოდა, ვერ წარმომედგინა. გოგი მამას მეგობარი იყო, პურმარილზე ჩვენთანაც

ბევრჯერ ყოფილა ოჯახში. მერე და მერე ვიგრძენი, რომ ჩვენს თავს რაღაცა უბედურება ხდებოდა. ავკანკალდი. დედამ მომხვია ხელი და დამაბრუნა საძინებელ ოთახში. მამა წაყვანათ". (თ. გაჩეჩილაძე "პირველი ქართველი ქალი ოლიმპზე" თბ., 2002წ).

ოჯახს ბატონი ნიკოლოზის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი არ შეატყობინეს. მხოლოდ 1998 წელს რეაბილიტაციის შემდეგ გაიგო ქალბატონმა მზიამ, რომ მისი მამა დახვრეტეს 1938 წელს.

## ჯუღელი-საბახტარაშვილი ნინა ანტონის ასული - ფარმაცევტი

დაბ. 1900წ. სოფ. ხაბუძეში. დედა - მენიკი და-  
დიანი, ლამაზი და განათლებული ქალბატონი, შვი-  
ლი შვილის დედა. ოჯახსა და შვილებზე მუდ-  
ვად მზრუნველი. მამა ანტონ საბახტარაშვილი  
- ქველმოქმედი პიროვნება, რომლის ინიციატივი-  
თაც ხაბუძეში გაიხსნა საშუალო სკოლა, აფთიაქი  
და საავადმყოფო. მოსახლეობას ამარაგებდა ჩაის  
ნერგებით და აბრეშუმის ჭიით (გრ. ციალაძე-წახნა-  
კია, ნ. ბერულავა, გაზეთი "ნაპერწყალი", 1984 წე-  
ლი).

ნინამ დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია და სწავლა განაგ-  
რობო თბილისში, ქალთა უმაღლეს კურსებზე, რომელიც დაამთავრა  
1918 წლის 25 ივლისს და მიენიჭა ფარმაცევტის წოდება (აღნიშ-  
ნული კურსები 1918 წლის 2 ივნისიდან შეუერთდა თბილისის ახალ-  
დაარსებულ რუსულ უნივერსიტეტს. რექტორი პროფ. ბლოგოვილო-  
ვი). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნინამ დაიწყო მუშაობა გე-  
ინეს აფთიაქში, სადაც მუშაობდა მისი კოლეგა სიმონ ჯუღელი, რო-  
მელთანაც შემდგომ შექმნა ოჯახი. მალე შეეძინათ ორი ქალიშვილი,  
რის გამოც ნინამ თავი დაანება სამსახურს და მთელ ენერგიას ახ-  
მარდა ბავშვებსა და ოჯახს. ყველაფერი მიდიოდა კარგად - სიმო-  
ნის წარმატებულ კარიერას ხელი არ შეუშლია მისთვის ყოფილიყო  
ყურადღებიანი მეუღლე, მზრუნველი მამა და გულღია მასპინძელი.  
1935 წლის 14 აპრილს მოულოდნელად ძირფესვიანად შეიცვალა  
მთელი ოჯახის ცხოვრება. სიმონი, რომელიც იმ დროს მუშაობდა  
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, უეცრად  
გარდაიცვალა (სამსახურში საუზმის შემდეგ მოულოდნელად იგრძნო  
თავი ცუდად და ცოტა ხანში საავადმყოფოში გარდაიცვალა). დაკრ-



ძალეს სიმონ ჯუღელი მთაწმინდაზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 1937 წელს გამოაცხადეს ხალხის მტრად და საფლავიდან ამოთხარეს (დაწერილებით ამ ამბის შესახებ იხ. ჯუღელი სიმონ). ეს საზარელი ამბავი ქალბატონ ნინას 1938 წლის 5 იანვარს ადრე დილით შეატყობინა პანთეონის დარაჯმა. გამწარებულმა ქალმა მაშინვე დაურეკა ბერიას ბინაზე. საუბედუროდ იგი შინ აღმოჩნდა და თავად აიღო ყურმილი. "გარეწარო, მკვლელი, დესპოტო, კაცი მოკალი, ბავშვები ობლად დატოვე და ახლა მიცვალებულს საფლავშიც არ ასვენებ?" (უფროსი ქალიშვილის ქალბატონი ლილის მოგონებიდან).

ნინა ჯუღელი იმავე ღამეს სამ საათზე დააპატიმრეს. ვერ უშველა ვერც ბერიას მეზობლობამ (საკმაო ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთ სახლში და პქონდათ ხშირი ურთიერთობა), ვერც ნათლიმამობამ და ვერც ბერიას ვაჟმა სერგომ, რომელსაც ქალბატონი ნინა ცხრა თვე აჭმევდა ძუძუს.

ღელის დაპატიმრების დეტალებს იხსენებს ქალბატონი ლილი ჯუღელი: "...ღამის სამი საათი იქნებოდა, კიბეზე მოისმა ფეხის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა და ჩვენს კარებთან შეწყდა, ზარიც დაირეკა. კარი დედამ გააღო. ოთახში შემოვიდა სამი ჩეკისტი. დედას უთხრეს, დაკითხვაზე გიწვევენ და შემდეგ უკან დაგაბრუნებთო. მე და ჩემი და დედას ჩაეებლაუჭეთ. დედამ ფრთხილად მოგვიშორა და დაგვიწყო დამშვიდება, მოგვეაღერსა, აუცილებლად დავბრუნდებითო, გვითხრა და გავიდა. თურმე, სამუდამოდ. ჩვენ გაოგნებულები დავრჩით. გარკვეული ხნის შემდეგ კვლავ გაისმა ზარი ჩვენს კარებზე. გაგვეხარდა, გვეგონა დედა დაბრუნდა. ისევ ის ჩეკისტები აღმოჩნდნენ. შეგვიყვანეს მამას კაბინეტში და დანარჩენი ოთახები დალუქეს. გათენებისას მოვიდა საბარგო მანქანა და ნახევრად შიშვლები, დეიდასთან ერთად, დაგვყარეს მანქანაზე და გადაგვიყვანეს ერთ საშინელ, ყოვლად მოუწყობელ ოთახში. თან არაფერი გაგვატანეს". ძალე ბავშვების საპატრონოდ სოფლიდან ჩავიდა ნინას მამა ანტონი. ორ კვირაში ისიც დააპატიმრეს და შსს კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 23 მაისის დადგენილებით დახვრიტეს იმავე წლის 31 მაისს. (უიცსა, ფონდი 498, ან. 4, საქ. 5546, გვ. 3). ქალბატონი ლილის გადმოცემით, ასევე დახვრიტეს ნინას ძმა, რომელიც იმ დროს ცხოვრობდა მოსკოვში და ბავშვების მოსაველეად აპირებდა თბილისში გადასვლას.

ქალბატონი ნინას "საქმე" განიხილა შსს კომისარიატთან არსებულმა სამეულმა და 1938 წლის სამი მარტის დადგენილებით გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, რომელიც აღასრულეს მეორე დღესვე - 4 მარტს. წაყენებული ბრალდება ჩამოყალიბებული იყო ნათლად და მოკლედ: "გამოძიების მასალებით იმხილება მასშიდ, რომ



იყო ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და საქართველოს ტროცკისტული ცენტრის დავალებით განახორციელა ტერაქტი სიმონ ჯუღელზე - თბილისის აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეზე". და იქვე მოკლედ - "გამოტყდა" (სუსის არქივი, საგამოძიებო საქმე № 14814, ოქმი № 95, 03.03.38. ფ. 34).

როგორც ჩანს, ჯალათების ცინიზმს არა აქვს საზღვარი.

ობლად დარჩენილი ბავშვების ბედი კი ასე წარიმართა: ლილი ბატონი სიმონის მეგობრებმა სამუშაოდ მოაწყვეს სააფთიაქო სამმართველოში. მიღებული ხელფასით როგორღაც გაჰქონდათ თავი. უმცროსს, მერის, სწავლა არ შეუწყვეტია. ლილის დახმარებით დაამთავრა სკოლა, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტი. გახდა ცნობილი სპეციალისტი კურორტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეაბილიტირებული იყო ქალბატონი ნინა 1956 წელს.

## ჯუღელი სიმონ

### პილატეს ძე - ფარმაცევტი

დაბ. 1888წ. ქუთაისის მაზრის სოფ. სვირში. იქვე ორწლიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ზესტაფონში. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1907 წელს მუშაობა დაიწყო სოხუმის აფთიაქში. 1911 წლიდან სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. აფთიაქარის თანაშემწის დიპლომის მიღების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 1917 წელს აირჩიეს მისივე ხელმძღვანელობით შექმნილ საქართველოს აფთიაქების მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარედ. 1919 წელს დაპატიმრებული იყო მენშევიკური მთავრობის მიერ. გათავისუფლდა 1920 წელს და საცხოვრებლად გადავიდა ვლადიკავკაზში, სადაც ჩამოაყალიბა მედმუშაკთა პროფკავშირი, არჩეული იყო მედსანშრომის საოლქო კავშირის თავმჯდომარედ და პარტიის ვლადიკავკაზის საოლქო კომიტეტის წევრად. 1921 წლის თებერვალში ს. ჯუღელი წითელ არმიასთან ერთად ჩავიდა თბილისში. 1921-35 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე: იყო საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ-ისა და ამიერკავკასიის სფსრ-ის სახკომსაბჭოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, ამიერკავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს საგემო კომისიის თავმჯდომარე, სსრკ სახ-



კომსაბჭოს დამზადების კომიტეტისა და მძიმე მრეწველობის რწმუნებული ამიერკავკასიაში, "საქართველოს ჩაის" ტრესტის მმართველი. იყო სსრ-ის კავშირის მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე მოწვევის ცაკ-ის წევრი და სხვ. უკანასკნელად მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ (გაზეთი "კომუნისტი" 05.12.1978 წელი).

1935 წლის 14 აპრილს მოულოდნელად შეწყდა სიმონ ჯუღელის ცხოვრება. მისი ოჯახის წევრების გადმოცემით, სამუშაო კაბინეტში მოწამლეს სტრიქნინით. დაკრძალეს სიმონ ჯუღელი დიდი ხმარით - საპატიო ყარაულით, გამოსამშვიდობებელი სიტყვებითა და სამგლოვიარო პროცესიით. განსაკუთრებით აქტიურობდა ბერია. დაკრძალეს მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1935 წლის 15 აპრილს დაადგინა (დადგენილება № 43.44.2, ოქმი № 13):

- ა) ქალაქ ზესტაფონს ეწოდოს ქ. ჯუღელი;
- ბ) ზესტაფონის რაიონს ეწოდოს სიმონ ჯუღელის რაიონი;
- გ) რკინიგზის სადგურ ზესტაფონს - სადგური ჯუღელი;
- დ) თბილისის პურის კომბინატს მიენიჭოს ამხ. ჯუღელის სახელწოდება;
- ე) საფაბრიკო საქარხნო სკოლას ლენინის რაიონში მიენიჭოს ამხ. ჯუღელის სახელწოდება;
- ვ) დაევალოს საქსახკომსაბჭოს დააარსოს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ამხ. ჯუღელის სახელობის 10 სტიპენდია;
- ზ) ამხ. ჯუღელის ოჯახს დაენიშნოს მუდმივი პენსია 500 მანეთის რაოდენობით თვეში;

სს ცაკ-ის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

სს ცაკ-ის მდივანი: თ. ჟღენტაი

ასეთ გულისამაჩუყებელ დადგენილებას ხელი არ შეუშლია პარტიული "ამხანაგებისთვის" 1937 წლის ბოლოს სიმონ ჯუღელი გამოეცხადებინათ ზალხის მტრად და... ამოეთხარათ საფლავიდან, ისევე როგორც შუა საუკუნეებში ამას აკეთებდნენ ინკვიზიტორები (ამის შემდგომ ოჯახის ბედის შესახებ იხ. ჯუღელი-საბახტარაშვილი ნინა).

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1956 წლის 10 ნოემბერს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურამ განიხილა სიმონ ჯუღელის მიმართ 1937 წელს წაყენებული ბრალდებები და დაადგინა, რომ მას სახელმწიფო დანაშაული არ ჩაუდენია, რომ მის მიმართ საქმე შეწყდა და რომ იგი რეაბილიტირებულია. (დადგენილება № 5509, 10.11.56.) ასევე აღიარა იგი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ (№ 2/336 16.02.98).

# დანაბრთი

სახელმწიფოებრივი დანაშაული

კარი I

კონტრრევოლუციური დანაშაული

581. კონტრრევოლუციურ მოქმედებად ჩაივლება ყოველი ისეთი მოქმედება, რაც მიმართულია მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლებისა და ამ საბჭოების მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის საფუძველზე არჩეული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა მთავრობის ხელისუფლების დასამხობად, შესასუსტებლად ან ძირის გამოსათხრელად. ან ისეთი მოქმედება, რაც მიმართულია სსრ კავშირის გარეშე საფრთხისაგან დაცვის საქმისა და პროლეტარული რევოლუციის ძირითად სამეურნეო, პოლიტიკურ და ნაციონალურ მონაპოვართა ძირის გამოსათხრელად ან შესასუსტებლად.

მშრომელთა ინტერესების საერთაშორისო სოლიდარობის თვალსაზრისით, ასეთივე მოქმედება კონტრრევოლუციურ მოქმედებად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც იგი მიმართულია მშრომელთა ყველა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუნდაც ეს სახელმწიფო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში არ შედიოდეს.

581-ა. სამშობლოს დალატი, ე.ი. ისეთი მოქმედება, რასაც სსრ კავშირის მოქალაქე ჩაიდენს სსრ კავშირის სამხედრო ძლიერებისა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა ან ტერიტორიის ხელშეუხებლობის საზიანოდ, როგორც არის: ჯაშუშობა, სამხედრო ან სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, მტრის მხარეზე გადასვლა, საზღვარგარეთ გაქცევა ან გადაფრენა, დაისჯება:

სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელით - დახვრეტით, მთელი ქონების კონფისკაციით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში

- თავისუფლების აღკვეთითი ათი თწლით, 1) მთელი ქონების კონფისკაციით.

1) იხ. მუხლი 28.

(1934 წ. 9 ივლისის (კანდ.კრ. 1934 წ. №21, მუხ.188).

581-გ. უკეთუ სამხედრო მსახური გაიქცევა ან გადაფრინდება საზღვარგარეთ, მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი, რომელმაც ხელი შეუწყო განაშად ან ჩადენილ დალატს, ან თუნდაც იცოდა ეს დალატი, მაგრამ არ აცნობა იგი ხელისუფლებას, დაისჯება:

თავისუფლების აღკვეთით ხუთი წლიდან ათ წლამდე, მთელი ქონების კონფისკაციით.

მოლაღატი ოჯახის დანარჩენ სრულწლოვან წევრთ, რომელნიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ ან მის რჩენაზე იყვნენ დანაშაულის ჩადენის მომენტში, უნდა ჩამოერთვათ საარჩევნო უფლება, და ისინი გადასახლებულ უნდა იქნენ ციმბირის შორეულ რაიონებში ხუთი წლით;

(1934 წ. 9 ივლისის (კან.კრ.1934 წ. №21,მუხ.188)

581-დ. სამხედრო მსახურის მიერ იმის განუცხადებლობა, რომ მზადდება ან ჩადენილია ღალატი, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათი წლით.

განუცხადებლობა სხვა მოქალაქეთა (არა სამხედრო მსახურთა) მიერ ილევნება ამა კოდექსის 5812 მუხლის თანახმად.

(1934 წ. 9 ივლისის (კან. კრ. 1934 წ. №21, მუხ. 188).

582. შეიარაღებული აჯანყება ან შეიარაღებული ბანდების შემოსევა საბჭოთა ტერიტორიაზე კონტრრევოლუციური მიზნით, ცენტრსა ან ადგილებზე ხელისუფლების ხელში ჩაგდება იმავე მიზნით და, კერძოდ, სსრ კავშირის თუ ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ნაწილის ძალით ჩამოსაკვეთად ან სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების მოსაშლელად, გამოიწვევს სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას - დახვერტას ან მშრომელთა მტრად გამოცხადებას, ქონების კონფისკაციით და მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ამით სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევით და ამ კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება დაწეულ იქნას

თავისუფლების აღკვეთამდე არანაკლებ სამი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ.1930 წ.№10,მუხ.122).

583. კონტრრევოლუციური მიზნით ურთიერთობის დაჭერა უცხო სახელმწიფოსთან ან მის ცალკე წარმომადგენელთან და აგრეთვე რაიმე სახით ხელის შეწყობა იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც ომი აქვს სსრ კავშირთან, ან რომელიც ებრძვის სსრ კავშირს ინტერვენციით ან ბლოკადით, გამოიწვევს ამ კოდექსის 582 მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

584. დახმარების აღმოჩენა, რითაც უნდა იყო, საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილისათვის, რომელაც კაპიტალისტური სისტემის შესაცვლელად მომავალი კომუნისტური სისტემა სწორუფლებიან სისტემად არ მიაჩნია და ისწრაფვის დაამხოს იგი, აგრეთვე დახმარების აღმოჩენა ამ ბურჟუაზიის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ან უშუ-

აღოდ მის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფისა და ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მოქმედებაში, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდეც - დახვერტამდე ან მშრომელთა მტრად გამოცხადებამდე, ქონების კონფისკაციით და მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ამით სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევით და ამ კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

585. უცხო სახელმწიფოს ან ამ სახელმწიფოში არსებული რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის დაყოლიება, მათ წარმომადგენლებთან ურთიერთობის დაჭერით, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ან სხვა რაიმე საშუალებით, რათა მან სსრ კავშირს ომი გამოუცხადოს, მის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩაერიოს ან სხვა რაიმე მტრული მოქმედება გაუწიოს, კერძოდ: ბლოკადა, სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ხელში ჩაგდება, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, სსრ კავშირთან დადებული ხელშეკრულების მოშლა და სხვა, გამოიწვევს ამ კოდექსის 582 მუხ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

586. ჯაშუშობა, ე.ი. უცხო სახელმწიფოსათვის, კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა ან კერძო პირისათვის ისეთი ცნობების გადაცემა და გადაცემის მიზნითვე გატაცება და შეკრება, რაც თავისი შინაარსით სპეციალურად დასაცავ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო უკეთეს ჯაშუშობას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა სსრ კავშირის ინტერესებისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგი, - სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას - დახვერტას ან მშრომელთა მტრად გამოცხადებას, ქონების კონფისკაციით, მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ამით სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევით და ამ კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და პირებისათვის სასყიდლით თუ უსასყიდლოდ ისეთი ეკონომიური ცნობების გადაცემა ან გადაცემის მიზნითვე გატაცება და შეკრება, რაც თავისი შინაარსით სპეციალურად დასაცავ სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ხოლო რის გახმაურებაც პირდაპირ აკრძალულია კანონით ან უწყებისა, დაწესებულებისა თუ საწარმოს ხელმძღვანელის განკარ-

გულებით, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთის სამ წლამდე.  
(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ.1930 წ. №10. მუხ.122).

შენიშვნა 1. სპეციალურად დასათავ სახელმწიფო საიდუმლოებად ჩაითვლება ყველა ის ცნობა, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, დამტკიცებულ და საყოველთაოდ გამოცხადებულ განსაკუთრებულ ნუსხაში.1)

შენიშვნა 2. იმ პირის ვაშუშობას, ვინც 1927 წ. 27 ივლისს დამტკიცებულ სამხედრო დანაშაულთა დებულების I მუხლშია აღნიშნული (სსრ კავშირის კან.კრ. 1927 წ. №50, მუხ. 505; იხ. დანართი), შეეფერება ამა დებულების 24 მუხლი.

587. კონტრრევოლუციური მიზნით ძირის გამოთხრა სახელმწიფო მრეწველობისა, ტრანსპორტისა, ვაჭრობისა, ფულის ტრიალის ან სააკრედიტო სისტემისათვის, აგრეთვე კოორპერაციისათვის, საამისოდ სახელმწიფო დაწესებულების

---

1) იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წ. 8 ივნისის დადგენილება (მოთავსებულია ამა კოდექსის დამატებაში, გვ.214).

---

და საწარმოს გამოყენებით ან მათი ნორმალური მუშაობისათვის ხელის შეშლით, აგრეთვე ყოფილი მესაკუთრეების ან დაინტერესებული კაპიტალისტური ორგანიზაციების სასარგებოდ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა გამოყენება ან მათი მუშაობისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს ამა კოდექსის 582 მუხ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

588. ისეთი ტერორისტული აქტის ჩადენა, რაც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ან მუშათა და გლეხთა რევოლუციონური ორგანიზაციების მოღვაწეთა წინააღმდეგ, აგრეთვე მონაწილეობა ამ აქტის შესრულებაში, თუნდაც იმ პირის მიერ, რომელიც კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას არ ეკუთვნის, გამოიწვევს ამა კოდექსის 582 მუხ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

587. კონტრრევოლუციური მიზნით რკინიგზის ან სხვა რამ გზის, მიმოსვლისა და სახალხო კავშირგაბმულობის საშუალებათა, წყალსადენისა, საზოგადო საწყობისა და სხვა ნაგებობის ან სახელმწიფო თუ საზოგადო ქონების განადგურება ან დაზიანება აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა რამ ხერხით გამოიწვევს

ამა კოდექსის 582 მუხ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

59<sup>10</sup>. პროპაგანდა ან აგიტაცია, რაც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების დასამზობად, შესასუსტებლად ან ძირის გამოსათხრელად, ანდა ამა თუ იმ კონტრრევოლუციური დანაშაულის (ამა კოდ. 582-589 მუხ.) ჩასადენად, აგრეთვე ასეთივე შინაარსის ლიტერატურის დამზადება, შენახვა ან აგვრცელება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთის არა ნაკლებ ექვსი თვისა.

იგივე მოქმედება, უკეთუ იგი ჩადენილია მასური მღელვარების დროს ან ხალხის რელიგიური ცრუმორწმუნეობისა და ნაციონალური ცრუშეგნების გამოყენებით, ან საომარ პირობებში, ანდა ისეთ ადგილას, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, გამოიწვევს

ამა კოდექსის 582 მუხ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან. კრ. 1930 წ. №10, მუხ. 122).

58<sup>11</sup>. ყოველგვარი საორგანიზაციო მოქმედება, რაც მიმართულია ამ თავში გათვალისწინებულ დანაშაულთა მოსამზადებლად ან ჩასადენად, აგრეთვე მონაწილეობა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც მოეწყო ერთ-ერთი ზემოაღნიშნული დანაშაულის მომზადებისა ან ჩადენისათვის, გამოიწვევს

ამა კოდექსის სათანადო მუხლებში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

58<sup>12</sup>. კონტრრევოლუციური დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ეს დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ეს დანაშაული ჩადენილია ან მზადდება ჩასადენად, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ექვსი თვისა.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან. კრ. 1930 წ. №10, მუხ. 122).

58<sup>13</sup>. აქტიური მოქმედება ან აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც გამოუჩენია პასუხსა ან საიდუმლო (აგენტურა) თანამდებობაზე მყოფ პირს სამეფო წესწყობილების დროს ან კონტრრევოლუციურ მთავრობასთან, სამოქალაქო ომის დროს, გამოიწვევს

ამა კოდექსის 582 მუხ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

58<sup>14</sup>. კონტრრევოლუციური საბოტაჟი, ე.ი. განსაზღვრული მოვალეობის შეგნებულად შეუსრულებლობა ან განზრახ დაუდევრად შესრულება სპეციალურად იმისათვის, რომ ამით შესუსტებულ იქნას მთავრობის ხელისუფლება და სახელმწიფო აპარატის მუშაობა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით



დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდეც - დახვერტამდე, ქონების კონფისკაციით.

(1930 წ.6 აპრილის; კ. II (კან. კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

## კარი 2

მმართველობის წესის საწინააღმდეგო, სსრ კავშირისათვის განსაკუთრებით საშიში დანაშაული

58<sup>15</sup>. მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულთა შორის (59 მუხ.) სსრ კავშირისთვის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულად ჩაითვლება ისეთი დანაშაული, რაც არყევს სსრ კავშირის და მოკავშირი რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობისა და სამეურნეო ძლიერების საფუძველს.

58<sup>16</sup>. წესიერების მასური დარღვევა, რასაც თან ერთვის დარბევა, რკინიგზის ლიანდაგის ან მიმოსვლის და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა განადგურება, მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება გამოიწვევს

ა) წესიერების მასური დარღვევის მომწყობისა და ხელმძღვანელისათვის და აგრეთვე ყველა იმ პირისათვის, ვინც მონაწილეობას მიიღებს ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენაში ან შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს ხელისუფლებას, თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვივ სღონისძიება აიწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდე - დახვერტამდე, ქონების კონფისკაციით;

ბ) დანარჩენ მონაწილეთათვის -

თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს სამი წლისა.

წესიერების მასური დარღვევა, რაც დამამძიმებელი არ არის ზემოაღნიშნული დანაშაულით, ხოლო რასაც ერთვის ამკარა დაუმორჩილებლობა ხელისუფალთა კანონიერი მოთხოვნისადმი, ან ამ ხელისუფალთათვის წინააღმდეგობის გაწევა კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს, ან მათი იძულება ამკარად უკანონო მოთხოვნის შესასრულებლად, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს ერთი წლისა.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

58<sup>17</sup>. ბანდიტიზმი, ე.ი. შეიარაღებული ბანდის მოწყობა და ამ ბანდაში მონაწილეობა, მონაწილეობა აგრეთვე ბანდის თავდასხმაში საბჭოთა და კერძო დაწესებულებაზე ან ცალკე მოქალაქეზე, მატარებლის გაჩერება, რკინიგზის ლიანდაგისა და მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა განადგურება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდეც - დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

5817-ა. სასროლო იარაღისა, მისი ნაწილებისა და სასროლო მასალის ფარულად ან სააშკარაოდ გატაცება:1)

ა) მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გასამხედროებული დაცვისა და გასამხედროებული სახანძრო დაცვისა, მუშათა და გლეხთა მილიციისა, წყალქვეშა სამუშაოების ექსპედიციის ("ეპრონ"), შრომა-გასწორების დაწესებულებათა და აგრეთვე ზურგის ლაშქრისა და რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლე-

1) იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულება "სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

(მოთავსებულია ამა კოდექსის დამატებაში, გვ.202).

ბულ პირთაგან შედგენილი შრომითი ნაწილების1) საწყობებიდან და საცავებიდან;

ბ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილებისა, გასამხედროებული დაცვისა და გასამხედროებული სახანძრო დაცვისა, მუშათა და გლეხთა მილიციისა, წყალქვეშა სამუშაოების ექსპედიციისა ("ეპრონ"), ზურგის ლაშქრისა და შრომითი ნაწილების მუდმივი ან დროებითი დაბანაკების ადგილებიდან და შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან, უკეთუ სასროლო იარაღი, მისი ნაწილები და სასროლო მასალა დაცული ან განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო უკეთუ გამტაცებლებმა იხმარეს იმ პირთა სიცოცხლს და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, რომელთაც დავალებული აქვთ სათანადო დაცვა და მეთვალყურეობა, - თავისუფლების აღკვეთას არა-ნაკლებ სამი წლისა, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიების აწევით თვით უმაღლეს

1) საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონი,

მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-4 სესიის მიერ 1939 წ. I სექტემბერს, ზურგის ლაშქარსა და რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულ პირთაგან შედგენილ შრომით ნაწილებს არ ითვალისწინებს.

ლონისძიებამდეც - დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

(1929 წ. 5 ივნისის (კან.კრ.1929 წ. №14, მუხ.148); 1930 წ. 6 აპრილის. კ. II (კან.კრ.1930 წ. №10, მუხ. 122); 1934 წ. 16 ივნისის (კან.კრ. 1934 წ. №19, მუხ.170).

5817-ბ. მატარებლის ან ნავტურჭლის დაღუპვის მიზნით დანგრევა ან დაზიანება რკინიგზის ან სხვა რამ გზისა, ამ გზების ნაგებობისა, გამაფრთხილებელი ნიშნებისა, მოძრავი შედგენილობისა და ნავტურჭლისა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ სამი წისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდეც - დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

(1929 წ. 11 ივლისის (კან.კრ. 1929 წ. №16, მუხ. 178); 1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

5817-გ. ტრანსპორტის მომუშავეთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა (მოძრაობის წესების დარღვევა, მოძრავი შედგენილობის და გზის დარღვევა, მოძრავი შედგენილობისა და გზის უხეირო რემონტი და სხვ.), უკეთუ ამ დარღვევას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა მოძრავი შედგენილობისა, გზისა და საგზაო ნაგებობათა დაზიანება. თუ განადგურება ან ადამიანთა უბედურება, მატარებლებისა და ნავტურჭლების არა თვის დროზე გაგზავნა, ცარიელი ვაგონების დაგროვება გადმოტვირთვის აღვილას, ვაგონებისა და ნავტურჭლების მოცდენა და სხვა მოქმედება, რაც იწვევს მთავრობის მიერ დასახულ გადაზიდვათა გეგმის ჩაშლას (შეუსრულებლობას) ან საფრთხეში აგდებს მოძრაობის წესიერებას და უშიშროებას, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ დანაშაულებრივ მოქმედებას აშკარა საბოროტო ხასიათი აქვს, შეეფარადება

სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება, ქონების კონფისკაციით.

(1931 წ. 11 თებერვლის (კან.კრ. 1931 წ. №5, მუხ.65).

5817-დ. სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერნაოსნობის მომუშავეთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის წესების დარღვევა, აეროპორტის უფროსის მიერ საპაერო ნავტურჭლის საფ-

რენად გამოშვების წესების დარღვევა და სხვა მისთ.), უკეთუ ამ დარღვევას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა საპაერო ნავჭურჭლის ან ფრენისათვის მიწაზე არსებული განწყობილობის დაზიანება თუ განადგურება, ანდა ადამიანთა უბედური შემთხვევა, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში - უმაღლეს სსსჯელს.

(1935 წ. 3 ნოემბრის (კან. კრ. 1935 წ. №30, მუხ.189).

58<sup>17</sup>-ე. საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა (სსრ კავშირში შემოფრენა და სსრ კავშირიდან გაფრენა ნებადართულად, ნებადართვაში აღნიშნული მარშრუტების, დაშვების ადგილების, საპაერო კარიბჭის, აფრენის სიმაღლისა და სხვა პირობების არ დაცვა), უკეთუ არ არის ნიშნები სამშობლოს ღალატის ან სხვა კოონტრრევოლუციური დანაშაულია, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა ან ჯარიმას ათი ათას მანეთამდე, საპაერო ნავჭურჭლის კონფისკაციით ან უკონფისკაციოდ.

(1935 წ. 3 ნოემბრის (კან.კრ. 1935 წ. №30, მუხ. 189).

58<sup>18</sup>. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდება გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ერთ წლამდე.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდება დამამძიმებელ გარემოებაში, კეძოდ, თავისი სხეულის დაზიანებით, ავადმყოფობის სიმულაციით, ყალბი დოკუმენტის გაკეთებით, თანამდებობის პირის მოსყიდვით და სხვ. ან რელიგიური რწმენის მომიზეზებით, 1) გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე.

(1930 წ. 9 ნოემბრის (კან.კრ. 1930 წ. №23, მუხ.326).

58<sup>19</sup>. ზურგის ლაშქარში ჩარიცხული პირისა და რეგილიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული პირის მიერ ომიანობის დროს ზურგის ლაშქრის ნაწილში და შრომითს ნაწილში გაწვევიანგან თავის არიდება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ერთი წლისა.1)

(1929 წ. 28 სექტემბრის (კან.კრ. 1929 წ. №21, მუხ.232); 1930 წ. 9 ნოემბრის (კარ.კრ. 1930 წ. №23, მუხ.326); 1934 წ. 16 ივნისის (კან.კრ.1930 წ. №23, მუხ. 326); 1934 წ. 16 ივნისის (კან.კრ. 1934 წ. №19, მუხ.170).

შენიშვნა: გაუქმებულია. (1928 წ. 10 დეკემბრის (კან.კრ. 1929 წ. №1, მუხ.5).

1) საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონი,

მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-4 სესიის მიერ 1939 წ. I სექტემბერს, რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახური-საგან განთავისუფლებას და ზურგის ლაშქის ორგანიზაციას არ ითვალისწინებს.

58<sup>20</sup>. ომიანობის პირობებში უარის თქმა გადასახადის გაღებაზე ან ბეგარის (კერძოდ: სამხედრო ავტო-სატრანსპორტო, სამხედრო-საცხენო, სამხედრო-საბარგულო და სამხედრო-სანავჭურჭლო) მოხდაზე ან თავის არიდება გადასახადის გაღება ან ბეგარის მოხდისაგან გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით უმაღლს ღონისძიებამდეც - დახვერტამდე, ქონების კონფისკაციით.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან. კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

58<sup>21</sup>. პროპაგანდა ან აგიტაცია ეროვნული ან, სარწმუნოებრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოსაგდებად, აგრეთვე ამავე ხასიათის ლიტერატურის დამზადება, შენახვა ან გავრცელება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

იგივე მოქმედება ომიანობის პირობებში ან მასური მღელვარების დროს -

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდეც - დახვერტამდე, ქონების კონფისკაციით.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან. კრ. 1930 წ. №10, მუხ. 122).

58<sup>22</sup>. გაკეთება და გასაღება ხელობის სახით ყალბი ლითონის ფულისა, სახელმწიფო სახაზინო ბილეთებისა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთებისა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა, აგრეთვე უცხო ქვეყნის ვალუტისა გამოიწვევს

სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას - დახვერტას, ქონების კონფისკაციით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება დაწვეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით.

გაკეთება ხელობის სახით ყალბი ჩეკებისა, უფლადი ანაბარის და ფასიანი ქაღალდების ანაბარის დოკუმენტებისა, აგრეთვე უფლადი აკრედიტივების მოწმობებისა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა, მთელი ქო-

ნების არ ქონების ნაწილის კონფისკაციით.

გაკეთება ან გასაღება ხელობის სახით საფოსტო გადასახდელის ყალბი ნიშნებისა, სარკინიგზო და წყალსაველი ტრანსპორტის ყალბი ბილეთებისა და სხვა სამიმოსვლო და სატვირთო დოკუმენტებისა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

(1930 წ. 26 მარტის (კან.კრ.1930 წ. №10, მუხ.110).

58<sup>23</sup>. ამა კოდექსის 5816, 5817 და 5822 მუხ. გათვალისწინებული დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ეს დანაშაული ჩადენილია ან მზადდება ჩასადენად, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

58<sup>24</sup>. კვალიფიციური კონტრაბანდა (სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის 166 მუხ. - სსრ კავშირის კან. კრ. 1929 წ. №1-ლი, მუხ.2), საბაჟოს სამმართველოს მიერ საქონლის კონფისკაციისა და ჯარიმის დადების გარდა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდეც - დახვერტამდე, ქონების კონფისკაციით.

(1929 წ. 11 ივლისის (კან.კრ.1929 წ. №16, მუხ. 179); 1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

58<sup>25</sup>. ხელობის სახით ან თანამდებობის პირის მიერ ხელის შეწყობა სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადასვლისა ან გადმოსვლისათვის გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

58<sup>26</sup>. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დებულების დარღვევა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით.

(1930 წ. 6 აპრილის; კ. II (კან.კრ. 1930 წ. №10, მუხ.122).

58<sup>27</sup>. სავალუტო ოპერაციების, წესების დარღვევა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, მთელი ქონების ან ქონების-ნაწილის კონფისკაციით.

**Постановление СНК о Красном терроре**

5 сентября 1918 г.

Совет Народных Комиссаров, заслушав доклад председателя Всероссийской комиссии по борьбе с контрреволюцией, спекуляцией и преступлением по должности о деятельности этой комиссии, находит, что при данной ситуации обеспечение тыла путем террора является прямой необходимостью, что для усиления деятельности Всероссийской Чрезвычайно комиссией по борьбе с контрреволюцией, спекуляцией и преступлением по должности и внесения в нее большей планомерности необходимо направить туда возможно большее число ответственных партийных товарищей; что необходимо обезопасить Советскую республику от классовых врагов путем изолирования их в концентрационных лагерях; что подлежат расстрелу все лица, прикосновенные к белогвардейским организациям, заговорам и мятежам, что необходимо опубликовать имена всех расстрелянных, а также основания применения к ним этой меры.

*Народный комиссар юстиции Д Курский  
Народный комиссар по внутренним делам Г. Петровский  
Управляющий делами СНК Вл. Бонч-Бруевич  
Известия ВЦИК, 1918, М 195, 10 сент.*

**Приказ командующего войсками Тамбовской губернии Ха  
0116 о применении против крестьянских  
повстанцев ядовитых газов**

г. Тамбов  
12 июня 1921 года

Остатки разбитых банд и отдельные бандиты, сбжавшие из деревень, где восстановлена Советская власть, собираются в лесах и оттуда производят набеги на местных жителей.

Для немедленной очистки лесов ПРИКАЗЫВАЮ:

1. Леса, где прячутся бандиты, очистить ядовитыми газами, точно рассчитывая, чтобы облако удушливых газов распространялось полностью по всему лесу, уничтожая все, что в нем пряталось.
2. Инспектору артиллерии немедленно подать на места потребное количество баллонов с ядовитыми газами и нужных специалистов.
3. Начальниками боевых участков настойчиво и энергично выполнять настоящий приказ.
4. О принятых мерах донести.

*Командующий Войсками: Тухачевский  
Наштавойск Генштаба Какурин  
РГВА, ф.34228, оп.1, д.3, л.1*

**О ВНЕСЕНИИ ИЗМЕНЕНИЙ В ДЕЙСТВУЮЩИЕ  
УГОЛОВНО-ПРОЦЕССУАЛЬНЫЕ КОДЕКСЫ СОЮЗНЫХ РЕСПУБЛИК  
Постановление ЦИК и СНК СССР  
1 декабря 1934 г.**

Внести следующие изменения в действующие уголовно-процессуальные кодексы союзных республик по расследованию и рассмотрению дел о террористических организациях и террористических актах против работников советской власти:

1. Следствие по этим делам заканчивать в срок не более десяти дней.
2. Обвинительное заключение вручать обвиняемым за одни сутки до рассмотрения дела в суде.
3. Дела слушать без участия сторон.
4. Кассационного обжалования приговоров, как и подачи ходатайства о помиловании, не допускать.
5. Приговор к высшей мере наказания приводить в исполнение немедленно по вынесении приговора.

СЗ. №74



**О ВОЗМОЖНОСТИ ПРИМЕНЕНИЯ СУДАМИ  
НАКАЗАНИЯ ЛИШЬ К ЛИЦАМ, СОВЕРШИВШИМ  
ОПРЕДЕЛЕННОЕ ПРЕСТУПЛЕНИЕ**

**Постановление Пленума Верховного суда СССР**

**№ 8/5/У**

**12 июля 1946 г.**

**(Извлечение)**

